სსრ კავშირის პროკურატურა
მეთოდური საგზო

პ. ე. ტარასოვ-როდიონოვი
იუსტიციის III კლასის სახელმწიფო მრჩეველი

წინასწარი გამოძიება

სახელმძღვანელო გამომძიებლებისათვის

პროფესორ
მ. ა. ჩელცოვ-ბებუთოვის
რედაქციით

სახელგამი * პოლიტლიტერატურის სექტორი
თბილისი
1948

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინასწარი გამოძიება პროკურატურის ორგანოების მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია. იმაზე, თუ რამდენად უნარიანად, ოპერატულად და გულდასმით ტარდება წინასწარი გამოძიება, რამდენად მიზანშეწონილად და სწრაფად სრულდება საგამომძიებლო მოქმედება, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არა მარტო კონკრეტული საქმის შედეგი—დანაშაულის გახსნა და დამნაშავის გამოვლინება, არამედ საერთოდ დანაშაულებასთან ბრძოლის წარმატებაც.

კეთილხარისხოვნად და სწრაფად ჩატარებულ წინასწარ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ორგანოების პოლიტიკურად სწორი და წარმატებითი მუშაობისათვის.

ამიტომ საბჭოთა გამომძიებელს უნდა შეეძლოს თვითეული საქმის კონკრეტულ ვითარებაში გარკვევა, არ უნდა გამორჩეს არც ერთი დეტალი, შეკრიბოს და მოიმარჯვოს ყველა აუცილებელი დამამტკიცებელი საბუთი.

გამომძიებელი უნდა იყოს პოლიტიკურად მომზადებული, კულტურული მუშაკი, კარგად შეიარაღებული სპეციალური ცოდნით; მან უნდა იცოდეს საბჭოთა კანონმდებლობა, სრულყოფილად იყოს დაუფლებული გამოძიების ტექნიკას, ტაქტიკას და მეთოდიკას, ზუსტად უნდა იცავდეს საპროცესო ნორმებს.

წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ჩვენს ახალგაზრდა გამომძიებლებს, შეაიარაღოს ისინი წინასწარი გამოძიების საწარმოებლად საჭირო ძირითადი ცოდნით. წიგნში გაშუქებულია სისხლის სამართლის პროცესის საკითხები წინასწარი გამოძიების შესახებ, გამოძიების ტექნიკისა და ტაქტიკის საკით-

ხები, რაც საჭიროა დამამტკიცებელი საბუთების შესაკრებად მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, აგრეთვე წიგნის შესაბამის განყოფილებებში მოყვანილია სსრ კავშირის პროკურატურის ძირითადი მითითებანი წინასწარი გამოძიების საკითხებზე.

წინასწარი გამოძიების წარმოების საკითხებთან ერთად, წიგნში გაშუქებულია გამომძიებლის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებიც, რამდენადაც მათ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ წინასწარი გამოძიების წარმატებისათვის.

წინასწარი გამოძიების ყველა ძირითადი საკითხი გადმოცემულია იმგვარად, რომ გამომძიებელს გაუადვილდეს ამ წიგნით, როგორც ცნობარით, პრაქტიკული სახელმძღვანელოთი სარგებლობა.

ახალგაზრდა გამომძიებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ამ წიგნის ზოგადი გაცნობით და ვიდრე ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების შესრულებას შეუდგებოდეს, უნდა გადაიკითხოს ამ წიგნის შესაბამისი თავი. გარდა ამისა, თვითეული გამომძიებელი სისტემატურად უნდა მუშაობდეს თავისი ცოდნის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად, თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

გამომძიებლებს კარგად უნდა ახსოვდეთ ამხ. ვიშინსკის სიტყვები, წარმოთქმული სასამართლოს და პროკურატურის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე წინასწარი გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე: „... იმისათვის, რომ გამოძიება სწორად ჩატარდეს, არ კმარა გავარჯიშება, ხელის გაწრთვნა, არამედ საჭიროა ამ ძნელი და რთული საქმის მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლება.

ხელის გაწვრთნა უმნიშვნელო როლს ასრულებს — შაბლონი აქ დაუშვებელია. აქ უნდა დაეუფლო ხელოვნებას, უნდა გადასწყვიტო სტრატეგიული ამოცანები, როგორც ნამდვილ ომში. გამოძიების წარმოება იგივეა, რაც ომის წარმოება. ეს კი მოითხოვს მოხერხებულობას, ხელოვნებას. ლენინი ამბობდა, რომ აქ საჭიროა მოხერხებული მოქმედება, უნარიანი მოქმედება, საჭიროა შეგვეძლოს ათასი ხერხის შემუშავება, საჭიროა შეგვწევდეს უნარი ჩვენი ტაქტიკა შევუფარდოთ ცხოვრების ცვალებად პირობებს, რაზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი, როდესაც მიუთი-

თებდა კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის „ქურდულ ხრიკებზე“, საჭიროა, როგორც ამას მოითხოვდა ლენინი, საკუთარი გამოცდილების შესწავლა.

„საჭიროა, — ამბობდა ლენინი, — შევაჯამოთ გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ იჭერდით თქვენ და რამდენი ჩაატარეთ სასამართლო პროცესი, როგორი შედეგი მიიღეთ...“

ეს, ამხანაგებო, მეცნიერებაა, ეს ხელოვნებაა.

აქ არ შეიძლება მოქმედება მარტო გავარჯიშებით, არ შეიძლება ჩაატარო 100 საქმე და შეისწავლო. 100 საქმის ჩატარება, რასაკვირველია, კარგია, ეს გაძლევს შესწავლის შესაძლებლობას, მაგრამ ეს ცოტაა, იმიტომ რომ საქმე საქმეს არა ჰგავს, ყველა საქმე თავისებურია. საჭიროა შენი მუშაობა დაამყარო მეცნიერულ საფუძველზე. უკეთუ ეს მუშაობა დამყარებული არ იქნება მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე, დიალექტიკურ მეთოდოლოგიაზე, ისე საქმე არ წავა. საჭიროა ამის შეთვისება და გაგება.

თუ ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების სპეციალურ კარში პარტიის შესახებ მოითხოვდა ჩვენი იდეოლოგიური და თეორიული დონის ამაღლებას, ეს მოთხოვნა ჩვენც შეგვეხება. ჩვენს ამოცანებთან შეფარდებით, ეს ნიშნავს არა მარტო ჩვენი განვითარების საერთო იდეოლოგიური დონის ამაღლებას, — ეს ნიშნავს, აგრეთვე, ჩვენი საქმის მეთოდოლოგიისა და ტექნიკის დაუფლებასაც“.

I. წინასწარი გამოძიების ზოგადი საკითხები

1. გამომძიებლის მდგომარეობა გამოკვლევის ორგანოთა სისტემაში

გამომძიებლის მოვალეობანი

პროკურატურის ორგანოების საგამომძიებლო აპარატი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოწოდებულია დანაშაულთა ყველაზე საშიშ სახეებთან საბრძოლველად, რომელთა გამოძიებაც კანონით გამომძიებლების კომპეტენციაში შედის.

ასეთი მდგომარეობა პროკურატურის ორგანოების გამომძიებლებისა, რომელთა შორის ძირითად მასას სახალხო გამომძიებლები შეადგენენ, მოითხოვს, რომ თვითეული სახალხო გამომძიებელი სავსებით კვალიფიციური საგამომძიებლო მუშაკი იყოს.

როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა, გამომძიებელმა უნდა აწარმოოს მხოლოდ საგამომძიებლო მუშაობა.

თვითეულმა რაიონულმა პროკურორმა უნდა შეითვისოს, რომ გამომძიებლის მუშაობა — ეს არის ქვემდებარეობით მისთვის მიკუთვნებულ ამა თუ იმ დანაშაულზე გამოძიების წარმოება.

ამიტომ სრულიად დაუშვებელია გამომძიებელთათვის სხვადასხვა სახის გამოკვლევის ჩატარების, ყოველგვარი შემოწმებისა და წინასწარი მასალების შევსების, ზედამხედველობის წესით სასამართლო საქმეების განხილვის, მილიციაში დამთავრებული საქმეების განხილვის, სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის სახით მონაწილეობის დაკისრება.

გამომძიებლის მოვალეობაა მხოლოდ განსაზღვრულ დანაშაულთა ფაქტების გამოკვლევა, ან საგამომძიებლო საქმეებზე ცალ-

უარის თქმისა და ტყუილი ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და დ) ჩამოართვას ხელწერილი ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ტყუილი ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობაზე გაფრთხილების შესახებ;

5) მოწმის დაკითხვა უნდა დაიწყოს წინადადების მიცემით—სთქვას ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია საქმეზე; მხოლოდ მოწმის თხრობის შემდეგ შეიძლება მას მიეცეს შეკითხვები;

6) მოწმე დაიკითხება მხოლოდ ისეთი ფაქტების შესახებ, რაც დადგენილ უნდა იქნას ამ საქმეზე, და აგრეთვე ბრალდებულის პიროვნების დახასიათების შესახებ.

ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ მუნჯის, ყრუს ან გამომძიებლისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე პირის დაკითხვისას გამომძიებელმა უნდა მოიწვიოს თარჯიმანი ან ისეთი პირი, რომელსაც მუნჯის თუ ყრუს სალაპარაკო ნიშნები ესმის.

დაკითხვა, როგორც საპასუხისმგებლო საგამომძიებლო მოქმედება, უნდა სწარმოებდეს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ე. ი. გამომძიებლის, პროკურორის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შესაბამისი ოპერატული მუშაკის მიერ.

გამომძიებელს უფლება არა აქვს დაკითხვის წარმოება დაავალოს საამისოდ არაუფლებამოსილ პირებს.

სსრ კავშირის პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1939 წ. 28 თებერვალის № 49/1 — А — 21 ინსტრუქციაში სამომხმარებლო კოოპერაციაში და სახვაჭრობის სისტემაში ჩადენილი გაფლანგვებისა და მტაცებლობის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის შესახებ ნათქვამია: „გამოკვლევის ორგანოებს ეკრძალებათ მოწმეების ან რევიზიის მომხდენ პირთა ახსნა-განმარტებების მიღება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოთა მეშვეობით. ყველა ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა გამოკვლევის ორგანოების მიერ ამ პირთა უშუალო დაკითხვა“.

გამომძიებლები ჯერ კიდევ ყოველთვის სათანადოდ როდი ამოწმებენ დასაკითხავი მოწმის ვინაობას. ყველაზე უფრო ხშირად, ვინაობის შემოწმება განისაზღვრება მხოლოდ ზეპი-

კე მოთხოვნების შესრულება სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების 4 მუხლის წესისამებრ [1].

სსრ კავშირის პროკურატურის 1937 წლის 2 აპრილის № 18/26 ცირკულარში ნათქვამია:

„საგამომძიებლო მუშაობაში წამოჭრილ მთელი რიგი ორგანიზაციული და ოპერატიული საკითხების დაზუსტების მიზნით განვმარტავ:

... ზოგიერთი პროკურორი ჯერ კიდევ აკისრებს სახალხო გამომძიებლებს სახელმწიფო ბრალმდებელთა მოვალეობას. ასეთი პრაქტიკა თავისთავად წარმოადგენს პროკურორების მიერ სასამართლოში მუშაობის ხაზით თავიანთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობისაგან თავის დაღწევას.

იმ პროკურორებს, რომლებიც თავს აღწევენ თავისი მოვალეობის შესრულებას, დაედოთ სადისციპლინო სასჯელი, გამომძიებლებმა კი ასეთი დავალებანი არ შეასრულონ“.

ამრიგად, რაიონული პროკურორის მიერ გამომძიებელის არასაგამომძიებლო საქმეზე ყოველგვარი გამოყენება განხილულ უნდა იქნას როგორც კანონისა და სსრ კავშირის პროკურორის მითითებათა უხეში დარღვევა.

პროკურორთან ურთიერთობა

პროკურორთან გამომძიებლის ურთიერთობა განსაზღვრულია კანონით. დროებითი წესების მე-2 მუხლის საფუძველზე, პროკურორს ეკისრება ზედამხედველობა წინასწარ გამოძიებაზე.

გამოძიებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი ვალდებულია უზრუნველჰყოს გამოკვლევის ყველა ორგანოს საგამომძიებლო მუშაობის კოორდინაცია და უხელმძღვანელოს გამომძიებლების მუშაობას.

---

[1] აქ და ყველგან წიგნის დედანში მითითება რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებზე შეცვლილია მითითებით საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების მუხლებზე, ხოლო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების ნაცვლად მოყვანილია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები.

ამასთან დაკავშირებით, პროკურორს მინიჭებული აქვს უფლება გაეცნოს წინასწარი გამოკვლევის აქტებს და მისცეს გამომძიებელს მითითებანი გამოძიების მიმართულებისა და შევსების შესახებ.

დროებითი წესების 46 მუხლის შესაბამისად, პროკურორს შეუძლია გამომძიებელს წინადადება მისცეს გააუქმოს მის მიერ მიღებული აღმკვეთი ზომა, ან შესცვალოს სხვა ღონისძიებით, ან შეარჩიოს აღმკვეთი ზომა, უკეთუ ასეთი არ ყოფილა არჩეული გამომძიებლის მიერ.

კანონი აწესებს რომ, პროკურორის მითითებანი სავალდებულოა გამომძიებლისათვის.

პროკურორის წინადადებაზე არ დათანხმების შემთხვევაში გამომძიებელს, აღსრულების ‘ბეუჩერებლად, უფლება აქვს გაასაჩივროს ეს წინადადება ზემდგომ პროკურორთან.

რაიონული პროკურორის ხელმძღვანელობა გამომძიებლის მუშაობაზე შაბლონური, ფორმალური კი არ უნდა იყოს, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ რაიონში, არამედ კონკრეტული უნდა იყოს, დაკავშირებული მეთოდურ მითითებებთან, რომლებიც ნამდვილ დახმარებას გაუწევენ განსაკუთრებით ახალგაზრდა გამომძიებლებს.

ჯერ კიდევ 1936 წელს, გამომძიებელთა სასწავლო კონფერენციის დასკვნითს სხდომაზე, ამხ. ვიშინსკიმ თვალსაჩინოდ ჩამოაყალიბა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ხელმძღვანელობა გამომძიებლებზე, როგორ უნდა მოაწყოს და განახორციელოს პროკურორმა ეს ხელმძღვანელობა:

„გამომძიებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობისთვის საჭიროა მონაწილეობის მიღება ამ მუშაობაში. ხოლო როცა პროკურორმა არ იცის კონკრეტულად საქმე, როგორ შეუძლია მას მისცეს ოპერატიული მითითებანი? ასეთ შემთხვევაში იგი მხოლოდ არევ-დარევას შეიტანს საქმეში. როცა მე მინდა მივცე მითითება საქმეზე, მაშინ მე თვითონ ვატარებ საგამომძიებლო მოქმედებას ჩემთან მომუშავე გამომძიებელთან ერთად. მე ვიბარებ ბრალდებულს, მოწმეებს, მონაწილეობას ვიღებ დაკითხვებში, დაპირისპირებაში, მე ვიჟღინთები ამ წინასწარი გამოძიების ჰაერით, ვეცნობი ყოველივეს, რაც მომხდარა, და მაშინ ვეუბ-

ნები გამომძიებელს, რა უნდა გაკეთდეს. თუ საქმეს არ შეავ-
სწავლი, ჩემთავს არასოდეს ნებას არ მივცემ გამომძიებელს
ვუთხრა: „გააკეთე ესა და ესთქო“, ივიტომ რომ ამით მე შემი-
ძლია იგი მცდარ გზაზე დავაყენო.

უკეთუ პროკურორს სურს მისცეს მითითებები საქმეზე, მან
უნდა უშუალო მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში. თუ კი ის
მონაწილეობას არ მიიღებს გამოძიებაში, არ დაჰკითხავს მოწ-
მეებს, არ დაიბარებს ექსპერტებს, არ დააყენებს საკითხებს,
არ შეისწავლის ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, არ მოაწ-
ყობს დაპირისპირებებს, მაშინ, მე ვამბობ, რომ მან გამომ-
ძიებელს არავითარი ოპერატიული მითითება არ უნდა მისცეს“.

ამასთანავე, პროკურორმა გამომძიებელს უნდა გაუწიოს ყო-
ველგვარი დახმარება, შეუქმნას შესაფერისი გარემო და ნორ-
მალური მუშაობის პირობები.

პროკურორი რაიონში ან ქალაქში დანაშაულობასთან ბრძო-
ლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია. ამ მუშაობაში მისი
უახლოესი თანაშემწე უნდა იყოს გამომძიებელი. თავისი მუშა-
ობით, ყველა უმეტესად სერიოზულ, რთულ და დახლართულ
დანაშაულებათა გამოვლინებით და გამოკვლევით გამომძიებელი
დანაშაულებასთან აქტიური მებრძოლი უნდა იყოს.

პროკურორმა ისე უნდა ააგოს თავისი ზედამხედველობა
წინასწარ გამოძიებაზე, რომ, გამომძიებლის დამოუკიდებელი
მოქმედების შეუზღუდავად, ოპერატიულად უხელმძღვანელოს
და კონტროლი გაუწიოს გამოძიების მიმდინარეობას, მისცეს
გამომძიებელს საჭირო მითითებანი გამოძიების მსვლელობაში.

გამომძიებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობის განხორციელე-
ბისას პროკურორი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საგამომძიე-
ბლო მუშაობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ
არის იგი დაკავშირებული გამომძიებელთან და რამდენად სასარ-
გებლოა მის მიერ გამომძიებლისათვის გაწეული დახმარება.

მილიციის ორგანოებთან ურთიერთობა

მილიციის ორგანოები გამოკვლევის დამოუკიდებელი ორ-
განოებია, რომელთა საგამომძიებლო მუშაობაზე ზედამხედვე-
ლობას აგრეთვე პროკურორი ახორციელებს. ამიტომ პროკუ-

რორს შესაძლებლობა აქვს გამოკვლევის ყველა ორგანოს საგამომძიებლო მუშაობის კოორდინირება მოახდინოს.

მილიციის ორგანოებთან პროკურორისა და გამომძიებლის ურთიერთობა წესრიგდება დროებითი წესების 8 და 9 მუხლებით. ამ მუხლების შესაბამისად, მილიციის ორგანოებში ისეთი საქმის აღძვრისას, რომელზეც, კანონის თანახმად, აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, მილიციის ორგანოები ვალდებულნი არიან:

1) დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ პროკურორს, და

2) შემდგომი გამოკვლევის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა დამთავრებისთანავე გადაუგზავნონ საქმე პროკურორს გამომძიებელზე გადასაცემად.

ამის შემდეგ მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ ასეთ საქმეებზე ჩაატარონ ცალკეული საგამომძიებლო მოქმედებანი მხოლოდ პროკურორის ან გამომძიებლის დავალებით.

ძალიან ხშირად, ამა თუ იმ საქმის გამოძიების წარმატება დამოკიდებულია გამომძიებლისა და მილიციის ორგანოების თანამოქმედებაზე, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში აუცილებელია საგამომძიებლო და სააგენტურო-სამძებრო მუშაობის ერთი მეორესთან შეხამება.

ამასთან დაკავშირებით თვითეულმა გამომძიებელმა მილიციის ორგანოებთან უნდა დაამყაროს სწორი ურთიერთობა.

გამომძიებელი რაიონში, როგორც ყველაზე უფრო კვალიფიციური საგამომძიებლო მუშაკი, დახმარებას უნდა უწევდეს მილიციის ორგანოებს მათს საგამომძიებლო მუშაობაში. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს საგამომძიებლო მუშაობის ყველა საკითხზე მილიციის ორგანოების ოპერატიულ მომუშავეებთან რეგულარული მეცადინეობის ჩატარებით, აგრეთვე მილიციის ორგანოების ცალკეული ოპერატიული მომუშავისათვის მის წარმოებაში მყოფ ცალკეულ, ყველაზე რთულ საგამომძიებლო საქმეებზე რჩევა-დარიგების მიცემით.

ასეთ პირობებში და, აგრეთვე, პროკურორის მხრივ გამოკვლევის ყველა ორგანოს მუშაობის სწორად კოორდინარებისას, მილიციის ორგანოები ამა თუ იმ საქმის გამოძიების დროს ყოველთვის გაუწევენ გამომძიებელს საჭირო დახმარებას.

გამომძიებლის აცილება

გამომძიებელს შეიძლება აცილება მიეცეს შემდეგ შემთხვევებში [1]:

1) უკეთუ იგი არის მხარე ან ნათესავი რომელიმე მხარისა (ბრალდებულისა ან დაზარალებულის);

2) უკეთუ თვითონ იგი ან მისი ნათესავი დაინტერესებულია საქმის შედეგით;

3) უკეთუ იგი საქმეში მონაწილეობას იღებდა მოწმედ, ექსპერტად, ან დაზარალებულისა თუ სამოქალაქო მოსარჩლის ინტერესების წარმომადგენლად;

4) ისეთ გარემოებათა არსებობისას, რაც ეჭვს იწვევს მის მიუდგომლობაში.

გამომძიებლის წინააღმდეგ განცხადებული აცილება, საგამომძიებლო მოქმედებათა შეუჩერებლად, გამომძიებელმა 24 საათის განმავლობაში უნდა გაგზავნოს პროკურორთან.

პროკურორმა სამი დღის ვადაში უნდა გადასწყვიტოს გამომძიებლის აცილების საკითხი.

გამომძიებლის მოქმედების გასაჩივრება

დროებითი წესების მე-16 მუხლით დადგენილია გამომძიებლის მოქმედების გასაჩივრების წესი.

საჩივრები გამომძიებლის ისეთ მოქმედებაზე, რომლითაც დარღვეული ან შეზღუდულია მხარეთა, მოწმეთა, ექსპერტთა, თარგმანთა, თანამოწმეთა, თავმდებთა და სხვა პირთა უფლებები, შეიტანება პროკურორთან უშუალოდ ან გამომძიებლის მეშვეობით.

საჩივრის შეტანისათვის დაწესებულია 5 დღის ვადა [2], იმ

---

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122 მუხლზე. საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი მუხლი გაუქმებულია 1931 წ. 1 მარტს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, უკანასკნელი კი აღნიშნულ წესს ითვალისწინებს 16 მუხლის მე-3 აბზაცში.

[2] დედანში აღნიშნულია 7-დღიანი ვადა, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215 მუხლის თანახმად.

დღიდან, როდესაც მომჩივრისათვის ცნობილი გახდა გამომძიებლის განსასაჩივრებელი მოქმედება, ამასთანავე საჩივრის შეტანა აღმკვეთი ზომის შერჩევაზე, გამოძიების გაჭიანურებაზე და გამომძიებლის უკანონო მოქმედებაზე არავითარი ვადით არ არის შეზღუდული.

სსრ კავშირის პროკურატურის 1934 წლის 13 აგვისტოს ცირკულარული წერილი წინადადებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას საგამომძიებლო ორგანოების მოქმედების გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის რეალობა.

„მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ გამოძიების ორგანოთა მოქმედების განსაჩივრების შესაძლებლობას და აწესებენ მოკლე ვადებს ამ საჩივრების განსახილველად (რსფსრ, ბსსრ და სომხეთის სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 107, 212—220 მ.მ., უსსრ ს. ს. ს. კოდ. 104, 205, 211 მ.მ., აზერბ. სსრ სსსკ 104, 209 და 217 მ.მ., თურქმენეთის სსრ სსსკ. 97, 190 და 193 მ.მ., უზბეკეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ სსსკ 21 მ. და საქ. სსრ დროებითი წესების 16 მ.). ამ პროცესულმა წესმა, რომელიც, უზრუნველჰყოფს რა კონტროლს და საგამომძიებლო ორგანოთა შეცდომების დროულად გამოსწორებას, ამასთან ერთად უნდა აამაღლოს საგამომძიებლო მუშაობის ხარისხი. მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში ეს წესი ხმარებიდან გამოვიდა და შემოტანილი საჩივრები ან უბრალოდ დაერთვის საქმეს, ანდა რჩება ყოველგვარი გამოძახილის გარეშე — „საზედამხედველო წარმოებაში“.

წინადადებას გაძლევთ უზრუნველჰყოთ კანონში დადგენილი გასაჩივრების წესის რეალობა, რისთვისაც გამოძიების მწარმოებელ პირებს დაევალოთ, რათა ისინი უცხადებდენ საქმეში მონაწილე მხარეებს მათს უფლებას საჩივრის შეტანაზე მითითებით, თუ სახელდობრ ვის უნდა გადაეცეს საჩივარი, რა ვადებში და, დაუყოვნებლივ, შემოვა თუ არა საჩივარი, ასეთი გზავნონ კუთვნილებისამებრ. ამავე დროს დაევალოს პროკურორებს ზუსტად დაიცვან სსსკ დაწესებული ვადები საჩივრის განხილვისას, ხოლო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში გამოი-

ტანონ მოტივირებული დადგენილება და ამის შესახებ აცნობონ მომჩივარს, ხოლო, უკანასკნელის მოთხოვნის მიხედვით, მისცენ მას ამ დადგენილების ასლი".

გამომძიებლის მოქმედების გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესის დაცვა არა მარტო დაშვებული შეცდომების თავის დროზე გამოსწორების გარანტიაა, არამედ ხელს უწყობს, აგრეთვე, გამოძიების ხარისხის ამაღლებას.

გამომძიებელი მის მოქმედებაზე საჩივრის მასთან შეტანის შემთხვევაში, ვალდებულია გასცეს ხელწერილი წერილობითი საჩივრის მიღებაზე, ანდა ოქმით გააფორმოს სიტყვიერი საჩივრის მიღება და საჩივარი თავისი ახსნა-განმარტებით 24 საათის განმავლობაში გადაუგზავნოს პროკურორს.

პროკურორი ვალდებულია საჩივარი მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში განიხილოს და შეადგინოს მოტივირებული დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.

საჩივრის შეტანა მის განხილვამდე არ შეაჩერებს გამომძიებლის გასაჩივრებული მოქმედების სისრულეში მოყვანას.

2. საგამოძიებლო ქვემდებარეობა

საგამოძიებლო ქვემდებარეობის წესების დაცვის მნიშვნელობა

დანაშაულებასთან ბრძოლის წარმატებით ორგანიზება მოითხოვს კანონით გათვალისწინებული საგამომძიებლო ქვემდებარეობის, ე. ი. დანაშაულების განსაზღვრულ სახეობათა საქმეების წარმოების დარგში გამოკვლევის ცალკეული ორგანოების კომპეტენციის უსასტიკეს დაცვას.

საგამომძიებლო ქვემდებარეობის აუცილებლად დაცვა წარმოადგენს არა მარტო გამოკვლევის ყველა ორგანოზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორის მოვალეობას, არამედ, აგრეთვე, თვითეული გამომძიებლის მოვალეობასაც.

საგამომძიებლო ქვემდებარეობის საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო ჯერ კიდევ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე (1934 წ.), რომლის გადაწყვეტილებებშიც სპეციალურად ხაზგასმით იყო აღნიშნული კანონის მოთხოვნის შესაბამისად გამოკვლევის ორგანოე-

ბის (გამომძიებლის, მილიციის ორგანოებისა და სხვათა) კომპეტენციის სასტიკი გამიჯვნის დაწესების აუცილებლობა.

თათბირის ეს გადაწყვეტილება დადასტურებული იყო სსრ კავშირის პროკურატურის 1934 წლის 13 აგვისტოს ცირკულარული წერილით, რომელშიც ნათქვამია:

„გამოკვლევის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს შეადგენს ის, რომ გამომძიებლების გამგებლობიდან ამოღებულია მთელი რიგი ისეთი საქმეები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან სირთულეს და მოითხოვენ გამოკვლევის ორგანოთა სათანადო კვალიფიკაციას.

ამ დეფექტის აცილების მიზნით წინადადებას ვიძლევი, სსრ კავშირის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძველთა მე-8 მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთა ფარგლებში დაწესდეს საგამომძიებლო ორგანოთა კომპეტენციის გამიჯვნა (შეფარდებით რსფსრ, ბსსრ, სომხეთის სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 108 მ., უსსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 106 მ., აზ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 105 მ., უზბ. სსრ და ტაჯ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 10 მ., თურქმ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 99 მ. და საქ. სსრ სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების მე-6 მუხლისა) ისე, რომ გამომძიებლის კომპეტენციას აუცილებლად მიეკუთვნოს ყველა სახელმწიფოებრივი დანაშაული, უმნიშვნელოვანესი საქმეები თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ, 1932 წლის 7 და 22 აგვისტოსა და 1933 წლის 8 დეკემბრის [1] კანონებით გათვალისწინებული საქმეები, აგრეთვე ყველა საქმე. რომელიც ექვემდებარება სამხარეო (საოლქო) სასამართლოს. ასეთი კატეგორიის საქმეთა გამოძიებაში მილიციის ორგანოთა მონაწილეობა მკაცრად უნდა განისაზღვრებოდეს სისხ. სამ. საპრ. კოდ. დაწესებული ფარგლებით (რსფს, ბსსრ და სომხეთის სსრ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. 99 და 106 მმ., უსსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 97 და 103 მმ.,

---

[1] ამჟამად, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 ივლისის ბრძანებულების მიხედვით—„ცუდი ხარისხის და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

აზერ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 96 და 103 მმ., თურქმ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 88 და 96 მმ., უზბ. სსრ და ტაჯ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 12 მ. და საქ. სსრ დროებითი წესების მე-8 მუხლი)".

შემდეგში, 1936—1938 წლებში, სსრ კავშირის პროკურატურამ სსრ კავშირის შინსახკომთან ერთად გამოსცა რამდენიმე ცირკულარი პროკურატურის გამომძიებლებისა და მილიციის ორგანოების კომპეტენციის გამიჯვნის საკითხზე, მაგრამ ყველა ისინი 1938—1939 წლებში გაუქმებულ იქნა, როგორც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შეუსაბამონი.

1938 წლის 30 დეკემბრის № 1918 ბრძანებით სსრ კავშირის პროკურატურამ წინადადება მისცა: „მილიციის ორგანოებსა, გამომძიებლებსა და საუწყებო ინსპექციებს შორის საგამომძიებლო საქმეთა წარმოების მოვალეობათა გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტისას მტკიცედ იხელმძღვანელონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპ. კოდექსების შესაბამისი მუხლებით".

გამომძიებლებსა და მილიციის ორგანოებს შორის საგამომძიებლო ქვემდებარეობის გამიჯვნის საკითხში სრული გარკვეულობის შეტანის მიზნით, სსრ კავშირის პროკურორმა 1939 წლის 20 მარტს გამოსცა ბრძანება № 56 — 3, რომლითაც წინადადებას იძლეოდა:

„სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ საგამომძიებლო ქვემდებარეობის განსაზღვრისას სავალდებულოა ხელმძღვანელობა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108 მუხლით" [1].

თვითეულმა გამომძიებელმა მტკიცედ უნდა შეითვისოს, რომ მისი მუშაობის ხარისხი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველჰყო მან საკუთარი ძალით, რაიონში (უბანში) აღძრული მისი კომპეტენციის ყველა სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევა.

---

[1] შეესაბამება საქ. სსრ სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების მე-6 მუხლს.

უკეთუ გამომძიებელი (ხშირად რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდით გატაცებული) იკვლევს მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვან, უმარტივეს საქმეებს, ხოლო ყველა რთული და მნიშვნელოვანი საქმე თავმოყრილია მილიციის ორგანოებში, ასეთი გამომძიებლის მუშაობა, მიუხედავად სხვა ყველა დადებითი მაჩვენებლისა, სრულიად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

თვითეულმა გამომძიებელმა ისე უნდა დააყენოს თავისი მუშაობა რაიონში (უბანში), იმგვარი ურთიერთობა დაამყაროს პროკურორთან და მილიციის ორგანოებთან, რომ ყოველთვის დაუყოვნებლივ იღებდეს შეტყობინებას ყველა იმ მომხდარი დანაშაულის შესახებ, რომლის გამოძიებაც მიკუთვნებულია მის კომპეტენციაზე, და თავის დროზე მიიღოს ასეთი საქმეები თავის წარმოებაში.

გამომძიებლის კომპეტენცია

იმ საქმეთა რიცხვს, რომლებზეც, დროებითი წესების მე-6 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სავალდებულოა გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების ჩატარება, მიეკუთვნება საქმეები: ა) კონტრრევოლუციურ დანაშაულთა და მმართველობის წესის საწინააღმდეგო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შესახებ (იმ საქმეთა გამოკლებით, რომელთა გამოძიება 1934 წლის 10 ივლისის კანონის თანახმად მიკუთვნებულია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებზე); ბ) 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით; გ) აქტივისტების დევნის შესახებ. მათ საზოგადოებრივ თუ საწარმოო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სტახანოვური მოძრაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ; დ) 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულებით; სამხედრო დაკვეთების შესრულების ჩაშლის შესახებ, ყველაზე უფრო რთულ თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულთა შესახებ (მათ რიცხვში — ყველა საქმე სამუშაოს გამცდენთა მფარველების შესახებ); ე) მსხვილი გაფლანგვების შესახებ; მსხვილი სპეკულაციის შესახებ, მომხმარებელთა მოტყუებისა და სამრეწველო და სასურსათო საქონლის განიავების

შესახებ; ვ) უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევისა და მსხვილი ავარიების შესახებ; ზ) განზრახი მკვლელობათა შესახებ (გათვალისწინ. საქ. სსკ 144, 145 და 146 მმ); თ) დანაშაულებრივ აბორტების გაკეთების შესახებ, თვითმკვლელობამდე მიყვანის შესახებ, სხეულის მძიმე დაზიანებათა შესახებ და სქესობრივ დანაშაულთა შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქ. სსკ 149, 150, 151 და 172 მმ.; ი) სოფლის აქტივისტ მუშაკთა, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ბრალდებებზე მათ საწარმოო მოღვაწეობასთან დაკავშირებით (ყველა საქმე); კ) ნაციონალურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში—იმ დანაშაულთა შესახებ, რაც საგვარეულო ყოფაცხოვრების ნაშთს წარმოადგენს[1].

სსრ კავშირის პროკურორის და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1940 წლის 13 ივლისის № 80/129 ბრძანებაში იმ საქმეთა მიმართ, რომლებიც კვალიფიცირდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულებით „ცუდი ხარისხის და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სამრეწველო წარმოებათა მიერ სავალდებულო სტანდარტების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, მითითებულია, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოკვლევა უნდა დაევალოს ყველაზე უფრო კვალიფიციურ გამომძიებლებს.

აუცილებელია, კიდევ, ერთ ისეთი კატეგორიის საქმეებზე მითითება, რომელთა გამოკვლევაც უნდა ჩაატარონ გამომძიებლებმა. სსრ კავშირის პროკურორის და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1940 წლის 11 ივნისის № 67/110 ბრძანებაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეების გამოკვლევისა და სასამართლო განხილვის წესის შესახებ, მითითებულია: „არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულ-

---

[1] აღნიშნული ჩამოთვლა მოცემულია რსფსრ სსსკ 108 მუხლის საფუძველზე. საქ. სსრ-ში გამომძიებლის კომპეტენცია განისაზღვრება დროებითი წესების მე-6 მუხლით. ამ მუხლით დადგენილი საგამომძიებლო ქვემდებარეობა შესასრულებლად სავალდებულოა საქ. სსრ ტერიტორიაზე.

თა შესახებ საქმეებზე წინასწარი გამოძიების წარმოება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში და სხვა მსხვილ ქალაქებში დაეკვალოთ ყველაზე უფრო კვალიფიციურ გამომძიებლებს".

ყველა ჩამოთვლილი საქმე აუცილებლად გამოძიებულ უნდა იქნას გამომძიებლების მიერ. გარდა ამისა, შესაძლებელია გამომძიებელს გადაეცეს ესა თუ ის საქმე, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ მაშინ, თუ, დანაშაულის განსაკუთრებული ხასიათის შედეგად, რაიონის განსაკუთრებული პირობების გამო და მთელი რიგი სხვა მოსაზრებებით, ამ საქმეს შეიძლება ჰქონდეს სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა, ან თუ ის განსაკუთრებით რთულია. ამაზე პირდაპირ მიუთითებს დროებითი წესების მე-6 მუხლი.

სსრ კავშირის პროკურორის 1945 წლის 16 თებერვლის № 42 ბრძანებით, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პროკურორებს კატეგორიული წინადადება მიეცათ უზრუნველჰყონ საგამომძიებლო ქვემდებარეობის შესახებ კანონის მოთხოვნის განუხრელი დაცვა, თავის დროზე ჩამოართვან მილიციის ორგანოებს და გადასცენ გამომძიებლებს ამ უკანასკნელთა კომპეტენციაზე მიკუთვნებული საქმეები. ამავე ბრძანებით წინადადებაა მიცემული, რომ გამომძიებელთა კომპეტენციაზე მიკუთვნებულ საქმეთა მილიციის ორგანოების მიერ გამოკვლევის შემთხვევებში, მტკიცედ იქნას დაცული სისხლის სამ. საპრ. კოდექსის 109 მუხლის[1] მოთხოვნა. ამ მოთხოვნის შესრულება, რა თქმა უნდა, სავალდებულოა ყველა გამომძიებლისათვის.

მილიციის ორგანოებისათვის გამოძიებლების ქვემდებარე საქმეთა გადაცემის შესაძლებლობის შემთხვევები

დროებითი წესების მე-6 მუხლი ითვალისწინებს პროკურორის უფლებას—გამოკვლევის სხვა ორგანოებს გადასცეს გამოსაძიებლად გამომძიებლების კომპეტენციაზე მიკუთვნებული საქმეები. ზოგიერთი პროკურორი ამ უფლებას ხშირად ბორო-

[1] შეესაბამება დროებითი წესების მე-10 მუხლს.

ტად იყენებს და მილიციას გადასცემს ხოლმე ისეთი საქმეების მთელ კატეგორიებს, რომლებიც გამომძიებლებმა უნდა გამოიძიონ პროკურორის უშუალო ხელმძღვანელობით.

ანიშნებდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას საგამომძიებლო ქვემდებარეობის დაცვის საკითხს, სსრ კავშირის პროკურატურამ 1937 წლის 2 აპრილის № 18—26 ცირკულარით ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პროკურორს დააავალა უშუალო კონტროლი დააწესონ რაიონული პროკურორების მიერ საგამომძიებლო ქვემდებარეობის შესახებ კანონებით და მოქმედი ცირკულარებით დადგენილი წესების შესრულებაზე.

ამ ცირკულარში ნათქვამია:

„ზოგიერთი პროკურორი ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევს საგამომძიებლო ქვემდებარეობის კანონით დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობას.

ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია, მით უფრო იმიტომ, რომ სახალხო გამომძიებლების მონაწილეობა მათ ქვემდებარე საქმეთა გამოძიებაში ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოა და ასეთ საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოძიებას მილიციის ორგანოები აწარმოებენ.

ყველა სამხარეო (საოლქო) პროკურორს, ავტონომიური და საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს წინადადებას ვაძლევ უშუალო კონტროლი დააწესონ რაიონულ პროკურორების მიერ საგამომძიებლო ქვემდებარეობის კანონით დადგენილი წესების შესრულებაზე.

გამომძიებლის ქვემდებარე საქმეების მილიციის ორგანოებზე გადაცემას შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (გამომძიებლის ადგილზე არ ყოფნა, სასწრაფო და რთულ სამძებრო მოქმედებათა აუცილებლობა და ა. შ.).

სამხარეო (საოლქო) პროკურატურაში ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშების წარდგენისას, რაიონულმა პროკურორებმა ამომწურავი ახსნა-განმარტება უნდა წარადგინონ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამომძიებლის ქვემდებარე საქმის მილიციის ორგანოებზე გადაცემის მიზეზების შესახებ“.

ამ მითითებათა აუცილებლად შესრულების შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კანონით გამომძიებელთა კომპეტენციაზე მიკუთვნებული ყველა საქმის გამოძიება სწარმოებდეს გამომძიებლების მიერ.

მხოლოდ და მხოლოდ საგამომძიებლო ქვემდებარეობის წესების მტკიცედ დაცვით შესძლებს გამომძიებელი დაიკავოს შესაფერისი ადგილი დანაშაულებასთან ორგანიზებულ ბრძოლაში.

ტერიტორიული საგამოძიებლო ქვემდებარეობა

დროებითი წესების მე-3 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ყველა საქმის გამოძიება უნდა სწარმოებდეს იმ რაიონში, სადაც ჩადენილია დანაშაული.

ამრიგად, თვითეული გამომძიებლის მოვალეობას შეადგენს წინასწარი გამოძიების წარმოება მის რაიონში (უბანში) ჩადენილი დანაშაულის შესახებ ყველა იმ საქმეზე, რომელთა გამოძიებაც კანონით მიკუთვნებულია გამომძიებლის კომპეტენციაზე.

ამასთანავე, მთელ რიგ შემთხვევებში, გამოკვლევის უფრო მეტი სისწრაფის, სისრულისა და მოხერხებულების მიზნით, საქმის აღძვრის ადგილზე მეთვალყურე პროკურორის ნებართვით გამოძიება შეიძლება სწარმოებდეს დანაშაულის აღმოჩენის ადგილას, აგრეთვე დაზარალებულ ან დანაშაულის ჩამდენ პირთა საცხოვრებელ ადგილას.

უკეთუ საქმეზე გამოძიების მსვლელობაში დაზუსტდება, რომ დანაშაული ჩადენილია სხვა რაიონში (უბანში), გამომძიებელმა უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ სად უფრო მიზანშეწონილი იქნება გამოძიების წარმოება, და თავისი აზრი მოახსენოს მეთვალყურე პროკურორს, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს ტერიტორიული საგამომძიებლო ქვემდებარეობის საერთო წესიდან გამონაკლისის დაშვების უფლება.

3. საქმეების გაერთიანება და გამოყოფა

ზოგადი დებულებანი

საერთო წესის მიხედვით, თვითეულ ცალკე დანაშაულზე უნდა ჩატარდეს განკერძოებული, ცალკე გამოძიება. საგამომძიებლო წარმოებაში ჩართულ და გამოძიებით გამოკვლეულ უნდა იქნას მხოლოდ მოცემული დანაშაულის მასალები.

ერთ საგამომძიებლო წარმოებაში სხვადასხვა საქმის გაერთიანება შეიძლება მხოლოდ როგორც გამონაკლისი.

დროებითი წესების მე-5 მუხლის შესაბამისად, ერთ საგამომძიებლო წარმოებად შეიძლება გაერთიანებულ იქნას მხოლოდ საქმეები:

1) რამდენიმე პირის ბრალდებაზე ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობისა, ან

2) ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ რამდენიმე ერთგვარ ან განზრახვის ერთობლიობით ერთიმეორესთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევებში.

კანონი, ასეთი მოთხოვნით, განსაზღვრავს თვითეული საგამომძიებლო საქმის შინაარსს და უზრუნველჰყოფს მის უფრო ზედმიწევნით სრულსა და ყოველმხრივ გამოძიებას.

ამის შესაბამისად, უკეთუ ამა თუ იმ საქმის გამოძიებისას გამოვლინდება ისეთი დანაშაული, რაც დაკავშირებული არ იქნება გამოსაკვლევ დანაშაულთან, გამომძიებელმა ცალკე საგამომძიებლო წარმოებად უნდა გამოჰყოს მასალა ახლად გამოვლინებული დანაშაულის შესახებ.

საქმის გამოყოფის გაფორმება

ცალკე საგამომძიებლო წარმოებად მასალების გამოყოფა უნდა გაფორმდეს შემდეგი ფორმის დადგენილებით:

დადგენილება

194 წ. „. . .“ ქ. ოლქის (რესპუბლიკის) . რაიონის სახ. გამომძიებელმა

(საკლასო ხარისხი) (გვარი) .

. . . . . .

განვიხილე მასალა, შეკრებილი საქმეზე № . შესახებ (საქმის დასახელება). ამ საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას გამოვლინებულია . . (ახლად გამოვლინებული მეორე დანაშაულის შინაარსის გადმოცემა) ნიშნები, რასაც არსებითი კავშირი არა აქვს გამოსაკვლევ საქმესთან ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების მე-5 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მთელი მასალა ახალ საქმეზე . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) სსკ . მუხ. ნიშნებით გამოვყო ცალკე წარმოებად.

ს ა ხ ა ლ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი: . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

იმ შემთხვევებში, როცა გამოყოფილი საქმე გამომძიებელმა თავის წარმოებაში უნდა მიიღოს, დადგენილება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ შეიძლება გაერთიანებულ იქნას დადგენილებასთან საქმის გამოყოფის შესახებ. ამასთან, დადგენილების აღწერილობით ნაწილში დამატებულ უნდა იქნას გამომძიებლის მოტივირება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ და დროებითი წესების მე-9 მუხლზე მითითება, ხოლო დადგენილების რეზოლუტურ ნაწილში აღინიშნება გამოყოფილი საქმის გამომძიებლის წარმოებაში მიღება და დადგენილების ასლის რაიონული პროკურორისათვის გაგზავნა.

საქმეთა გაერთიანების გაფორმება

უკეთუ გამომძიებელი გამოარკვევს, რომ გამოკვლევის სხვა ორგანოების წარმოებაში იმყოფება საქმე, რომელიც, დროებითი წესების მე-5 ძუხლის თანახმად, გაერთიანებულ უნდა იქნას მის წარმოებაში არსებულ საქმესთან, გამომძიებელმა უნდა გამოითხოვოს ასეთი საქმე და ორივე საქმე გააერთიანოს. საქმეთა გაერთიანება გაფორმდება შემდეგი ფორმის დადგენილებით:

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა:

194 წ. ქ. . . . (ოლქის, რესპუბლიკის) . რაიონის სახ. გამომძიებელმა
. . . . . (საკლასო ხარისხი) . . . . . (გვარი) განვიხილე რა
შეკრებილი მასალა საქმეზე № . . . . შესახებ
(საქმის დასახელება) და აგრეთვე . . . . . დან მიღებულ
საქმეზე № . . . . . შესახებ (მეორე საქმის დასახელება), და მივიღე რა მხედველობაში, რომ . . . . .
. . . . . .

(საქმეების გაერთიანების აუცილებლობის მოტივირება), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების მე-5 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

საგამომძიებლო საქმე . . . . . (მეორე საქმის დასახელება) გაერთიანებულ იქნას ერთ წარმოებად საქმესთან № . . . . . შესახებ (გამომძიებლის წარმოებაში არსებული ძირითადი საქმის დასახელება).

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი).

4. ცალკეული მოთხოვნები

ძირითადი დებულებანი

გამომძიებელმა პირადად უნდა შეკრიბოს საქმეზე ყველა აუცილებელი დამამტკიცებელი საბუთი, თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს სხვა რაიონში ან ოლქში გამგზავრების საჭიროებასთან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წესი დაცულ უნდა იქნას დამამტკიცებელი საბუთების შესაკრებად ყველა მნიშვნელოვანი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებისას. ამ წესის დაცვა უზრუნველჰყოფს უფრო სრულფასოვანი დამამტკიცებელი საბუთების შეკრებას, რადგან გამომძიებელი კარგად იცნობს გამოსაკვლევი საქმის ყოველ დეტალს.

დროებითი წესების მე-4 მუხლი გამომძიებელს უფლებას ანიჭებს, საჭირო შემთხვევაში, ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულება სხვა რაიონში დაავალოს ამ რაიონის შესაბამის საგამომძიებლო ორგანოს.

როგორც წესი, ცალკეული მოთხოვნის წესით ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების შესრულება გამომძიებელმა უნდა მიანდოს გამომძიებელსავე.

ცალკეული მოთხოვნის წესით შეიძლება დავალებულ იქნას ყოველგვარი საგამომძიებლო მოქმედების შესრულება. ვიდრე ცალკეულ მოთხოვნას გაგზავნიდეს, გამომძიებელმა გულდასმით უნდა მოიფიქროს იგი და არ დაუშვას ცალკეული მოთხოვნის გაგზავნა, თუ ეს გამოწვეული არაა განსაკუთრებული აუცილებლობით.

ცალკეული მოთხოვნის გაფორმება

ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების შესრულების შესახებ ცალკეული მოთხოვნა უნდა გაფორმდეს წერილით, რომელშიც მოყვანილ უნდა იქნას ყველა აუცილებელი მონაცემი, რაც შესაძლებელს გახდის ამ საგამომძიებლო მოქმედების მოფიქრებულად და, მაშასადამე, უკეთესი შედეგებით ჩატარებას.

ყოველ შემთხვევაში ცალკეულ მოთხოვნაში, უკეთუ მას არ ერთვის მთელი საქმე, მოკლედ აღწერილი უნდა იყოს საქმის არსი, აგრეთვე დავალებული საგამომძიებლო მოქმედების მიზანი და ფარგლები და უმჯობესი საშუალებები მის შესასრულებლად.

კერძოდ, ცალკეული მოთხოვნის სახით მოწმის დაკითხვის დავალებისას, გამომძიებელმა არა მარტო უნდა მიუთითოს, თუ რა გარემოებანი უნდა იქნას გაშუქებული ამ მოწმის ჩვენებით, არამედ უნდა ჩამოაყალიბოს კიდეც უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც დასმულ უნდა იქნას მოწმის წინაშე, უკეთუ იგი თავის ჩვენებაში ამ საკითხებს არ შეეხება.

ცალკეული მოთხოვნა შედგენილ უნდა იქნას გასაგებად და კონკრეტულად.

შესრულების ვადები

ცალკეულ მოთხოვნათა თავის დროზე და გულდასმით შესრულება თვითეული გამომძიებლის მოვალეობაა.

ზოგიერთი გამომძიებელი ხშირად აყოვნებს სხვა გამომძიებლების ცალკეულ მოთხოვნათა შესრულებას და მათ ფორმალურად ასრულებს. ზოგიერთი პროკურორი, მის მიერ მიღებულ გამომძიებელთა ცალკეულ მოთხოვნებს არასწორად გადასცემს ხოლმე შესასრულებლად მილიციის ორგანოებს. ყოველივე ეს იწვევს იმ საქმეთა გამოძიების დაუშვებელ გაჭიანურებას, რომლებზეც აუცილებელი შეიქნა ცალკეული მოთხოვნის გაგზავნა.

დამახასიათებელია, რომ ყოველი გამომძიებელი, გაგზავნის რა ცალკეულ მოთხოვნას, ვადაზე მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში იწყებს აღშფოთებას და ჩვეულებრივად ჩივის ზემდგომ პროკურატურაში, სსრ კავშირის პროკურატურაშიც კი. ამავე

დროს ბევრი გამომძიებელი თვითონაც ასეთსავე დაუშვებელ დამოკიდებულებას იჩენს სხვა გამომძიებლისაგან მიღებული ცალკეული მოთხოვნის შესრულებისადმი.

სსრ კავშირის პროკურორის 1937 წლის 4 აპრილის № 226 ბრძანებით მითითებული იყო:

„ბევრი გამომძიებელი და პროკურორი ცალკეული მოთხოვნების შესრულებას ეპყრობა როგორც მათთვის თავზე მოხვეულ უცხო და უმადურ სამუშაოს. ისინი არ გრძობენ იმ უდიდეს ვნებას, რომელიც მოჰყვება სხვა პროკურორებისა და გამომძიებლების ცალკეული მოთხოვნების არაკეთილხარისხოვნად შესრულებას.

ამ დაუშვებელ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს.

ვბრძანებ:

პროკურორებმა უზრუნველჰყონ ცალკეული მოთხოვნების თავის დროზე და კეთილხარისხოვნად შესრულება. თუ ეს მოთხოვნები სასწრაფოა, ისინი შესრულებულ იქნას პირველ რიგში“.

სსრ კავშირის პროკურორის 1938 წლის 5 აპრილის № 348 ბრძანებაში ნათქვამია:

„სსრ კავშირის პროკურატურაში შემოდის ცნობები ცალკეულ მოთხოვნათა შესრულებისადმი გაჭომძიებელთა დაუშვებელი დამოკიდებულების შესახებ. ცალკეულ მოთხოვნათა შესრულების გაჭიანურების ფაქტებს უმთავრესად ადგილი აქვს საოლქო და რესპუბლიკური ცენტრების გამომძიებელთა მხრივ.

ამავე დროს აღნიშნულია დაპატიმრებათა და პატიმართა ეტაპების შესახებ ცალკე მოთხოვნათა უსაფუძვლოდ გაგზავნის შემთხვევები.

ვბრძანებ:

1. ცალკეული მოთხოვნები მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვის შესახებ, როგორც წესი, შესრულდეს 5 დღის ვადაში.

2. ცალკეული მოთხოვნები დაპატიმრებათა და პატიმართა ეტაპირების შესახებ, შესასრულებლად იგზავნებოდეს ოლქის (მხარის), ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი სანქციით.

3. დაეკისროთ საგამომძიებლო განყოფილებებს საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური ცენტრების გამომძიებელთა მიერ მიღებულ ცალკეულ დავალებათა შესრულების კონტროლი“.

შესრულების კონტროლი

შემდეგში სსრ კავშირის პროკურატურამ მოახდინა ამ ბრძანების შესრულების შემოწმება. გამოვლინდა, რომ მთელ რიგ ადგილებში, მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ცალკეულ მოთხოვნათა შესრულების დაუშვებელ გაჭიანურებას.

ამასთან დაკავშირებით 1939 წლის 23 თებერვალს სსრ კავშირის პროკურორმა გამოსცა ბრძანება № 44—5, რომლითაც ცალკეულ დავალებათა არათავისდროზე და არაკეთილხარისხოვნად შესრულებაში დამნაშავე პირთა მიმართ გაკეთდა სათანადო დასკვნები, ამასთან წინადადება მიეცა განუხრელად ყოფილიყო შესრულებული სსრ კავშირის პოკურორის ზემოთ მოყვანილი, 1938 წლის 5 აპრილის № 348 ბრძანება; საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებებს დაეკისრათ კონტროლი ცალკეულ დავალებათა შესრულებაზე არა მარტო საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ცენტრების გამომძიებელთა მიერ, არამედ რაიონების (ქალაქების) პროკურორრებისა და გამომძიებლების მიერაც.

ამ კონტროლის განსახორციელებლად, ცალკეული მოთხოვნის გამგზავნმა გამომძიებელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს იმ საოლქო (სამხარეო) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებას, რომლის ტერიტორიაზეც შესრულებულ უნდა იქნას ცალკეული მოთხოვნა. ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე შესაბამისი საგამომძიებლო განყოფილება ვალდებულია თვალყური ადევნოს ცალკეული მოთხოვნის თავის დროზე შესრულებას.

ცალკეულ მოთხოვნათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკეულ მოთხოვნას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც გამომძიებელის წარმოებაში არსებულ ყოველ სხვა საქმეს. სხვა გამომძიებლებისა და პროკურორების ცალკეულ მოთხოვნათა შესრულება გამომძიებლების პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა და არა მისი თავაზიანობა.

ცალკეულ მოთხოვნათა აღრიცხვა

მიღებულ ცალკეულ მოთხოვნათა და მათი შესრულების აღსარიცხავად ყოველ რაიონულ პროკურატურაში შემოღებული

უნდა იყოს განსაკუთრებული რეეული. ამ რეეულში უნდა ჩაიწეროს მიღებული ცალკეული მოთხოვნები, მათი მიღების თარიღის აღნიშვნით, ვისგან და საიდან იყო მიღებული, რა საგამომძიებლო მოქმედება იყო ჩასატარებელი, როდის შესრულდა მოთხოვნა და გაიგზავნა იგი დანიშნულებისამებრ.

5. გამოძიებლის მუშაობის ორგანიზაციის მეთოდები

ზოგადი დებულებანი

გამომძიებლის მუშაობის წარმატების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ამ მუშაობის სწორი ორგანიზაცია. გამომძიებლის მუშაობის სწორმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველჰყოს სამუშაო დღის შემჭიდროება, გამომძიებლის წარმოებაში არსებულ ამა თუ იმ საქმეზე მუშაობის სწორი და რიგითი განაწილება. მხოლოდ მუშაობის სწორი ორგანიზაციით შეიძლება მიღწეულ იქნას გამოკვლევისათვის დაწესებული ვადების დაცვა, გამომძიებლის მუშაობის მიზანსწრაფვა, მისი განთავისუფლება მისთვის შეუსაბამო ტექნიკურ სამუშაოსაგან.

მუშაობის არაორგანიზებულება ჩვეულებრივ იწვევს უგეგმობას, დიდ შუალედებს ცალკეულ საქმეებზე საგამომძიებლო მოქმედებათა შორის, საგამომძიებლო საქმეების გაჭიანურებას და ჩაწოლას, გამომძიებლის ზომაზე მეტად გადატვირთვას და ფაცი-ფუცს თვის ბოლოს, მის ფაქტიურ უსაქმურობას თვის პირველ ნახევარში. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს გამოძიების ხარისხზე და დანაშაულებასთან ბრძოლის წარმატებაზე.

ტექნიკური მომსახურება

მთელ ტექნიკურ სამუშაოს გამომძიებლის დავალებით უნდა ასრულებდეს პროკურატურის მდივანი. პროკურატურის აპარატმა უნდა უზრუნველჰყოს გამომძიებელი შემდეგი მომსახურებით;

ა) მოქალაქეთა დაკითხვებზე გამოწვევის წარმოება (უწყებების გამოწერა, გაგზავნა და დატარება, ან ტელეფონოგრამების გადაცემა);

ბ) საბუთების საჭირო ასლების გადაღება;

გ) საგამომძიებლო საქმეების ჩაკერება;

დ) საქმეში არსებული საბუთების აღწერილობის შედგენა;

ე) საწერ მანქანაზე საგამომძიებლო აქტების დაბეჭდვა.

თავისთავად ცხადია, რომ მდივნისათვის ჩასაკერებლად საქმის გადაცემისას, გამომძიებელმა წინასწარ პირადად უნდა დაალაგოს საჭირო რიგის მიხედვით საგამომძიებლო საბუთები და დანომროს საქმის ფურცლები.

პროკურორის მდივანი, მემანქანე და შიკრიკი ვალდებულნი არიან საკუთარი მოემსახურონ გამომძიებელს, შეასრულონ მისი დავალებით მთელი ტექნიკური სამუშაო.

ტექნიკურ სამუშაოსაგან გამომძიებლის განთავისუფლება უზრუნველჰყოფს საგამომძიებლო მუშაობის მეტ პროდუქტულობას და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას.

მუშაობის აღრიცხვა

გამომძიებლის მუშაობის უკეთ ორგანიზაციისა და მისთვის თვითკონტროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შემოღებული უნდა იყოს მუშაობის აღრიცხვისა და კონტროლის ისეთი ფორმები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან მინიმალური დროის დახარჯვით მივიღოთ ამომწურავი მონაცემები საქმეთა მოძრაობისა და გამომძიებლის წარმოებაში არსებულ თვითეულ საქმეზე გამოკვლევის მსვლელობის შესახებ და ნათელჰყოფენ, თუ რამდენად ნაყოფიერად მიმდინარეობს გამომძიებლის მუშაობა.

რადგან, ჩვეულებრივად, გამომძიებელის წარმოებაში ერთდროულად რამდენიმე საქმეა, გამომძიებელმა უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ არც ერთი მათგანი უმოძრაოდ არ იყოს.

გამომძიებელმა მის წარმოებაში არსებული ყველა საქმის გამოძიების განუწყვეტლობის უზრუნველყოფასთან ერთად, ცალკე უნდა გამოჰყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები და მათი გამოძიება განსაკუთრებული ინტენსივობით ჩაატაროს პირველ რიგში.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება:

ა) საქმეები, რომლებზეც დაწესებულია წინასწარი გამოძიების შემოკლებული ვადები;

ბ) საქმეები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში.

' გამომძიებელი კარგად უნდა იცნობდეს მის წარმოებაში არსებულ ყველა საქმეს. მხოლოდ ამ პირობით შესძლებს იგი ყოველთვის სწორად განსაზღვროს ამა თუ იმ საქმის გამოძიების რიგისობა.

ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად, გამომძიებელმა უნდა აწარმოოს მთელი თავისი მუშაობის თვალსაჩინო აღრიცხვა.

ასეთი თვალსაჩინო აღრიცხვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს გამომძიებლის მუშაობის ყოველთვიური სააღრიცხვო ფურცლის წარმოება, აღრიცხვის ამ ფორმამ საკმაო გამართლება ჰპოვა პრაქტიკაში.

შეიძლება გამომძიებლებს რჩევა მიეცეთ აწარმოონ მუშაობის ყოველთვიური სააღრიცხვო ფურცლები შემდეგი ფორმით:

სააღრიცხვო ფურცელი

. ოლქის (რესპუბლიკის) . . რაიონის

გამომძიებლის მუშაობისა.

194 წ **თვისათვის.**

1	2	3	4	5	6	7	8
№№ რიგზე	საქმის №	საქმის აღძვრის თარიღი	საქმის წარმოებაში მიღების ან ცალკეული მოთხოვნის მიღების თარიღი	საქმის დასახელება	კვალიფიკაცია	აღნიშვნები საქმის მოძრაობის შესახებ	რით და როდის დამთავრდა

ყოველ თვის 1-ლ რიცხვში გამომძიებელმა ამ ფურცელში უნდა შეიტანოს მის წარმოებაში დარჩენილი ყველა საქმე, შეავსოს 1—6 სვეტები.

ახალი საქმეები და ცალკეული მოთხოვნები ფურცელში შეტანილ უნდა იქნას მათი მიღების რიგის მიხედვით. ყოველდღიურად, სამუშაო დღის ბოლოს, მე-7 სვეტში, იმ საქმეების

გასწვრივ, რომლებზეც ამ დღეს ჩატარებული იყო საგამომძიებ-ლო მოქმედებანი ან სხვაგვარი სამუშაო, მაგალითად, მასა-ლების შესწავლა, გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს ამ დღის თა-რიღი. მე-8 სვეტში შესაბამისი აღნიშვნები უნდა გაკეთდეს საქმის გამოკვლევის დამთავრებისას.

ამ სააღრიცხვო ფურცლის დახმარებით გამომძიებელი შეს-ძლებს ყოველდღიურად დაინახოს, თუ რა საქმეები იმყოფება მის წარმოებაში და როგორია გამოკვლევის მსვლელობა თვი-თეულ საქმეზე, რამდენად ხშირად ტარდება ესა თუ ის საგამომ-ძიებლო მოქმედება თვითეულ საქმეზე, რა შუალედებია საგამომ-ძიებლო მოქმედებათა შორის.

ასეთი ფორმის სააღრიცხვო ფურცელი, რა თქმა უნდა, არ ასახავს გამომძიებელის მთელი მუშაობის არსს, მაგრამ ის დიდ დახმარებას გაუწევს გამომძიებელს თავისი მუშაობის სწორად ორგანიზაციის, უკეთესად დაგეგმვისა და ცალკეულ საქმეზე მუშაობის რიგისობის უფრო სწორად დაწესების დარგში.

ასეთი სააღრიცხო ფურცლის არსებობისას (რომლის რე-გულარულად შევსება დღეში 3—5 წამს მოითხოვს) აღმოფხვრილ იქნება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ან ორი საქმის გამოძი-ებით გართული გამომძიებელი სრულიად ივიწყებს დანარჩენ საქმეებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უძრა-ვად აწყვია.

მუშაობის კალენდარული გეგმა

მუშაობის სწორი ორგანიზაციის თვალსაზრისით, არა ნაკ-ლები მნიშვნელობა აქვს გამომძიებლის მიერ მუშაობის კალენ-დარული გეგმის სავალდებულო შედგენას.

ძალიან ბევრი, განსაკუთრებით ახალგაზრდა გამომძიებლის მუშაობის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ისინი, უკეთეს შემთხვევებში, თავის მუშაობას გეგმავენ მხოლოდ ხვალინდელი დღისთვის, სრულიად არა აქვთ წარმოდგენილი, თუ სახელდობრ რას გააკეთებენ, რომელ საქმეზე რა საგამომ-ძიებლო მოქმედებას ჩაატარებენ შემდეგ დღეებში. ზოგიერთი გამომძიებელი სამუშაო დღის დასაწყისისას სახავს თავისი მოქ-მედების გეგმას მხოლოდ მიმდინარე დღისთვის. რასაკვირველია,

მუშაობის ასეთი „ორგანიზაცია“ ჩვეულებრივად იწვევს მხოლოდ დასახულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩაშლას და მთელი მუშაობის დეზორგანიზაციას. და მართლაც, უკეთუ შესასრულებლად დასახული საგამომძიებლო მოქმედება წინასწარ სათანადოდ მომზადებული არ არის, იგი ან ჩაიშლება, ანდა ჩატარდება ნაუცბათევად და არაკეთილხარისხოვნად. როცა ერთი დღისათვის სახავს მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვას, იბარებს მათ და სათანადოდ მოემზადება ამ დაკითხვების ჩასატარებლად, გამომძიებელი მოქმედებს ალალ-ბედზე, რადგან დაბარებული მოწმეები შესაძლებელია არ გამოცხადდენ. ასეთ შემთხვევაში გამომძიებლის მუშაობამ დაკითხვისათვის მოსამზადებლად უქმად უნდა ჩაიაროს, იმის გამო, რომ ამავე მოწმეების რამდენიმე დღის შემდეგ ხელმეორედ დაბარებისას გამომძიებელი იძულებული გახდება ხელახლად დახარჯოს დრო დაკითხვისათვის მოსამზადებლად.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, შედგენილ უნდა იქნას მუშაობის კალენდარული გეგმა.

კალენდარული გეგმა უნდა დგებოდეს ამა თუ იმ საქმეზე საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების აუცილებელი რიგისობის გათვალისწინებით. მუშაობის კალენდარული გეგმის შედგენისას გამომძიებელი უნდა სარგებლობდეს სააღრიცხვო ფურცლის ჩანაწერებით, ცდილობდეს, რომ განსაკუთრებული ინტენსივობით სწარმოებდეს გამოკვლევა ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებზე, მაგრამ იმავე დროს ხანგრძლივად უძრავად არ რჩებოდეს დანარჩენი საქმეებიც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კალენდარულ გეგმაში გამომძიებელმა უნდა შეიტანოს ყოველ ცალკე საგამომძიებლო საქმეზე უკვე ადრევე დასახული აუცილებელი საგამომძიებლო მოქმედებანი.

კალენდარული გეგმა უნდა დგებოდეს ყოველდღიურად. ამასთან, მასში შეტანილ უნდა იქნას ჩასატარებელი საგამომძიებლო მოქმედებანი გამომძიებლის წარმოებაში არსებულ ყველა საქმეზე.

კალენდარული გეგმა შედგენილ უნდა იქნას წინასწარ დაახლოებით ერთი კვირისათვის და იმგვარად, რომ მომდევნო

დღე შევსებული იყოს 100%-ით, მეორე დღე—80%-ით, მესამე და მეოთხე 60%-ით, მეხუთე და მეექვსე—20—40%-ით.

უკეთესია კალენდარული გეგმის შედგენა სამუშაო დღის ბოლოს. ასეთ პირობებში გამომძიებელი ხედავს, თუ რა დარჩა მას შესასრულებელი განვლილ დღეს და შეუძლია ეს საგამოძიებლო მოქმედებანი ერთ-ერთ შემდეგ დღეზე გადაიტანოს. ამავე დროს გამომძიებელს შეუძლია ზოგჯერ გამოავლინოს, რომ, ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შედეგად, საჭირო აღარ არის ადრე ამ საქმეზე დასახულ და კალენდარულ გეგმაში უკვე შეტანილ მოქმედებათა შესრულება. ასეთს, არასაჭიროდ გამხდარ საგამომძიებლო მოქმედებებს გამომძიებელი კალენდარული გეგმიდან ამოშლის.

და, ბოლოს, ერთდროულად, გამომძიებელმა კალენდარული გეგმა შემდეგი დღეებისთვის უნდა შეავსოს ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედებით, რომლის აუცილებლობაც გამოვლინდა სამუშაო დღის განმავლობაში ამა თუ იმ საქმეზე მუშაობის მიმდინარეობისას, ანდა ახლად მიღებულ საგამომძიებლო საქმეებზე შედგენილ გეგმებთან დაკავშირებით.

არსებითად, კალენდარული გეგმა, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს ყველა იმ საგამომძიებლო მოქმედების ჩამოთვლას, რომლებიც დასახულია გამომძიებლის მიერ მის წარმოებაში არსებულ ცალკეულ საქმეებზე შედგენილი გამოძიების გეგმებით.

კალენდარულ გეგმაში საგამომძიებლო მოქმედებათა შეტანასთან ერთად, გამომძიებელმა უნდა უზრუნველჰყოს მათი შესრულება, მაგალითად, გაგზავნოს უწყება ან ტელეფონოგრამა მოწმის გამოსაწვევად და ა. შ.

კარგი იქნება კალენდარულ გეგმაში შეტანილ იქნას აგრეთვე გამომძიებლის მუშაობა თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და დანაშაულის ასაცილებლად.

ყველაზე მოსახერხებელია კალენდარული გეგმის წარმოება პატარა რვეულის სახით, რომლის თვითეული ფურცელი დაეთმობა განსაზღვრულ საქმეს. არა მგონია, საჭირო იყოს კალენდარული გეგმის სპეციალური ფორმის შემუშავება. მნიშვნელოვანია მხოლოდ, რომ მასში მოკლედ იყოს ჩაწერილი შესასრუ-

ლებელი საგამომძიებლო მოქმედებანი, ან და გამომძიებლის სხვაგვარი მუშაობა საქმის ნომერის დასახელებით, აგრეთვე გამომძიებლის მიერ ამა თუ იმ დღეს შესასრულებლად დასახული საგამომძიებლო მოქმედების ან სხვა სამუშაოს შესრულების საათი.

კალენდარული გეგმა უნდა დგებოდეს დაახლოებით შემდეგი სახით:

ხვალინდელი დღისთვის:

12 ივნისი — ოთხშაბათი

9 ს. — მოწმე მეცხვარიშვილის დაკითხვა — ს. 43.

10 ს. — ექსპერტიზის ჩატარება — ს. 43

12 ს. — მოწმე მაისურაძის დაკითხვა — ს. 38.

13 ს. — ნივთმტკიცების დათვალიერება — ს. 38.

14 ს. — ბრალდების წარდგენა და ბრალდ. კალატოზიშვილის დაკითხვა — ს. 38.

16 ს. — ბრალდ. პეტრიაშვილისთვის გამოძიების დამთავრების გამოცხადება — ს. 40.

20 ს. — მოხსენება ქარხანაში.

მეოთხე დღისათვის

15 ივნისი — შაბათი

8 ს. — მეცადინეობა მილიციის მუშაკებთან

---

12 ს. — ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება — ს. 43.

---

20 ს. — მოწმე პატარქალაშვილის დაკითხვა
21 ს. — მოწმე ნიკოლაიშვილის დაკითხვა } ს. 41

მუშაობის გრაფიკი

მუშაობის ორგანიზაციის ზემოთ მოყვანილი ფორმების მაგიერ, ახალგაზრდა, დამწყებ გამომძიებლებს შეიძლება რჩევა მიეცეთ აწარმოონ თავისი მუშაობის გრაფიკი სპეციალური ფორმით.

გამომძიებლის მუშაობის ეს ფორმა სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებით თავის დროზე შემოღებული იყო როგორც

სავალდებულო, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბევრი გამომძიებლისათვის ასეთი გრაფიკის ყოველდღიურად წარმოება ზედმეტი იყო და გარკვეულ სიძნელეებს ჰქმნიდა, შემდეგში ყველა გამომძიებლის მიერ გრაფიკის სავალდებულო წარმოება გაუქმებულ იქნა.

ვითვალისწინებთ რა, რომ დამწყები გამომძიებლების მიერ ასეთი გრაფიკის წარმოებას შეუძლია ხელი შეუწყოს მათი მუშაობის სწორ ორგანიზაციას და იმავე დროს წარმოადგენდეს თვითკონტროლის საუკეთესო საშუალებას, მოგვყავს მისი ფორმა (იხ. გვ. 35)

მოყვანილ გრაფიკის ფორმაში ადგილი თვითეული რიცხვისათვის (მე-6 სვეტში), ცხადია, უნდა გაფართოვდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ჩაიწეროს ამა თუ იმ საქმეზე შესაბამის დღეს შესრულებული საგამომძიებლო მოქმედების დასახელება, ანდა სამუშაო, ჩატარებული ცალკეული მოთხოვნის შესრულების წესით.

მე-6 სვეტის მეტისმეტი სიდიდის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება ჩაკერებული იქნას ორად მოკეცილი გრაფიკი ვიწრო რვეულის სახით, რომლის თვითეულ გვერდზე უნდა დაიხაზოს სამი სვეტი. ამრიგად, გაშლილ გრაფიკში თვალსაჩინო გახდება გამომძიებლის მუშაობა ყველა საქმეზე კვირის ექვსი სამუშაო დღის განმავლობაში.

ასეთი გრაფიკის წარმოება ხასიათდება სიმარტივით, იმავე დროს იგი თვალსაჩინოდ ასახავს გამომძიებლის მთელ მუშაობას და უზრუნველჰყოფს ყოველდღიურ თვითკონტროლს.

ამ გრაფიკის შედგენის წესი შემდეგია.

ყოველი თვის პირველ რიცხვში გამომძიებელმა უნდა დახაზოს გრაფიკი ზემოთ შოყვანილი ფორმით, გააკეთოს ის რვეულის სახით.

გრაფიკის დამზადების შემდეგ გამომძიებელმა მასში უნდა შეიტანოს წარმოებით დაუმთავრებელი ყველა საქმე და ცალკეული მოთხოვნების დასახელება (1—5 სვეტების შევსებით).

ყოველდღიურად, სამუშაო დღის დამთავრებისას, გამომძიებელმა იმ სვეტში, რომელიც შეესაბამება თვის რიცხვს, უნდა შეიტანოს ამ დღეს შესრულებული ყველა საგამომძიებლო

ბრიგადა

(ოლქის, მხარის, რესპუბლიკის) . რაიონის

გამომძიებლის . . მუშაობისა . დან . . მდე 194 წ.

1	2	3	4	5	6																													7	8	9
№№ რიგზე	საქმის №				გამომძიებლის მიერ ჩატარებული მუშაობა																															
					თვის რიცხვი																															
					1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31			

მოქმედება გრაფიკში შეტანილ ყოველი საქმის და, აგრეთვე, ცალკეულ მოთხოვნათა შესატყვისად.

გრაფიკის შევსება გამომძიებელს წაართმევს არა უმეტეს 5—10 წამისა, რადგან ყველა ჩანაწერი შეტანილ უნდა იქნას მოკლედ. ამავე დროს გრაფიკი საშუალებას მოგვცემს ერთბაშად დავინახოთ, თუ რამდენად ნაყოფიერია გამომძიებლის მუშაობა და როგორია ცალკეულ საქმეთა მოძრაობა. ეს კი უეჭველად დახმარებას გაუწევს გამომძიებელს მთელი მუშაობის დაგეგმვაში.

გამომძიებლის მიერ თვითეული დღისათვის განკუთვნილ სვეტებში შეტანილი შენიშვნები დაახლოებით შემდეგი შინაარსის უნდა იყოს: „მოწმე ივანიძის დაკითხვა", „დადგენილების შედგენა პეტრიაშვილის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ", „საბუხჰალტერო ექსპერტიზის ჩატარება", „პეტრიაშვილისთვის ბრალდების წარდგენა", „ბრალდებულ პეტრიაშვილის დაკითხვა"; „ბრალდებულ პეტრიაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევა", „სოფელ ხანდაკში გამგზავრება და მოწმეების—ზამთარეულისა და ამირეზაშვილის დაკითხვა", „სოფელ შინდისში გამგზავრება და მკვლელობის ადგილის დათვალიერება", „პეტრიაშვილისათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადება", „საბრალმდებლო დასკვნის შედგენა" და ა. შ.

თვის დამთავრებისას გრაფიკი შესანახად უნდა ჩაბარდეს კანცელარიას. გასული თვეების გრაფიკები რაიონული პროკურატურის შემოწმებისას შესაძლოა საუკეთესო მასალა გამოდგეს გამომძიებლის მუშაობის შესაფასებლად.

უფრო კვალიფიციურ გამომძიებლებს გრაფიკის მოყვანილი ფორმა შეუძლიათ გამოიყენონ არა საანგარიშო ცნობების შესატანად, არამედ როგორც თვიური ოპერატული კალენდარული გეგმა. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ საქმეზე ყველა საჭირო საგამომძიებლო მოქმედება წინასწარ შეტანილ უნდა იქნას თვის იმ რიცხვის შესაბამის სვეტში, რა რიცხვშიც გამომძიებელს გათვალისწინებული აქვს ამ საგამომძიებლო მოქმედების შესრულება; მოქმედებათა შესრულების შემდეგ გამომძიებელი აკეთებს ჩანიშვნას პირობითი ნიშნით. ამ შემთხვევაში გრაფი-

კი გამოდგება, როგორც გამომძიებლის წარმოებაში არსებული ყველა საქმის ერთგვარი ნაკრები კალენდარული გეგმა. გრაფიკის ფორმა სრულ შესაძლებლობას იძლევა ამა თუ იმ საქმეზე გამოძიების წარმოების მიხედვით გეგმა თანდათან შეივსოს შემდგომი, თვის უფრო გვიანი რიცხვებისთვის გათვალისწინებული საგამომძიებლო მოქმედებით.

გეგმიური გრაფიკის წარმოება წარმოადგენს უკვე უმაღლეს საფეხურს საანგარიშო გრაფიკთან შედარებით.

გამომძიებლის მუშაობის პირობები

გამომძიებლის მუშაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით, მას უნდა შეექმნას მუშაობის ნორმალური პირობები.

ასეთი პირობების შექმნა ძირითადად პროკურორის მოვალეობაა.

გამომძიებელს უხდება სულ სხვადასხვანაირ პირთა დაკითხვა სრულიად სხვადასხვაგვარ საკითხებზე. მას უხდება, როცა ეს აუცილებელია გამოძიების მიმდინარეობისას, შეეხოს ამა თუ იმ დასაკითხავი პირის ცხოვრების ინტიმურ მხარეებს. ყოველივე ეს დაბეჯითებით მოითხოვს, რომ თვითეულ გამომძიებელს ჰქონდეს შესაფერისად მოწყობილი, საკმაოდ იზოლირებული, ცალკე კაბინეტი.

გამომძიებელს, შესაძლებლობისამებრ, თავის კაბინეტში უნდა ჰქონდეს ტელეფონის აპარატი, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გადასაყვანი მილაკი.

გამომძიებელი უზრუნველყოფილ უნდა იქნას მიმოსვლის საშუალებით. იმ რაიონებში, სადაც პროკურატურას ჰყავს ცხენი, პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნას გამომძიებლის გამგზავრება შემთხვევის ადგილზე ან გამოძიების საწარმოებლად. იქ, სადაც პროკურატურაში არის ველოსიპედი, ისიც პირველ რიგში გამომძიებელს უნდა გადაეცეს ოპერატიული სამუშაოსათვის.

უფრო მძიმეა იმ პროკურატურების მდგომარეობა, რომელთაც თავის განკარგულებაში ჯერ კიდევ არა აქვთ მიმოსვლის არავითარი საშუალება. ასეთ რაიონებში პროკურატურებმა წინასწარ, რაიონული ორგანიზაციების დახმარებით,

უნდა უზრუნველჰყონ მიმოსვლის საშუალებებით გამომძიებლის სასწრაფო გამგზავრება როგორც შემთხვევის ადგილას, ისე ადგილებზე გამოძიების წარმოებისთვის.

შემთხვევის ადგილის ან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერების სათანადოდ ჩატარების, თვითეულ საქმეზე სწორი და კულტურული გამოძიების წარმოების უზრუნველსაყოფად, გამომძიებელი მომარაგებული უნდა იყოს სპეციალური ტექნიკური ხელსაწყოებით, აგრეთვე საგამომძიებლო წარმოების ბლანკებით.

6. გამოძიებლის კვალიფიკაციის ამაღლება

გამომძიებელი—სახელმწიფო მუშაკი

მოთხოვნები, რომელთაც ჩვენს საგამომძიებლო აპარატს უყენებენ, დღითიდღე იზრდება. დღევანდელ პირობებში გამომძიებელი უნდა იყოს თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტი, რათა ის წარა სიტყვით, არამედ საქმით იყოს რაიონში გამოძიების დარგში ყველაზე უფრო კვალიფიციური მუშაკი, რათა მას მარქსისტულად სწორად ესმოდეს მოვლენები და საქმეები და თავის მუშაობაში ატარებდეს სწორ პოლიტიკურ ხაზს.

გამომძიებელს სახელმწიფოსგან მინდობილი აქვს სასამართლო-საპროკურორო მუშაობის საპასუხისმგებლო უბანი, სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში მას დაკისრებული აქვს დანაშაულებასთან ბრძოლა.

მხოლოდ იმ პირობით, თუ გამომძიებელი კარგად აღჭურვილი; მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, თავისი საქმის ოსტატი იქნება, იგი შესძლებს დაიკავოს თავისი ადგილი პასუხისმგებელი პოლიტიკური სახელმწიფო მუშაკისა.

იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება

ასეთი მდგომარეობა გამომძიებლისაგან მოითხოვს მისი იდეურ-პოლიტიკური დონის, მისი კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას, განათლებისა და გამოცდილების მიუხედავად თავის თავზე სისტემატურ და შეუპოვარ მუშაობას. ყოველი გა-

მომძიებლის მოვალეობა უნდა იყოს ჩვენი პარტიის ისტორიის, მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დიადი მოძღვრების საფუძვლების ღრმად შესწავლა.

უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს ერთი მეცნიერება, რომლის შესწავლაც სავალდებულოა უკლებლივ ყოველ სპეციალისტისთვის,—ეს არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამ მეცნიერების გულდასმით და სისტემატური შესწავლა, პარტიის ისტორიის შესწავლა გვაიარაღებს ისეთი შეჯამებული ცოდნით, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გაეერკვეთ ყველაზე რთულ ვითარებაში და სწორად წარვმართოთ ჩვენი მუშაობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთათვის.

ამასთან ერთად გამომძიებელი სისტემატურად უნდა ეცნობოდეს პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, სისტემატურად უნდა დადიოდეს რაიონულ პარტკაბინეტში, მუდამ ესწრებოდეს რაიონში მოწყობილ მოხსენებებსა და ლექციებს.

იურიდიული კვალიფიკაციის ამაღლება

საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სადირექტივო ორგანოების არაერთი მითითება დანაშაულთა გამოკვლევის მეთოდების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ. ეს ყოველ გამომძიებელს ავალდებულებს გამუდმებით ზრუნავდეს თავისი იურიდიული მომზადების ამაღლებისათვის, თავისი დახელოვნებისათვის, სწავლობდეს იურიდიულ ლიტერატურას.

გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ცალკეული საგამომძიებლო საქმეებისა და მათში დაშვებული შეცდომების გარჩევა.

ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმრავლესობაში საგამომძიებლო განყოფილებებს შემოღებული აქვთ შეცდომებისა და ნაკლოვანებათა პერიოდულად განზოგადება და შესწავლა, აგრეთვე პერიფერიაში გამოძიებული კონკრეტული საქმეებიდან ან ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა ჯგუფიდან კარგი გამოძიების ნიმუშების განზოგადება და შეს-

წავლა. ამ შესწავლის საფუძველზე სსრ კავშირის პროკურატურისა და მთელი რიგი რესპუბლიკების, ოლქების და მხარეების პროკურატურების მიერ პერიოდულად გამოიცემა ხოლმე მეთოდური და საინსტრუქციო წერილები ან გამომძიებელთა მუშაობის მიმოხილვები, ხოლო მთელ რიგ ადგილებზე—ბიულეტენები, საინსტრუქციო და მეთოდური წერილების ერთგვარი კრებულები. განსაკუთრებით სასარგებლოა სხვადასხვაგვარ საქმეებზე გამომძიებლის მუშაობის, საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია.

სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილება ამჟამად პერიოდულად უშვებს მეთოდურ დამხმარე სახელმძღვანელოს — „საგამომძიებლო პრაქტიკას", რომელშიც საუკეთესო გამომძიებლების გამოცდილების გაზიარების მიზნით შეუქდება სანიმუშოდ გამოძიებული საქმეები.

ამ მასალების გულდასმით შესწავლა თვითეული გამომძიებლის მოვალეობაა.

მეთოდურ სახელმძღვანელოთა შესწავლა

გამოძიების ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გამომძიებლის კვალიფიკაციაზე. ამის გამო გამომძიებელი რეგულარულად უნდა მუშაობდეს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კერძოდ, გულდასმით უნდა სწავლობდეს იმ მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც გამომძიებელთა დასახმარებლად გამოიცემა სსრ კავშირის პროკურატურის მიერ.

სსრ კავშირის პროკურატურამ, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ამ მეთოდს, 1937 წლის 3 ივნისის № 40/26 ცირკულარით საჭიროდ სცნო, რათა საოლქო (სამხარეო) და რესპუბლიკურმა პროკურატურებმა:

1) სახელმძღვანელოების დაგზავნისას დააწესონ თვითეული გამომძიებლისა და პროკურორისათვის, მათი თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ამ სახელმძღვანელოების შეთვისების შემოწმების ვადები;

2) უზრუნველჰყონ ასეთი შემოწმების რეალურად ჩატარება და ამასთან ერთად მოაწყონ საჭირო კონსულტაცია სახელ-

მძღვანელოებში გადმოცემული მასალის შეთვისების დასახმარებლად;

3) შეიტანონ სასწავლო-მეთოდური კონფერენციების, ჯგუფური თათბირების, იურიდიული წრეებისა და ა. შ. პროგრამებში ამ სახელმძღვანელოების შესწავლა;

4) გამოიყენონ ამ სახელმძღვანელოებში გადმოცემული დებულებები გამომძიებელთათვის ცალკეულ საქმეებზე მითითებათა მიცემისას.

სსრ კავშირის პროკურატურის ეს ცირკულარი თვითეულ გამომძიებელს ავალდებულებს აქტიურად ჩაებას მეთოდური სახელმძღვანელოების შესწავლაში. საჭიროა გამომძიებლებს რჩევა მიეცეთ მეთოდური სახელმძღვანელოს შესწავლისას პარალელურად გულდასმით შეისწავლონ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებიდან სისხლის სამართლისა და პროცესის შესაბამისი განაკვეთები და, აგრეთვე, გამოძიების ტექნიკისა და მეთოდიკის საკითხები.

სსრ კავშირის პროკურატურის ეს მითითებანი უკანასკნელ დროამდე მთლიანად არ ყოფილა შესრულებული ადგილებზე, რის გამოც შემდეგში ეს მითითებანი დადასტურებულ იქნა ინსტრუქციით ომიანობის დროის პირობებში საგამომძიებლო განყოფილებათა მუშაობის შესახებ.

ყველა გამომძიებლის მიერ სსრ კავშირის პროკურატურის მიერ გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოთა გულდასმით შესწავლა ხელს უნდა უწყობდეს გამომძიებლების ცოდნის გაფართოებას და მათ დახელოვნებას.

მეთოდური სახელმძღვანელოების შესწავლა უნდა გამოიხატოს არა მარტო მიღებული მორიგი სახელმძღვანელოს გაცნობით. ასეთი „შესწავლა" სარგებლობას არ მოიტანს. მეთოდურ სახელმძღვანელოთა სერიოზულ შესწავლას თან უნდა ახლდეს ამ სახელმძღვანელოებში გადმოცემული ყველა მასალის გულდასმითი და მოფიქრებული დაკონსპექტება, რაც შეხამებული უნდა იყოს შესაბამისი ხასიათის კონკრეტულ საქმეებზე მთელ პრაქტიკულ მუშაობასთან.

იურიდიული წრეები

სასურველია ყოველ რაიონში მოეწყოს იურიდიული წრე, რომელშიც ჩაბმულ უნდა იქნან არა მარტო პროკურორის თანაშემწეები, გამომძიებლები და პროკურატურის მდივანი, არამედ მილიციის საგამომძიებლო მუშაკებიც, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში — სასამართლოს მუშაკებიც. იურიდიული წრის მუშაობის ხელმძღვანელობა თავის თავზე უნდა აიღოს პროკურორმა. გამომძიებელი განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს ამ წრის მუშაობაში.

იურიდიული წრის მეცადინეობაზე საჭიროა პირველ რიგში შესწავლილ იქნას სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ძირითადი საკითხები, აგრეთვე სსრ კავშირის პროკურატურის მიერ გამოცემული ყველა მეთოდური სახელმძღვანელო. შემდეგ საჭიროა შესწავლილ იქნას სხვა იურიდიული ლიტერატურაც, მათ შორის — ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წერილები იურიდიული ჟურნალებიდან, აგრეთვე სწარმოებდეს საგამომძიებლო პრაქტიკის გარჩევა ცალკეული კონკრეტული საქმეების მიხედვით.

წრის მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, კვირაში ერთხელ მაინც, ისეთი წესის დადგენით, რომ ყოველი მორიგი მეცადინეობისათვის ემზადებოდეს წრის ყველა მონაწილე, რის უზრუნველყოფაც შეიძლება თვითეულისაგან ძირითადი ლიტერატურის დაკონსპექტების მოთხოვნით. დიდ ქალაქებში ამგვარი იურიდიული წრეები შეიძლება შეიქმნას სპეციალურად გამომძიებლებისათვის.

კულტურული დონის ამაღლება

ზოგიერთი ჩვენი გამომძიებლის ტექნიკური წიგნიერობა და საერთო კულტურული განვითარება არასაკმაოდ მაღალია. ასეთმა გამომძიებლებმა უნდა იზრუნონ თავისი საერთო კულტურის ასამაღლებლად განუწყვეტლივი მეცადინეობის ორგანიზაციისათვის.

გამომძიებელი სისტემატურად უნდა კითხულობდეს მხატვრულ ლიტერატურას, კარგად იცნობდეს ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებს.

ლიტერატურის ასეთ კითხვას თან უნდა ახლდეს მასში გამოყენებული ტიპების ფსიქოლოგიის შესწავლა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა სტილისა და წყობის შესწავლა.

გამომძიებელი რაიონული ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი უნდა იყოს.

მხატვრული ლიტერატურის საკითხავი დრო ყოველთვის უნდა გამოინახოს, როგორც უნდა იყოს გამომძიებელი საქმით დატვირთული.

კანონებისა და დირექტივების ცოდნა

საბჭოთა კანონებისა და მთავრობის დადგენილებების ზუსტად ცოდნა ყველა გამომძიებლისათვის სავალდებულოა.

გამომძიებელი ასევე უნდა იცნობდეს სსრ კავშირის პროკურატურის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის, ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურატურის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელო დირექტივებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს.

გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ ბევრი პროკურორი საჭიროდ არ სთვლის გააცნოს გამომძიებლებს როგორც სსრ კავშირის პროკურატურის, ისე რესპუბლიკური, სამხრეთ და საოლქო პროკურატურების ბრძანებები და ინსტრუქციები, მათ შორის ისეთებიც კი, რომლებიც უშუალოდ გამომძიებლის მუშაობას შეეხება.

სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებით, თავის დროზე ყველა პროკურორს დავალებული ჰქონდა: 1) დაუყოვნებლივ გაეცნო გამომძიებლებისათვის სსრ კავშირის პროკურატურის ყველა ბრძანება და ინსტრუქცია; 2) თვითეული გამომძიებლისათვის გადაეცა გასაცნობად ხელწერილქვეშ სსრ კავშირის პროკურატურის ბრძანებები და ინსტრუქციები, რაც მომავალში იქნებოდა გამოცემული.

სსრ კავშირის პროკურატურის ეს მითითება, რა თქმა უნდა, სავსებით შეეხება აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პროკურატურების ორგანოების მიერ გამოცემულ ბრძანებებს. თვითეულმა რაიონის პროკურორმა უნდა შემო-

ილოს ისეთი წესი, რომ რაიონულ პროკურატურაში მიღებული ზემდგომი პროკურატურების ყველა ბრძანება და ინსტრუქცია აუცილებლად ეძლეოდეთ წასაკითხავად გამომძიებლებს; ისინი შესაბამის განრიგებში ჩაკერებულ უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათზე პროკურორსა და გამომძიებელს ხელი ექნებათ მოწერილი დასტურად იმისა, რომ გაცნობილი არიან მათ შინაარსს, და ინახებოდეს პროკურატურის მდივანთან ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდეს სარგებლობა.

გამომძიებლებს აუცილებლად უნდა ეძლეოდეთ გასაცნობად და შემდგომი დამუშავებისათვის რაიონულ პროკურატურაში მიღებული ყველა მეთოდური სახელმძღვანელო და სხვა იურიდიული ლიტერატურა, მათ შორის პერიოდული ჟურნალებიც.

7. დანაშაულის წინასწარ აცილება

საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მოთხოვნა

გამომძიებლის ამოცანები არ განისაზღვრება მხოლოდ დანაშაულის გახსნით, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა გამოვლინებით და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით. მან უნდა უზრუნველჰყოს ჩრალდებულის დანაშაულებრივი მოქმედებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, აგრეთვე მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი მიზეზების აღსაკვეთად, დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით შეეხება საქმეებს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა, გაფლანგვისა და განიავების შესახებ.

თუმცაღა, გამომძიებელმა არა მარტო ამგვარ საქმეებზე უნდა ჩაატაროს მუშაობა დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად. თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ, უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევის შესახებ, წარმოებაში ავარიების შესახებ, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შესახებ, ზომა-წონაში მოტყუებისა და სხვა მთელ რიგ დანაშაულთა შესახებ საქმეთა გამოძიებისას გამომძიებელი უნდა ავლინებდეს ყველა უწესოებას, კანონების ან დაწესებულ დებულებათა

გვერდის ახვევას, რამაც შესაძლებელი გახადა ან გააადვილა დანაშაულის ჩადენა. ამასთანავე გამომძიებელმა ყველა ზომა უნდა მიიღოს ასეთი გადახვევებისა და დარღვევის აღსაკვეთად.

დანაშაულობის დინამიკის შესწავლა

კონკრეტულ საქმეებზე გამაფრთხილებელი მუშაობის ჩატარებისას, გამომძიებელს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს თავისი მუშაობა მთლიანად და აგრეთვე ძირითად სამრეწველო საწარმოებში, რაიონის ყველაზე უფრო მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და, ბოლოს, მთლიანად რაიონში ან თავის უბანში ჩადენილი არც ერთი დანაშაული. მთელი ეს მონაცემები განზოგადებულ და შესწავლილ უნდა იქნას. ამის საფუძველზე გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და მიიღოს საჭირო ზომები იმ ნაკლოვანებათა, დადგენილი წესების გვერდის ახვევისა და კანონთა დარღვევის ასაცილებლად, რამაც ხელი შეუწყო ან შესაძლებელი გახადა დანაშაულის ჩადენა.

გამომძიებელი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულობასთან ბრძოლის აქტიურ ორგანიზატორს. ამასთან დაკავშირებით, მან უნდა იცოდეს თავის რაიონში დანაშაულობის დინამიკაც. პროკურორმა გამომძიებელთან ერთად უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ რაიონში არც ერთი დანაშაული გაუხსნელი არ დარჩეს.

გამომძიებელი უნდა იყოს თავისი რაიონის ცხოვრების კურსში, ცხოვრობდეს მისი ინტერესებით, თავისი მიზანსწრაფული მუშაობით შესაძლო დახმარებას უწევდეს რაიონულ ორგანიზაციებს რაიონის წინაშე დასახული სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებაში.

კანონების განმარტება და რაიონული ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა

გამომძიებელი, როგორც კვალიფიციური მუშაკი, იურისტი, ყველაზე უშუალო მონაწილეობას უნდა იღებდეს დანაშაულობასთან ორგანიზებულ ბრძოლაში, ფართო მასებამდე კანონების დაყვანაში, მათი სათანადო განმარტებით.

პროკურორმა ხელი უნდა შეუწყოს მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე გამომძიებლის მოხსენებების ჩატარებას სოციალისტური კანონიერებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებზე.

გამომძიებელი უნდა აკეთებდეს მოხსენებებს აგრეთვე რაიონული ორგანიზაციების სხდომებზე დანაშაულობის ცალკეულ სახეობათა მდგომარეობისა და დინამიკის, აგრეთვე იმ ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ იმ არანორმალობათა და დეფექტების საკითხებზე, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

მიზანმისწრაფებითი, კარგად დაყენებული საგამომძიებლო მუშაობის შედეგად, რაიონის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისა და რაიონის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებაში რაიონის ხელმძღვანელობისათვის შესაძლებელი დახმარების გაწევის შედეგად, გამომძიებელი შესძლებს თავის რაიონში ავტორიტეტის მოპოვებას.

მხოლოდ ზემოჩამოთვლილი ყველა მოთხოვნის დაცვისას, გამომძიებელი შესძლებს საგამომძიებლო მუშაობის სათანადოდ ორგანიზებას.

8. საგამოძიებლო საქმის გაფორმება

საგამოძიებლო დოკუმენტების გაფორმება

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამომძიებლის შიერ საგამომძიებლო დოკუმენტის გაფორმებას. თვითეული საგამომძიებლო დოკუმენტი შედგენილ უნდა იქნას წიგნიერად, სწორად, გარკვევით, სიტყვების ამოშლისა და გადასწორების გარეშე; აზრი გადმოცემული უნდა იყოს ნათლად და უბრალოდ, დოკუმენტი გაფორმებული—სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ან სისხლის სამართლის საქმეთა გამოწინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების) მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

საგამომძიებლო დოკუმენტები, როგორც წესი, უნდა იყოს მელნით დაწერილი ან საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია საგამომძიებლო დოკუმენტების შედგენა ქიმიური ფანქრით.

საგამომძიებლო დოკუმენტში შეტანილი ყველა შესწორება განპირობებულ უნდა იქნას შენიშვნით სტრიქონის ან დოკუმენტის ბოლოს და დამოწმებული გამომძიებლის ხელისმოწერით, აგრეთვე სხვა პირთა ხელისმოწერით, უკეთუ ეს უკანასკნელნი მონაწილეობას იღებდნენ ამ დოკუმენტის შედგენაში.

საგამომძიებლო დოკუმენტში არსებული ყველა ხარვეზი სტრიქონებს შორის გახაზული უნდა იყოს.

თვითეული საგამომძიებლო დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს გამომძიებლისა და სხვა, ამ საგამომძიებლო მოქმედების მონაწილე პირთა მიერ.

ყველა ამ მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა.

საგამომძიებლო დოკუმენტების დაუდევრად და უსუფთაოდ გაფორმება სერიოზული ნაკლია გამომძიებლის მუშაობაში: დოკუმენტის შედგენის დროზე ან ადგილზე მიუთითებლობა, დაკითხვის ოქმებში დაკითხულის ან გამომძიებლის ხელისმოწერის უქონლობა, საგამომძიებლო აქტებში წაშლილი სიტყვების ან შესწორებათა არსებობა რაიმე შენიშვნების გარეშე, საგამომძიებლო აქტების დაწერა ფანქრით, შეუმოწმებელი ან არასათანადო ხელწერით (ბეჭდის დაუსმელად და ხელმოუწერლად) შემოწმებული დოკუმენტების ასლების დართვა, დოკუმენტების დაუდევრად და უსუფთაოდ შედგენა, რაც აძნელებს მათ წაკითხვას, და დოკუმენტაციის სხვა ამგვარი ნაკლოვანებები—გამომძიებლის ცუდი მუშაობის აშკარა მაჩვენებელია.

საგამომძიებლო ფარმოების გაფორმება

ბევრი გამომძიებელი საკმაო ყურადღებას არ უთმობს საგამომძიებლო საქმის გაფორმებას და ამ მუშაობაში უშვებს სხვადასხვა ნაკლს, რომელთა შორის ძირითადია საქმის ზედმეტად გადატვირთვა (განსაკუთრებით თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულთა შესახებ) სრულიად არასაჭირო მასალით. ამასთან დაკავშირებით ხშირად საქმეში ასახულია არა იმდენად განსახილველი დანაშაულის არსი, რამდენადაც გამომძიებლის მიერ ჩატარებული მთელი საერთო მუშაობა, ამასთან ზოგჯერ უსარგებლო და სრულიად არასაჭიროც.

გამომძიებელი არ ერკვევა ხოლმე გულდასმით ყველა დოკუმენტში, რომელიც მას ხელთ „მოხვდება“, და ძალიან ხშირად მექანიკურად აკერებს ყველა ამ დოკუმენტს საქმეში. ამის შედეგად საქმე სქელდება, მასში ძნელი ხდება სრულიად არასაჭირო ქაღალდების გროვაში საჭირო დოკუმენტების პოვნა.

ხშირად ეს იქედან წარმოსდგება, რომ გამომძიებელი არღვევს მოთხოვნას საქმეზე ამა თუ იმ დოკუმენტების დართვის სათანადო პროცესუალური გაფორმების შესახებ.

სერიოზული ნაკლია, აგრეთვე, საქმის გარეგნული დაუდევარი გაფორმება. საქმის კარგად შენახვის მიზნით საჭიროა სავალდებულოდ იქნას მიჩნეული ყველა დოკუმენტის წესიერად ჩაკერება და საქმისათვის მაღალხარისხოვანი ყდის გაკეთება.

ყოველ საგამომძიებლო საქმეში აუცილებლად ჩაკერებული უნდა იყოს მასში არსებული ყველა ქაღალდის აღწერა.

როგორც წესი, ყველა დოკუმენტი საქმეში უნდა ჩაკერდეს ქრონოლოგიური წესით, ე. ი. მათი მიღების ან საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების რიგის მიხედვით.

მხოლოდ დიდ საქმეებში, სადაც დანაშაულებრივი მოქმედებანი ნაწილდება რამდენიმე ეპიზოდად, ქაღალდების ჩაკერება, როგორც საერთო წესიდან გამონაკლისი, დაიშვება ყველა მასალის ეპიზოდების მიხედვით დაჯგუფებით და, მაშასადამე, ქრონოლოგიის დარღვევით.

უკეთუ საქმეში 300 ფურცელზე მეტია, ის უნდა გაიყოს რამდენიმე ტომად, იმ ანგარიშით, რომ თვითეულ მათგანში იყოს არა უმეტეს 200—300 ფურცლისა. საქმის თვითეული ტომი უნდა იყოს დანომრილი და, გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად, ზონარგაყრილი და ლუქის ბეჭდით დაბეჭდილი.

საქმეზე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის სახით დართული დოკუმენტები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაკერებულ იქნას საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად, ისინი უნდა ჩაიდოს შესაფერის კონვერტებში, რომელთა ჩაკერებაც უმჯობესია საქმის ბოლოში.

საქმის ყდაზე გარკვევით უნდა იყოს დაწერილი საქმის დასახელება და ნომერი, აგრეთვე გამოძიების დაწყებისა და დამთავრების თარიღები, გამოკვლევის ჩამტარებელი გამომძიებლისა და ზედამხედველი პროკურორის გვარები.

გამომძიებელთან არსებული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც საქმესთან ერთად უნდა გაიგზავნოს, გულდასმით უნდა შეიფუთოს და დაიბეჭდოს. თვითეულ ფუთაზე გაკეთებული უნდა იყოს წარწერა შიგთავსის და, აგრეთვე, საგამომძიებლო საქმის ნომრისა და დასახელების აღნიშვნით.

9. გამომძიებლის მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება

ზოგადი დებულებანი

გამოძიების სწორი ორგანიზაცია წარმოუდგენელია მთელი საგამომძიებლო მუშაობის, მათ შორის დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად გამომძიებლის მუშაობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის სათანადოდ მოუწყობლად.

ყოველ პროკურატურაში, უწინარეს ყოვლისა, მოწყობილი უნდა იყოს საგამომძიებლო მუშაობის ისეთი აღრიცხვა, რომელიც უზრუნველჰყოფს იმის უმალვე დადგენის შესაძლებლობას, თუ რა ხასიათის საქმეები გამოიძია გამომძიებელმა და, კერძოდ, ყველა ურთულეს და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეს იძიებდა თუ არა ის. ეს მიღწეულ უნდა იქნას სააღრიცხვო ფურცლებისა და საგამომძიებლო საქმეთა რეესტრის წარმოებით.

ამასთან ერთად საგამომძიებლო საქმეთა რეესტრი და გამომძიებლის წარმოებაში არსებულ საგამომძიებლო საქმეებზე სამეთვალყურო წარმოებები უნდა წარმოადგენდნენ გამომძიებლის მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების აღრიცხვის საშუალებას, როგორიცაა:

ა) გამომძიებლის დატვირთვა და მისი მუშაობის ნაყოფიერება (მის მიერ დამთავრებულ საქმეთა რაოდენობის მიხედვით);

ბ) გამოძიების ვადები და მათი შესაბამისობა კანონისა და სსრ კავშირის პროკურორის სპეციალურ მითითებათა მოთხოვნებთან;

გ) გამოძიების ხარისხი, რომლის შესახებაც შეიძლება მსჯელობა როგორც სამეთვალყურო წარმოებებში პროკურორის მითითებებით, ისე მათში დაცული უმნიშვნელოვანესი საგა-

მომჭიებლო აქტების ასლებით, და, ბოლოს, სასამართლოს მოსამზადებელი და სამსჯავრო სხდომების დადგენილებებით საქმის დამატებითი გამოძიებისათვის წარმართვის შესახებ, სამეთვალყურო წარმოებებზე დართული სასამართლოს განაჩენებით.

საგამომძიებლო საქმეთა რეესტრი

გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების საწარმოებლად მიღებული ყველა საქმე, მათი ბარათებში რეგისტრაციის დამოუკიდებლად. აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი სპეციალურ წიგნში-- საგამომძიებლო საქმეთა რეესტრში, რომელიც უნდა სწარმოებდეს შემდეგი ფორმით:

საქმის №	სისხლ. სამართლის საქმის აღძვრის თარიღი	საქმის წარმოებაში მიღების თარიღი	გამოკვლევის მწარმოებელი გამომძიებლის ან პროკურორის გვარი	საქმის დასახელება (ერთ-ერთ ბრალდებულთა სახელები, მამის სახელები)	კვალიფიკაცია	აღმკვეთი ღონისძიება, რა დროიდან	საქმის მოძრაობა	რიგის და როგორ დამთავრდა გამოძიება	რიგის და სად გაიგზავნა საქმე	სასამართლოს განაჩენი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

რეესტრის წარმოება არ გამორიცხავს სააღრიცხვო ფურცლის ან გრაფიკის წარმოებას, რის შესახებაც ზემოთ იყო ნათქვამი.

საგამომძიებლო საქმეთა რეესტრს ყველა რაიონულ პროკურატურაში უნდა აწარმოებდეს მდივანი, რომლის მეშვეობითაც გადაეცემა გამომძიებელს მასთან გამოსაკვლევად გაგზავნილი მთელი მასალა.

რამდენადაც გამომძიებელმა არ უნდა აწარმოოს არავითარი წინასწარი შემოწმება, ყველა მისთვის გამოსაკვლევად გადაცემულ მასალაზე, რა თქმა უნდა, ცალკეულ მოთხოვნათა გაანოკლებით, უნდა შესდგეს საგამომძიებლო საქმეები.

მიიღებს რა საქმეს თავის წარმოებაში, გამომძიებელი ვალდებულია ის რეგიტრაციისათვის გადასცეს მდივანს, რომელმაც თავის მხრივ უნდა აღრიცხოს საქმე ბარათში, შეიტანოს საგამომძიებლო საქმეთა რეესტრში და ამასთან ერთდროულად შეადგინოს სამეთვალყურო წარმოება.

აღნიშვნები საქმის მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპების შესახებ მდივანმა უნდა შეიტანოს რეესტრში მასზე სამეთვალყურო წარმოებისათვის გადაცემული უმნიშვნელოვანესი საგამომძიებლო აქტების ასლების საფუძველზე.

ზოგიერთ რაიონულ პროკურატურაში საგამომძიებლო საქმეთა რეგისტრირება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გამომძიებელი დაამთავრებს გამოძიებას და საქმეს გადასცემს სასამართლოში გასაგზავნად ან არქივში შესანახად. ეს სერიოზული შეცდომაა. ყველა საგამომძიებლო საქმე ბარათშიც და რეესტრშიც უნდა გატარდეს გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილების გამოტანის დღეს, ამასთანავე საქმის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილება გამოტანილ უნდა იქნას გამომძიებლის მიერ, როგორც წესი, არა უგვიანეს, მისთვის პროკურორის წინადადებით წინასწარი გამოძიების ჩატარების შესახებ ან დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მასალების გადაცემის მომდევნო დღისა.

საგამომძიებლო საქმეს უნდა მიეკუთვნოს რიგითი ნომერი მისი რეესტრში შეტანის რიგის მიხედვით.

1941 წლის 26/XII ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ საქმეების აღრიცხვა

გარდა საგამომძიებლო საქმეების აღრიცხვის საერთო რეესტრისა, სამხედრო მოწეველობის საწარმოებიდან დეზერტირობის შესახებ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26/XII ბრძანებულება) საქმეების გამოძიებაზე მომუშავე გამომძიებელმა, სსრ კავშირის პროკურატურის ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა აწარმოოს განსაკუთრებული სამაგიდო რეესტრი წარმოების დეზერტირთა საქმეებზე. ეს განსაკუთრე-

ბული სამაგიდო რეესტრი უნდა სწარმოებდეს პირადად გამომ-ძიებლის მიერ შემდეგი ფორმით:

№ № რიგზე	დეზერტირის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაბადების წელი	მუშაობის ადგილი, სადაც ჩადენილია დეზერტირობა	პროკურატურაში მასალის მიღების თარიღი და ეს მასალა დან შემოვიდა	წარმოებაში მიღების თარიღი	ძებნის გამოცხადებისა და საქმის წარმოებით შეჩერების თარიღი	დაძებნის შედეგი და დასრულებლად თარიღი	როდის და როგორ იქნა გადაწყვეტილი	განსაკუთრებული ღონისძიებანი საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ, წარმოების განახლების შესახებ და სხვა.
1	2	3	4	5	6	7	8	9

საერთვალყურო წარმოება

გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისა და გამომძიებლის მუშაობის ხარისხის აღრიცხვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სამეთვალყურო წარმოება.

გამომძიებელის წარმოებაში არსებულ ყოველ საქმეზე სამეთვალყურო წარმოება შემოღებულ უნდა იქნას გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილების შედგენის დღეს.

სამეთვალყურო წარმოებაში, როგორც წესი, უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტების ასლები:

ა) დადგენილებისა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ;

ბ) დადგენილებისა გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ; იმ შემთხვევებში, როცა დადგენილება საქმის აღძვრის შესახებ შედგენილი იყო პროკურორის მიერ;

გ) დადგენილებისა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

დ) დადგენილებისა აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ;

ე) ოქმისა ბრალდებულისათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადების შესახებ;

ვ) საბრალმდებლო დასკვნისა ან დადგენილებისა საქმის მოსპობის შესახებ;

ზ) სასამართლოს განაჩენისა.

გარდა ამისა, სამეთვალყურო წარმოებას უნდა დაერთოს კიდევ შემდეგი დოკუმენტები:

ა) გეგმა, რომლითაც გამომძიებელი აწარმოებდა გამოძიებას (დაერთვის სამეთვალყურო წარმოებას საქმეზე გამოძიების დამთავრების შემდეგ);

ბ) რაიონის პროკურორის დადგენილებათა ასლები გამომძიებლის არასწორ მოქმედებაზე ბრალდებულების ან საქმეში მონაწილე სხვა პირთა (დაზარალებულების, ექსპერტების, მოწმეების) მიერ შეტანილ საჩივრებზე;

გ) განსაზღვრულ საქმეზე პროკურორის მიერ გამომძიებლისათვის მოცემული წერილობითი მითითებები, მათი თარიღების აუცილებელი აღნიშვნით;

დ) პროკურორის მიერ შედგენილი საბრალმდებლო დასკვნის ასლი, იმ შემთხვევაში, უკეთუ პროკურორმა ხელახლად შეადგინა ასეთი გამომძიებლის მიერ ადრე შედგენილი საბრალმდებლო დასკვნის ნაცვლად;

ე) გამოძიების ძირითადი მომენტებისა და საპროკურორო ზედამხედველობის გამომხატველი სხვა დოკუმენტები;

ვ) მოცემულ საქმეზე პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტების ასლები და ზემდგომი სასამართლო ინსტანციების დადგენილებანი.

იმისათვის, რომ სამეთვალყურო წარმოება ამართლებდეს თავის დანიშნულებას, ის უნდა წარმოებდეს შემდეგი სავალდებულო წესების დაცვით:

1) სამეთვალყურო წარმოებას უნდა ადგენდეს პროკურატურის მდივანი გამომძიებლის მიერ წარმოებაში მიღებული საგამომძიებლო საქმის რეგისტრაციის ერთდროულად, და ის ყველა შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს პროკურორს;

2) სამეთვალყურო წარმოება უნდა ინახებოდეს პირადად პროკურორთან, საქმის სასამართლოს მიერ განხილვა — გადაწყვეტამდე და წარმოებაზე განაჩენის დართვამდე, ან საქმის მოსპობის შესახებ, ანდა საგამომძიებლო ქვემდებარეობისამებრ გადაცემის შესახებ გამომძიებლის დადგენილების დართვამდე; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია პროკურორს სამეთვალყურო წარმოება გადასცეს არქივში შესანახად;

3) გამომძიებელი ვალდებულია თავის დროზე, ი. ე., როგორც წესი, მისი შედგენის დღესავე, გადასცეს მდივანს ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც უნდა ერთოდეს სამეთვალყურო წარმოებას; მდივანი მოვალეა გადაიღოს ასლები და დაურთოს ისინი სამეთვალყურო წარმოებას;

4) პროკურორმა პერიოდულად, არანაკლებ ვიდრე კვირაში ერთხელ, უნდა გადასინჯოს მასთან არსებული ყველა სამეთვალყურო წარმოება, ხოლო საჭირო შემთხვევაში გამომძიებლის წარმოებაში არსებული საგამომძიებლო საქმეებიც, საჭიროებისამებრ მისცეს მითითებანი გამოძიების შემდგომი წარმართვის შესახებ და თავისი ეს მითითებანი წერილობით აღნიშნოს როგორც საქმეში, ისე სამეთვალყურო წარმოებაში.

სსრ კავშირის პროკურატურა მოითხოვს, რათა პროკურორის ყველა მითითება გამომძიებლებს გამოკვლევის არსისა და მისი წარმართვის შესახებ (ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ და ა. შ.) ეძლეოდეთ აუცილებლად წერილობითი სახით.

დაუშვებელია, აგრეთვე, პროკურორის მიერ გამომძიებლის ამა თუ იმ მოქმედების სიტყვიერად გაუქმების პრაქტიკა. სსრ კავშირის პროკურატურამ ამ საკითხზე მიუთითა, რომ გამომძიებლის ამა თუ იმ მოქმედებაზე ან დადგენილებაზე პროკურორის დაუთანხმებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეუძლია ასეთი გააუქმოს საქმეზე დართული თავისი მოტივირებული დადგენილებით. პროკურორის ასეთი დადგენილების ასლი აუცილებლად უნდა დაერთოს სამეთვალყურო წარმოებას.

გამოძიების ყველა საკითხზე პროკურორის წერილობითი მითითებების მოთხოვნა აიხსნება არა მარტო იმ საჭიროებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამოძიებაზე ზედამხედველობის დარგში პროკურორის მუშაობის შემოწმების შესაძლებლობა, არამედ, უმთავრესად, იმით, რომ პროკურორის პრინციპული მითითებანი წარმოადგენს გამოძიების მსვლელობის წარმმართველ და, როგორც წესი, მის შედეგებზე გავლენის მქონე საპროცესო აქტს. ამიტომაც ეს საპროცესო აქტები სათანადოდ გაფორმებული უნდა იყოს.

მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი პირობის დაცვით, სამეთვალ-ყურო წარმოება უზრუნველჰყოფს გამომძიებლის მუშაობის კეთილხარისხოვან აღრიცხვას.

გამოძიების ხარისხზე კონტროლის გაუმჯობესებისა და გამოძიებაზე ხელმძღვანელობის ხაზით პროკურორის მუშაობის აღრიცხვის მიზნით, ყველაზე უფრო რთულ საგამომძიებლო საქმეებზე, რომლებიც მოითხოვენ პროკურორის მხრივ გულდასმით ხელმძღვანელობას, შეიძლება ვურჩიოთ სამეთვალყურო წარმოებაზე სპეციალური „საკონტროლო ფურცლის" დართვა შემდეგი ფორმით:

საკონტროლო ფურცელი

სამეთვალყურო წარმოებასთან № . . საქმეზე

გამოძიება ჩაატარა

1. აღნიშვნები საქმეზე გამომძიებლის მოხსენებების შესახებ:

. . . . . .

2. აღნიშვნები საქმის პირადად გაცნობის შესახებ

3. აღნიშვნები საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარებაში მონაწილეობის შესახებ, სახელდობრ, რომელ მოქმედებაში და მათი შეფასება .

4. რა მითითებები ეძლეოდა გამომძიებელს .

. . . . .

5. რა მითითებები ეძლეოდა დამატებითი გამოძიების შესახებ პატიმრობაზე სანქციის გაცემისას

6. გამოვლინებულია გამოძიების ნაკლოვანებანი:

ა) გამოძიების სტადიაში

ბ) საბრალმდებლო დასკვნის დამტკიცებისას

. . . . . .

გ) საქმის სასამართლოში მოსმენისას .

პროკურორმა გამოძიების პროცესში საქმის გაცნობისას და ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შემოწმების ჩატარებისას, ანდა საქმის გაცნობისას უკვე მას შემდეგ, როცა გამოძიება დამთავრდა, უნდა შეავსოს საკონტროლო ფურცლის ცალკეული სვეტები.

ასეთი საკონტროლო ფურცლის გადათვალიერებით მაშინვე გაპროვლინდება, თუ რაოდენად ხელმძღვანელობს პროკურორი გამოძიებას. ეს, ეჭვეველია, თვით პროკურორის მუშაობაში განამტკიცებს დისციპლინას გამოძიებაზე ხელმძღვანელობის ხაზით; ამასთან ერთად, პროკურორი შესძლებს წარმატებით გაპროიყენოს საკონტროლო ფურცლის მონაცემები და სამეთვალყურო წარმოების მასალა გამოძიებლის მუშაობის შესახებ დასკვნების განზოგადებისათვის და მისი შეცდომების გამოსასწორებლად. ამავე დროს სამეთვალყურო წარმოების მასალების მიხედვით გამოძიებელს შეუძლია იცოდეს თავისი მუშაობის შედეგები და დაშვებული შეცდომები.

პატიმართა აღრიცხვა

საგამომძიებლო მუშაობის აღრიცხვის დაყენების შესახებ მსჯელობისას, აუცილებელია აღვნიშნოთ, როგორც მნიშვნელოვანი ხარვეზი, მთელ რიგ -რაიონულ პროკურატურებში პატიმართა სათანადო აღრიცხვის უქონლობა.

სსრ კავშირის პროკურატურის 1938 წ. 10 იანვრის № 2/26 ცირკულარის შესაბამისად, როგორც საოლქო (სამხარეო), ისე რაიონულ პროკურატურებში შემოღებული უნდა იყოს პატიმართა აღრიცხვის სპეციალური წიგნი შემდეგი ფორმით:

№ № რიგზე	პატიმრის გვარი, სახელი და მამის სახელი	როდის და ვის მიერ არის დაპატიმრებული	წარდგენილი ბრალდების მოკლე შინაარსი და სსკ მუხლები	აღნიშვნები ვადის გაგრძელების, გადაყვანის ან გამოთავისუფლების შესახებ

გამომძიებელი მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ მის მიერ დაპატიმრებული ყველა მოქალაქე რეგისტრირებულ იქნას პატიმართა აღრიცხვის წიგნში, რომელიც უნდა აწარმოოს პროკურატურის მდივანმა ან პირადად პროკურორმა.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვა

გამომძიებელი ვალდებულია აგრეთვე ამოწმებდეს პროკურატურის მდივნის მიერ ნივთიერი დამამტკიცებელ საბუთების აღრიცხვის სპეციალურ წიგნში საგამომძიებლო საქმეებზე არსებული ყველა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის, ფასეულობისა და სხვა ამოღებული ქონების თავის დროზედ შეტანას.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვის წიგნი პროკურატურის ორგანოებში, სსრ კავშირის პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა სწარმოებდეს შემდეგი ფორმით:

ფ ო რ მ ა

პროკურატურის ორგანოებში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვის წიგნისა

№№ რიგზე	საგამომძიებლო საქმის №№	საქმის დასახელება და სსკ მუხლები	ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ან ფასეულობათა დასახელება და რაოდენობა	რიგის იყო მიღებული, საიდან, ვის ჩამოერთვა, რა დოკუმენტის საფუძველზე შეტანილი.	ფაქტიური შენახვის ადგილი და ვინ არის პასუხისმგებელი	აღნიშნა გაცემაზე ან გადაგზავნაზე: ვის, სად, თარიღის, ქვითრის მითითებით.	აღნიშნა საქმის გაგზავნის შესახებ (სად, რიგის, რა №-ით)

შეჩერებულ საქმეთა აღრიცხვა

გამომძიებლის მიერ შეჩერებული ყველა საქმე მდივანმა თავის დროზე უნდა შეიტანოს შეჩერებულ საქმეთა აღრიცხვის სპეციალურ წიგნში. ამ წიგნის წარმოების წესი გადმო-

ცემულია ქვემოთ (გვ. 288). გამომძიებელი მოვალეა კონტროლი გაუწიოს ყველა შეჩერებული საქმის მდივნის მიერ აღრიცხვ ს თავისდროულობას.

1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით აღძრულ შეჩერებულ საქმეთა აღრიცხვა, სსრ კავშირის პროკურორის ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა წარმოებდეს განსაკუთრებულ წიგნებში.

დანაშაულის წინასწარ ასაკილებლად და გამომძიებლის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა

გამომძიებელმა უნდა აწარმოოს დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად მთელი თავისი მუშაობის, აგრეთვე თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის აღრიცხვა.

ყველაზე უკრო მიზანშეწონილია ამისათვის განსაკუთრებული რვეულის შემოღება, რომელშიაც ჩაიწერება ცალკეული მუშაობა მისი შესრულების მიხედვით.

დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად მუშაობის აღრიცხვისას აუცილებელია მითითება, თუ როდის და სახელდობრ რა არის გამოძიებლის მიერ შესრულებული, რომელ საქმესთან დაკავშირებით, რა მონაცემების საფუძველზე და რა მიზანს ისახავს გამომძიებლის მიერ ჩატარებული ღონისძიება.

ამგვარი ღონისძიებანი, ე. ი. ღონისძიებანი, მიმართულნი დანაშაულთა წარმომშობ და მათი ჩადენის ხელისშემწყობ მიზეზთა აღკვეთისაკენ, შეიძლება გამომძიებელმა მიიღოს, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ან საქმეთა ჯგუფზე საგამომძიებლო მუშაობის ანალიზის საფუძველზე.

საჭიროა აღირიცხოს აგრეთვე დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად გამომძიებლის ისეთი მუშაობაც, როგორიცაა, მაგალითად, მის მიერ გაკეთებული მოხსენებები, ჩატარებული მეცადინეობები, დაწერილი და ბეჭდვითი ორგანოში გამოქვეყნებული შენიშვნები, სტატიები და სხვა.

თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამომძიებლის მუშაობის აღრიცხვა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიხატოს

ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურატურის მიერ მისთვის მოცემულ ჩასათვლელ ფურცელზე, სადაც აღინიშნება გამომძიებლის მიერ ამა თუ იმ სახელმძღვანელოს ან თემის შეთვისების შესამოწმებლად ჩაბარებული ჩათვლები.

გამომძიებლის ანგარიშგება

გამომძიებელი მოვალეა მის წარმოებაში არსებულ ყოველ საქმეზე გაუგზავნოს ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს:

ა) შეტყობინება გამოძიების დაწყების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ფორმის მიხედვით (იხ. გვ. 75); ეს შეტყობინება გამომძიებელმა უნდა გაგზავნოს საქმის თავის წარმოებაში მიღების დღეს;

ბ) ცნობები გამოძიების დამთავრებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ფორმების მიხედვით (იხ. გვ. 282 და 283); ეს ცნობები გამომძიებელმა უნდა გაგზავნოს საბრალმდებლო დასკვნის ან საქმის მოსპობისა თუ საქმის შეჩერების შესახებ დადგენილების ხელისმოწერის დღესვე.

გარდა ამისა, აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შერჩევის შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურორს გაუგზავნოს შეტყობინება დაპატიმრების შესახებ შემდეგი ფორმით:

ოლქის, მხარის, რესპუბლიკის პროკურორს.

. . . . . რაიონის გამომძიებლისაგან

შეტყობინება

სისხ. სამ. საპრ. კოდ. . მუხ. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 194 წ. . . . " მუხ. საფუძველზე დაპატიმრებულია მოქ. . . . . მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქმეზე № . . . . . ბრალდების გამო სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულში.

გამომძიებელი . . .

(საკლასო ხარისხი)

194 წ. . . . . " . . "

ეს შეტყობინება უნდა გაიგზავნოს აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დღეს.

გამომძიებლის სპეციალური ანგარიშგება ჩატარებული მუშაობის შესახებ, დაწესებული არ არის. გამომძიებლის მუშაობა ასახული უნდა იყოს რაიონულ პროკურატურის ანგარიშგებაში და, უწინარეს ყოვლისა, სტატისტიკურ ანგარიშში № 1 ფორმით. ამასთან დაკავშირებით გამომძიებელი მოვალეა ყოველი თვის 1—2 რიცხვში შეამოწმოს პროკურატურის მდივნის მიერ შედგენილი თვიური სტატისტიკური ანგარიში მასში მისი (გამომძიებლის) მუშაობის სწორად ასახვის ნაწილში. სტატისტიკურ ანგარიშში შეტანილი მონაცემები უნდა ემთხვეოდეს გამომძიებლის მიერ თვის განმავლობაში ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურატურაში გაგზავნილ შეტყობინებებს გამოძიების დაწყების შესახებ, ცნობებს გამოძიების დამთავრების შესახებ და შეტყობინებებს დაპატიმრებათა შესახებ.

გამოკვლევის დაწყებისა და დამთავრების ყველა შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის ახალი ფორმების ან გამოძიების მეთოდების თვალსაზრისით გარკვეული ინტერესის მქონე საქმეზე, გამომძიებელმა მეთვალყურე პროკურორთან ერთად უნდა გაუგზავნოს ზემდგომ პროკურორს ვრცელი სპეციალური მოხსენება ან მიმოხილვა.

მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში დადგენილია წესი, რომლის მიხედვით გამომძიებელი მოვალეა ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს უდგენდეს თვიურ მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ.

ასეთი წესის დადგენა მიზანშეწონილია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მასში მოყვანილი არ იქნება სტატისტიკური ანგარიშით უკვე ცნობილი ციფრობრივი მაჩვენებლები და დაწყებულ და დამთავრებულ საგამომძიებლო საქმეთა ჩამოთვლა, რამდენადაც ეს ცნობილია გამოძიების დაწყების შესახები შეტყობინებით და გამოძიების დამთავრების შესახები ცნობებით.

გამომძიებლის თვიური ანგარიში უნდა ავსებდეს იმ მასალებსა და მონაცემებს, რომლებიც უკვე არის საგამომძიებლო

განყოფილების განკარგულებაში. ამის გამო გამომძიებლის საანგარიშო მოხსენებაში ასახული უნდა იყოს მუშაობის მხოლოდ შემდეგი მაჩვენებლები:

ა) გამომძიებლის შემოქმედებითი მუშაობა, ე. ი. საანგარიშო თვის განმავლობაში ამა თუ იმ საქმეების გამოკვლევისას გამოყენებული გამოძიების ყველაზე უფრო მოხერხებული და საინტერესო მეთოდების დაწვრილებით აღწერა;

ბ) მუშაობა დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად, რაც გამომძიებელს ჩაუტარებია ცალკეულ საქმეზე ან საქმეთა კატეგორიების შესწავლის საფუძველზე;

გ) გამომძიებლის მუშაობა თავისი პოლიტიკური და კულტურული დონის, აგრეთვე თავისი იურიდიულ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

გამომძიებლის ასეთი საანგარიშო მოხსენება საგამომძიებლო განყოფილებას შესაძლებლობას მისცემს უკეთ შეისწავლოს თვითეული გამომძიებელი და სათანადო დახმარება გაუწიოს იმ გამომძიებლებს, რომლებიც ამას საჭიროებენ.

II. საგამოძიებლო საქმის წარმოშობა და წინასწარი გამოძიების წარმოების ძირითადი პირობები

I. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა-და მისი წარმოებაში მიღება

საქმის აღძვრის პოლიტიკური მნიშვნელობა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის პირველ სტადიას, რომელსაც დიდი პოლიტიკური და საპროცესო მნიშვნელობა აქვს.

პროკურატურის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დანაშაულობასთან და, პირველ რიგში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის ძირისგამომთხრელ დანაშაულობასთან ბრძოლის ორგანიზაცია.

ამის გამო ყოველი პროკურორისა და გამომძიებლის მოვალეობაა საჭირო სიფხიზლისა და ინიციატივის გამოჩენა,

რაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიხატოს სათანადო შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეთა განუხრელად და დროულად აღძვრით, სწრაფი, სრული და ყოველმხრივი გამოძიების ორგანიზაციით, ყველა დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ზომების მიღებით და ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობ მიზეზთა აცილებით.

სისხლის სამართლის საქმის დროული და საფუძვლიანი აღძვრა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა დანაშაულობასთან ბრძოლის წარმატებისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელებში საბჭოთა კანონისადმი პატივისცემის შექმნისათვის, იმაში დარწმუნებისათვის, რომ ყოველი დანაშაულისათვის დამნაშავენი დასჯილ იქნებიან, რომ პროკურატურის ორგანოები და სასამართლო მტკიცედ იცავენ საბჭოთა სახელმწიფოსა და თვითეული მშრომელის ინტერესებს.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი და გამომძიებელი უნდა მოქმედებდნენ როგორც სახელმწიფო მოღვაწენი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტისადმი უპასუხისმგებლო, ფუქსავატური დამოკიდებულება ხშირად იწვევს საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრას, რასაც მოჰყვება ყველაზე უარყოფითი და პოლიტიკურად მავნე შედეგები და რაც სახელს უტეხს სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობას.

საქმის აღძვრის საპროცესო მნიშვნელობა

არანაკლებ საყურადღებოა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საპროცესო მნიშვნელობა. მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან წარმოიშობა გამომძიებლისა და გამოძიების მსვლელობით მოცულ მოქალაქეთა (მოწმეების, ექსპერტების, თანამოწმეების, ბრალდებულების და ა. შ.) ყველა ის უფლება და მოვალეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მტკიცედ უნდა იქნას შეთვისებული, რომ არავითარი საგამომძიებლო მოქმედება — დაკითხვები, დათვალიერებანი,

გაჩხრეკები და ა. შ.—არ შეიძლება შესრულდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამაში მდგომარეობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საპროცესო მნიშვნელობა.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრელი ორგანოები

კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლების მქონე ორგანოებს, საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 96 მუხ. თანახმად, წარმოადგენენ: პროკურორი, გამომძიებელი, გამოკვლევის სხვა ორგანოები და სასამართლო.

თავის დროზე (1934 წ. აპრილი) სასამართლოს და პროკურატურის მუშაკთა პირველმა სრულიად საკავშირო თათბირმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და შემდეგი სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო:

„სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრის აღკვეთისა და ამაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით დაწესდეს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისა და გამოკვლევის დაწყებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სათანადო საგამომძიებლო ორგანოს მოტივირებული დადგენილებით, რაც დამტკიცებული უნდა იყოს პროკურორის მიერ“.

ითვალისწინებდა რა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრა ყოკლად მოუთმენელია, სსრ კავშირის პროკურორმა თავის 1934 წ. 13 აგვისტოს ცირკულარით შეზღუდა გამომძიებლისა და გამოკვლევის სხვა ორგანოების უფლება სისხლის სამართლის საქმეთა დამოუკიდებლად აღძვრის დარგში, ეს უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედება მოაქცია პროკურორის კონტროლქვეშ, რომელიც პირველ რიგში აგებს პასუხს სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრისათვის.

ამ ცირკულარით მითითებულია:

„...საკანონმდებლო გზით შეცვლამდე წინადადებას ვიძლევი დადგინდეს წესი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების დაწყებას შესაძლოა ადგილი ექნეს მხოლოდ სათანადო საგამომძიებლო ორგანოს მოტივირებული, პროკურორის მიერ დამტკიცებული, დად-

გენილების მიხედვით. მაგრამ ეს გარემოება მოსამართლეს (სასამართლოს) არ ართმევს კანონიერ უფლებას მის მიერ გამოვლინებულ დანაშაულთა შესახებ აღძრას სისხლის სამართლის დევნა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 91 მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხ. სამ. საპრ. კოდექსის სათანადო მუხლების შესაბამისად".

საფუძველი და საბაბი

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი წესრიგდება საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 91—96 მუხლებით.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭიროა საფუძვლისა და საბაბის არსებობა.

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბებს წარმოადგენენ:

1) ამა თუ იმ მოქალაქისა და სხვადასხვა შენაერთისა და ორგანიზაციის განცხადება.

2) მთავრობის დაწესებულებისა და თანამდებობის პირის შეტყობინება;

3) დამნაშავის გამოცხადება და გამოტეხა;

4) პროკურორის წინადადება;

5) უშუალო თვალსაზრისი პროკურატურის ორგანოებისა, გამომკვლევი ორგანოებისა ან სასამართლოსი, ე. ი. პირადი დაკვირვება ან დანაშაულებრივი ფაქტების სხვა გზით გამოვლინება პროკურორის, გამომძიებლის ან გამოკვლევის ორგანოს სხვა მუშაკის ან სასამართლოს მიერ.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის მარტოოდენ საბაბი საკმარისი არ არის. ზოგჯერ ამისათვის საკმარისი არ არის ისეთი საბაბიც კი, როგორიცაა დამნაშავის გამოცხადება და გამოტეხა.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭიროა არა მარტო საბაბის, არამედ საფუძვლის არსებობაც, ე. ი. დანაშაულის ნიშნების არსებობა. საჭიროა, რომ განცხადება, შეტყობინება ან სხვა მასალა, რომელიც წარმოადგენს საბაბს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის, შეიცავდეს გარკვეულ მონაცემებს დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ.

გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას საჭიროა, რომ პირველადი მასალა ან გარკვეული ფაქტი შეიცავდეს ისეთი დანაშაულის ნიშნებს, რომელზედაც საჭიროა წინასწარი გამოძიების წარმოება.

გამომძიებლის მოქმედება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ

მიიღებს რა ცნობას ამა თუ იმ შემთხვევის შესახებ, აგრეთვე ცალკეულ დანაშაულებრივ მოქმედებაზე მიმთითებელ მასალას, გამომძიებელი მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობისა და საჭიროების საკითხის გადაწყვეტას.

იმ საკითხის გადაწყვეტისას, საჭიროა თუ არა არსებული მასალით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამომძიებელმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს თავისთვის, არსებობს თუ არა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის, ე. ი. შეიცავს თუ არა უწყებული მასალა მითითებას მასში აღწერილ შემთხვევასა ან მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობაზე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე, საქმის აღძვრის შესახებ დადგენილება წარუდგინოს მეთვალყურე პროკურორს და მხოლოდ ამ დადგენილების პროკურორის მიერ დამტკიცების შემდეგ შეუდგეს წინასწარი გამოძიების წარმოებას. ხოლო მასალის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა შეადგინოს მოტივირებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ან დააყენოს სათანადო შემოწმების ჩატარების ან ამ მასალის შევსების საკითხი.

ისეთ პირობებში, როცა, შემთხვევის გარემოებათა სირთულის გამო, გამომძიებელი დაეჭვებულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საჭიროებაში, მას შეუძლია საჭირო მითითებების მისაღებად მიმართოს მეთვალყურე პროკურორს.

პირველადი მასალის წინასწარი შემოწმება

პირველადი მასალის წინასწარი შემოწმება ან შევსება იმის ნათელყოფის მიზნით, შეიცავს თუ არა უწყებული მასალა ან ესა თუ ის ფაქტი მითითებას სისხლის სამართლის კანონის შესაფარდებელი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე, როგორც წესი, უნდა სწარმოებდეს პროკურორის ან მისი თანაშემწის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესით. თუმცა ეს არ გამორიცხავს გამოძიებლის მიერ მსგავსი წინასწარი შემოწმების ან პირველადი მასალის შევსების ჩატარების შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ის ამას აკეთებს თავისი ინიციატივით და იმ მასალებისა და სიგნალების საფუძველზე, რომლებიც გამომძიებელმა უშუალოდ მიიღო.

პროკურორთან ან მის თანაშემწესთან შესულ მასალაზე მსგავს წინასწარ შემოწმებათა ან პირველადი მასალების შევსების გამომძიებლისათვის დავალება სწორი არ არის და მოწმობს პროკურორის მიერ გამომძიებლის როლისა და დანიშნულების გაუგებლობას.

წინასწარი შემოწმება ან პირველადი მასალის შევსება არ შეიძლება სწარმოებდეს ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების შესრულების გზით; შემოწმება უნდა განისაზღვროს მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების გამორკვევით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს ამ დანაშაულის დამტკიცებულობის და მის ჩადენაში დამნაშავეპირთა საკითხს, რადგან ეს დადგენილ უნდა იქნას მხოლოდ წინასწარი გამოძიების შედეგად.

ზოგ ადგილას პროკურატურის ორგანოების მიერ ჩატარებულ წინასწარ შემოწმებას უწოდებენ „გამოძიებამდე შემოწმებას“, ამასთან ზოგჯერ ასეთი შემოწმება სწარმოებს საგამომძიებლო მოქმედებათა გზით. იმდენად რამდენადაც მსგავსი „გამოძიებამდე შემოწმებანი“ კანონის საწინააღმდეგოა და სხვა არა არის რა, თუ არა გამოძიების ყველაზე ცუდი სუროგატი, ისინი კატეგორიულად აკრძალულია სსრ კავშირის პროკურორის მიერ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხმარებიდან ამოღებულ იქნას თვით ტერმინი „გამოძიებამდე შემოწმება“.

აუცილებელ შემთხვევებში, განსაკუთრებით თანამდებობრივ ან სამეურნეო დანაშაულთა მიმართ, პროკურორმა პირველადი მასალა უნდა შეავსოს ან შეამოწმოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვიტოს საკითხი: საჭიროა თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ცალკეულ შემთხვევებში მასალის ასეთი შევსება შეუძლია გამომძიებელსაც, როცა ის შეხვდება ამა თუ იმ ფაქტს, ანდა როცა ის უშუალოდ მიიღებს მასალას, რომელიც შეიცავს ზოგიერთ მითითებას ისეთი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე, რაც მოითხოვს წინასწარი გამოძიების ჩატარებას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისადმი განსაკუთრებით გულდასმითი მიდგომის მოთხოვნიდან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს მეორე დასკვნაც: პროკურორმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასცეს გამომძიებელს ან გამოკვლევის სხვა ორგანოებს ისეთი მასალა, რომელშიც არ არის მითითება კონკრეტულ დანაშაულზე.

ასე, მაგალითად, მიიღებს რა აქტს სოფლის კოოპერატივის მაღაზიაში ფასეულებათა დანაკლისის შესახებ და ჰპოვებს რა, რომ ეს აქტი არ აკმაყოფილებს წარდგენილ მოთხოვნებს, არადამაჯერებელია და შეიცავს მთელ რიგ წინააღმდეგობებს, რომ აქტთან ერთად წარმოდგენილი არ არის უწყეულ ფასეულებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ახსნა-განმარტება,—პროკურორი მოვალეა სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირიდან მოითხოვოს დამატებითი საჩრევიზიო მასალა, რომელიც გამორიცხავს წინააღმდეგობას და უსრულობას. ამასთან ერთად პროკურორმა უნდა მიიღოს ზომები მატერიალურად პასუხისმგებელ პირთაგან მათთვის გამოვლინებული დანაკლისის შესახებ არსებითი ახსნა-განმარტების მისაღებად.

მიიღებს რა შეტყობინებას რომელიმე დაწესებულებიდან საწყობში ან სავაჭრო წერტში (მაღაზიაში, ფარდულში) დანაკლისის შესახებ, და ჰპოვებს რა, რომ ეს შეტყობინება ჯერ კიდევ არ შეიცავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო მონაცემებს, პროკურორმა უნდა მოითხოვოს რევიზიის აქტის ან ამ სავაჭრო წერტის ინვენტარიზაციის

აქტის, აგრეთვე სხვა მასალის წარდგენა, რომლებიც შესაძლებელს გახდის დადგენილ იქნას დანაშაულის ნიშნების არსებობა და, მაშასადამე, საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

მიიღებს რა გაზეთის შენიშვნას წარმოების მიერ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შესახებ, პროკურორმა წარმოებისგან უნდა მოითხოვოს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები (ფაქტურები, ზედნადებები, ანგარიშები, რეკლამაციები) და მხოლოდ ამ მასალის მიღების შემდეგ გადასწყვიტოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საფუძვლის არსებობის შესახებ.

მიიღებს რა განცხადებას იმის შესახებ, რომ საავადმყოფოში სამკურნალოდ მყოფი ავადმყოფი გარდაიცვალა არასწორი მკურნალობის შედეგად, პროკურორმა უნდა გამოითხოვოს გარდაცვლილის ავადმყოფობის ისტორია და გაკვეთის აქტი და, როგორც წესი, მიიღოს ამ დოკუმენტებზე სპეციალისტის დასკვნა. სისხლის სამართლის საქმე ამ შემთხვევაში შეიძლება აღძრულ იქნას სპეციალისტის იმ დასკვნის არსებობისას, რომ ავადმყოფის მკურნალობა არასწორად სწარმოებდა. რა თქმა უნდა, სრული სიცხადის შემთხვევაში საკითხი შეიძლება გადაწყდეს სპეციალისტის დასკვნის გარეშეც.

სავაჭრო ორგანიზაციაში დანაკლისის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტისას პროკურორს უნდა ახსოვდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 9 ოქტომბრის დადგენილება, რომლის თანახმად, „წვრილმანი დანაკლისის შემთხვევაში, რაც ამ მუშაკს შეემთხვა პირველად, ამასთანავე გამოუცდელობის, გადაყოლების ან მუშაკის სხვა, სისხლის სამართლის დანაშაულის არშემცველი მოქმედების შედეგად, შეიძლება დამნაშავეს სავაჭრო საწარმოს ადმინისტრაციამ დაადოს სადისციპლინო სასჯელი საწარმოს მიერ ნახული ზარალის ანაზღაურებით საერთო სამოქალაქო წესით“.

წინასწარი შემოწმების მეთოდები

პირველადი მასალის წინასწარი შემოწმების მეთოდები შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს.

მაგალითად, ერთმა გამომძიებელმა მიიღო სიგნალი, რომ

სავაჭრო ორგანიზაციის ბაზაში სწარმოებს პროდუქტების მტაცებლობა, რომელთა ნაჭარბი ჩნდება ამ ბაზიდან პროდუქტების მიმღები სავაჭრო წერტების წარმომადგენელთა ზომა-წონაში, თვლაში და სხვაგვარად მოტყუების შედეგად და, აგრეთვე, ცალკეული სავაჭრო წერტების წარმომადგენლებთან ბაზის გამგის დანაშაულებრივ კავშირის შედეგად.

წინასწარ შემოწმებას რომ შეუდგა, გამომძიებელი ამ შემთხვევაში არ წავიდა მოულოდნელი რევიზიის დანიშვნის ჩვეულებრივი გზით, მან დაუცადა საწყობიდან პროდუქტების მასობრივად გაცემის უახლოეს დღეს და ამ დღის ბოლოს ბაზაში მოაწყო პროდუქტების ნატურალური ნაშთების აღრიცხვა; ამასთან ბაზის გამგე გამომძიებლის მითითებით ამის შესახებ გაფრთხილებული იყო რევიზიის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე. გამომძიებლის ანგარიში სწორი აღმოჩნდა. ჩვეულებრივი გზით ჩატარებული, ბაზის გამგის მიერ წარმოდგენილი და წიგნების ჩანაწერებთან შედარებული ნატურალური ნაშთების აღრიცხვის შედეგად გამოვლინებული არ ყოფილა არც ნაჭარბი და არც დანაკლისი. ამ გარემოების აქტში აღნიშვნის შემდეგ კომისიამ, გამომძიებლის წინადადებით, გულდასმით დაათვალიერა ბაზის ყველა სადგომი და გამოავლინა ინვენტარიზაციისაგან გადამალული პროდუქტების დიდი რაოდენობა. ეს პროდუქტები ნაჭარბი აღმოჩნდა ბაზის გამგის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და უკანასკნელს ბაზის სხვადასხვა სადგომში გადაემალა მომავალი რევიზიის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, რადგან მას დრო არ ჰქონოდა ზედმეტი პროდუქტები ბაზიდან გაეტანა. ამგვარად მოწყობილმა წინასწარმა შემოწმებამ შესაძლებელი გახადა სისხლის სამართლის საქმის იმავე დღეს აღძვრა და წინასწარი გამოძიების დაწყება, რამაც გამოავლინა დიდი მტაცებლობა.

წინასწარი მასალის შემოწმება ან შევსება უნდა სწარმოებდეს არა უმეტეს ვიდრე ერთი-ორი დღის განმავლობაში.

მტკიცედ უნდა იქნას შეთვისებული, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მხოლოდ ისეთი მონაცემების მიღება, რომლებიც შესაძლებელს

გახდიან სწორად იქნას გადაწყვეტილი საკითხი იმგვარი დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ, რომელიც მოითხოვს წინასწარ გამოძიებას და წინასწარი გამოძიების ჩატარების საჭიროებას. დამამტკიცებელი საბუთების შეკრება კი წინასწარი გამოძიების ამოცანაა.

სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა პროკურორი, პირველადს მასალაში გაურკვევლად, საჭირო შემთხვევებში ამ მასალის შემოწმებისა და შევსების გარეშე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მოტივირებული დადგენილების შედგენის ნაცვლად მასალას გადასცემს გამომძიებელს ტრაფარეტული რეზოლუციით: „გამოსაძიებლად".

სსრ კავშირის პროკურორს არაერთხელ გაუცია განკარგულება: „არ იქნას დაშვებული პროკურორის მიერ მიღებული მასალების გამომძიებელზე მექანიკურად გადაცემა ტრაფარეტული რეზოლუციით: „გამოსაძიებლად".

პროკურორს შეუძლია მასალა გამომძიებელს გადასცეს მხოლოდ მაშინ, როცა მიღებული ან მის მიერ შევსებული მასალა შეიცავს საკმაოდ ნათელ მითითებას დანაშაულის კონკრეტულ ფაქტებზე. ამ შემთხვევაში პროკურორი ან თვითონ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს თავისი მოტივირებული დადგენილებით და გამომძიებელს გადასცემს გამოსაკვლევად, ანდა წერილობითი განკარგულებით (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 91 მუხ. 4 პ.) წინადადებას მისცემს გამომძიებელს აღძრას სისხლის სამართლის საქმე და შეუდგეს წინასწარი გამოძიების წარმოებას.

სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრის დაუშვებლობა

სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძრა იწვევს ადამიანების ამაო და ყოვლად ფუჭ შეწუხებას, მოქალაქეთა უფლებების დარღვევას და შევიწროებას, გამომძიებლის ან გამოკვლევის სხვა ორგანოს მიერ დროის უბრალოდ დაკარგვას, რომ აღარაფერი ვთქვათ სახსრების უსარგებლოდ ხარჯვაზე.

საგანგაშო სიგნალს, რომელიც მოწმობს სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრას, წარმოადგენს გამოძიების

სტადიაში მოსპობილ საქმეთა პროცენტის ზრდა. რა თქმა უნდა, შემცდარი იქნება რაიმე დასკვნის გაკეთება მარტოოდენ სტატისტიკური მაჩვენებლის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრის შესახებ დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამათუიმ გამომძიებელთან ან ამათუიმ რაიონში მოსპობილი ყველა საქმის შესწავლის საფუძველზე.

უნდა მივაღწიოთ გამოძიების სტადიაში მოსპობილ საქმეთა პროცენტის მაქსიმალურად შემცირებას, უზრუნველვყოთ სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრის შესაძლებლობის აღკვეთა და გამოძიების ხარისხის ამაღლება. მაგრამ არასწორია იმ ამოცანის დასახვა, რომ გამომძიებელს არ ჰქონდეს არც ერთი მოსპობილი საქმე. ცალკეული მოსპობილი საქმე შესაძლოა სწორად იყო აღძრული, მასზე ჩატარებული იყო კარგი გამოძიება, რომელმაც გამოავლინა საქმის მოსპობის აუცილებლობა. კერძოდ, ამას მიეკუთვნება საქმეები თვითმკვლელობათა შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტში იყო საეჭვო საფუძველი, რომ მკვლელობის ან საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 150 მუხ. გათვალისწინებულ თვითმკვლელობამდე მიყვანის ეჭვი გვქონდა.

პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრა ამისათვის პასუხისმგებლობას არც გამომძიებელს ხსნის იმ შემთხვევაში, როცა მან ასეთი საქმე მიიღო თავის წარმოებაში და გამოძიების წარმოებას შეუდგა ისე, რომ პროკურორის არასწორი მოქმედება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ ზემდგომ პროკურორთან არ გაასაჩივრა.

პირობები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ, საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4 და 4[1] მუხლის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღძრულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

1) ბრალდებულის სიკვდილისას;

2) ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგებისას კერძო ბრალდების საქმეებზე;

3) დაზარალებულის საჩივრის უქონლობისას კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე;

4) ხანდაზმულობის განვლისას;

5) ბრალდებულის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობისას;

6) ამნისტიის აქტის გამოცემისას, რომელიც გამორიცხავს ბრალდებულის მ იერ ჩანადენის დასჯადობას;

7) დანაშაულებრივი ფაქტის მცირე მნიშვნელოვნებისას და მავნე შედეგების უქონლობისას.

საპროცესო გაფორმება

პროკურორის ან გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საპროცესო გაფორმება უნდა სწარმოებდეს სპეციალური მოტივირებული დადგენილების შედგენის გზით.

სსრ კავშირის პროკურორის 1937 წ. 26 თებერვლის № 10/1 ცირკულარით დაწესებულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების შემდეგი ტიპიური ფორმა:

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ

. 194 წ. . . . . " ქ. .

. . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . რაიონის

პროკურორი . . . . (საკლასო ხარისხია) . . . . (გვარი)

გავეცანი რა მასალას, შემდგარს . . . მიღებულს .

. . . . . საგან 194 წ. . . . . " . " და მივიღე რა

მხედველობაში, რომ აღნიშნული მასალიდან სჩანს

. . . .

(პირველადი მასალის ანალიზი და დანაშაულის ნიშნების არსებობის და-

. . . . . .

საბუთება, იმის მითითებით, თუ რა დანაშაულია ჩადენილი)

ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ სისხლის სამ. საპ. კოდ. 91 და 96 მ.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

აღნიშნულ გარემოებათა გამო აღიძრას სისხლის სამართლის საქმე . . . . . შესახებ სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. ნიშნებით და სისხ. სამ. საპრ. კოდ. . . . . მუხ. მუხ. შესაბამისად გამოძიება მიენდოს . . . . . .

პროკურორი . . . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ეს ტიპიური ფორმა განკუთვნილია პროკურორისათვის, რამდენადაც ძირითადად ის უნდა სწყვეტდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხს.

სისხლის სამართლის საქმის უშუალოდ გამომძიებლის მიერ აღძვრის შემთხვევაში რეკომენდებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გაერთიანება ერთ დოკუმენტში, გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილებასთან ერთად.

ასეთი გაერთიანებული დადგენილება შედგენილ უნდა იქნას შემდეგი ტიპიური ფორმით:

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საქმის წარმოებაში მიღების შესახებ

194 წ. . . . . „ . . . . . " ქ.

. . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელი (საკლასო ხარისხი) . . . . . (გვარი), გავეცანი რა მასალას შემდგარს . . . . . საგან . . . . . მიღებულს . . . . . საგან, № . . . . 194 წ. . . . . „ . . . . " და მივიღე რა მხედველობაში, რომ მიღებული მასალიდან სჩანს . . . . . .

(პირველადი მასალის ანალიზი, დანაშაულის ნიშნებისა

. . .

და საგამომძიებლო ქმედებარეობის დასაბუთება)

. . . . . .

საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ, 91 მუხ. 96 მუხ. 3 პუნ. და დრ. წეს. 9 მუხ. საფუძველზე

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

აღნიშნულ გარემოებათა გამო აღიძრას სისხლის სამართლის საქმე . . . . . შესახებ სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. ნიშნებით, საქმე მივიღო ჩემს წარმოებაში და შეუდგე გამოძიებას.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

საქმის წარმოებაში მიღება

იმ შემთხვევაში, როცა პირველადი მასალები გადაცემული იყო გამომძიებელზე პროკურორის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, გამომძიებელმა, ვიდრე წინასწარი გამოძიების წარმოებას შეუდგებოდეს, უნდა შეადგინოს განსაკუთრებული დადგენილება საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ. ეს დადგენილება წარმოადგენს წინასწარი გამოძიების პირველდაწყებით აქტს.

ასეთივე დადგენილება უნდა შეადგინოს გამომძიებელმა, სხვა გამომძიებლის ან გამოკვლევის სხვა ორგანოს მიერ უკვე დაწყებული საგამომძიებლო საქმის მის მიერ შემდგომი წინასწარი გამოძიების წარმოებისათვის მიღებისას.

არ შეიძლება საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილების არევა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილებასთან. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება შესდგეს თვითეულ საქმეზე მხოლოდ ერთხელ და ისიც გამოძიების დაწყებამდე; დადგენილება კი საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ შესდგება ყველა ცალკე შემთხვევაში, როცა საქმე ერთი საგამოკვლევო ორგანოდან გადაეცემა მეორეს, ან თუნდაც ერთი გამომძიებლისაგან მეორეს.

დადგენილება საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ შედგენილ უნდა იქნას შემდეგი ფორმით:

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

194 წ. . „ . . „ ქალ. . . . . ოლქის, ... რაიონის პროკურატურის გამომძიებელი . . . . . (საკლასო ხარისხი) . . (გვარი), გავეცანი რა საქმის

(საქმის დასახელება) მასალას, მიღებულს . . . . . .
(მითითება ვისგან არის მიღებული) . . . . . .და მივიღე რა მხედ-
ველობაში . . . . . (გამომძიებლის მიერ საქმის თავის
წარმოებაში მიღების მოტივირება), დროებითი წესების 9 მუხ. საფუძველზე

დავადგინე:

საქმე № . . . . . (საქმის დასახელება) მივიღო ჩემს
წარმოებაში და შევუდგე გამოძიებას.

სახალხო გამომძიებელი . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

საქმეს თავის წარმოებაში რომ მიიღებს, გამომძიებელმა ზემდგომი პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებაში უნდა გადაგზავნოს შეტყობინება შემდეგი ფორმით:

. . . . . ოლქის, (რესპუბლიკის) . . პრო-
კურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს

შეტყობინება გამოძიების დაწყების შესახებ

დღეს, 194 წ. . . . . „ . " ჩემს მიერ . . (თანამდე-
ბობა და გვარი) მიღებულია წარმოებაში საქმე . . . . . შესახებ
(საქმის არსის გადმოცემა) სისხ. სამ. კოდ. . . მუხ. ნიშნებით.

მასალა შემოვიდა პროკურატურაში 194 წ. „ . . "
საქმე აღძრულია 194 წ. . . . „ " . (ვის მიერ)
. . . . . ით (რა მასალით და ვისი ინიციატივით)
. . . . . .

საქმეზე დაპატიმრებულნი არიან: . . . . . .
საქმე აღრიცხულია № . . . . -ით და წინასწარი მონაცემებით დამ-
თავრებულ იქნება 194 წ. . „ " თვის.

სახალხო გამომძიებელი . . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმა

იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი ან გამომძიებელი მასთან სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად მიღებული მასალის გაცნობით იმ დასკვნამდე მივა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საფუძველი არ არსებობს, საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 95 მუხ. შესაბამისად მან უარი უნდა სთქვას სისხ. სამართლის საქმის აღძვრაზე და გამოძიების წარმოებაზე. უარის თქმა გაფორმდება მოტივირებული დადგენილებით ქვე-

ᲛᲝᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ, ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲮᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲮᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲮᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲦᲫᲕᲠᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲮᲔᲑ

194 წ. . . . . „ ქალ. . . . . .
ოლქის, . . რაიონის პროკურორი
. . . . . (საკლასო ხარისხი) . . . . . .
(გვარი), გავეცანი მასალას, შემდგარს . . .
მიღებულს . . საგან № . . . -ით, 194 წ. .
. “, და მივიღე რა მხედველობაში, რომ
. . . . . .
(სისხლის სამართლის აღძვრაზე უარის თქმის ძირითადი მოტივების გადმოცემა, პირველადი მასალის სავალდებულო ანალიზით), ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 95 მუხ.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ზემოთ მოყვანილი საფუძვლების გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი ეთქვას, რაც ეცნობოს . . . . . .
პ რ ო კ უ რ ო რ ი . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲐᲦᲫᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘ

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ იმ საქმეთა ცალკეულ კატეგორიებზე, რომელთა აღძვრისათვის დადგენილია განსაკუთრებული წესი.

წინასწარ შემოწმებას და პირველადი მასალების შევსებას ამგვარ საქმეებზე უნდა აწარმოებდეს მხოლოდ პროკურორი ან მისი თანაშემწე და არა გამომძიებელი.

ამ კატეგორიებს მიეკუთვნება შემდეგი საქმეები:

ა) საქმეები, რაც აღძრული უნდა იქნას სოფლის აქტივის მუშაკთა, სახელდობრ: კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებისა და წევრების, ბრიგადირების, სასაქონლო ფერმების გამგეების, სარეკიზიო კომისიების თავმჯდომარეების და, აგრეთვე, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და წევრების მიმართ მათ ბრალდებაზე თანამდებობრივ დანაშაულებათა ჩადენაში.

ყველა მიღებული, შევსებული და შემოწმებული ამგვარი მასალა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საჭიროდ ცნობის შემთხვევაში რაიონის პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ თავის დადგენილებასთან ერთად უნდა გაგზავნოს ოლქის, მხარის ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების დასამტკიცებლად.

გამომძიებელს შეუძლია ასეთი საქმე თავის წარმოებაში მიიღოს მხოლოდ ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის) პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების დამტკიცების შემდეგ.

ბ) საქმეები, გათვალისწინებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 ივლისის ბრძანებულებით „სამრეწველო საწარმოების მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და სავალდებულო სტანდარტების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 143[2] მუხ).

სსრ კავშირის პროკურორის და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1940 წ. 13 ივლისის № 80/129 ბრძანებით დაწესებულია ამ დანაშაულთა შესახებ საქმეების აღძვრის შემდეგი წესი:

„სანქციას საქმეების აღძვრაზე სამრეწველო საწარმოთა დირექტორების, მთავარი ინჟინრებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების წინააღმდეგ, აძლევენ:

რაიონული დაქვემდებარების (მნიშვნელობის) საწარმოთა მიმართ—რაიონის პროკურორი; საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების (მნიშვნელობის) საწარმოთა მიმართ—საოლქო (სამხარეო) პროკურორი; რესპუბლიკური დაქვემდებარების (მნიშვნელობის) საწარმოთა მიმართ—რესპუბლიკის პროკურორი; საკავშირო დაქვემდებარების (მნიშვნელობის) საწარმოთა—სსრ კავშირის პროკურორი; რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოთა მიმართ—რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის შესაბამისი მთავარი პროკურორები.

ამგვარი საქმის თავის წარმოებაში მიღებისას გამომძიებელი მოვალეა შეამოწმოს შესაბამისი პროკურორის სანქციის არსებობა.

1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით საქმეთა აღძვრისა და გამოძიების განსაკუთრებული წესი

სსრ კავშირის პროკურორის 1944 წ. 6 ივლისის № 1/152 ინსტრუქციით შემოღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით საქმეთა აღძვრის განსაკუთრებული წესი.

ამ ინსტრუქციის შესაბამისად, პროკურორი, როცა წარმოების დირექტორისაგან მიიღებს მასალას დეზერტირობის შესახებ და მასში საკმაო საფუძველს ჰპოვებს სისხლის სამართლის დევნის აღძვრისათვის (დეზერტირობის ფაქტის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტების არსებობა), ასეთ მასალას დაუყოვნებლივ გადასცემს გამომძიებელს წერილობითი რეზოლუციით გამოძიების წარმოების შესახებ.

გამომძიებელი, მიიღებს რა ამ მასალას, აღრიცხავს მას განსაკუთრებულ სამაგიდო რეესტრში, რომელიც შემოღებულია მარტოოდენ ამ კატეგორიის საქმეებისათვის, შეადგენს საგამომძიებლო საქმეს და შეუდგება გამოძიების წარმოებას ზემოთ მოყვანილი ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ დადგენილებათა შედგენა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, საქმის წარმოებაში მიღების შესახებ, ბრალდების წარდგენის შესახებ, საქმეზე დოკუმენტების დართვის შესახებ, აგრეთვე დროებითი წესების 57 მუხ. მოთხოვნის შესრულება და, ბოლოს, საბრალმდებლო დასკვნის შედგენა ამ კატეგორიის საქმეებზე საჭირო არ არის.

ამგვარ საქმეზე გამოკვლევის დამთავრებისას გამომძიებელმა საქმის სამხედრო ტრიბუნალში გაგზავნის შემთხვევაში უნდა შეადგინოს დადგენილება (იხ. თავი „საბრალმდებლო დასკვნა“). ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამომძიებელი ადგენს ან დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის მოსპობის შესახებ, ან დადგენილებას საქმის შეჩერების შესახებ (იხ. ამ სახელმძღვანელოს IV განაყოფის მე-9 და მე-10 თავები).

კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები

სხვაგვარი წესია შემოღებული კერძო და კერძო-საჯარო საქმეთა აღძვრისათვის.

კერძო ბრალდების საქმეებს რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ.

10 მუხ. თანახმად მიეკუთვნება საქმეები: 155 მუხ. (სხეულის განზრახი მსუბუქი დაზიანება) 158 მუხ. 1 ნაწ. (განზრახ გარტყმა, ცემა ან სხვა ძალადობა), 174 მუხ. (შეურაცხყოფა სიტყვიერად ან მოქმედებით), 175 მუხ. (შეურაცხყოფა გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭედითი ნაწარმოებით ან გამოსახულებით), 176 მუხ. (ცილისწამება) [1] გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ.

კერძო ბრალდების საქმეები შეიძლება აღძრულ იქნას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და მოსპობას ექვემდებარება დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში. თუმცა, უკეთუ პროკურატურა საჭიროდ სცნობს ამგვარ საქმეში ჩარევას საჯარო ინტერესის დასაცავად, საქმე აღარ ექვემდებარება მოსპობას დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგებით.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებს საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 11 მუხ. თანახმად მიეკუთვნება საქმეები: სისხ. სამ. კოდ. 170 მუხ. 1 ნაწ. (გაუპატიურება), 196 მუხ. (პლაგიატი), 197 მუხ. (სხვისი სასაქონლო საფაბრიკო ან სახელოსნო ნიშნისა, ნახატისა, მოდელისა და სხვისი ფორმის ან სახელწოდების თვითნებურად გამოყენება) გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები შეიძლება აღძრულ იქნას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. ამის შესაბამისად, ამგვარ საქმეთა აღძვრის საბაბი შეიძლება იყოს მხოლოდ დაზარალებულის საჩივარი, თუმცა, კერძო ბრალდების საქმეებისაგან განსხვავებით, ამგვარი საქმეები არ შეიძლება მოსპობილ იქნას მხარეთა შერიგებით. გაუპატიურების შესახებ საქმეებზე სავალდებულოა წინასწარი გამოძიების ჩატარება.

---

[1] ჩამოთვლა აქ მოყვანილია რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 10 მუხ. შესაბამისად, ხოლო საქ. სსრ-ში სამოქმედოდ ძალაშია საქ. სსრ სისხლის სამ. საპრ. კოდ. მე-10 მუხლით მოცემული ჩამოთვლა.

2. წინასწარი გამოძიების ძირითადი პრინციპები

ზოგადი დებულებანი

წინასწარი გამოძიების სტადიაში გამომძიებელი ვალდებულია გამოარკვიოს დანაშაულის ყველა გარემოება, შეკრიბოს და შეამოწმოს ყველა აუცილებელი დამამტკიცებელი საბუთი, გამოავლინოს დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ყველა პირი, მისცეს ყველა დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მიიღოს ზომები იმ მიზეზების აღსაკვეთად, რომელთაც ხელი შეუწყეს ან შესაძლებელი გახადეს ამ დანაშაულის ჩადენა.

გამომძიებლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ჭეშმარიტების დადგენა, დამნაშავეთა გამოვლინება და მხილება.

თავის დროზე ამხ. ვიშინსკიმ, გამომძიებლების სასწავლო-მეთოდურ კონფერენციაზე (1936 წ.) გამოსვლისას, აღნიშნა ზოგიერთი პროკურორისა და გამომძიებლის საშიში განწყობილება, რაც გამოიხატება მათ მისწრაფებაში — რადაც უნდა დაუჯდეთ დაამთავრონ საქმე საბრალმდებლო დასკვნით. „ჩვენი ამხანაგების ფსიქოლოგიის მიხედვით, საქმის ხარისხს განსაზღვრავს საბრალმდებლო დასკვნა. საჭიროა ბოლო მოვუღოთ ამ ძველებურ მიდგომას და ცრურწმენას. გამოძიება იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ზეიმობდეს ჭეშმარიტება, რადაც უნდა დაჯდეს. ასე მეფის პროკურორებს აფასებდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენი დაამტკიცეს მათ საბრალმდებლო აქტები. ჩვენ ეს არ შეგვშვენის. თქვენ სოციალისტური სახელმწიფოს, სოციალიზმის დიადი ქვეყნის პროკურორები ხართ, ობიექტიურობა და ჭეშმარიტება გამოძიებაში ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოთ“.

ამ მოთხოვნათა შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ წინასწარი გამოძიების ძირითადი პრინციპების: ობიექტიურობის, ყოველმხრივობის, სისრულის, სისწრაფის, აქტიურობის (ინიციატიურობის) აუცილებლად დაცვით.

გამოკვლევის ობიექტიურობა და ყოველმხრივობა

წინასწარი გამოძიების ობიექტიურობა და ყოველმხრივობა გამოიხატება ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, როგორც მისი პასუხისმგებლობის შინაარსისა

და ხასიათის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი ყველა გარემოების გამოკვლევითა და შესწავლით. ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია კანონით (დრ. წესების 11 და 17 მუხ.) გარდა აღნიშნულისა, წინასწარი გამოძიების ყოველმხრივობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა შესაძლებელი ვერსიის გულდასმით გამოკვლევა. ამ პრინციპის დაცვა იმას ნიშნავს, რომ გამომძიებელი გამოკვლევის წარმოებისას ერთსა და იმავე დროს ვალდებულია ახორციელებდეს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციებს. წინასწარი გამოძიების მხოლოდ სრული ობიექტიურობისა და ყოველმხრივობის პირობებში შეიძლება მომზადდეს კეთილხარისხოვანი მასალა სასამართლო განხილვისათვის და სწორედ ამით უზრუნველყოფილ იქნას ჭეშმარიტების დადგენა.

ცალკეული გამომძიებლების მუშაობის პრაქტიკაში დღესაც შეხვდებით საბრალმდებლო განხრას წინასწარი გამოძიებისას. ასეთი საბრალმდებლო განხრა .საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპების უხეში დარღვევაა. ასეთ განხრას სერიოზული ზიანი მოაქვს და ზოგჯერ სრულიად უდანაშაულო ადამიანების სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სამართალში მიცემამდე მივყევართ. წინასწარი გამოძიების ამ ძირითადი პრინციპის დარღვევა ხშირად იმაში მდგომარეობს, რომ გამომძიებელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბრალდებულის ახსნა-განმარტებას, განსაკუთრებით კი ისეთ განმარტებას, რომლის დადასტურებასაც შეუძლია შეარყიოს წარდგენილი ბრალდების სიმტკიცე. უფრო ხშირად გამომძიებლები აგროვებენ მარტოოდენ ბრალდებულის ბრალის დამამძიმებელ დამამტკიცებელ საბუთებს და არ სურთ გამოავლინონ და შეამოწმონ ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი. ასეთი გამომძიებლები შეცდომით სთვლიან, რომ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა შეკრება შეადგენს დამცველის ამოცანას საქმის სასამართლოში განხილვისას. ასეთ შემცდარ შეხედულებას ყველაზე ხშირად მივყევართ პერსპექტივის დამახინჯებამდე, საქმის ჭეშმარიტ გარემოებათა დაჩრდილვამდე, ბრალეულობის ან ბრალდების კვალიფიკაციის შესახებ გამოძიების არასწორ დასკვნამდე.

გამოკვლევის ობიექტიურობისა და ყოველმხრივობის დაცვა ნიშნავს გამოკვლევაში საბრალდებო განხრის, წინასწარ

აკვიატებული აზრის, ცალმხრივობის დაუშვებლობას, სტალინური კონსტიტუციით გარანტირებული უფლების — ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევის დაუშვებლობას.

გამოკვლევის ყოველმხრივობის პრინციპის დარღვევა მთელ რიგ შემთხვევებში იმითაც გამოიხატება, რომ გამომძიებელი კმაყოფილდება ერთი რომელიმე ვერსიით და გვერდს უვლის სხვა შესაძლებელი ვერსიების დამადასტურებელ ან უარმყოფელ დამამტკიცებელ საბუთებს.

გამოკვლევის ამ პრინციპის ასეთ დარღვევას, რაც მჭიდროდ გადახლართულია წინასწარ აკვიატებულ აზრთან და ცალმხრივობასთან, მივყევართ ყველაზე უარყოფით შედეგებთან.

გამოკვლევის ობიექტიურობისა და ყოველმხრივობის მოთხოვნა მჭიდროდ დაკავშირებულია გამოკვლევის სისრულის პრინციპის დაცვის მოთხოვნასთან.

გამოკვლევის სისრულე

გამოკვლევის სისრულე მდგომარეობს წინასწარი გამოძიების ისეთ წარმართვაში, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია დროებითი წესების მე-11 მუხლში. გამოკვლევის მოცულობა უნდა განსაზღვროს გამომძიებელმა, რომელიც ამ გამოკვლევას აწარმოებს.

გამოკვლევა შეიძლება ცნობილ იქნას სრულად მხოლოდ მაშინ, როცა გამორკვეული და გამოძიებულია საქმის ყველა გარემოება, როცა გადაწყვეტილი და აცილებულია ყველა წამოჭრილი ეჭვი და წინააღმდეგობა, გამორკვეულია ჩადენილი დანაშაულის სრული სურათი და დანაშაულის ჩადენაში თვითეული ბრალდებულის როლი და მონაწილეობის ხარისხი.

გამოკვლევის სისრულე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ამა თუ იმ გარემოებაზე. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება არასრული იქნება, თუ არა გვაქვს პასუხი ცნობილ რომაული შვიდწევრიანი ფორმულის კითხვებზე: რა, ვინ, სად, როდის, რისთვის, როგორ, რით.

1. **რა** — ე. ი. სახელდობრ როგორი დანაშაულია ჩადენილი. ამ საკითხის სრულად და გულდასმით გამოკვლევა სავალდებულოა არა მარტო დანაშაულის შემადგენლობის, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და სოციალურად საშიში ხასიათის დადგენის მიზნით, არამედ იმ საკითხის გადაწყვეტის მიზნითაც, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ ადგილი აქვს თუ არა დანაშაულს.

სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაში, დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო საქმეთა მოსპობისა და გამამართლებელი განაჩენების გამოტანის შემთხვევები წარმოადგენს გამოკვლევის სისრულის პრინციპის დარღვევისა და ამ პირველი საკითხის გამორკვევის უგულებელყოფის შედეგს.

2. **ვინ** — ე. ი. ვინ ჩაიდინა დანაშაული. გამოკვლევის სისრულის თვალსაზრისით, ამ საკითხის გადაწყვეტა ნიშნავს არა მარტო დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის გამოვლინებას და თვითეული მათგანის როლის დადგენას, არამედ მათი პიროვნების გულდასმით გამოკვლევასაც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სწორად გადავწყვიტოთ მთელი რიგი შემდგომი საკითხები.

საგამომძიებლო პრაქტიკის ყველაზე უფრო ხშირი შეცდომა ამ ნაწილში არის ბრალდებულთა პიროვნების არასაკმაოდ გამორკვევა და, აგრეთვე, ჯგუფურ საქმეებზე ჩადენილ დანაშაულში თვითეული ბრალდებულის როლისა და მონაწილეობის ხარისხის არასაკმაოდ შესწავლა.

3. **სად** — ე. ი. სად, რომელ ადგილზეა ჩადენილი დანაშაული. ამ საკითხის გამორკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოველ საქმეში, იმდენად რამდენადაც სხვა საკითხების გამორკვევასთან დაკავშირებით ის უზრუნველჰყოფს ჩადენილი დანაშაულის სრული სურათის დადგენას.

გარდა ამისა, ამ საკითხის გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საგამომძიებლო და სასამართლო ქვემდებარეობის სწორად განსაზღვრისათვის.

4. **როდის** — ე. ი. დანაშაულის ჩადენის დრო. ყოველ საქმეში აუცილებელია დანაშაულის ჩადენის დროის ზუსტად დადგენა. ზოგიერთ საქმეში მნიშვნელობა აქვს დანაშაულის

ჩადენის დღის, საათის და ზოგჯერ წამის დადგენასაც კი; ზოგ საქმეში დაზუსტებულ უნდა იქნას დანაშაულის ჩადენის მთელი პერიოდი, რომელიც ხშირად მოიცავს კვირეებს, თვეებსა და წლებსაც კი.

მთელ რიგ შემთხვევებში ამ საკითხის გამოურკვევლობით გამოწვეული გამოკვლევის უსრულობის შედეგია საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება და გამამართლებელი განაჩენების გამოტანაც კი. გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ რიგ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის ზუსტად დადგენა აუცილებელია ბრალდებულის მიერ წამოყენებული ალიბის მტკიცების შეფასებისათვის (ე. ი. ბრალდებულის მიერ იმის მტკიცების შეფასებისათვის, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს სხვა ადგილას იმყოფებოდა).

5. **რისთვის** — ე. ი. რა მიზნით, რა მოტივებით არის ჩადენილი დანაშაული. საერთოდ ცხადია ამ საკითხის გულდასმით გამოკვლევისა და შესწავლის სერიოზული მნიშვნელობა. დანაშაულის ჩადენის მოტივზე, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მისი კვალიფიკაციისა და ბრალდებულის პასუხისმგებლობის სიმძიმის განსაზღვრა.

მიუხედავათ ამისა საგამომძიებლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც გამომძიებელი გამოძიებას ამთავრებს ჩადენილი დანაშაულის მოტივებისა და მიზნების საკმაოდ დაუზუსტებლად. რასაკვირველია, ასეთი გამოკვლევა გამოძიების სისრულის პრინციპის უხეში დარღვევაა.

6. **როგორ** — ე. ი. რანაირად, რა სახით არის ჩადენილი დანაშაული. არსებითად ამ საკითხის გადაწყვეტა მდგომარეობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ვითარების, საერთო გარემოსა და დანაშაულის ჩადენის ფაქტიური მონაცემების გამორკვევაში. ამას მიეკუთვნება არა მხოლოდ გარემოებანი დანაშაულის ჩადენის მომზადებიდან მისი ჩადენის მომენტამდე, არამედ ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვასთან დაკავშირებული გარემოებანიც.

ყოველ კონკრეტულ საქმეს გააჩნია დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა გარემოება. ყველა შემთხვევაში ეს საკითხი საკმაოდ

სრულად გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ პირობებში, თუ საქმეში ნათლად დადგენილია ჩადენილი დანაშაულის მთელი სურათი, ყველა ფაქტიური გარემოება, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ მომხდარი შემთხვევის შესახებ გარკვეული მსჯელობა ვიქონიოთ.

7. **რით** — ე. ი. რა საშუალებით, რა იარაღის ან ხელსაწყოს დახმარებით იყო ჩადენილი დანაშაული. ამ საკითხის ამომწურავად გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, რადგან მისი სწორი გადაწყვეტა ხშირად აადვილებს დამნაშავეთა დადგენას და მთელ რიგ შემთხვევებში უზრუნველჰყოფს ჩადენილი დანაშაულის ყველაზე სწორ კვალიფიკაციას.

გამოკვლევის მეტი სისრულისა და ყოველმხრივობის გარანტირების მიზნით, კანონი (დრ. წესების მე-11 მუხ.) სპეციალურად ადგენს გამომძიებლის ვალდებულებას დააკმაყოფილოს ბრალდებულის ან დაზარალებულის შუამდგომლობანი მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვისა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების შეკრების შესახებ, უკეთუ საქმისათვის მნიშვნელობა ექნება იმ გარემოებებს, რომელთა გამორკვევის შესახებაც აღძრულია შუამდგომლობა.

გამოკვლევის სისწრაფე

გამოკვლევის ძირითადი პრინციპების—სისრულისა და ყოველმხრივობის აუცილებლად დაცვასთან ერთად, გამომძიებელი უნდა ზრუნავდეს დროის განსაკუთრებულ მომჭირნეობაზე, იცავდეს გამოკვლევის სისწრაფის მოთხოვნას. შესაძლო დამატებით საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულება საქმეზე უკვე გამორკვეულ გარემოებათა უფრო განმტკიცებისათვის, სრულიად ზედმეტი, არასაჭირო და მთელ რიგ შემთხვევებში მავნებელიც არის, რადგან ამით ჭიანურდება გამოკვლევა და ირღვევა გამოკვლევის სისწრაფის პრინციპი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკვლევის სისწრაფის პრინციპის დაცვას. გამოკვლევის მარტოოდენ სწრაფად ჩატარების პირობებში შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას

ყველაზე უფრო სრული და სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთების მიღება და საქმის სასამართლო განხილვის დროის დანაშაულის ჩადენის დროსთან დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულებასთან ბრძოლის წარმატებას.

აქედან გამომდინარეობს ცალკეულ საქმეებზე საგამომძიებლო ვადების რაც შეიძლება შემცირებისა და დაწესებული საგამომძიებლო ვადების აუცილებელი დაცვის მოთხოვნა.

გარკვეულ ნაწილში ამ პრინციპის დაცვას ხელს უწყობს გამომძიებლის მთელი მუშაობის სწორი ორგანიზაცია და, კერძოდ, გამოკვლევის წარმოების განუწყვეტლობა.

გამოკვლევის აქტივობა და ინიციატიურობა

გამოკვლევის ობიექტივობისა და ყოველმხრივობის დაცვისას გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს კლასობრივ მტერთან და მის აგენტურასთან, დანაშაულობის ყოველგვარ სახეობასთან და გამოვლინებასთან აქტიური და გადამწყვეტი ბრძოლის ორგანიზაცია და სისტემატური წარმოება. გამომძიებელი წინასწარი გამოძიების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

ყოველ გამომძიებელს მტკიცედ უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი პირდაპირი მოვალეობაა დანაშაულთა გახსნა, აღკვეთა, გამოკვლევა და წინასწარ აცილება, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე ყველა პირის გამოვლინება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მავნე შედეგების აცილება. გამოკვლევის აქტივობა და ინიციატიურობა აუცილებელი პირობებია გამოძიების ობიექტიურობის ყოველმხრივობის, სისრულისა და სისწრაფის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოთქმული გამომძიებელს ავალდებულებს გამოიჩინოს პრაქტიკულ საქმიანობაში მაქსიმალური კლასობრივი სიფხიზლე და დანაშაულის გახსნასა და მის ჩამდენ პირთა მხილებასა და დევნაში შეურიგებლობა და შეუპოვრობა.

გამომძიებელმა ისე უნდა წარმართოს წინასწარი გამოძიება, რომ გარკვეულ იქნას ყველა შესაძლებელი ვერსია, დანაშაულის ფაქტიური მხარე და ყველა გარემოება; ამავე დროს

იგი არ უნდა მოექცეს ბრალდებულის ან დაზარალებულის გავლენის ქვეშ. გამომძიებელმა გულისხმიერად უნდა მოისმინოს ბრალდებულისა და დაზარალებულის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი, ბეჯითად შეამოწმოს და გამოიკვლიოს ისინი. გამოკვლევის ობიექტიურობის, ყოველმხრივობის, სისრულისა და სისწრაფის პრინციპების დაცვასთან ერთად, გამომძიებელმა თავისი ხელიდან არ უნდა გაუშვას ინიციატივა.

გამოძიების საიდუმლოება

წინასწარი გამოძიების ყველა ძირითადი პრინციპის დაცვასთან ერთად, გამომძიებელმა უნდა უზრუნველჰყოს წინასწარი გამოძიების საიდუმლოება, ე. ი. გამოძიების მასალების გაუხმაურებლობა. ეს მოთხოვნა იმას არ ნიშნავს, რომ გამომძიებლის მთელ მუშაობას ჩაკეტილი, კაბინეტური ხასიათი მიეცეს. თავისი მუშაობის პროცესში გამომძიებელი უნდა იყოს ენერგიული, მოძრავი, იგი ყურს უნდა უგდებდეს საზოგადოების ხმას და მთელ რიგ შემთხვევებში ეყრდნობოდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, მუშაობდეს მათი მონაწილეობით. ამავე დროს გამომძიებელს უფლება არა აქვს გაახმაუროს გამოძიებით შეკრებილი მასალები, რამდენადაც ასეთ გახმაურებას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიების შემდგომ მსვლელობაზე, დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა მხილებაზე.

გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველჰყოს გამოძიების სრული საიდუმლოება, რამდენადაც ეს წარმოადგენს გამოძიების წარმატებისა და დანაშაულთან ორგანიზებული ბრძოლის ერთ-ერთ პირობას. წინასწარი გამოძიების, მოკვლევის ან რევიზიის მასალების გახმაურება პროკურორის, გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი თანამდებობის პირის უნებართვოდ, ისჯება სისხლის სამართლის წესით (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 97 უხ.).

გამოკვლევის წარმატება

გამომძიებელი პოლიტიკური, სახელმწიფო მოღვაწეა. მან უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ მის სამოქმედო რაიონში არც ერთი დანაშაული გაუხსნელი არ დარჩეს; მან

უნდა უზრუნველჰყოს სასამართლოში საკმაოდ სრული და მაღალხარისხოვნად გამოძიებული მასალის წარდგენა. წინასწარი გამოძიების ხარისხზე, გარკვეულ ნაწილში, დამოკიდებულია სასამართლოს მუშაობის ხარისხიც და, მაშასადამე, დანაშაულობასთან ორგანიზებული ბრძოლის მდგომარეობაც.

მაღალხარისხოვნად და სწრაფად ჩატარებული გამოკვლევა უთუოდ ხელს უწყობს საქმის სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის გადიდებას, უზრუნველჰყოფს სასამართლოს განაჩენის დასაბუთებას და დამაჯერებლობას, საქმის სწრაფ საბოლოო გადაწყვეტას და სასამართლო პროცესის ეფექტურობას.

ლაპარაკობდა რა სასჯელის გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე, ლენინი მიუთითებდა: „დიდი ხანია თქმულა, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა დაფუძნებულია არა მის სისასტიკეზე, არამედ მის აუცილებლობაზე. მთავარი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რომ დანაშაული სასტიკად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულობის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი“ [1].

სასამართლოს მიერ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება,—იმის რწმენის შექმნა, რომ ყოველი დანაშაული გახსნილ იქნება, რომ დამნაშავეებს იპოვნიან, ამხილებენ და დასჯიან,—მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგამომძიებლო მუშაობის ხარისხზე, გამოკვლევის ყველა ძირითადი პრინციპის დაცვაზე.

გამოკვლევის ეფექტურობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას გამომძიებლის მიერ თვითეულ გამოსაკვლევ საქმეზე ყველა იმ შესაძლო და აუცილებელი ზომის მიღებით, რაც მიმართულია დანაშაულის ხელისშემწყობ და მისი ჩადენის გამაადვილებელ მიზეზთა აღკვეთისაკენ.

გამოკვლევის ობიექტურობა, ყოველმხრივობა, სისრულე, სისწრაფე, ინიციატიურობა და აქტივობა წარმოადგენენ წინასწარი გამოძიების კეთილხარისხოვნობისა და მისი წარმატე-

[1] ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 93.

ბის აუცილებელ პირობებს. ამიტომ თვითეული გამომძიებლის მოვალეობაა წინასწარი გამოძიების ყველა ამ ძირითადი პრინციპის დაცვა.

3. წინასწარი გამოძიების ვადები

გამოძიების ვადების მნიშვნელობა

დანაშაულებასთან წარმატებით ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი პირობა და წინასწარი გამოძიების მაღალი ხარისხის სავალდებულო ელემენტია გამოკვლევის მოკლე ვადები.

გამოკვლევის ვადების მაქსიმალურად შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ყველაზე უფრო სარწმუნო და სრული დამამტკიცებელი საბუთების მიღებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, თვითეული გამომძიებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კანონით და სსრ კავშირის პროკურორის სპეციალური მითითებებით დაწესებული გამოკვლევის ვადების აუცილებლად დაცვა.

საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული წინასწარი გამოძიების ვადები

კანონი აწესებს გამოკვლევის ორთვიან ზღვრულ ვადას გამომძიებლის ქვემდებარე საქმეებისათვის და ერთთვიან ვადას— მილიციის ორგანოების ქვემდებარე საქმეებისათვის (დრ. წესების მე-7 მუხ.).

სასამართლო და პროკურატურის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებით და სსრ კავშირის პროკურორის 1934 წ. 13 აგვისტოს ცირკულარული წერილით, ყველა გამომძიებლისა და პროკურორის ყურადღება მიქცეული იყო გამოძიების სწრაფი ვადების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ამ წერილში ნათქვამია:

„დღემდე წინასწარი გამოძიების ძირითად დეფექტს წარმოადგენს მისი მეტისმეტი ხანგრძლიობა, რის გამოც საქმეთა ნაწილი ჰკარგავს თავის აქტუალობას და თანაც მეტად ძნელი ხდება გამოძიების ნაკლოვანებათა გამოსწორება იმ საქმეებზე, რომლებსაც სასამართლოები უკან აბრუნებენ დამატებითი გა-

მოძიების ჩასატარებლად. ამავე დროს ადგილი აქვს პატიმრობის, როგორც თავისუფლების აღმკვეთი ზომის, ვადების გაჭიანურებას.

ვავალებ რა გამოკვლევისა და პროკურატურის ორგანოებს დაიცვან გამოძიების უმოკლესი ვადები, რომლებიც, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10—12 დღეს, ხოლო უფრო რთულ შემთხვევებში, ერთს თვეს, წინადადებას გაძლევთ ახლავე უზრუნველჰყოთ ამ ვადებში გამოკვლევის დამთავრება ყველა საქმეზე, რომელთა მიხედვით ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან. გამოკვლევის დამთავრების ვადის გაგრძელება დაიშვება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც დაერთვის საქმეს".

ამ ცირკულარს, რასაკვირველია, არ შეუცვლია დასახელებული კანონი, მან დასახა მხოლოდ გამოკვლევის უფრო მეტი სისწრაფის ამოცანა გამოკვლევის მაღალი ხარისხისა და სათანადო წარმატების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის პროკურორის 1944 წ. 17 მაისის № 121 ბრძანებაში „ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე გამოძიების შემოკლებული ვადების შესახებ", ნათქვამია, რომ ყველა სხვა კატეგორიის საქმეზე, რომელთა გამოკვლევის შემოკლებული ვადები დაწესებული არ არის, გამოძიება უნდა მთავრდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში, ყოველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაწესებული ვადების ფარგლებში. ბრძანებაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარებისას პროკურორებმა და გამომძიებლებმა უნდა უზრუნველჰყონ გამოძიების ხარისხის ამაღლება.

ცალკეული კატეგორიების საქმეთა გამოძიების შემოკლებული ვადები

საქმეთა მთელი რიგი კატეგორიებისათვის კანონით და სსრ კავშირის პროკურორის სპეციალური მითითებებით დაწესებულია გამოკვლევის შემოკლებული ვადები.

1) სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წ. 1 დეკემბრის დადგენილებით, ტერორისტული ორგანიზაციებისა და

საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ყველა საქმისათვის დაწესებულია გამოკვლევის 10-დღიანი ვადა.

ეს კანონი შეტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (462 მუხ.).

2) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წ. 16 თებერვლის დადგენილებით, სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში ჩადენილი მტაცებლობისა და გაფლანგვის საქმეებზე დაწესებულია ამ საქმეთა სასამართლოში განხილვის 20-დღიანი ვადა, ამ ვადაში გამოკვლევის საწარმოებლად საჭირო ვადის ჩათვლით.

3) სსრ კავშირის პროკურორის 1944 წ. 17 მაისის № 121 ბრძანებით, ტერიტორიული პროკურატურების მიერ წარმოებული გამოძიების შემოკლებული ვადების შესახებ ამაზე ადრე გამოცემული ყველა ბრძანება და მითითება გაუქმებულია და დაწესებულია გამოკვლევის შემოკლებული ვადები შემდეგ საქმეებზე:

ა) სავაჭრო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩადენილ მტაცებლობათა და გაფლანგვათა შესახებ, სასურსათო და სამრეწველო საქონლის განიავებისა, სასურსათო და სამრეწველო ბარათების ბოროტად გამოყენებისა და მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შესახებ, სპეკულაციის შესახებ—15 დღე;

ბ) სახელმწიფო რეზერვიდან მატერიალურ ფასეულობათა თვითნებურად გაჯავშნის შესახებ—10 დღე;

გ) სამეურნეო კამპანიების ჩატარებასთან დაკავშირებულ სოფლის აქტივის თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ—7 დღე;

დ) არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ—10 დღე;

ე) წითელარმიაში გაწვევისაგან თავის არიდების შესახებ, სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევის შესახებ, წითელი არმიიდან დეზერტირობის შესახებ და აგრეთვე შრომითი ბეგრის მოხდისაგან თავის არიდების შესახებ (სისხლის სამართლის კოდექსის 58^{20} მუხ.)—5 დღე;

ვ) სამხედრო მსახურთა ოჯახების უფლების დარღვევისა და მათდამი დანაშაულებრივ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების შესახებ—7 დღე.

ამავე ბრძანებით დაწესებულია წინასწარი გამოძიებისათვის დადგენილი შემოკლებული ვადების გამომძიებლების მიერ დაცვაზე კონტროლის განხორციელების წესი.

ყველა გამომძიებელი იმ შემთხვევებში, როცა მათ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო არ შეუძლიათ ცალკეულ საქმეთა გამოძიება დაწესებულ შემოკლებულ ვადებში დაამთავრონ, ვალდებულია თავის დროზე, ვადის გასვლამდე, წარუდგინოს ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) პროკურორს ახსნა-განმარტება გამოძიების გაჭიანურების მიზეზებზე, საქმის გამოძიების დამთავრებისათვის საჭირო დროის აღნიშვნით.

ოლქების (მხარეების, რესპუბლიკების) პროკურორებს დაკისრებული აქვთ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების ვადების დაცვაზე განსაკუთრებული კონტროლის დაწესება.

და, ბოლოს, ამავე ბრძანებით რესპუბლიკების, ოლქებისა და რაიონების პროკურორებს აკრძალული აქვთ დამოუკიდებლად დააწესონ გამოძიების საერთო შემოკლებული ვადები ამათუ იმ კატეგორიის საქმეებზე.

თუმცა-ღა, რესპუბლიკების, ოლქებისა და რაიონების პროკურორებს შეუძლიათ ცალკეულ, ყველაზე უფრო აქტუალურ საქმეებზე დააწესონ გამოძიების შემოკლებული ვადები და ამ ვადების დაცვა გამომძიებლებისათვის სავალდებულოა.

გამოძიების ვადების გამოანგარიშება

გამოძიების ვადები გამოანგარიშებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან (და არა გამომძიებლის მიერ საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან), საბრალმდებლო დასკვნის ან საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ დადგენილების შედგენისა და გამომძიებლის მიერ ხელისმოწერის მომენტამდე.

გამოძიების ვადები ამგვარად უნდა იქნას გამოანგარიშებული ყველა შემთხვევაში. მაგალითად, გამომძიებლის მიერ ქვემდებარეობისამებრ საქმის გამოკვლევის სხვა ორგანოდან მი-

ლების, ან სასამართლოდან დამატებითი გამოძიებისათვის მიღების შემთხვევაში, გამოძიების ვადა გამოანგარიშებულ უნდა იქნას არა გამომძიებლის მიერ საქმის მიღების მომენტიდან არამედ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან, გამომძიებლის მიერ დამატებითი გამოძიების შედეგად საბრალმდებლო დასკვნის ან საქმის მოსპობის შესახებ დადგენილების შედგენის მომენტამდე.

გამოძიების ვადა შეწყდება მხოლოდ საქმის შეჩერების შემთხვევაში—საქმის შეჩერების შესახებ დადგენილებაზე ხელისმოწერის მომენტიდან საქმის წარმოების განახლების მომენტამდე.

გამოძიების ვადების გაგრძელება

კანონით დაწესებულ ვადებში საქმის გამოკვლევის დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში, სსრ კავშირის პროკურატურის 1937 წ. 2 აპრილის № 18/26 ცირკულარის შესაბამისად, გამომძიებელი ვალდებულია თავის დროზე აღძრას შუამდგომლობა გამოკვლევის ვადის გაგრძელების შესახებ. კანონით დაწესებული ორთვიანი ვადის ზევით გამოკვლევის ვადის 1 თვით გაგრძელების უფლება მინიჭებული აქვს ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს; გამოკვლევის ვადის შემდგომი გაგრძელება შეიძლება ნებადართულ იქნას მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის მიერ.

გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის თავისდროულობასა და საფუძვლიანობაზე კონტროლი დაკისრებული აქვს გამოძიებაზე მეთვალყურე პროკურორს [1].

სსრ კავშირის პროკურორის 1937 წ. 2 აპრილის № 18/26 ცირკულარით, დადგენილია წინასწარი გამოკვლევის ვადისა და ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის ვადის გაგრძელებაზე ნებართვის მიღების შემდეგი წესი:

„1. შუამდგომლობის აღძვრა ევალება იმ გამომძიებელს, რომლის წარმოებაშიც იმყოფება ის საქმე, რომელზეც შუამ-

---

[1] გამოკვლევის ვადების გაგრძელების აღნიშნული წესი გათვალისწინებულია რსფსრ საპროცესო კანონმდებლობით. საქ. სსრ-ში ამ საკითხის შესახებ ძალაშია დროებითი წესების მე-7 მუხლით დადგენილი წესი.

დგომლობაა აღძრული. შუამდგომლობის ტექსტში მოყვანილი უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

ა) ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების არსი;

ბ) ძირითადი მტკიცებანი, რომლებსაც ეყრდნობა ბრალდება;

გ) გამოძიების მდგომარეობა შუამდგომლობის აღძვრის მომენტში და მიზეზები, რამაც გამოიწვია გამოძიების გაჭიანურება;

დ) საგამომძიებლო მოქმედებანი, რაც აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნას მოცემული საქმის მიმართ.

ე) ვადა, რომლის განმავლობაში ნავარაუდევია საქმის დამთავრება.

შენიშვნა: შუამდგომლობა იგზავნება ორ ეგზემპლარად.

იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა აღძრულია პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე, გარდა მოხსენებულისა, უნდა იქნას მოყვანილი ის მოტივები, რომელთა მიხედვით, გამომძიებლის აზრით, შეუძლებელია შერჩეული აღმკვეთი ზომის შეცვლა.

2. 1-ლ პ. მოხსენებულ შუამდგომლობას, არა უგვიანეს 7 დღისა გამოკვლევის ვადის გასვლამდე, სახალხო გამომძიებლები ან გამოკვლევის სხვა ორგანოები წარუდგენენ რაიონში (ქალაქში) სამხარეო (საოლქო) პროკურორს რაიონული პროკურორის მეშვეობით, რომელიც შუამდგომლობის ტექსტზე აკეთებს წარწერას შუამდგომლობაში მოყვანილ მოსაზრებებთან თავისი თანხმობის ან არათანხმობის შესახებ. უფროსი გამომძიებელი შუამდგომლობას გადასცემს უშუალოდ სამხარეო (საოლქო) პროკურორს.

3. შუამდგომლობანი გამოძიებისა და პატიმრობის ვადების გაგრძელების შესახებ აღირიცხება საგამომძიებლო განყოფილებებში და უკანასკნელთა დასკვნებით მოხსენდება სამხარეო (საოლქო) პროკურორს, იმ ანგარიშით, რომ შუამდგომლობა უკანასკნელმა განიხილოს არა უგვიანეს 24 საათისა სამხარეო (საოლქო) პროკურატურაში შუამდგომლობის შემოსვლის მომენტიდან.

4. იმ შემთხვევაში, თუ სამხარეო (საოლქო) პროკურორი შუამდგომლობას დასაბუთებულად სცნობს, იგი შუამდგომლობის ტექსტზე წარწერით აძლევს ერთი თვის ვადის გაგრძელების ნებართვას; შუამდგომლობის დედანი დაუყოვნებლივ გაეგზავნება გამოკვლევის იმ ორგანოს, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა, ასლი კი რჩება საგამომძიებლო განყოფილებაში და საქმე აღებულ იქნება განსაკუთრებულ კონტროლზე.

5. თუ სამხარეო (საოლქო) პროკურორი შუამდგომლობას დაუსაბუთებლად სცნობს, იგი დაუყოვნებლივ მისცემს განკარგულებას გამოკვლევის ორგანოს, რათა მან დაამთავროს საქმე ან გაათავისუფლოს ბრალდებული პატიმრობიდან, თანაც მიუთითებს კონკრეტულად, თუ რა გზით შეიძლება საქმის დამთავრება და ბრალდებულის მიმართ რა აღმკვეთი ღონისძიება უნდა იქნას შერჩეული.

6. თუ ვადის გაგრძელება გამოთხოვილია მე-4 პუნქტში აღნიშნულ ვადაზე ზევით, სამხარეო (საოლქო) პროკურორი, თუ კი იგი შუამდგომლობას დასაბუთებულად სცნობს, მას უგზავნის რესპუბლიკის პროკურატურას თავისი წერილობითი წარდგინებით შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

7. რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსული შუამდგომლობანი განიხილება იმ წესით, რაც ნაჩვენებია ამ ცირკულარის 3, 4, 5 პუნქტებში.

8. ვინაიდან ჯერ კიდევ ადგილი აქვს საგამომძიებლო საქმეების გაჭიანურების შემთხვევებს, მოკავშირე რესპუბლიკათა პროკურორები ყველა შემთხვევაში, როცა გამოვლინებულ იქნება გამოკვლევის გაჭიანურება სამ თვეზე მეტი ხნით, ამის შესახებ მოახსენებენ სსრ კავშირის პროკურორს იმ ზომათა აღნიშვნით, რაც მათ მიერ მიღებულია გაჭიანურებაში დამნაშავეთა მიმართ“.

სსრ კავშირის პროკურორის 1944 წ. 17 მაისის № 121 ბრძანებაში მითითებულია:

„გამოკვლევის კანონით დაწესებულ ვადაში დამთავრების შეუძლებლობისას გამომძიებლებმა განუხრელად შეასრულონ რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპ-

როცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების[1] მოთხოვნა და სათანადო პროკურორის წინაშე თავის დროზე აღძრან შუამდგომლობა გამოკვლევის ვადის გაგრძელების შესახებ".

გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის გაფორმება

გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა (ისე, როგორც შუამდგომლობა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ, რაზედაც ქვემოთ იქნება ნათქვამი), სპეციალური დადგენილების ფორმით, უნდა შეადგინოს იმ გამომძიებელმა, ვის წარმოებაშიც არის საქმე, რომელზეც გამოთხოვილ უნდა იქნას ვადის გაგრძელება.

ასეთი დადგენილება გამოტანილ უნდა იქნას შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 ქ. . . . . ქ. . . .

. . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . (საკ-ლასო ხარისხი), (გვარი) განვიხილე რა საქმეზე № . . (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა, ეპოვე: მოქ. . . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) წარდგენილი აქვს ბრალდება . . . . . (წარდგენილი ბრალდების არსი), რაც დამყარებულია შემდეგ ძირითად დამამტკიცებელ საბუთებზე . . . . . (ძირითად დამამტკიცებელი საბუთების ჩამოთვლა). გამოკვლევის ვადა საქმეზე გავიდა, თუმცა ამჟამად . . . . . .

. . . . . (აღწერა იმ მდგომარეობისა, რომელშიაც საქმე იმყოფება და გამოძიების გახანგრძლივების მიზეზებისა, აგრეთვე იმ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩამოთვლა, რომელთა შესრულებაც ამ საქმეზე აუცილებელია) . .

. . . . . .

ამასთან დაკავშირებით, საქმეზე გამოკვლევის დამთავრებისათვის საჭირო იქნება . . . . . (იმ დროის დასახელება, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია გამოძიების დამთავ-

---

[1] დაახლოებით შეესაბამება დროებითი წესების მე-7 მუხ. მეორე ნახევარს სიტყვებიდან: „ამ ვადის განგრძობა ცალკეული საქმეებისათვის"... და შემდეგ ბოლომდე. იხ. სქოლიო 93 გვერდზე.

რება). აღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 7 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე

აღვძრა შუამდგომლობა . . . . . .

პროკურორის წინაშე საქმეზე № . . (საქმის დასახელება)

გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ . .

ვადით (მოთხოვნილი ვადის დასახელება).

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ვეთანხმები: რაიონის (ქალაქის) პროკურორი: . . . . .

(საკლასო ხარისხი) . . . . . (ხელისმოწერა)

გამოძიების ვადების კონტროლი

გამოკვლევის ვადების დაცვა დამოკიდებულია გამომძიებლის მიერ მუშაობის სწორი ორგანიზაციის უნარზე, რადგან, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება საქმეთა გამოკვლევა მიმდინარეობდეს გეგმაშეწონილად და გარკვეული რიგისობით, მათი სირთულისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობის მიხედვით.

თვითეული გამომძიებელი ვალდებულია განსაკუთრებულ კონტროლს უწევდეს წარმოებაში არსებულ საგამომძიებლო საქმეებს იმ დანაშაულთა შესახებ, რომელთა გამოსაკვლევად დაწესებულია გამოძიების შემოკლებული ვადები. ამ საქმეების გამოკვლევა უნდა სწარმოებდეს რიგგარეშე. განსაკუთრებული კონტროლი უნდა ეწეოდეს აგრეთვე ყველა საქმეს, რომელთა გამოკვლევის ვადაც ორ თვეს აღემატება.

ყველა ასეთ საქმეს განსაკუთრებულ კონტროლს უნდა უწევდეს აგრეთვე მეთვალყურე პროკურორი, რომლის მოვალეობაა გამომძიებლისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენა და ყველა აუცილებელი ღონისძიების ხმარება ამ ხასიათის საქმეთა გამოკვლევის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებისათვის.

გამოკვლევის ვადების დაცვა წარმოადგენს ყველა გამომძიებლისა და პროკურორისადმი წარდგენილ სერიოზულ მოთხოვნას.

ამ მოთხოვნის შესრულება ერთგვარად დამოკიდებულია კონტროლის სწორად დაყენებაზე, რასაც ყურადღება მიაქცია სსრ კავშირის პროკურორმა 1939 წ. 15 იანვრის № 185 ბრძანებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია:

„მიუხედავად ჩემი არაერთი მითითებისა საქმეთა გამოკვლევისათვის კანონით დაწესებული ვადების ზუსტად დაცვის შესახებ, აქამდე მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოკვლევა ხდება ორ თვეზე მეტი ხნის ვადაში, ამასთანავე გამომძიებლები და პროკურორები, როგორც წესი, ამ საქმეებზე არ მოითხოვენ ხოლმე ზემდგომი პროკურორის ნებართვას გამოკვლევის ვადის გაგრძელებაზე, რითაც უხეშად არღვევენ რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116 მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებს.

განსაკუთრებით მოუთმენელია გამოკვლევის გახანგრძლივება იმ საქმეებზე, რომლებზედაც პასუხისგებაში მიცემულნი პატიმრობაში იმყოფებიან.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურორები ჯეროვნად არ იბრძვიან საქმეთა კანონით დაწესებულ ვადებში გამოკვლევისათვის“.

ბრძანებით დავალებულია:

„3. რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურორებმა განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ ყველა საქმეს, რომელთა გამოძიებაც სწარმოებს ორ თვეზე მეტ ხანს, მიიღონ ზომები მათი გამოძიების უმოკლეს დროში დასამთავრებლად, გამოძიების დამთავრების ზუსტი ვადების დაწესებით“.

შემდეგ, ამავე ბრძანებით დადგენილ იქნა გამოკვლევის ვადების კონტროლი მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების მხრივ:

„მხარეებისა და ოლქების პროკურორებმა ყოველთვიურად წარუდგინონ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს სამ თვეზე მეტ ხანს გამოძიებით გახანგრძლივებულ საქმეთა სიები, ამ საქმეთა გამოკვლევის გახანგრძლივების მიზეზების აღნიშვნით“.

წინასწარი გამოძიების დაწესებული ვადების დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სსრ კავშირის პროკურორის 1944 წ. 17 მაისის № 121 ბრძანებაში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია გამოკვლევის ვადებზე ზუსტი კანტროლის აუცილებლობა.

ამ ბრძანებით დავალებულია:

„ 6. რესპუბლიკებისა და ოლქების პროკურორებმა დააწესონ ზუსტი კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე, გამოკვლევის ვადების არა საპატიო მიზეზით დარღვევაში და აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116 მუხ. დარღვევაში დამნაშავენი მისცენ სასტიკ პასუხისგებაში.

წახალისებულ იქნან გამომძიებლები და პროკურორები, რომელთაც მიაღწიეს გამოკვლევის ვადების სერიოზულად შემოკლებას გამოძიების კარგი ხარისხის დაცვით“.

4. გამოკვლევის გეგმა

დაგეგმვის მნიშვნელობა

გამოკვლევის გეგმის შედგენის აუცილებლობის შესახებ არსებობს საკმაო მითითებანი, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მეტად სერიოზულ მოთხოვნას დღემდე ჯერ კიდევ ყველა გამომძიებელი როდი ასრულებს.

იმავე დროს კი, თვითეულ საქმეზე გამოძიების სწორად დაგეგმვა უზრუნველყოფს ყველა ძირითადი პრინციპის შესრულებას და, მაშასადამე, გამოძიების მაღალ ხარისხს.

სახელდობრ, დაგეგმვით მიღწეულ იქნება გამოკვლევის ობიექტურობა, ყოველმხრივობა, სისრულე, სისწრაფე, ინიციატიურობა, აქტივობა და, ამას შედეგად, მისი წარმატებაც.

ამასთან ერთად, გამოკვლევის დაგეგმვა უზრუნველყოფს გამოკვლევის საჭირო ხერხების გამოყენებას, აწესებს გამოკვლევის ჩარჩოებს, საზღვრებს, მნიშვნელოვნად აადვილებს გამოკვლევის წარმოებას, ახდენს გამომძიებლის მუშაობის ორგანიზებას. გამოკვლევის გეგმა გამომძიებლისაგან მოითხოვს დაკვირვებულ დამოკიდებულებას სამუშაოსადმი და, ხაბოლოო ანგარიშით, მან ხელი უნდა შეუწყოს გამოკვლევის მიზანდასახულებას,

ტემპების დაჩქარებას და მისი ხარისხის ამაღლებას. მხოლოდ გეგმიანი გამოკვლევის დროს შეიძლება მოპოვებულ და თავის დროზე განმტკიცებულ იქნას უმნიშვნელოვანესი დამამტკიცებელი საბუთები საქმეზე, აცილებულ იქნას არასაჭირო საგამომძიებლო მოქმედებანი და საქმის გადატვირთვა ზედმეტი, არასაჭირო მასალით. ახალგაზრდა, დამწყებ გამომძიებლებს გამოკვლევის გეგმის შედგენა უნდა მოვთხოვოთ ყველა საგამომძიებლო საქმეზე და აუცილებლად წერილობითი სახით. უფრო გამოცდილ გამომძიებლებს წერილობითი გეგმის შედგენა უნდა მოვთხოვოთ მხოლოდ ყველაზე უფრო რთულ საქმეებზე.

სრულიად არ არის მართალი ის გამომძიებელი, რომელიც ფიქრობს, რომ წერილობითი გეგმის შედგენა დროის ტყუილად დაკარგვაა. გეგმის შედგენის ანგარიშზე წუთებისა და საათების მომჭირნეობით, ასეთი გამომძიებლები გამოკვლევის უგეგმობის შედეგად ჰკარგავენ დღეებს, კვირეებსა და თვეებს, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ უგეგმოდ ჩატარებული გამოკვლევა, როგორც წესი, დაბალი ხარისხით განირჩევა.

გამოკვლევის დაგეგმვა — ეს გამომძიებლის შემოქმედებითი მუშაობაა, დამყარებული გარემოს შესწავლაზე, მასალის ანალიზზე, დაკვირვებულობასა და ინტუიციაზე.

დაგეგმვის პირობები

გამოკვლევის დაგეგმვა (გეგმის შედგენა) შესაძლოა გადაიქცეს სრულიად უსარგებლო ფორმალობად და საჭირო შედეგი არ მოგვცეს, თუ დაცული არ იქნება მთელი რიგი პირობები.

იმისათვის, რომ სწორად დაგეგმოს გამოკვლევა, გამომძიებელი კარგად უნდა ერკვეოდეს გარემოში, რომელშიც ჩადენილია დანაშაული, სწორად აფასებდეს თვით დანაშაულის მნიშვნელობას და მის პოლიტიკურ ბუნებას.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ გამოკვლევა სწორად დაიგეგმოს და, მაშასადამე, სწორად წარმოებდეს კიდეც, გამომძიებელმა უნდა იცოდეს, თუ სახელდობრ რა, ე. ი. დანაშაუ-

ლის რომელი ელემენტები უნდა იქნას დადგენილი საქმეზე და როგორ შეიძლება ყველაზე უკეთესად მათი დადგენა.

პირველი მომენტი — გამოკვლევის საგნის განსაზღვრა — უზრუნველყოფილ უნდა იქნას სისხლის სამართლის ცოდნით. გამოკვლევის საშუალებათა დასადგენად გამომძიებელმა უნდა იცოდეს სისხლის სამართლის პროცესი, საპროცესო ფორმები, გამოკვლევის ტექნიკური და ტაქტიკური ხერხები, დანაშაულის ჩადენისა და გახსნის ფორმები და მეთოდები, შეეძლოს ჰიპოთეზებით, ვერსიებით სარგებლობა, ჰქონდეს ცხოვრების საკმაო გამოცდილება და ფართო გონებრივი ჰორიზონტი.

ყოველივე ეს ლაპარაკობს გამომძიებლის დიდი გონებრივი მუშაობის აუცილებლობაზე კონკრეტულ საქმეზე გამოკვლევის გეგმის შედგენისას.

დაგეგმვის პრინციპები

ყველა სახის დანაშაულის გამოსაკვლევად გამოსადეგი ერთიანი ტიპიური სქემა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. როგორც ცხოვრებაში არ გვხვდება ორი სავსებით ერთგვარი სისხლის სამართლის საქმე, ასევე არ შეიძლება იყოს რამდენიმე დანაშაულის გამოსაძიებლად გამოსადეგი გამოკვლევის ერთიანი გეგმა.

აქედან გამომდინარეობს დაგეგმვის პირველი პრინციპი: გამოკვლევის გეგმა ყოველი კონკრეტული საქმისათვის უნდა იყოს ინდივიდუალური, ამ საქმის ყველა თავისებურების გათვალისწინებით.

გამოკვლევის გეგმა არ შეიძლება იყოს რაღაც ერთ წერტილზე გაყინული, უცვლელი სქემა, რომელიც ყოველგვარი საგამომძიებლო საქმისათვის გამოდგება. გეგმა უნდა იყოს დინამური. გამოძიების მიმდინარეობისა და გეგმით დასახულ მოქმედებათა განხორციელების მიხედვით, გეგმა უნდა ივსებოდეს და იცვლებოდეს გამოძიების მსვლელობაში წამოჭრილი ყველა ვერსიის სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის აუცილებლობის შესაბამისად.

თავის მოხსენებაში პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გეგმის მნიშვნელობის შესახებ სთქვა: „მხოლოდ

ბიუროკრატებს შეუძლიათ იმის ფიქრი, თითქოს საგეგმო მუშაობა გეგმის შედგენით თავდებოდეს. გეგმის შედგენა მხოლოდ დაგეგმვის დასაწყისია. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იშლება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, გეგმის ადგილობრივ შემოწმების შემდეგ, მისი განხორციელების შესწორებისა და დაზუსტების მსვლელობაში" („ლენინიზმის საკითხები", მე-10 გამოცემა, გვ. 490).

აქედან გამომდინარეობს დაგეგმვის მეორე პრინციპი: გამოკვლევის გეგმა არ შეიძლება უცვლელი იყოს. გამოკვლევის პირველადი გეგმის შედგენა სხვა არაფერია, თუ არა დაგეგმვის დასაწყისი. შემდეგში, გამოკვლევის მსვლელობაში ჩატარებულ საგამომძიებლო მოქმედებათა და მასალების შეკრების შედეგების მიხედვით, გამოძიების გეგმაში შეტანილ უნდა იქნას შესწორებები, დამატებები და ცვლილებები.

გეგმიანობამ უნდა უზრუნველჰყოს გამოკვლევის მაღალი ხარისხი, ხოლო ამის პირობაა გამოკვლევის ყველა ძირითადი პრინციპის დაცვა.

მაშასადამე, გამოკვლევის დაგეგმვის მესამე პრინციპი მდგომარეობს ყოველ კონკრეტულ საქმეზე გამოკვლევის ობიექტურობის, ყოველმხრივობის, სისრულის, სისწრაფის, ინიციატიურობისა და აქტივობის დაცვის აუცილებელ უზრუნველყოფაში.

V გამოკვლევის გეგმის შინაარსი

გამოკვლევის გეგმა უნდა წარმოადგენდეს გამოსარკვევი საკითხებისა და ამ საკითხების გამოსარკვევად შესასრულებელ აუცილებელ საგამომძიებლო მოქმედებათა წინასწარ დასახვას. ეს დასახვა დამყარებული უნდა იყოს არსებული მასალების გულდასმით შესწავლასა და ანალიზზე, ყოველი აუცილებელი საგამომძიებლო მოქმედების წინასწარ მოფიქრებაზე, მისი შესრულების მოცულობის, მიზნის, ტაქტიკის, რიგისობისა და ვადის თვალსაზრისით.

გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა შესაძლებე-

ლი ვერსია გამოსაკვლევი დანაშაულის, მისი მოტივებისა და მის ჩამდენ პირთა შესახებ.

თუ გამომძიებელი ჰპოვებს, რომ პირველდაწყებითი მასალა ყველა შესაძლო ვერსიის გათვალისწინების საშუალებას არ იძლევა, მან თავდაპირველად შედგენილი გეგმით უნდა შეასრულოს აუცილებელი საგამომძიებლო მოქმედებანი და შეკრიბოს საჭირო მასალა, რის შემდეგაც სათანადო წესით შეავსოს გამოკვლევის გეგმა.

გამოკვლევის გეგმა ყოველ საქმეზე უნდა შეიცავდეს:

ა) კარგად მოფიქრებულ და ზუსტად დასახულ გამოსარკვევ საკითხებს.

ამ საკითხებმა საკმაოდ სრულად უნდა შემოხაზოს გამოკვლევის აუცილებელი მოცულობა და განსაზღვროს მისი სათანადო მიმართულება; გეგმაში არ უნდა იყოს არასაჭირო საკითხები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული;

ბ) კარგად მოფიქრებულ და დეტალურად დამუშავებულ საგამომძიებლო მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც საჭიროა თვითეული დასახული საკითხის გამორკვევისათვის.

ერთი და იგივე საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სხვადასხვა გზით, სხვადასხვაგვარი საგამომძიებლო მოქმედებით. გამომძიებლის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ თვითეული საკითხის გამორკვევისათვის დასახოს ისეთი საგამომძიებლო მოქმედების შესრულება, რომელიც უზრუნველჰყოფს საკითხის ყველაზე უფრო ნათლად, სარწმუნოდ და სწრაფად გადაწყვეტას;

გ) დასახულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების ზუსტად განსაზღვრულ ვადებს;

საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების ვადების განსაზღვრისას გამომძიებელმა წინასწარ უნდა მოიფიქროს მათი რიგისობა, რადგან ხშირად ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველაზე უფრო სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთების მიღების უზრუნველყოფისათვის;

დ) შენიშვნებს ამ მოქმედებათა შესრულების შესახებ.

გეგმის ეს განყოფილება აადვილებს თვითკონტროლს.

შეიძლება ეურჩიოთ გამოკვლევის გეგმის შემდეგი ფორმა.

გამოკვლევის გეგმა

საქმე №

№№ რიგზე	გამოსარკვევი საკითხები (რა უნდა გამოირკვეს)	რა საგამომძიებლო მოქმედება შესრულდეს (რა გზით გამოირკვეს)	საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების ვადები	შესრულების თარიღი

პროკურორის როლი

უმნიშვნელოვანესი საქმეების გამოკვლევის გეგმის შედგენაზე კონტროლი წარმოადგენს გამოძიებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორის მოვალეობას.

გამოძიების წარმოების პროცესში პროკურორი უნდა ამოწმებდეს, თუ რამდენად სრულდება გამომძიებლის მიერ გეგმა, რა ცვლილებები განიცადა მან და უზრუნველჰყოფს თუ არა ის გამოძიების წარმატებას. პროკურორი საჭიროების შემთხვევაში უნდა დაეხმაროს გამომძიებელს გეგმის შევსებასა და შესწორებაში, რათა მისი შესრულება უზრუნველჰყოფდეს გამოძიების მაღალხარისხოვნობას, ობიექტიურობას (ყოველმხრივობას), სისრულეს, სისწრაფესა და პოლიტიკურ მიზანმისწრაფულობას.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ გამოკვლევის გეგმა უნდა დაერთოს სამეთვალყურო წარმოებას.

III. დამამტკიცებელი საბუთების შეკრება

1. მოწმეთა დაკითხვა

დაკითხვის მნიშვნელობა

ჩვენება, განსაკუთრებით კი მოწმის ჩვენება, წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთების ისეთ სახეს, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება.

საგამომძიებლო საქმეთა უმრავლესობისათვის დამამტკიცებელი საბუთების ძირითადი სახეა მოწმის ჩვენება. ამასთან დაკავშირებით, სავსებით ბუნებრივია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება მოწმეთა ჩვენებებს და, მაშასადამე გამომძიებლის მიერ ამ სახის დამამტკიცებელი საბუთების მოხერხებულად შეკრებასაც.

ზოგ ადგილას გამომძიებელთა შორის ვხვდებით აშკარად შემცდარ და მავნე წარმოდგენას დაკითხვაზე, როგორც უბრალო, იოლ საქმეზე, რომელსაც სულ მხოლოდ რამდენიმე წამი უნდა დაეთმოს.

დაკითხვა სერიოზული და საპასუხისმგებლო საგამომძიებლო მოქმედებაა. იმისათვის, რომ კარგად და სწორად სწარმოებდეს დაკითხვა, საკმარისი არ არის მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და დაკითხვის ტაქტიკის ცოდნა; ამისათვის საჭიროა ჩვევა, მოწმეთა ჩვენებების ფსიქოლოგიის ცოდნა და ცხოვრების დიდი გამოცდილება.

ჩვენების შეფასება

თვითეული მოწმის ჩვენების მნიშვნელობა განისაზღვრება მისი, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, მტკიცებითი ძალით. მოწმის ჩვენების მნიშვნელობა წინასწარი გამოძიების სტადიაში უნდა შეაფასოს გამომძიებელმა. ყველა დამამტკიცებელი საბუთის და მათ შორის მოწმეთა ჩვენების საბოლოო შეფასება სასამართლოს განეკუთვნება.

გამომძიებელმა მოწმის ჩვენება უნდა შეაფასოს როგორც თვით დაკითხვის დროს მის განკარგულებაში არსებული მასალისა და დასაკითხ პირზე დაკვირვების საფუძველზე, ისე შემდგომ, გამოძიების მსვლელობაში.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ ერთი მოწმე ამა თუ იმ მოსაზრებით შეიძლება სტყუოდეს, ე. ი. განზრახ, წინასწარი მოფიქრებით იძლეოდეს არასწორ ჩვენებას; მეორე შეიძლება სცდებოდეს და ამის შედეგად იძლეოდეს არასწორ ჩვენებას, ხოლო გამოძიების შეცდომაში შეყვანის სურვილი სულაც არ ჰქონდეს; მესამემ შეიძლება არაფერი სთქვას ყველაზე არსებით გარემოებაზე, თუ გამომძიებელი პირდაპირ არ დასვამს კითხვას ამის შესახებ. ასეთი მოწმე უფრო ხშირად, აგრეთვე, მიზნად არ ისახავს მოატყუოს გამომძიებელი, ანდა დაუმალოს მას რაიმე. ჩვეულებრივად მას გარკვეული არა აქვს — წარმოადგენს თუ არა ეს თუ ის ფაქტი ან შემთხვევა რაიმე არსებითს გამოძიებისათვის.

ჩეზარე ბეკარია ცნობილ წიგნში „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ" ჯერ კიდევ 1764 წ. სწერდა მოწმეთა ჩვენების უტყუარობაზე: „უტყუარობის ჭეშმარიტი საზომია არა სხვა რამ, თუ არა ადამიანის დაინტერესება ილაპარაკოს ან არ ილაპარაკოს სიმართლე... ამის გამო მოწმის ჩვენების უტყუარობა შემცირებულ უნდა იქნას ბრალდებულთან მოწმის მტრული, მეგობრული ან სხვაგვარი დამოკიდებულების მიხედვით... ამგვარადვე, მოწმის უტყუარობა შეიძლება შემცირდეს, თუ კი იგი არის წევრი რაიმე კერძო საზოგადოებისა, რომლის ჩვეულები და წესები ან ნაკლებად ცნობილია, ან განსხვავებულია საერთოდ მიღებული წესებისაგან. ასეთი ადამიანი იმყოფება არა მხოლოდ თავის, არამედ სხვის ენებათა გავლენის ქვეშაც".

ჩეზარე ბეკარიას ეს გამოთქმა განირჩევა დიდი სიღრმით და შეეხება მოწმის ჩვენების სინამდვილესთან შესაბამისობისა და უტყუარობის საკითხებს.

საგამომძიებლო პრაქტიკამ იცის ბრალდებულთან, ან დაზარალებულთან მტრული, ანდა, პირიქით, მეგობრული, განსაკუთრებით ახლობელი დამოკიდებულების ნიადაგზე მოწმის მიერ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენებების მიცემის არაიშვიათი შემთხვევები. ასეთი მოწმე ჩვეულებრივ ხელმძღვანელობს შურისძიების გრძნობით თავისი მტრის მიმართ, ანდა სიბრალულის გრძნობით თავისი ახლობელი ადამიანის მი-

მართ, რასაც ის მიჰყავს მისწრაფებისაკენ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემის გზით დაიხსნას თავისი ახლობელი განსაცდელისაგან. ცალკეულ შემთხვევებში მოწმის ასეთი წინასწარი შეცნობითი ტყუილი ჩვენება აიხსნება მოწმის მოსყიდვით.

მოწმის დაკითხვის გულდასმით ჩატარების, მისი ჩვენების შემდგომი ანალიზისა და შემოწმების გზით, გამოცდილი გამომძიებელი საკმაოდ ადვილად განასხვავებს სიცრუეს სიმართლისაგან და გამოამჟღავნებს ცრუ მოწმეს.

გაცილებით უფრო ძნელია მოწმის კეთილსინიდისიერი შეცდენით გამოწვეული ჩვენების შეცდომითობის დადგენა.

უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ყოველი მოწმის ჩვენება არის სამი ძირითადი პროცესის შედეგი:

1) ამა თუ იმ შემთხვევისა და ფაქტის ათვისებისა;

2) მისი დამახსოვრებისა, და

3) თავის ჩვენებაში მისი გადმოცემისა.

ცნობილი რუსი იურისტი კონი ამ საკითხზე სწერდა: „მოწმეთა ჩვენება, მისი უტყუარობის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ პირობებში მიცემულიც კი, ხშირად გამოდგება ხოლმე არაუტყუარი. ყველაზე კეთილსინიდისიერი ჩვენება, მოცემული მარტოოდენ სიმართლის — და მასთან სრული სიმართლის — თხრობის გულწრფელი სურვილით, ემყარება მეხსიერების დაძაბვას, მეხსიერებისა, რომელიც გადმოცემს იმას, რასაც თავის დროზე მოწმემ ყურადღება მიაქცია. მაგრამ ყურადღება არის ათვისების მეტისმეტად არასრულყოფილი იარაღი, მეხსიერება კი დროთა მიმდინარეობაში ყურადღებით შთაბეჭდილ სახეებს ამახინჯებს და ხანდახან სრულიადაც ივიწყებს... მეხსიერების ეს ერთგვარი „შეშრობა და გაჟონვა“ აიძულებს მას შეუცნობლად აღადგინოს შექმნილი ხარვეზები, და ნელა-ნელა, ნახულისა და გაგონილის გადმოცემაში შეიპარება გამოგონება და თავის მოტყუება. ამრიგად, თითქმის ყოველი მოწმის ჩვენებაში არის ერთგვარი წყლული, რომელიც ცოტად თუ ბევრად სწამლავს ჩვენების მთელ ორგანიზმს თვით მოწმისათვის არა მხოლოდ უნებურად, არამედ შეუცნობლადაც“.

მოწმის ჩვენების მეტი ან ნაკლები უტყუარობა დამოკიდებული ამა თუ იმ მოწმის ინდივიდუალურ უნარზე, ათვისების მომენტში მოწმის მდგომარეობაზე, შემთხვევის მომენტიდან დაკითხვის მომენტამდე გასულ დროზე და იმ მითქმა-მოთქმის გავლენაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა შემთხვევის შემდეგ.

უეჭველია, უმრავლეს შემთხვევაში ნაკლები უტყუარობა აქვს ბავშვების, მოხუცებისა და აგრეთვე ნერვიულად და სხვაგვარად დაავადებულ პირთა ჩვენებებს. ასეთი მოწმეების ჩვენებები ჩვეულებრივ არასრულფასოვანია. ზოგიერთი ფსიქიური დაავადებით შეპყრობილი პირნი საერთოდ არ შეიძლება დაკითხულ იქნან მოწმეთა სახით, რადგან მათი ჩვენება არაუტყუარია.

დროებითი წესების 20 მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ დაბარებულ და დაკითხულ იქნას ყველა ის პირი, ვისაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლია ამა თუ იმ მოვლენის შეთვისება და მის შესახებ სწორი ჩვენების მიცემა. ამა თუ იმ პირის მოწმედ გამოყენების უნარის საკითხის გადასაწყვეტად, კანონის თანახმად, შესაძლოა მოწვეულ იქნან ექსპერტები.

ჩამოთვლილი მომენტები ყოველი გამომძიებლისაგან მოითხოვს ყველა მოწმის (კერძოდ, დაზარალებულის) ჩვენებისადმი კრიტიკულ მიდგომას, მოწმეთა ჩვენების გულდასმით შემოწმებას.

დაკითხვისათვის მომზადება

დაკითხვის სწორად ჩატარებისათვის გამომძიებელი წინასწარ უნდა მოემზადოს, გულდასმით შეისწავლოს საქმის მასალები, რომელთა საფუძველზეც იგი აწარმოებს დაკითხვას, და, შეძლებისდაგვარად, საქმის ხასიათისა და დაკითხვის სერიოზულობის მიხედვით, შეკრიბოს საჭირო მონაცემები დასაკითხავ პირზე და დასახოს დაკითხვის გეგმა. ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანი დაკითხვებისათვის მომზადებისას საჭიროა დაკითხვის წერილობითი გეგმის შედგენა.

დაკითხვის გეგმა შეიძლება შედგენილ იქნას შემდეგი ფორმით:

№№ რიგზე	გამოსარკვევი გარემოებანი	საქმეში არსებული მონაცემები	საკითხების ჩამოყალიბება (ფორმულირება)

გამომძიებელმა წინასწარ უნდა დასახოს იმ პირთა წრე, რომელთა მოწმეების სახით დაკითხვა აუცილებელია; ამასთანავე, მოიფიქროს ამა თუ იმ მოწმის დაკითხვის რიგისობაც, რამდენადაც ხშირად მოწმეთა დაკითხვის წესსზე დამოკიდებულია უფრო სრულ და უტყუარ ჩვენებათა მიღება და, მაშასადამე, გამოკვლევის წარმატებაც.

მოწმეთა დაკითხვისათვის სათანადოდ მოუმზადებლობა ჩვეულებრივად იწვევს იმას, რომ საქმეზე ხდება არა იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც დაკითხულ უნდა ყოფილიყვნენ, გამოწვეული მოწმენი ხშირად იკითხებიან არა იმის შესახებ, რაზედაც საჭირო იყო, და არ იკითხებიან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე. ამის შედეგად საქმე იტვირთება სრულიად არასაჭირო მოწმეთა ჩვენებებით და იმავე დროს მოუპოვებელი რჩება განსაკუთრებით აუცილებელი და ძვირფასი დამამტკიცებელი საბუთები.

მოწმის უფლება-მოვალეობანი

გამომძიებელმა უნდა უზრუნველჰყოს ყოველი დაკითხვის სწორად ჩატარება და გაფორმება, დაკითხულთათვის კანონით მინიჭებული ყველა უფლების გარანტირებით.

კანონის შესაბამისად, მოწმე წინასწარი გამოძიების სტადიაში დაკითხვისას სარგებლობს შემდეგი უფლებებით:

1) დაკითხვის დამთავრების შემდეგ გამომძიებლის მიერ შედგენილ დაკითხვის ოქმის გაცნობისას მოწმეს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით ოქმის შევსება და მასში შესწორებათა შეტანა (დროებითი წესების 23 მუხ.);

2) მუნჯს, ყრუს ან გამომძიებლისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე პირის დაკითხვის დროს, აგრეთვე მოწმისათვის გაუგებარ ენაზე გამოკვლევის წარმოებისას, მოწვეულ უნდა იქნას თარჯიმანი ან ისეთი პირი, რომელსაც მუნჯის თუ ყრუს სალაპარაკო ნიშნები ესმის (დროებითი წესების 21 მუხ.);

3) მიიღოს გაწეული ხარჯის საზღაური და გასამრჯელო თავისი ჩვეულებრივი საქმისაგან მოცდენისათვის (საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხ.);

4) შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის ისეთ მოქმედებაზე, რაც არღვევს ან ზღუდავს მის უფლებებს (დროებითი წესების 16 მუხ.);

5) არ გასცეს პასუხი გამომძიებელს ისეთ კითხვებზე, რომლებიც სცილდება მოცემული საქმისათვის საჭირო გამოსაკვლევ ფაქტების ფარგლებს და, აგრეთვე, არ შეეხება პასუხისგებაში მიცემულის დახასიათებას (დროებითი წესების 22 მუხ.);

6) თვითონვე დასწეროს თავისი ჩვენება (დროებითი წესების 23 მუხ.).

უნდა აღინიშნოს გამომძიებლის მუშაობაში ხშირად შემჩნეული ნაკლი, რაც იმით გამოიხატება, რომ არასწორად იყენებენ დროებითი წესების 23 მუხლის მესამე აბზაცით გათვალისწინებულ დასაკითხი პირის უფლებას — თვითონვე დაწეროს თავისი ჩვენება.

ბევრი გამომძიებელი, სურს რა თავი დააღწიოს დაკისრებულ სამუშაოს, თვითონვე აძლევს დასაკითხავ პირს წინადადებას წერილობით ჩამოაყალიბოს ყოველივე, რაც მისთვის ცნობილია მოცემულ საქმეზე, და მთელ რიგ შემთხვევებში გადასცემს მას დაკითხვის ოქმის შეუვსებელ ბლანკს და ავალდებულებს მეორე დღეს წარმოადგინოს თავისი ჩვენება.

ასეთი პრაქტიკა ყოველთვის იწვევს ჩვენების გადატვირთვას მრავალი არასაჭირო წვრილმანით, საქმესთან დაუკავშირებელი ფაქტებით და იმავე დროს ჩვენების მნიშვნელოვან უსრულობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილი ფაქტების პირდაპირ, ხშირად განზრახ, დამახინჯებას დასაკითხავი პირისათვის სასურველი მიმართულებით.

სსრ კავშირის პროკურატურის 1937 წ. 25 ივლისის № 50—26 ცირკულარით მოცემულია მითითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევის ასეთი პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ. დასაკითხავ პირთა მიერ ჩვენების საკუთარი ხელით დაწერა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი თვითონ მოისურვებენ ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული ამ უფლებით. ამასთანავე, ამ შემთხვევაშიც გამომძიებელი ვალდებულია:

ა) წინასწარ დაწვრილებით ზეპირად დაჰკითხოს ბრალდებული ან მოწმე;

ბ) მოთხოვოს ჩვენების საკუთარი ხელით დაწერა გამომძიებლის კამერაში დაუყოვნებლივ დაკითხვის შემდეგ;

გ) დასაკითხავი პირის თანდასწრებით შეამოწმოს მის მიერ თავისი ჩვენების სწორად და სისრულით გადმოცემა და, თუ საჭირო აღმოჩნდება, შეავსოს იგი დამატებითი შეკითხვებით;

დ) თვალყური ადევნოს იმას, რომ დაკითხვის ოქმში აღნიშნული იყოს დაკითხულის მიერ თავისი ჩვენების საკუთარი ხელით დაწერის შესახებ და რომ ოქმი აუცილებლად ხელმოწერილი იყოს დაკითხული პირისა და თვით გამომძიებლის მიერ.

დაზარალებული, რომელიც წინასწარი გამოძიების სტადიაში გამოდის როგორც მოწმე, სარგებლობს კანონით მოწმეთათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

გარდა ამისა დაზარალებული გამოძიების დროს სარგებლობს კიდევ შემდეგი უფლებებით:

1) იშუამდგომლოს მოწმეთა და ექსპერტების დაკითხვისა და სხვა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე, დამამტკიცებელი საბუთების შეკრების შესახებ (დროებითი წესების 11 მუხ.);

2) აღძრას სამოქალაქო სარჩელი იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი დანაშაულით მას მიყენებული აქვს ვნება და ზარალი, და იშუამდგომლოს გამომძიებლის მიერ სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღების შესახებ (დროებითი წესების 12—13 მუხ.).

თვითეული გამომძიებლის პირდაპირი მოვალეობაა მოწმეთა და დაზარალებულთა ყველა ამ უფლების უზრუნველყოფა.

მოწმედ დაბარებული მოვალეა გამოცხადდეს გამომძიებლის დაბარებით, აცნობოს მას ყოველივე, რაც მისთვის საქმეზე ცნობილია, აჩვენოს სიმართლე და პასუხი გასცეს გამომძიებლის მიერ მისთვის დასმულ კითხვებზე.

თუ მოწმე უარს იტყვის გამომძიებელთან ჩვენების მიცემაზე, უკანასკნელი ვალდებულია შეადგინოს ამაზე ოქმი და საქმე ასეთი მოწმის შესახებ გადასცეს უახლოეს სახალხო სასამართლოს (საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 59 მუხ.).

თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, გამომძიებელი უფლებამოსილია მოიყვანოს იგი იძულებითი წესით, იმავე დროს შეადგინოს ოქმი და საქმე მოწმის დაკითხვაზე გამოუცხადებლობის შესახებ გადასცეს უახლოეს სახალხო სასამართლოს (საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 59 მუხ.).

მოწმის მიერ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემის ფაქტის დადგენისას, გამომძიებელმა უნდა აღძრას ცალკე საქმე საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 95 მუხ. ნიშნებით.

დაკითხვის წარმოება

მოწმის დაკითხვის წარმოებისას გამომძიებელი მოვალეა უზრუნველჰყოს დროებითი წესების 19—23 მუხლებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის განუხრელად შესრულება.

კანონი აწესებს მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ძირითად საპროცესო წესს:

1) ისინი შეიძლება დაიკითხონ გამოძიების ჩატარების ან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

2) მათი დაკითხვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, სხვა მოწმეთა დაუსწრებლად;

3) გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები, რათა ერთსა და იმავე საქმეზე გამოწვეული მოწმეები დაკითხვის დასრულებამდე არ შეხვდნენ ერთმანეთს;

4) დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელი ვალდებულია: ა) გამოარკვიოს მოწმის ვინაობა; ბ) გამოარკვიოს მისი დამოკიდებულება მხარეებთან; გ) გააფრთხილოს ჩვენების მიცემაზე

რი გამოკითხვით დაკითხვის ოქმის საანკეტო ნაწილის შევსებისას. მოწმის ვინაობის დადგენა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს მოწმის პასპორტის ან სხვა პირადი დოკუმენტების საშუალებით.

აქამდე, მართალია, იშვიათად, საგამომძიებლო პრაქტიკაში გვხვდება მოწმის დაკითხვა მარტოოდენ მის წინაშე კითხვების დასმისა და ამ კითხვებზე პასუხების მიღების გზით. დაკითხვის ასეთი წესი ეწინააღმდეგება დროებითი წესების 22 მუხლის მოთხოვნას და, როგორც წესი, იწვევს მოწმისგან ნაკლებად უტყუარი და, მაშასადამე, არასრულფასოვანი ჩვენების მიღებას.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა გამომძიებელი ქართული ენის უცოდინარი მოწმის მის მშობლიურ ენაზე დაკითხვისას დაკითხვის ოქმს ადგენს ქართულ ენაზე ისე, რომ შესაძლებლად სთვლის არ გამოიწვიოს თარჯიმანი. ასეთი პრაქტიკა მოწმის უფლებების უხეში დარღვევაა. მსგავს შემთხვევებში თარჯიმნის გამოწვევა სავალდებულოა, ამასთანავე, მისი როლი უნდა განისაზღვროს დაკითხულისათვის გამომძიებლის მიერ ოქმში ჩაწერილი მისი ჩვენების თარგმნით.

დაკითხვის ტაქტიკა

დაკითხვის წარმოებისას გამომძიებელმა ნორმალური ურთიერთობა უნდა დაამყაროს დასაკითხავ მოწმესთან, გამოიწვიოს მასში თავის თავისადმი ნდობა და პატივისცემა. დაკითხვა ყოველთვის უნდა სწარმოებდეს თავაზიანად, რბილად, თანაბრად, მაგრამ ამავე დროს საჭირო შემთხვევებში სიბეჯითის, სიმტკიცის გამოჩენით. ჩვეულებრივად, მხოლოდ უარყოფით შედეგს იწვევს ცალკეული გამომძიებლის ცდა „დაიპიროს“ მოწმე რაიმეს წამოცდენით. დაკითხვის ასეთი მეთოდის შედეგად გამომძიებელსა და მოწმეს შორის წამოიჭრება ხოლმე სრულიად არასაჭირო და მავნე დავა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოწმეს ამსედრებს გამომძიებლის წინააღმდეგ, მოწმე აღარას ამბობს და გამომძიებელი ამის შედეგად ხშირად ჰკარგავს ძვირფასი ჩვენების მიღების შესაძლებლობას. მოწმის

დაკითხვის წარმატებისა და ყველაზე უფრო სრულფასოვანი ჩვენების მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოწმის დაკითხვა განმარტოებით, სხვის დაუსწრებლად. მხოლოდ ამ პირობის დაცვით შესძლებს გამომძიებელი მთელი გულისყურის საქმისადმი მიპყრობას და მოწმის ყურადღებაც სხვა რამეზე არ იქნება გადატანილი.

ბევრი გამომძიებლის სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს დაკითხვის წარმოების ზომაზე მეტად აჩქარებულობა, რაც უნდა აიხსნას ამ საგამომძიებლო მოქმედების შეუფასებლობით და გამომძიებლის მისწრაფებით — დაჰკითხოს რაც შეიძლება მეტ მოწმეს და არ იზრუნოს იმაზე, თუ რა ღირებულების იქნება დაკითხვის გზით მიღებული დამამტკიცებელი საბუთები. ასეთი პრაქტიკა ხშირად იწვევს ერთი და იგივე მოწმის რამდენჯერმე ხელახლად დაკითხვის საჭიროებას. დაკითხვა უნდა სწარმოებდეს აუჩქარებლად. გამომძიებელი, როგორც წესი, მოწმეს არ უნდა აწყვეტინებდეს თხრობას, რადგან ამას შეუძლია მოწმე დააბნიოს და უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს.

ყველაზე უფრო უტყუარი და სინამდვილის ამსახველი ჩვენების მიღების მიზნით, მოწმეს არ უნდა მიეცეს მისახვედრი შეკითხვები, ე. ი. ისეთი შეკითხვები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკარნახებენ განსაზღვრულ პასუხს. მაგალითად: „კაცს, რომელიც თქვენ ნახეთ, ეცვა ნაცრისფერი კოსტიუმი?“ ან: „იქ იყო 5—6 კაცი?“ თუმცა, ეს მოთხოვნა არ გამორიცხავს შესაძლებლობას და მთელ რიგ შემთხვევებში იმის საჭიროებას, რომ გამომძიებელმა დასაკითხავს მისცეს საჭირო განმარტება, აწარმოოს დაკითხვა დასაკითხავისათვის გასაგები გამოთქმებით, მისი კულტურული დონის გათვალისწინებით.

გამომძიებელი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ცდილობდეს, რომ მიღებული ჩვენება სინამდვილეს შეესაბამებოდეს. მას უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ჩვენების სიცრუის ან შეცდომითობის გამოაშკარავება, საკითხების მოხერხებული და დასაბუთებული დასმის გზით სინამდვილის შესაბამისი ჩვენების მიღება. გამომძიებელი არ უნდა გადაიქცეს მეოქმედ, რომელიც იწერს

ყოველივე იმას, რასაც მას ეუბნება დასაკითხავი, არამედ, ზედმიწევნით კრიტიკულად უნდა ეპყრობოდეს ჩვენებებს.

მოწმის დაკითხვის ტაქტიკა დამოკიდებულია საქმის ხასიათზე, მოწმის დამოკიდებულებაზე გამოსაკვლევ ფაქტთან და, ბოლოს, მოწმის პიროვნებაზე. ამასთან დაკავშირებით მოწმის დაკითხვის ტაქტიკის საკითხები დეტალურად დამუშავებულ უნდა იქნას კერძო მეთოდიკაში.

რუს ეკონომისტ ივანე პოსოშკოვს 1724 წელს დაწერილ წიგნში „სილატაკისა და სიმდიდრის შესახებ" გამოთქმული აქვს საინტერესო და სწორი აზრი დაკითხვის წარმოებაზე ამა თუ იმ მოწმის ჩვენების სიცრუის გამოაშკარავების მიზნით, პოსოშკოვი რჩევას იძლევა ასეთი მოწმე ყველა გარემოებაზე დაკითხულ იქნას უაღრესად წვრილმანი დეტალების შესახებ. მას მოჰყავს, მაგალითად, იმ საკითხების შემდეგი ჩამოთვლა, რომლებიც უნდა დაუსვან მოწმეს: ეს დიდი ხნის წინათ იყო თუ არა; მისი ამხანაგები, რომლებზეც ის მიუთითებს, ყველანი იქ იყვნენ თუ არაა; მასზე ადრე, მას შემდეგ, თუ ყველანი ერთად მივიდნენ; საიდან მოვიდენ; სად მოიყარეს თავი; რა მოუხდათ მათ და რით დამთავრდა; დღეღამის რომელ საათზე, რომელ სახლში ან ეზოში, ან რომელ სხვა ადგილას; თუ ეს იყო სახლში, სახელდობრ, რა ადგილას: „წინა კუთხეში", კარებთან, ღუმელთან, თუ მაგიდასთან; ისხდნენ ისინი თუ იდგნენ; ადრე იყო ეს თუ გვიან; ამინდი კარგი იყო თუ ცუდი იმ დროს; როგორ დაიშალნენ ისინი ამ შემთხვევის შემდეგ; რომელი მათგანი წავიდა ადრე და რომელი დარჩა, თუ ყველანი ერთად წავიდნენ; რამდენი კაცი იყო; ყველას იცნობს იგი თუ არავის არ იცნობს.

იძლევა რა ასეთ სავარაუდო ჩამოთვლას, პოსოშკოვი სწერს: „და ისე, ვისაც როგორ შთააგონებს ღმერთი, საჭიროა განსაკუთრებით დაწვრილებით დაიკითხონ მოწმენი და მთელი ნათქვამი დაწვრილებით ჩაიწეროს სწორედ ისე, როგორც იქნება ნათქვამი, იმიტომ რომ მოწმეთა შორის უზომოდ ბევრი ცრუ მოწმეა, ხოლო დაწვრილებით გამოკითხვისას მას თავისი სიცრუეს დაფარვა გაუძნელდება".

პოსოშკოვის ეს საინტერესო მოსაზრება დღემდე არ მოძველებულა ცალკეულ მოწმეთა და აგრეთვე ბრალდებულთა დაკითხვის ტაქტიკის თვალსაზრისით.

ამა თუ იმ საქმეზე მოწმის დაკითხვის წარმოებისას, გამომძიებელი უნდა მიისწრაფვოდეს მიიღოს პასუხი ყველა იმ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

ამასთან ერთად გამომძიებელმა ყოველთვის უნდა გამოარკვიოს მოწმის ჩვენების წყაროები, ე. ი. საიდან არის ცნობილი მოწმისათვის ეს თუ ის ფაქტი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით შესძლებს გამომძიებელი მოწმის ამა თუ იმ ჩვენების უტყუარობის განსჯას და, მაშასადამე, მოწმის ჩვენებისათვის სწორი შეფასების მიცემას.

იმისათვის, რომ წარმატებით ჩატარდეს მოწმეთა დაკითხვა, გამომძიებელი უნდა სწავლობდეს ადამიანთა ფსიქოლოგიას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გაიგოს კონკრეტული მოწმის ფსიქოლოგია და ამის გათვალისწინებით ააგოს დაკითხვის ტაქტიკა. გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ამა თუ იმ მოქალაქის გამომძიებელთან დასაკითხად დაბარება, თუნდაც მოწმის სახით, არაჩვეულებრივი მოვლენაა ამ მოქალაქის ცხოვრებაში.

მოწმის დაკითხვის წარმოებისას გამომძიებელი უნდა იყოს ყურადღებიანი, ზრდილობიანი, სერიოზული და ობიექტური.

ჯერ კიდევ 1936 წელს, სსრ კავშირის პროკურორთან არსებულ მეთოდური საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, დაკითხვებისა და დაპირისპირების მეთოდიკის საკითხზე ამხ. ვიშინსკიმ სთქვა: „ჩვენთვის მთავარია მსჯავრი დავდოთ არა ადამიანს, არამედ მტერს, ჩვენთვის მთავარია ჭეშმარიტების დადგენა. მცდარი მეთოდებით შეიარაღებული გამომძიებელი, გამომძიებელი, რომელსაც არ ესმის თავისი როლი და საბრალმდებლო მიდრეკილება აქვს, — ცუდი გამომძიებელია“.

დაკითხვის ჩატარებისას გამომძიებელი მოვალეა დაიცვას კანონის მოთხოვნა და უზრუნველჰყოს დაკითხვის სრული ობიექტურობა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაკითხვის ოქმის პროცესუალურ გაფორმებას. დღემდე ბევრ საქმეზე დაკითხვის ოქმი სდგება მეტისმეტად დაუდევრად: არ არის მითითება, ვის მიერ არის იგი შედგენილი, ოქმის ტექსტში გვხვდება ხაზგასმით გადაშლილი ადგილები, აგრეთვე შესწორებანი და დამატებანი ყოველგვარი შენიშვნის გარეშე და ა. შ.

საგამომძიებლო დოკუმენტების და, მათ შორის, დაკითხვის ოქმების შედგენისას დაუდევრობისა და უკულტურობის ამგვარი გამოვლინებანი გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი.

დაკითხვის ოქმის შესავალი და საანკეტო ნაწილი შევსებულ უნდა იქნას მთელი გულისყურით და ამომწურავი სისრულით. მაგალითად, სრულიად დაუშვებელია კითხვაზე „განათლება“ მივუთითოთ: „საშუალო“ ან „3 კლასი“ ან „უმაღლესი“ და ა. შ., რადგან ასეთ მოკლე პასუხს მცირე სარგებლობა მოაქვს. შეკითხვაზე დასაკითხავი პირის განათლების შესახებ, გამომძიებელი მოვალეა გამოარკვიოს და ოქმში აღნიშნოს, სახელდობრ რომელი სასწავლებელი, რა მოცულობით, როდის და სად დაამთავრა დასაკითხავმა პირმა. ასეთივე სიზუსტე უნდა-დაიცვას გამომძიებელმა დაკითხვის დროს ყველა სხვა საანკეტო კითხვის და, კერძოდ სოციალური წარმოშობის შესახებ შეკითხვის მიმართ.

სრულიად დაუშვებელია დაკითხვის ოქმში რაიმეს გადახაზვა და შესწორება. დაკითხვის ოქმში ამა თუ იმ შესწორების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა ყველა გადახაზულისა და შესწორების შესახებ სპეციალური შენიშვნა გააკეთოს ოქმის ბოლოს, ვიდრე მას ხელს მოაწერდეს დაკითხული პირი და თვით გამომძიებელი. დაუშვებელია, აგრეთვე, დაკითხვის ოქმის ტექსტში შეუვსებელი, სუფთა სტრიქონების დატოვება; ასეთი სტრიქონები აუცილებლად უნდა გაიხაზოს გამომძიებლის მიერ ოქმზე ხელის მოწერამდე.

საჭიროა, აგრეთვე, შევჩერდეთ წერა-კითხვის უცოდინარი მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენების გაფორმების საკითხზე.

ამ საკითხში არსებობს სულ სხვადასხვაგვარი პრაქტიკა: ერთნი, წერა-კითხვის უცოდინარ დაკითხულ პირს, წინადადებას აძლევენ, მისთვის ჩვენების წაკითხვის შემდეგ, თავისი ჩვენების ქვემოთ დაუსვას თითის ანაბეჭდი; მეორენი დასაშვებად სთვლიან წერა-კითხვის უცოდინართაგან ჯვრების ან სხვა პირობითი ნიშნების დახაზვას; მესამენი კიდევ იწვევენ თანამოწმეს და წინადადებას აძლევენ მას ხელი მოაწეროს შემდეგი ფორმულირებით: „წერა-კითხვის უცოდინარის მაგიერ, მისი პირადი თხოვნით, ხელ'ს ვაწერ", ან უბრალოდ აღნიშნავენ, რომ დასაკითხავი პირი წერა-კითხვის უცოდინარია, და ამოწმებენ ოქმს მარტოოდენ თავისი ხელისმოწერით.

სსრ კავშირის პროკურატურამ სცნო, რომ გამომძიებელმა არ უნდა მოსთხოვოს წერა-კითხვის უცოდინარს თავისი ჩვენების ქვეშ აუცილებლად დაუსვას თითის ანაბეჭდი, მით უმეტეს, რომ ამ ანაბეჭდებს ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე უფლებრივი მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენების დამოწმების ასეთი ხერხის საგამომძიებლო პრაქტიკიდან ამოღება ადმინისტრაციული აკრძალვის გზით, სწორი არ იქნებოდა; ეს ხერხი განხილულ უნდა იქნას როგორც ჩვეულება, რომელიც გაჰქრება წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციასთან ერთად.

დაუშვებელია ხელისმოწერის შეცვლა ჯვრების ან სხვა პირობითი ნიშნების დასმით.

როგორც წესი, წერა-კითხვის უცოდინარის დაკითხვისას ოქმი უნდა წავუკითხოთ დაკითხულს თანამოწმის თანდასწრებით და ხელი მოვაწერინოთ თანამოწმეს, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარი დაკითხული პირის თხოვნით დაადასტურებს მისი ჩვენების ჩანაწერის სისწორეს. ასეთ შემთხვევებში ოქმში აღნიშნული უნდა იყოს, რომ დაკითხული წერა-კითხვის უცოდინარია. გამომძიებელი მოვალეა განსაკუთრებით გულდასმით და კეთილსინდისიერად მოეპყრას წერა-კითხვის უცოდინარის დაკითხვის ოქმის შედგენას, მხედველობაში იქონიოს,

რომ დამკითხავს დაკისრებული აქვს დიდი პასუხისმგებლობა ჩანაწერის სისწორისათვის, რომლის შემოწმებას და დაზუსტებას დაკითხული, წერა-კითხვის უცოდინარობის შედეგად, ყოველთვის ვერ შესძლებს.

გამომძიებელის მიერ შედგენილ დაკითხვის ოქმში მოწმის ჩვენება იმ სახით უნდა იყოს ასახული, როგორც ის გადმოცემული იყო მოწმის მიერ, შეძლებისდაგვარად, ყველაზე უფრო არსებით ადგილებში, სიტყვა-სიტყვითაც და, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი შეფარდების გარეშე, ხელოვნურ, ორაზროვან ფორმულირებათა და ტენდენციურობის გარეშე, ისე, რომ დაკითხულს თავს არ მოვახვიოთ გამომძიებლის მოსაზრებანი და შთაბეჭდილებანი და რომ დაკითხვის ოქმში აუცილებლად მითითებული იყოს დაკითხულის ჩვენების წყაროები.

კანონი ამ საგამომძიებლო დოკუმენტს შემდეგ მოთხოვნებს უყენებს:

1) მოწმის ჩვენება უნდა ჩაიწეროს პირველი პირით და, შეძლებისდაგვარად, სიტყვა-სიტყვით;

2) მოწმისათვის დასმული საკითხები და მათზე გაცემული პასუხები, საჭიროების შემთხვევაში, ოქმში უნდა აღინიშნოს სიტყვა-სიტყვით;

3) მოწმის დაკითხვაში თარჯიმნის მონაწილეობის შემთხვევაში, ამის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს ოქმში, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნას თარჯიმნის მიერაც;

4) დაკითხვის დამთავრების შემდეგ ოქმი უნდა წავუკითხოთ მოწმეს;

5) თუ მოწმე მოითხოვს, ოქმში შეტანილ უნდა იქნას დამატებები და შესწორებები;

6) მოწმის თხოვნის შემთხვევებში, მას უნდა მიეცეს უფლება საკუთარი ხელით დასწეროს ჩვენება, რაც სპეციალურად უნდა აღინიშნოს ოქმში;

7) დაკითხვის ოქმი ხელმოწერილ უნდა იქნას მოწმისა და გამომძიებლის მიერ.

ყველა ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია დროებითი წესების 21, 22 და 23 მუხლებში.

ბევრი გამომძიებელი დაკითხვის ოქმს ამთავრებს ტრაფარეტული ფრაზით: „ამ საქმეზე მეტი საჩვენებელი არაფერი მაქვს“. საეჭვოა, ასეთი ფორმულირება მიჩნეულ იქნას სწორად, მით უმეტეს, რომ, როგორც ეს ხშირად ხდება, იმავე მოწმეს რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა დაჰკითხავენ ხოლმე და ის გამოძიებას აძლევს რაღაც დამატებით ჩვენებებს.

დაკითხვის ოქმში მხოლოდ ის უნდა იყოს ჩაწერილი, რაც მოწმემ აჩვენა. მოწმისათვის ოქმის წაკითხვის შემდეგ კი ოქმში უნდა აღინიშნოს ორი მომენტი, სახელდობრ:

1) რომ ოქმში მოწმის ჩვენება სწორად არის ჩაწერილი, და

2) რომ ოქმი მოწმეს წაუკითხეს ან მან თვითონ წაიკითხა.

ამასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, როცა ოქმს მოწმეს წაუკითხავენ, ყველაზე მიზანშეწონილია ოქმის დამთავრება შემდეგი ფრაზით: „ოქმი წამიკითხეს, ჩაწერილია სწორად“.

ჩვენების შემოწმება

მიიღებს რა მოწმის ჩვენებას, გამომძიებელი მოვალეა გულდასმით შეამოწმოს იგი, უამისოდ მას არ ექნება ჩვენების სწორად შეფასების შესაძლებლობა.

მოწმის ჩვენების შეფასება უნდა მოხდეს შეკრებილ სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან და, აგრეთვე, გამოძიებით დადგენილ საქმის გარემოებებთან მისი დაპირისპირების გზით. გარდა ამისა მოწმის ჩვენება ზოგჯერ საჭიროა შემოწმდეს დამატებითი საგამომძიებლო მოქმედების, მათ შორის სხვა მოწმეების დაკითხვის გზით, ანდა, როცა ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, — საგამომძიებლო ექსპერიმენტის გზით.

მხოლოდ ამ პირობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას წინასწარი გამოძიების ძირითადი პრინციპების: ობიექტურობის, ყოველმხრივობისა და სისრულის დაცვა.

სამამულო ომის პერიოდში მოწმის საქმიანობის გამოკვლევა

მოწმის პიროვნების უკეთ გამოკვლევისა და მის მიერ მიცემული ჩვენების უტყუარობის შესახებ უფრო სწორი მსჯელობის მიზნით, გამომძიებელმა უნდა გამოარკვიოს, თუ სად

ცხოვრობდა და რა საქმიანობას ეწეოდა მოწმე სამამულო ომის პერიოდში. განსაკუთრებით გულდასმით უნდა იქნას შემოწმებული ეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა ირკვევა, რომ მოწმე ფაშისტ დამპყრობთა მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

2. დაპირისპირება

ცნება და მნიშვნელობა

დაპირისპირების ჩატარება გათვალისწინებულია დროებითი წესების 23 და 41 მუხლებით. დაპირისპირება, შეადგენს რა დაკითხვის ნაირსახეობას, წარმოადგენს განსაკუთრებით სერიოზულ საგამომძიებლო მოქმედებას, რომელსაც ჩვეულებრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დადგენისათვის ურთიერთ საწინააღმდეგო ან ერთიმეორის გამომრიცხავი ორი მოწმის ან ბრალდებულის ჩვენებათა არსებობისას, აგრეთვე ბრალდებულის მიერ მოწმეთა ჩვენებებით ან სხვა ბრალდებულების ჩვენებებით დადგენილი ამა თუ იმ ფაქტის უარყოფისას.

სწორად ჩატარებული დაპირისპირება ხელს უწყობს მეტად უტყუარი დამამტკიცებელი საბუთების მიღებას.

ძირითადი შეცდომები

საგამომძიებლო პრაქტიკაში ჭეშმარიტების დადგენის ეს კარგი საშუალება იხმარება არასაკმაოდ ხშირად, ამასთან, მთელ რიგ შემთხვევებში დაპირისპირება ტარდება არასწორად, რის შედეგად მას საქმისათვის სარგებლობა არ მოაქვს. ეს აიხსნება ბევრი გამომძიებლის მიერ დაპირისპირების ჩატარების უცოდინარობით და მეთვალყურე პროკურორის მხრივ საჭირო ხელმძღვანელობის უქონლობით.

ყველაზე ხშირად გამომძიებელი, დაკითხულ მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებებში სერიოზული წინააღმდეგობის არსებობისას, აწყობს მათ დაპირისპირებას, რომლის დროსაც მხოლოდ ეკითხება თვითეულ მათგანს: ადასტურებენ თუ არა ისინი მათ მიერ ადრე მიცემულ ჩვენებებს. ჩვეულებრივ ისინი

ადასტურებენ, ე. ი. თვითეული მათგანი იცავს თავის ადრინდელ ჩვენებას; გამომძიებელი კი, აღნიშნავს რა ამას ოქმში, სთვლის, რომ მან გააკეთა ყოველივე შესაძლებელი ჭეშმარიტების გამოსარკვევად.

დაპირისპირების ასეთი ფორმალური ჩატარება სრულიად უსარგებლოა და დროს ტყუილ-უბრალოდ დაკარგვას იწვევს.

ზოგიერთი გამომძიებლის უმწეობა დაპირისპირების ჩატარებისა და გაფორმებისას შეიძლება დავინახოთ შემდეგი ფაქტით, რომელსაც ადგილი ჰქონდა.

ერთ-ერთი გამომძიებელი, მართალია, ჯერ კიდევ დამწყები მუშაკი, დაპირისპირებებს აფორმებდა შემდეგნაირად: ოქმის მარცხენა სვეტში აღნიშნავდა შეკითხვებს, რომელთაც იძლეოდა არა გამომძიებელი, არამედ ერთი დაპირისპირებაზე გამოწვეულთაგანი, მარჯვენა სვეტში კი სწერდა დაპირისპირებაზე გამოწვეული მეორე პირის მიერ ამ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს. დაპირისპირების ამგვარად ჩატარებისას გამოდიოდა, რომ დაკითხვას აწარმოებდა დაპირისპირებაზე გამოწვეული ერთ-ერთი პირი, გამომძიებელი კი „ამასთანავე ესწრებოდა“ და ოქმში შეჰქონდა ყოველივე ის, რაც ხდებოდა. თუ დაპირისპირების ასეთი დაუშვებელი ჩატარება შეიძლება ეპატიოს დამწყებ გამომძიებელს, წინასწარ გამოძიებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორისათვის მიუტოვებელია ასეთი დამახინჯების დაშვება, მისი უყურადღებოდ დატოვება და გამომძიებლის შეცდომების თავის დროზე გამოუსწორებლობა. დაპირისპირება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაპირისპირებაზე გამოსაწვევ პირთა წინასწარ ცალ-ცალკე დაკითხვის შემდეგ.

ძირითადი წესები

გამომძიებელმა, გამოკვლევის გეგმით დაპირისპირების ჩატარების დასახვისას, წინასწარ უნდა გარკვევით წარმოიდგინოს ამ საგამომძიებლო მოქმედების მიზანი და, აგრეთვე, ზუსტად დასახოს, რა გზით და თვითეული დასაკითხავი პირის წინაშე დასმული რა საკითხების დახმარებით შეიძლება გადაწყდეს მათს ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობანი.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაპირისპირების ჩატარებისას, დასახულ უნდა იქნას საკითხები, რომელთა მიზანია დაპირისპირებაზე გამოწვეულ პირთა მიერ ადრე მოცემული ჩვენებების დაზუსტება, ყველა იმ დეტალისა და გარემოების აღდგენა, რომლებშიც ადგილი ჰქონდა მოვლენას, რაზედაც მოწმედ გამოდიან დაკითხულნი. დაპირისპირებისას რომელიმე დასაკითხავი პირის მიერ თავისი ადრინდელი ჩვენების დადასტურების შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა დააზუსტოს ამ მოვლენის ყველა გარემოება (უწვრილმანეს დეტალებში), რომლებიც შეიძლება მოყვანილ და წარმოდგენილ იქნან ამ ჩვენების სისწორის დამამტკიცებელ საბუთებად და, ბოლოს, შეიძლება დაშვებულ იქნას დაპირისპირებაზე დასაკითხავ პირთა ურთიერთ შეკითხვები.

თვითეულმა გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს დაპირისპირების ჩატარების ტაქტიკა და იმავე დროს გამოიყენოს ფსიქოლოგიური მომენტები. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია დაპირისპირებას საჭირო შედეგების მოცემა.

ზოგიერთ შემთხვევაში წარმოიშობა ერთბაშად 3—4 მოწმის ან ბრალდებულის დაპირისპირების ჩატარების საჭიროება. მაგრამ ამგვარი დაპირისპირების ერთდროულად ჩატარება მართებული არ არის, რადგან ხშირად, მისი ჩატარების დიდი სირთულის გამო, იგი სასურველ შედეგს არ იძლევა. გაცილებით უკეთესია ასეთ შემთხვევებში 2—3 დაპირისპირების ჩატარება, თვითეულ მათგანზე არა უმეტეს ორი მოწმის ან ბრალდებულის დაკითხვით.

ყველაზე უფრო სერიოზულ და რთულ საქმეზე, როცა პროკურორი საჭიროდ სთვლის შეამოწმოს მოწმეთა ან ბრალდებულის ესა თუ ის ჩვენებები და ამ მიზნით ავალებს დაპირისპირების ჩატარებას, ან ზოგჯერ მაშინაც, როცა გამომძიებელი ამას საკუთარი ინიციატივით აკეთებს, დაპირისპირების წარმოებისას მიზანშეწონილია პროკურორის დასწრება. დაპირისპირებას, როგორც დაკითხვის ნაირსახეობას, შეესაბამება იგივე საპროცესო წესები, რაც მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვას.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილია დაპირისპირების ოქმის გაფორმება ორი სვეტის სახით. ერთ მათგანში ჩაიწერება ერთ-ერთი დასაკითხავი პირისათვის მიცემული შეკითხვები და მისი პასუხები, მეორეში — მეორე დასაკითხავი პირისათვის მიცემული შეკითხვები და მისი პასუხები. მთელი მასალა უნდა განლაგდეს იმგვარად, რომ ოქმით თვალსაჩინო იყოს, თუ რომელი შეკითხვა და სახელდობრ ვის მიეცა უფრო ადრე და რომელი ვის — უფრო გვიან.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილია დაპირისპირების ოქმი სდგებოდეს შემდეგი ფორმით.

დაპირისპირების ოქმი

194 წ. . . . . ." ქ.

. (ოლქის, რესპუბლიკის) . . რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . (საკლასო ხარისხი)

(გვარი) დროებითი წესების 23 და 41 მუხ. მუხ. საფუძველზე .

. (აღინიშნოს სად) მოვახდინე დაპირისპირება

ბრალდებულ . . . . და ბრალდებულ . შორის,
მოწმე მოწმე

რომლებმაც აჩვენეს:

სახელი, მამის სახელი, გვარი	სახელი, მამის სახელი, გვარი

დაკითხულთა ხელისმოწერა .

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დაპირისპირებაზე მოწმეთა დაკითხვის შემთხვევაში, ოქმში აღნიშნული უნდა იყოს მათი გაფრთხილება ტყუილი ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დაპირისპირების ოქმის გაფორმება როგორც დასმული შეკითხვების, ისე თვითეული დაკითხულთაგანის ჩვენების მწკრივში თანმიმდევრობით ჩაწერის გზით.

3. დათვალიერება

ცნება და მნიშვნელობა

წინასწარ გამოძიების სტადიაში ჩატარებული დათვალიერება წარმოადგენს საპასუხისმგებლო საგამომძიებლო მოქმედებას, რომელიც, თუ იგი სისხლის სიმართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარდება და გაფორმდება, მოგვცემს საქმეზე დამამტკიცებელ საბუთს— სათანადო დათვალიერების ოქმს. საგამომძიებლო დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკის, მათ შორის მილიციის მუშაკის მიერ.

სათანადოდ გაფორმებული დათვალიერების ოქმი ყველაზე უფრო ობიექტური დამამტკიცებელი საბუთია. ეს მიღწეულ უნდა იქნას დათვალიერების ჩატარებისა და გაფორმების შესახებ კანონით დადგენილი განსაკუთრებული წესების დაცვით.

დათვალიერების შედეგების ღირსება ის არის რომ ის გვაძლევს დანაშაულის გარემოს შესწავლისა და ნივთიერი და წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენის შესაძლებლობას. ამავე დროს დათვალიერების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქმეზე სხვა დამამტკიცებელ საბუთების შემოწმების საშუალებას.

დათვალიერების ნაირსახეობანი

საგამომძიებლო დათვალიერება სწარმოებს მთელ რიგ შემთხვევებში. უნდა აღინიშნოს უწინარეს ყოვლისა: 1) შემთხვევის ადგილის დათვალიერება; 2) გვამის დათვალიერება, რაც

ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებული არ არის მკვლელობის, თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის მოხდენის ადგილის დათვალიერებასთან; 3) კვლებისა და ლაქების დათვალიერება, რაც აგრეთვე ცალკეულ შემთხვევაში დაკავშირებული არ არის შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან; 4) ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერება; 5) დოკუმენტების დათვალიერება.

დათვალიერების თვითეულ ამ სახეს აქვს თავისი თავისებურება, რომელზეც საჭიროა ცალკე შევჩერდეთ.

თანამოწმეთა დასწრება

დათვალიერების ჩატარების ყველა შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა დათვალიერებაზე დასასწრებლად მოიწვიოს თანამოწმენი.

ხშირად გამომძიებლები ამ ნაწილში უშვებენ ორ ძირითად შეცდომას:

1) თანამოწმეებს სრულიად არ იწვევენ, ან იწვევენ მხოლოდ ერთ თანამოწმეს, ან თანამოწმეთა სახით გამოდიან მილიციის მუშაკები;

2) თანამოწმეებს იწვევენ, მაგრამ მათ არასწორად იყენებენ, ე. ი. ისინი ფაქტიურად არ ესწრებიან დათვალიერებას, არ რწმუნდებიან დათვალიერების ჩამტარებელი გამომძიებლის მიერ ამა თუ იმ კვალის, ნიშნის, თავისებურების ან საგნების აღმოჩენაში და მხოლოდ იმ სადგომში არიან, სადაც დათვალიერება სწარმოებს. მათი მონაწილეობა ამოიწურება ხელისმოწერით ოქმზე, რომლის სინამდვილესთან შესაბამისობას ისინი ფაქტიურად არ ამოწმებენ.

კანონის თანახმად [1], თანამოწმეთა სახით მოწვეულ უნდა იქნან საქმის მონაწილეებთან ნათესაური კავშირში არ მყოფი

---

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 74 მუხლზე. მართალია, საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან შესაბამისი მუხლი ამოშლილია 1931 წ. მარტის 1-ს სისხ. სამ. საქმეთა გამო წინასწარ გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღების გამო, მაგრამ სავალდებულოა მოქმედება რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 74 მუხ. მოთხოვნის შესაბამისად.

გარეშე პირები. მართებული არ არის თანამოწმეთა სახით საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა გამოყენება, თუნდაც ისინი არ აწარმოებდნენ ოპერატულ-საგამომძიებლო მოქმედებებს ამ საქმეზე.

თანამოწმე უნდა იყოს არანაკლები ორისა; როგორც წესი, ორზე მეტი თანამოწმის მოწვევა მართებული არ არის. დათვალიერების მონაწილე, ანდა მხოლოდ მისი დამსწრე ადამიანების დიდ რაოდენობას შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგი, რადგან, განსაკუთრებით შემთხვევის ადგილის ან კვალის აღმოჩენის ადგილის დათვალიერებისას, მათ შეიძლება მოსპონ დანაშაულის ჩამდენი პირის კვალი, ანდა დატოვონ ახალი კვალი, რომელსაც შეუძლია მცდარ გზაზე დააყენოს გამომძიებელი.

თანამოწმენი უნდა ესწრებოდნენ დათვალიერებას, ამასთანავე გამომძიებელი მოვალეა მათი ყურადღება მიაქციოს მის მიერ აღმოჩენილ ამა თუ იმ კვალს ან საგანს, ნიშანს ან თავისებურებას. იმავე დროს თანამოწმეებსაც შეუძლიათ გამომძიებლის ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ კვალსა და საგანს, დამახასიათებელ ნიშნებსა და თავისებურებებს, რომლებიც მათ არსებითად მიაჩნიათ.

მხოლოდ დათვალიერების ამ წესის დაცვით შეიძლება მიღწეულ იქნა როგორც თვით დათვალიერების, ისე შედგენილი ოქმის უმეტესი ობიექტურობა. იმავე დროს თანამოწმენი სრულიად კეთილსინდისიერად და შეგნებულად შესძლებენ თავისი ხელისმოწერით დაადასტურონ ოქმის ყველა ჩანაწერი.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ დაკითხვის ოქმი წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს საქმეზე, და თუ სასამართლოს რაიმე ეჭვი აღეძვრის ოქმში იმის ასახვის სისწორეში, რაც აღმოჩენილი იყო, მას ადვილად შეუძლია ეს შეამოწმოს სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე იმ პირების მოწმეთა სახით დაკითხვით, რომლებიც დათვალიერებაში მონაწილეობდნენ თანამოწმეთა სახით.

უკეთუ თანამოწმენი დათვალიერების ჩატარებისას არასწორად იყვნენ გამოყენებული, ბუნებრივია, რომ სასამართლოში დაბარების შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებენ მისცენ ჩვენება იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება დათვალიერების ოქმის ში-

ნაარსი იმას, რაც და როგორც იყო აღმოჩენილი დათვალიერებისას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო იძულებული გახდება უარჰყოს დათვალიერების ოქმი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, რამდენადაც იგი შედგენილია სისხ. სამ. საპრ. კოდ. მოთხოვნათა დარღვევით.

ა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება

სავალდებულო დათვალიერების შემთხვევები

შემთხვევის ადგილის დათვალიერება სავალდებულოა ყველა შემთხვევაში საქმეთა აღძვრისას ისეთ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც სტოვებენ მატერიალურ კვალს.

შემთხვევის ადგილზე დათვალიერების ჩასატარებლად გამომძიებლის გამგზავრება აუცილებელია მკვლელობის, ბანდიტური ან ყაჩაღური თავდასხმების, დიდი ავარიების ან წარმოებაში სერიოზული უბედური შემთხვევის, დიდი, განსაკუთრებით ადამიანის მსხვერპლით დამთავრებული ხანძრის, დიდი მტაცებლობის, განსაკუთრებით გატეხვით მტაცებლობის, თვითმკვლელობის ყველა შემთხვევებში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა დანაშაულთა ჩადენისას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საგამომძიებლო მოქმედებას, რომლის შედეგებზე ბევრ შემთხვევაში დამოკიდებულია მთელი შემდგომი გამოკვლევა. გულდასმით, ტაქტიკურად სწორად და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება ყოველთვის იძლევა დადებით შედეგს, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს და ამცირებს შემდგომ მუშაობას გამოკვლევის წარმოებისა და დანაშაულის გახსნისათვის.

გამომძიებლის როლი

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე გამომძიებლები იშვიათად მიდიან ხოლმე შემთხვევის ადგილზე. ჩვეულებრივ, შემთხვევის ადგილზე მიდის უბნის რწმუნებული ან მილიციის სხვა ოპერატული მუშაკი. ხშირად, იმის გამო, რომ საკმაო კვალიფიკაცია

არა აქვს, მას არ შეუძლია სათანადოდ ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, აღმოაჩინოს და დაამაგროს დანაშაულის დარჩენილი კვალი, რომლის დახმარებით ზოგჯერ შეიძლება მაშინვე, ადგილზევე, გაიხსნას დანაშაული და დადგენილ იქნას დამნაშავე.

მილიციის ორგანოების ზოგიერთი მუშაკი არასწორად ფიქრობს, რომ ისეთი შემთხვევის ადგილზე, როგორიც არის გვამის აღმოჩენა (თუნდაც უეცარი სიკვდილის შემთხვევაში), აუცილებლად უნდა გაემგზავროს გამომძიებელი, ხოლო მილიციის მუშაკები ამ მოვალეობისაგან თითქოს თავისუფალი არიან.

ასეთი თვალსაზრისი არასწორი და კანონის საწინააღმდეგოა. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში დაუყოვნებლივ, შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე უნდა გაემგზავროს მილიციის შესაბამისი მუშაკი.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად, ადგილის დათვალიერების მსვლელობაში, წამოიჭრება ხოლმე ოპერატულ-სამძებრო მუშაობის ჩატარების სასწრაფო საჭიროება, რაც მილიციის შესაბამისი მუშაკის ადგილზე ყოფნისას ყოველთვის უზრუნველყოფილ იქნება.

უფრო ხშირად გამომძიებლები ცდილობენ თავიდან აიცილონ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაავალონ ის მილიციის ორგანოებს. ასეთი პრაქტიკა სრულიად მოუთმენელია.

ისეთი დანაშაულის გამოვლინების ყველა შემთხვევაში, რომელიც სტოვებს მატერიალურ კვალს და დროებითი წესების 6 მუხლის შესაბამისად მოითხოვს წინასწარი გამოძიების ჩატარებას, გამომძიებელი მოვალეა დაუყოვნებლივ გაემგზავროს შემთხვევის ადგილზე დათვალიერების მოსახდენად.

მსგავსი დანაშაულის გამოვლინებისას მილიციის მუშაკი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამომძიებელს და უკანასკნელის მოსვლამდე მიიღოს მხოლოდ ზომები შემთხვევის ადგილის დასაცავად გარემოს შესაძლებელი ცვლილებისაგან. გამომძიებელი კი მოვალეა შემთხვევის ადგილზე გაემგზავროს და პირადად მოახდინოს დათვალიერება.

განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში ადგილზე უნდა გაემგზავროს აგრეთვე პროკურორიც. მაგრამ შემთხვევის ადგილზე

ერთდროულად რამდენიმე საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკის გამგზავრებისას, ადგილი არ უნდა ექნეს უპასუხისმგებლობას, გაურკვევლობას, ცალკეული მუშაკების მოქმედებათა შეუთანხმებლობას. ამიტომ შემთხვევის ადგილზე მთელ რიგ საგამომძიებლო მუშაკთა გამგზავრების შემთხვევაში ხელმძღვანელი როლი გამოძიებელს უნდა ეკუთვნოდეს.

პროკურატურის გამომძიებელმა, როგორც გამოძიების დარგში ყველაზე უფრო კვალიფიციურმა მუშაკმა, პირადად უნდა მოახდინოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, შეადგინოს დათვალიერების ოქმი, ხოლო შემდგომ აწარმოოს წინასწარი გამოძიება.

პროკურორმა, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას გამოძიებაზე, შემთხვევის ადგილზე გამგზავრებისას თავისი მუშაობა უნდა ააგოს გამომძიებელთან შეთანხმებით, არ შეზღუდოს მისი დამოუკიდებლობა დათვალიერების მოხდენაში.

ექსპერტის მონაწილეობა

შემთხვევის ადგილზე გამგზავრებისას, როცა ეს საჭიროა, გამომძიებელმა ექსპერტად უნდა მიიწვიოს სათანადო მცოდნე პირი. შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას წამოჭრილი ყველა საკითხის გადასაწყვეტად ასეთი უაღრესად საჭირო სპეციალისტები (რამდენადაც ამასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას ოპერატულ-სამძებრო მოქმედებათა სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობა) შეიძლება იყვნენ: სახანძრო დაცვის ინსპექტორიც—ცეცხლის წაკიდების ან დიდი ხანძრის საქმეზე; სათანადო სპეციალობის ინჟინერიც—წარმოებაში უბედური შემთხვევის საქმეზე, სასამართლო-საექიმო ექსპერტიც—მკვლელობის საქმეზე, ავტოინსპექტორიც — ავტო შემთხვევის საქმეზე და ა. შ.

დათვალიერების მიზნები

შემთხვევის ადგილზე დათვალიერება უნდა ისახავდეს შემდეგ უმნიშვნელოვანეს მიზნებს:

1) მიღებულ იქნას ნათელი წარმოდგენა დანაშაულის ჩადენის ვითარებისა და ყველა გარემოების შესახებ;

2) აღმოჩენილ, დამაგრებულ და შენახულ იქნას ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და დანაშაულის კვალი;

3) ამის საფუძველზე ნათლად იქნას წარმოდგენილი დანაშაულის ჩადენის სურათი და საშუალებანი;

4) დადგენილ იქნას დანაშაულის ჩამდენი პირები და, მთელ რიგ შემთხვევებში,—მისი ჩადენის მოტივებიც.

ტექნიკური საშუალებანი

გამომძიებელი დათვალიერების ჩატარებისას აღჭურვილი უნდა იყოს აუცილებელი ტექნიკურ საშუალებებით. ეს უზრუნველჰყოფს დათვალიერების წარმატებას, რაც უმრავლეს შემთხვევებში დაკავშირებულია გულმოდგინე მუშაობასთან ამა თუ იმ კვალისა და ისეთი სხვადასხვა საგნების აღმოსაჩენად, შესანახად და დასამაგრებლად, რომლებიც შესაძლოა ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენდნენ.

გამომძიებლის მუშაობაში მთელი რიგი მოქმედება წმინდა ტექნიკურ ხასიათს ატარებს. ასეთ მოქმედებებს მიეკუთნება დათვალიერების ყველა სახე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გვამის დათვალიერება და ა. შ.), ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შეკრება, მათ გამოსაკვლევად მომზადება და, დაბოლოს, მათი უცვლელი სახით შენახვა სასამართლოსთვის.

ამ მოქმედებათა პრაქტიკულად განხორციელებას ხშირად ხელს უშლის სპეციალური ხელსაწყოებისა და იარაღების უქონლობა. არ შეიძლება ადგილმდებარეობის საკმაოდ ზუსტი გეგმარი შესდგეს სამიზნებელი სახაზავისა და კომპასის უქონლად; არ შეიძლება თითის უფერული ანაბეჭდის ასლის მიღება, თუ არა გვაქვს სპეციალური ფხვნილები დამტვერიანებისათვის და წებოვანი აფსკი ან ფოტოქაღალდი; არ შეიძლება ბოროტ მოქმედების ადგილზე აღმოჩენილი ფეხის, მიმოსვლის საშუალების, გატეხის იარაღის კვალის ასლის მიღება, თუ არა გვაქვს ფოტოგრაფიული აპარატი, თაბაშირი ან პლასტელინი (პლასტიკური მასა).

საგამომძიებლო წარმოებისათვის ისეთ მნიშვნელოვანი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დართვაზე უარის თქმა,

როგორიცაა თითის ანაბეჭდის ასლი და ა. შ., ნიშნავს გამოძიების ხარისხის შეგნებულად გაუარესებისა და, შესაძლებელია, მთელი გამოკვლევის ჩაშლისაკენ წასვლას.

იმისათვის, რომ გამომძიებლებს დანაშაულობასთან ბრძოლაში სისხლის სამართლის ტექნიკის მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა მიეცეთ, სსრ კავშირის პროკურატურის მითითებებით დამზადდა სპეციალური საგამომძიებლო ჩემოდანი, რომელშიც თავმოყრილია მთელ რიგ საგამომძიებლო მოქმედებათა და, უწინარეს ყოვლისა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების წარმატებით ჩასატარებლად საჭირო ყველაზე აუცილებელი ტექნიკური საშუალებანი. ასეთი საგამომძიებლო ჩემოდნებით მომარაგებულ იქნა საბჭოთა კავშირის გამომძიებლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მთელ რიგ ადგილებში საგამომძიებლო ჩემოდნები დღემდე შენახულია, მაგრამ გამომძიებლები ან სრულიად არ ხმარობენ მათ, ანდა ხმარობენ არა ყველა აუცილებელ შემთხვევაში.

თვითეულმა გამომძიებელმა თავის ამოცანად უნდა დაისახოს რათა, ერთბაშათ თუ არა, თანდათანობით მაინც შეიძინოს და ჰქონდეს ყველაზე უფრო საჭირო ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც უფრო მიზანშეწონილია განაწილდეს ოთხ ძირითად განყოფილებად: 1) ფოტოგანყოფილება; 2) გეგმარის შედგენის განყოფილება; 3) კვალზე და ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებზე სამუშაო განყოფილება; 4) დამხმარე საგნებისა და ხელსაწყოების განყოფილება.

ყოველი პროკურორი მუდამ დაეხმარება გამომძიებელს საჭირო ტექნიკურ საშუალებათა შეძენაში.

ფოტოგანყოფილება

ფოტოგანყოფილება უნდა შეიცავდეს შემდეგ ხელსაწყოებსა და მასალებს:

1) **ფოტოგრაფიულ აპარატს.** ყველაზე მეტად აკმაყოფილებს საგამომძიებლო მუშაობის მოთხოვნებს „ფოტოკორ № 1“, ფირფიტის ზომით 9×12 სმ., 1:4, 5 შუქძალის მქონე ობიექტივით და 13, 5 საფოკუსო მანძილით.

2) **ლითონის კასეტებს,** ფირფიტაზე ფოტოგადაღებისათვის სახმარად.

3) **სადგამს,** ფოტოგადაღების დროს ფოტოაპარატისათვის მყარი მდგომარეობის მისაცემად. ყველაზე უფრო მოსახერხებელია სადგამი „ФЭД“, რომელიც თათების ან ხრახნის დახმარებით მიემაგრება რომელიმე უძრავ საგანს, რის შემდეგაც მასზე მიეხრახნება ფოტოაპარატი.

4) **ყვითელ შუქფილტრს** ფოტოგრაფიული ობიექტივის უფრო მეტი კონტრასტული გამოსახულებისათვის;

5) **კოლოფს მაგნიუმის ფხვნილით,** ფოტოგადაღების ობიექტების განათებისათვის დღის სინათლის ან ელექტროგანათების ძალის (ნათელის) სიმცირის დროს.

6) **ქაღალდის მასშტაბიან სახაზავს** კვალის, ცალკეული საგნების ან მათი ნაწილების ფოტოგრაფირებისას სურათზე მათი ზომების ზუსტად აღნიშვნისათვის.

ყველა ეს ტექნიკური საშუალება აუცილებელია შემთხვევის ადგილის, გვამის, აღმოჩენილი კვლების, საქმისათვის, მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების ფოტოგადაღებისათვის.

ნეგატივების დამუშავებისა და ფოტოსურათების მიღების მიზნით, საჭიროა მოეწყოს პატარა ფოტოლაბორატორია, რომლის ყველაზე აუცილებელი ხელსაწყოებია: პატარა აბაზანები, წითელშუშიანი მაშუქა (ფანარი) ან წითელი ელექტრონათურა, ჩარჩო ფოტოსურათების დასაბეჭდად და ქიმიკალები (გამომჩინებელი, ფიქსაჟი — სამაგრებელი).

გეგმარის შედგენის განყოფილება

შემთხვევის ადგილის გეგმარის შედგენისათვის საჭიროა შემდეგი ხელსაწყოები და იარაღები:

1) **პლანშეტი,** რომელიც ადვილად შეიძლება დამზადდეს სქელი მუყაოსა ან ფანერისაგან.

პლანშეტით გამომძიებელი ყოველ გარემოში (მინდვრად, ქუჩაში, ტყეში) ადვილად შესძლებს დახაზოს შემთხვევის ადგილის გეგმარი.

2) **კომპასი** ქვეყნიერების მხარეების განსაზღვრისათვის და ღია ადგილზე გეგმარის შედგენის სისწორის უზრუნველსაყოფად.

3) **ფანქარი** და **საშლელი** გეგმარის პირველდაწყებითი დახაზვისათვის.

4) **ფარგალი, ხაზკალამა** (რეისფედერი) და **ტუში** გეგმარის საბოლოოდ დახაზვისათვის.

5) **სამწახნაგოვანი სამიზნებელი სახაზავი** თვალზომით გადაღებისას სახმარად.

6) **ხვეულა** (რულეტი) მანძილის გასაზომად.

სასურველია, აგრეთვე, გეგმარის დახაზვის გასაადვილებლად მილიმეტრიანი ქაღალდისა და კუთხეების, მაგალითად ნაბიჯის კუთხის, განსაზღვრისათვის გვქონდეს საკუთარი (ტრანსპორტირი).

კვალზე სამუშაო განყოფილება

კვალზე სამუშაო განყოფილებაში თავმოყრილი უნდა იყოს შემდეგი ხელსაწყოები, იარაღები და მასალები:

1) **ლითონის ორი ქილა ალუმინისა** და გრაფიტის ფხვნილებით, რაც იხმარება შუშის, ფაიფურის, ლითონის, ხის და გაპრიალებულ გლუვ ზედაპირზე დარჩენილი თითების უფერო ანაბეჭდების გამოსავლინებლად.

2) **ორი ფუნჯი** იმ ზედაპირის დასამტვერავად, რომელზეც აღმოჩენილია თითების უფერო ანაბეჭდები.

3) **სპეციალური აფსკები** (თეთრი და შავი ფერისა) ან მათი შემცვლელი წინასწარ გამოვლინებული, ფიქსირებული და გამომშრალი ფოტოქაღალდის შავი და თეთრი ფურცლები ანდა ფოტოაფსკები, აფსკის ან ფოტოქაღალდის ფერის საწინააღმდეგო ფერის ფხვნილით გამოვლინებულ თითების ანაბეჭდის ასლების მისაღებად.

4) **დაქტილოსკოპიური ფირფიტა**, რომელიც იხმარება ხელის თითების სასრული სახსრების ნებითი ზედაპირის შესაღებად, ფირფიტაზე თხელ ფენად თანაბრად განაწილებულ საღებავზე მათი წაგორების გზით.

5) **დაქტილოსკოპიური ლილვაკი** დაქტილოსკოპიურ ფირფიტაზე საღებავის თანაბრად გასანაწილებლად.

6) **სასტამბო საღებავი.**

7) **სკიპიდარი** სასტამბო საღებავში შესარევად, უკეთუ ეს უკანასკნელი სქელია და დაქტილოფირფიტაზე თხელ ფენად არ იგლისება. სკიპიდარითვე სწარმოებს მუშაობის შემდეგ თითებიდან და დაქტილოსკოპიური ხელსაწყოებიდან საღებავის გაბანა.

8) **სანთელი** ისეთი კვლების მოსანახად, რომელთა აღმოჩენაც შეიძლება ირიბი კუთხით განათებით (თითების უფერო ანაბეჭდები, სპერმის ლაქები სხეულზე და სხვა).

9) **რეზინის ხელთათმანები** დათვალიერების ჩატარებისას ცალკეულ ყაგნებზე საკუთარი თითების ანაბეჭდების დატოვების შესაძლებლობის ასაცილებლად.

10) **თაბაშირი** რბილ ნიადაგზე დატოვებულ ადამიანისა და პირუტყვის ფეხების კვლების და მიმოსვლის საშუალებათა კვლების ტვიფარების დასამზადებლად.

11) **პლასტელინი,** რაიმე იარაღით მაგარ საგნებზე, მაგალითად, შემტვრევის იარაღით კარების ჩარჩოს ხვრეტილში დატოვებული კვალის ტვიფარის დასამზადებლად.

12) **სასხური** (პულვერიზატორი) წყლის მისასხურებლად ფხვიერ ნივთიერებაზე, რომელზეც არის თაბაშირის ტვიფარის მიღებით დასამაგრებელი კვალი.

13) **საცობიანი სინჯარები,** მათში ქიმიური და მიკროსკოპული გამოკვლევისათვის განკუთვნილი წვრილმანი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების (თმები, მტვერი და ა. შ.) მოსათავსებლად.

14) **პარაფინი ან სანთელი** სინჯარებში საცობებზე წასაგლესად.

15) **წყალბადის ზეჟანგი** ლაქების სისხლზე წინასწარი სინჯისათვის.

16) **ვაზელინის ქონი** დარბილებულ პლასტელინზე წასასმელად.

სისხლის მსგავსი ლაქების პოვნისას წინასწარი სინჯი სისხლზე უნდა სწარმოებდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთან ლაქის სრულიად შეზღუდულ სივრცეზე პატარა (ქინძისთავის თავისოდენა) წვეთით. რეაქცია აქაფებული

ბუშტუკის სახით დადგენილ უნდა იქნას მადიდას (გამადიდებელი შუშის) დახმარებით. თუ ასეთი რეაქცია არ არის, ლაქა არ შეიძლება სისხლის იყოს. დადებითი რეაქცია ჯერ კიდევ არ ადასტურებს სისხლის არსებობას, რადგან ასეთივე რეაქცია იქნება ყოველგვარი ორგანული ნივთიერების (მაგალითად, ჩირქის) არსებობის შემთხვევებშიც.

დამხმარე ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება

ამ განყოფილებაში უნდა იყოს შემდეგი საგნები, ხელსაწყოები და მასალა:

1) **კალმისტარი კალმით და მელანი ან ავტომატური კალმისტარი.**

2) **მადიდა** (გამადიდებელი შუშა) წვრილი საგნებისა და თითების ანაბეჭდების დასათვალიერებლად.

3) **ჯიბის ელექტრომაშუქა** განათებისათვის—დაბნელებული ადგილების დათვალიერებისას.

4) **ალმასი.**

5) **ჯიბის დანა.**

6) **მაკრატელი.**

7) **ბრტყელტუჩა.**

8) **მკვნეტარა.**

9) **ქლიბი.**

10) **ჩაქუჩი.**

11) **სახრახნისი.**

12) **ჩქიფი (პინცეტი).**

13) **საჭრეთელი.**

ეს ხელსაწყოები აუცილებელია შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვლებისა და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერებისა და ამოღებისას.

14) **ლუქი** ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებისა და სადგომის დასაბეჭდად.

15) **მუშამბა ან პერგამენტის ქაღალდი** ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შესაფუთავად.

16) **კანაფი** ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შესაფუთავად და, აგრეთვე, მანძილის გასაზომად.

გამომძიებელს, გარდა ჩამოთვლილისა, საჭიროა ჰქონდეს: დენატურირებული სპირტი დათვალიერების შემდეგ ხელების დასაბანად, იოდის ხსნარი, სახვევი და ბამბა—საჭირო კვლების დათვალიერებისა და ამოღების დროს სხეულის რაიმე უცაბედი დაზიანების შემთხვევისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების წესები

შემთხვევის ადგილის დათვალიერების წარმატება და დათვალიერების ოქმის, როგორც საქმეზე დამამტკიცებელი საბუთის, ღირებულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების მთელი რიგი ტექნიკური წესების დაცვაზე, აგრეთვე დათვალიერების პროცესუალურად გაფორმების სისწორეზე.

გამომძიებელი ვალდებულია:

1) თავის დროზე ჩაატაროს დათვალიერება;

2) მიიღოს წინასწარი ცნობები და გამოარკვიოს, ხომ არ შეიცვალა გარემო დანაშაულის აღმოჩენის მომენტიდან;

3) მოახდინოს შემთხვევის ადგილის წინასწარი მიმოხილვა;

4) გაერკვეს საგნების შემთხვევასთან დამოკიდებულებაში;

5) გეგმაშეწონილად ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

6) ყოველმხრივად ჩაატაროს დათვალიერება, წამოაყენოს და შეამოწმოს ყველა შესაძლებელი ვერსია;

7) თანმიმდევრობით ჩაატაროს სტატიკური და დინამიკური დათვალიერება;

8) ზუსტად განსაზღვროს უმნიშვნელოვანესი საგნებისა და კვლების ადგილმდებარეობა;

9) იცოდეს დანაშაულის კვალის აღმოჩენა, დამაგრება და შენახვა;

10) მოაწყოს და ჩაატაროს ფოტოგადაღება;

11) შეადგინოს შემთხვევის ადგილის სქემატური გეგმარი;

12) პროცესუალურად სწორად გააფორმოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

დათვალიერების თავისებურება

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებას გამომძიებელი უნდა შეუდგეს რაც შეიძლება დაჩქარებით, მას შემდეგ, როცა მისთვის ცნობილი გახდება ჩადენილი დანაშაული. ამასთან ერთად, გამომძიებელი ანგარიშს არ უნდა უწევდეს არც დროს და არც ამინდის მდგომარეობას. ამ საქმეში დაყოვნება ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ შემთხვევის ადგილზე გარემო შეიძლება ადვილად შეიცვალოს ატმოსფერული მოვლენების (წვიმა, თოვლი, ქარი) ზეგავლენით, ან შემთხვევის ადგილზე უცხო პირების ყოფნის შედეგად, რომელთაც ყოველგვარი განზრახვის გარეშეც შეუძლიათ მოსპონ დამნაშავის მიერ დატოვებული კვალი და ამავე დროს დასტოვონ თავისი კვალი.

ამის გამო, ხშირად, შემთხვევის ადგილის დათვალიერება საჭირო ხდება ღამით, რასაკვირველია, თუ უზრუნველყოფილ იქნება კარგი განათება კვალის აღმოსაჩენად. თუ ასეთი განათების უზრუნველყოფა შეუძლებელია, უკეთესია დათვალიერების ჩატარება გადაიდოს დილამდე, შემთხვევის ადგილის სათანადოდ დასაცავად წინასწარ ზომების მიღებით. ისეთ შემთხვევებში, როცა დათვალიერება ჩატარებული იყო განათების ცუდ პირობებში, საჭიროა ის გავიმეოროთ კარგი განათების პირობებში.

წინასწარი ცნობები

შემთხვევის ადგილზე მისვლისას გამომძიებელმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეკრიბოს წინასწარი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის, ვინ და რა გარემოებებში აღმოაჩინა მომხდარი შემთხვევა, რა შეიძლებოდა აქ მომხდარიყო, როგორია წამოჭრილი მოსაზრებანი და ა. შ., და გამოარკვიოს, ხომ არ მოხდა შემთხვევის ადგილზე რაიმე ცვლილებანი შემთხვევის აღმოჩენის მომენტიდან საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლის მომენტამდე.

შემთხვევის ადგილის გარემოში ესა თუ ის ცვლილება შეიძლება შეიტანა ამ ადგილზე მოხვედრილმა რომელიმე მოქა-

ლაქემ ისე, რომ მას გამოძიების გაძნელების განზრახვა არც ჰქონია. საგამომძიებლო პრაქტიკაშ იცის შემთხვევა, როცა ბოროტმოქმედი გაუპატიურებისა და მკვლელობის ჩადენის შემდეგ სტოვებს მოკლულს იმ მდგომარეობაში, რომელ'მიც ის იმყოფებოდა გაუპატიურებისა და ამის მომდევნო მკვლელობის მომენტში. დანაშაულის აღმოჩენის შემდეგ, მაგრამ საგამომძიებლო ორგანოს წარმომადგენლის მოსვლამდე, შემთხვევის ადგილზე მისულან ხოლმე გარდაცვლილის ნათესავები, წესრიგზე მოუყვანიათ ტანსაცმელი გვამზე და შეუცვლიათ მისი მდგომარეობა. სავსებით ბუნებრივია, რომ თუ მსგავს შემთხვევაში გამომძიებელი ინიციატივას არ გამოიჩენს, მას შეიძლება არ უთხრან შემთხვევის ადგილზე მომხდარი ცვლილების შესახებ, იმიტომ რომ ეს არ მიაჩნიათ მნიშვნელობის მქონე მომენტად, ამის შედეგად კი გამომძიებელს აღარ ექნება მეტად მნიშვნელოვანი მონაცემები მკვლელობის მოტივების დასადგენად.

ზოგჯერ შემთხვევის ადგილის გარემოში ცვლილებები შეიძლება მოხდენილი იყოს განზრახ, გამოძიების მცდარი გზით წარმართვის მიზნით.

ყოველივე ამას უნდა ითვალისწინებდეს გამომძიებელი ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით წინასწარი მონაცემების შეკრებისას.

წინასწარი მიმოხილვა

ვიდრე შემთხვევის ადგილის დათვალიერებას შეუდგებოდეს, გამომძიებელმა უნდა მოახდინოს ეგრეთწოდებული მიმოხილვა, ე. ი. შემთხვევის ადგილის სწრაფი, თვალის გადავლებით გაცნობა, რათა გადასწყვიტოს საკითხი—საიდან დაიწყოს დათვალიერება და რა მეთოდით აწარმოოს იგი—ობიექტურით, ე. ი. დაათვალიეროს ყოველივე გარკვეული თანმიმდევრობით, თუ სუბიექტურით, ე. ი. დაათვალიეროს ბოროტმოქმედის მიერ დატოვებული ნათლად გამოხატული კვლები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დათვალიერების სუბიექტური მეთოდი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, რადგან დამნაშა-

ვე ძალიან იშვიათად სტოვებს ისეთ კვლებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა მთელი მისი მოძრაობა დანაშაულის ჩადენის დროს.

დახურულ სადგომში დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში, გამომძიებელმა წინასწარი მიმოხილვის გზით უნდა გადასწყვიტოს, თუ სადგომის რომელი ნაწილიდანაა საჭირო დათვალიერების დაწყება.

ღია ადგილზე დანაშაულის ჩადენისას გამომძიებელმა წინასწარი მიმოხილვის შედეგად უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორ არის უმჯობესი მთელი დასათვალიერებელი ადგილის პატარა ნაკვეთებად დაყოფა და რა თანმიმდევრობით აწარმოოს მათი დათვალიერება, მაგალითად, ცენტრიდან პერიფერიისაკენ თუ, პირიქით, გარემომცველი ადგილმდებარეობიდან ცენტრისაკენ, მასთან თანდათან მიახლოებით.

საგნების დამოკიდებულება შემთხვევასთან

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელმა გულდასმით უნდა გამოიკვლიოს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ამა თუ იმ საგნის დამოკიდებულება ამ შემთხვევასთან და, აგრეთვე, მათი წარმოშობა. ეს საკითხი ყოველთვის ადვილად გადასაჭრელი არ არის, განსაკუთრებით, თუ შემთხვევა მოხდა ისეთ ადგილზე, როგორიცაა პარკი, ქალაქის განაპირა ჭალა და ა. შ., სადაც ყოველთვის შეიძლება ბევრი სხვადასხვაგვარი უცხო საგნის პოვნა (პაპიროსის ნანწვავი, გაზეთის ნახევები და სხვა).

გამომძიებელმა უნდა განასხვავოს ყოველივე, რაც ეხება ამ შემთხვევას, და გულდასმით ჩაინიშნოს.

გამომძიებელს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებული ხშირად, შეიძლება, კეთილსინდისიერად სცდებოდეს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ამა თუ იმ საგნის კუთვნილების საკითხში. მაგალითად, ბინის დათვალიერებისას, სადაც გაძარცვა მოხდა, აღმოჩნდა შუა ოთახში იატაკზე დაგდებული ძველი გაცვეთილი კეპი (ქუდი). დაზარალებულმა—ბინის პატრონმა—მაშინვე გამოსთქვა ეჭვი, რომ კეპი დარჩათ მძარცველებს, რადგან მას ასეთი კეპი არა აქვს და არც ჰქონია. გა-

ბომბიებელმა გადადო კეპი და დათვალიერების დამთავრებისას მისი წაღება უნდოდა, მაგრამ ეს შენიშნა დაზარალებულის ცოლმა და მან გამომძიებელს აუხსნა, რომ ეს მისი ქმრის ძველი კეპია, რომელიც მას მრავალი წლის განმავლობაში არ უტარებია და, უეჭველია, მისი არსებობაც დაავიწყდა. კეპი ეგდო სადღაც კარადაზე, ხოლო გაძარცვის მომენტში, როცა მძარცველები კარადის თავიდან იღებდნენ ჩემოდნებს, კეპი დავარდა იატაკზე, სადაც ის გამოძიებელმა აღმოაჩინა. მეორე შემთხვევაში, მკვლელობის მოხდენის ადგილზე დათვალიერების წარმოებისას, ოთახში იატაკზე აღმოჩენილ იქნა დაჭმუჭნული ჭუჭყიანი ცხვირსახოცი, რომელიც მოკლულის ნათესავს პირველად თავისი ეგონა, მაგრამ როცა გამომძიებლის წინადადებით კარგად გასინჯა, განაცხადა, რომ შეცდა. ცხვირსახოცზე შერჩენილი ტალახისა და მტვრის მიხედვით დადგენილ იქნა მისი მფლობელის პროფესია. შემდეგში გამოირკვა, რომ ცხვირსახოცი მკვლელს დავარდნოდა.

დათვალიერების გეგმაზომიერება

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებისას გამომძიებელი აქტიური, ინიციატივიანი და იმავე დროს ფრთხილი უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ გამომძიებელი უნდა იჩენდეს ინიციატივას ამა თუ იმ კვალის აღმოჩენასა და დამაგრებაში და იმავე დროს ცდილობდეს, რომ შემთხვევით არ მოსპოს ესა თუ ის ოდნავ შესამჩნევი კვალი.

ამ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად გამომძიებელმა დათვალიერება უნდა აწარმოოს გეგმაზომიერად, ე. ი. მტკიცედ დაიცვას ჩატარებული წინასწარი მიმოხილვის შედეგად დასახული წესი და, აგრეთვე, დათვალიერების წარმოების ტექნიკური წესები. მაგალითად, დახურულ სადგომში კარგი იქნება დათვალიერების წარმოება, როგორც წესი, ჯერ კედლების გასწვრივ მოძრაობით, საათის ისრის მიმართულებით, და შემდეგ უკვე ოთახის ცენტრალური ნაწილის დათვალიერებაზე გადასვლით. ასეთი წესი საჭიროა დაცულ იქნას მაშინაც, როცა ოთახის ამა თუ იმ ადგილას არის შესამჩნევად გამოხატუ-

ლი კვლები. დათვალიერების დროს არ შეიძლება ერთი კარგად შესამჩნევი კვალიდან ერთბაშად მივარდნა მეორეზე, რადგან გეგმაშეწონილობის ასეთ დარღვევას შეიძლება მხოლოდ ის მოჰყვეს, რომ გამომძიებელი არ გამოავლინებს და, მაშასადამე, თავის მუშაობაში არ გამოიყენებს ნაკლებად შესამჩნევ, მაგრამ, შესაძლოა, უფრო მეტად მნიშვნელოვან კვლებს.

დათვალიერების ჩატარებისას გამომძიებელმა უნდა ჩაიცვას რეზინის ხელთათმანები, რათა არსად არ დასტოვოს თავისი თითების კვალი, რაც შემდგომში შეცდომით შეიძლება მიჩნეულ იქნას დამნაშავის მიერ დატოვებულ კვალად.

აქტიურობის გამოჩენის საბაბით გამომძიებელი არ უნდა აჩქარდეს დათვალიერების ჩატარებისას. დათვალიერება უნდა სწარმოებდეს მაქსიმალურად გულდასმით. ზედმეტი აჩქარება აქ სრულიად უადგილოა და ვნების მეტს არაფერს მოიტანს.

გამომძიებელი უნდა იყოს მაქსიმალურად ყურადღებიანი და დაკვირვებული. არ შეიძლება საკუთარი მხედველობის არედან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არც ერთი გარემოების გაშვება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების გეგმაზომიერად, აუჩქარებლად ჩატარებისას გამომძიებელი უნდა ისწრაფვოდეს, უკვე დათვალიერების დროს იპოვნოს პასუხი ზემოთ მოყვანილი შვიდწევრიანი ფორმულის (იხ. გვ. 82) ყველა საკითხზე. მაგალითად, კალენდრის მიხედვით, გაჩერებული საათის მიხედვით, ლოგინის, ფარდების, მაგიდაზე ჭურჭლისა და სხვ. მდგომარეობის მიხედვით შეიძლება დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრა; მოწყობილების განლაგებით, დანაშაულის იარაღების, სხვადასხვა საგნებზე სისხლის შხეფების და სხვ. განლაგებით შეიძლება აღდგენილ იქნას ყოველივე მომხდარის გარემოებანი. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამგვარი გარემოება გამოვლინებულ და ჩანიშნული იქნას დათვალიერების ოქმში. ამასთან ერთად, გამომძიებელი მოვალეა გამოავლინოს და აღნიშნოს ეგრეთწოდებული ნეგატიური კვლები და გარემოებანი: მაგალითად, ჭრილობებიანი გვამის არსებობისას გვამის მახლობლად სისხლის გუბის

უქონლობა, ავტომატური დამბაჩით თვითმკვლელობის სიმულაციისა და დანაშაულის ადგილზე დამბაჩის არსებობისას— გასროლილი მასრის უქონლობა და ა. შ.

დათვალიერების ყოველმხრივობა

დათვალიერების წარმოებისას გამომძიებელმა უნდა წამოაყენოს და მხედველობაში იქონიოს ყველა შესაძლებელი ჰიპოთეზი (ვერსია) მომხდარი შემთხვევის მიმართ და ეძებოს თვითეული მათგანის დადასტურება.

სერიოზული შეცდომა იქნება, თუ გამომძიებელი დათვალიერების დაწყებისას წამოაყენებს მხოლოდ ერთ ვერსიას, რომელიც მას ყველაზე უფრო შესაძლებლად ეჩვენება. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი, ჩვეულებრივად, დათვალიერების დროს ეძებს და აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც ადასტურებს მის მიერ წამოყენებულ ვერსიას, და იმავე დროს ყურადღებას არ აქცევს და ზოგჯერ არ ხედავს იმ კვლებსა და საგნებს, რომლებსაც, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის, მაგრამ რომლებიც არ ადასტურებენ ან უარჰყოფენ კიდეც გამომძიებლის მიერ წამოყენებულ ვერსიას. ამგვარი შეცდომის შედეგად გამომძიებელი ჩვეულებრივად მიდის არასწორ დასკვნამდე და იმავე დროს ზოგჯერ საბოლოოდ ხელიდან უშვებს უმნიშვნელოვანეს დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ მან ვერ შეამჩნია.

მაგალითად, ერთი ახალგაზრდა ქალის მკვლელობის საქმეზე გამომძიებელმა დათვალიერების დაწყებისას წამოაყენა ვერსია, რომელიც მას ეჩვენებოდა უდავოდ და ერთადერთ შესაძლებელ ვერსიად; თითქოს ქალი ეპვიანობის ნიადაგზე მოჰკლა მისმა ყოფილმა ქმარმა.

გამომძიებელის რწმენა ჩამოყალიბდა მის მიერ შეკრებილი წინასწარი მონაცემებისა და, აგრეთვე, ჩატარებული წინასწარი მიმოხილვის შედეგად. ამ მონაცემების თანახმად, უშუალოდ მკვლელობის წინ ქალი იმყოფებოდა ბაღში თავისი სახლის ახლოს (ე. ი. იქვე, სადაც აღმოჩენილი იყო მისი გვამი), თავის ყოფილ ქმართან ერთად, რომელიც სთხოვდა დაბრუ-

ნებულიყო მასთან. მის ყოფილ ქმარს ბაღიდან ჩვეულებრივი გზით ეზოზე არ გაუვლია, სჩანს, მკვლელობის ჩადენის შემდეგ იგი მესერზე გადავიდა.

თავისი მოსაზრების სისწორეში დარწმუნებული გამომძიებელი ავლინებდა და გულდასმით აღნიშნავდა ყოველივე იმას, რაც ადასტურებდა მის მიერ წამოყენებულ ვერსიას. გარდაცვლილის ახლოს ეგდო გასისხლიანებული ჯიბის დანა, რომელიც, დათვალიერების დამსწრეთა განცხადებით, ეკუთვნოდა განსვენებულის ყოფილ ქმარს; მესერზე მიჭდეულ ლურსმნებზე აღმოჩნდა პიჯაკის ლურჯი ქსოვილის ნაჭერი და, როგორც დამსწრენი ამბობდნენ, განსვენებულის ყოფილ ქმარს ამ დღეს ეცვა ლურჯი პიჯაკი. იმავე დროს გამომძიებელმა ვერ დაინახა ისეთი მნიშვნელოვანი კვალი, როგორიცაა დაზარალებულის ძვირფას ქვებიანი საყურეების უქონლობა და გაგლეჯილი ყურების ბიბილოები. გამომძიებელმა არ შენიშნა, აგრეთვე, როგორც მკვლელობის ჩადენის ადგილას ისე ბუჩქებშიც, ბაღში ადამიანის ფეხის კვალი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა გარდაცვლილის ყოფილი ქმრის ფეხის კვალისაგან. გამომძიებელმა არ დაინახა ყოველივე ეს იმიტომ, რომ ეს კვლები ეწინააღმდეგებოდა მის მიერ წამოყენებულ ვერსიას. გამომძიებელის ამ უხეში შეცდომის შედეგად დაშვებულ იქნა სასამართლო შეცდომა, რამდენადაც ამ საქმეზე მსჯავრდადებული იყო სრულიად უდანაშაულო ადამიანი, გარდაცვალებულის ყოფილი ქმარი. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ქალის მკვლელობა გაძარცვის მიზნით ჩაიდინა ბანაკიდან გამოქცეულმა ბანდიტმა. დამნაშავე ამ დღეს დაზარალებულის ბაღში იმალებოდა. მან ისარგებლა მის ფეხთან დავარდნილი, დაზარალებულის ყოფილი ქმრის, ჯიბის დანით იმ მომენტში, როცა უკანასკნელი, ყოფილ ცოლთან უნაყოფო მოლაპარაკებით აღშფოთებული, რაკი ეზოზე გავლა არ სურდა, რადგან არ უნდოდა ყოფილი ცოლის რომელიმე ნათესავს შეხვედროდა, მესერზე გადადიოდა და ამ დროს პიჯაკიც გაიხია.

ამის მსგავსი ფაქტები ერთეულები არ არის. ამიტომ გამომძიებელი დათვალიერების წარმოებისას მოვალეა ეძებოს თვითეული დასაშვები ვერსიის დადასტურება, რათა დათვალიერება ყოველმხრივად და ობიექტურად მოხდეს.

სტატიკური და დინამიკური დათვალიერება

შემთხვევის ადგილის ყოველი დათვალიერება უნდა შესდგებოდეს ორი პერიოდისაგან: ა) სტატიკური, ანუ პასიური დათვალიერებისაგან, როცა გამომძიებელი არაფერს ხელს არ ახლებს და აღნიშნავს ყველაფერს იმ მდგომარეობაში, როგორც აღმოჩენილი იყო; და ბ) დინამიკური ანუ აქტიური დათვალიერებისაგან, როცა გამომძიებელი ეხება ამა თუ იმ საგნებს, გვერდს უცვლის, გადასწევს და გადააბრუნებს მათ ამა თუ იმ კვალის აღმოჩენის ან უკეთ დათვალიერების მიზნით.

როგორც წესი, მხოლოდ სტატიკური დათვალიერების შემდეგ შეუძლია გამომძიებელს შეუდგეს დინამიკურ დათვალიერებას.

რა თქმა უნდა, დათვალიერების ოქმში საჭირო არ არის განსაკუთრებით გაიმიჯნოს დათვალიერების ეს ორი პერიოდი.

საგნებისა და კვლების ადგილმდებარეობის განსაზღვრა

დათვალიერების წარმოებისას გამომძიებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ადგილმდებარეობა უმნიშვნელოვანესი საგნებისა და კვლებისა, მაგალითად, მკვლელობის იარაღისა, გვამისა, ზოგჯერ სისხლის ლაქებისა, განასროლი მასრისა (ავტომატური დამბაჩით მკვლელობისას), იმ მასალათა ნაშთებისა, რაც გამოყენებული იყო ცეცხლის წაკიდების საშუალებად და ა. შ.

უმნიშვნელოვანესი საგნების ან კვლების ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრა სწარმოებს კოორდინატების მიხედვით, ე. ი. ორი ურთიერთ გადამკვეთი ხაზებიდან გაზომვის გზით, მაგალითად, 2 მეტრი ოთახის დასავლეთ კედლიდან და 3 მეტრი ოთახის სამხრეთ კედლიდან.

სრულიად არ არის საჭირო შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ყველა კვალისა და საგნის კოორდინატების მიხედვით განსაზღვრა.

კვლების გამოვლინება, დამაგრება და შენახვა

დანაშაულის გახსნისთვის მნიშვნელოვანი მუშაობა კვლების აღმოსაჩენად, შეიძლება წარმატებითი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების წარ-

მოებისას მაქსიმალურ ყურადღებასა და გულმოდგინებას გამოიჩენს.

აღმოჩენილი კვლების წარმატებით დამაგრება და შენახვა გამომძიებლისგან მოითხოვს კვლების შენახვის ტექნიკის ათვისებას.

თითების უფერო ანაბეჭდები

თითების უფერო (ლატენტური) ანაბეჭდების აღმოსაჩენად, ყველაზე უმჯობესია დასათვალიერებელი სადგომი დაბნელებულ იქნას და იმ საგნების ზედაპირები, რომლებზეც შესაძლოა დარჩეს უფერო ანაბეჭდები (გაპრიალებული, გალაქული, ლითონის, შუშის და სხვა გლუვი ზედაპირები, რომლებიც არ შეიწოვენ სინესტეს), დათვალიერდეს ელექტრომაშუქის ან სანთლის ირიბად დაცემულ სინათლეზე.

ასეთი ხერხით აღმოჩენილი ხელის თითების ანაბეჭდები გამოვლინდება დამტვერვის გზით (შავ ზედაპირზე დამტვერვა სწარმოებს ალუმინის ფხვნილით, თეთრზე კი — გრაფიტის ფხვნილით).

დამტვერვა სწარმოებს შესაბამისი ფხვნილის თითების უფერო ანაბეჭდებზე რბილი ფუნჯით დაბერტყვით ისე, რომ ეს ანაბეჭდები დაიფაროს ფხვნილის თხელი ფენით. ამის შემდეგ, მოაშორებენ რა ფუნჯს დარჩენილ ფხვნილს, ამ ფუნჯს მსუბუქად გადაუსვამენ დამტვერილ თითის ანაბეჭდზე, რის შემდეგაც იმ ზედაპირს, რომელზეც დარჩენილია თითის ანაბეჭდი, შებერვით მოაცილებენ ზედმეტ ფხვნილს.

დამტვერილი თითის ანაბეჭდების დასამაგრებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფოტოგადაღების გამოყენება. მხოლოდ ფოტოგადაღების შემდეგ, ალუმინის ფხვნილით დამტვერილი თითის ანაბეჭდი გადაიტანება შავ აფსკზე (ფოტოქაღალდზე, ფოტოაფსკზე), ხოლო გრაფიტით დამტვერილი—თეთრ აფსკზე ფოტოქაღალდზე, ფოტოაფსკზე).

ამისათვის მოიჭრება აფსკის შესაბამისი ნაჭერი, მას მოეხსნება დამცველი ცელულოიდის ფურცელი და აფსკი მისი ემულსიური მხრით მჭიდროდ მიეკვრება (მიეტკეპნება ლილვაკით ან თითით) დამტვერილ ანაბეჭდს. შემდეგ აფსკი ფრთხილად მო-

ეცლება და მისი ემულსიური მხარე, მასზე გადასული კვალის გამოსახულებით, ხელახლად დაიფარება დამცველი ფურცლით.

დამტვერილი თითის ანაბეჭდის ფოტოქაღალდზე ან ფოტოაფსკზე გადაღებისას საჭიროა მოქმედება ზუსტად ისეთივე ხერხით, როგორც კვალის აფსკზე გადაღებისას. საჭიროა მხოლოდ ფოტოქაღალდის ან ფოტოაფსკის შესაბამისი ფურცელი წინასწარ დანოტიევდეს და კვალის გადაღების შემდეგ გაშრეს. არავითარ დაფარვას ფოტოქაღალდზე ან ფოტოაფსკზე გადაღებული კვალი არ საჭიროებს, რადგან ფოტოქაღალდის ან ფოტოაფსკის გაშრობის შემდეგ დამტვერილი კვალი კარგად მაგრდება ემულსიის ფენით.

შეღებილი თითის ანაბეჭდი უმჯობესია ამოღებულ იქნას იმავე ზედაპირითურთ, რომელზედაც იგი აღმოჩენილი იყო, მაგალითად, კედლის ქაღალდის (შპალერის) ნაჭრით, რაფის ფიცრის ნაწილით და სხვა.

დაქტილოსკოპირება

დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერებისას დაქტილოსკოპირება უნდა სწარმოებდეს შემდეგ შემთხვევებში:

1) უცნობი პირის გვამიდან, პიროვნების შემდგომი დადგენისათვის;

2) დაზარალებულის გვამიდან, როცა არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საგნებზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები შეიძლება დარჩენილი იყოს დაზარალებულისაგან.

3) ყველა პირისაგან, რომელთაც შეეძლოთ შეხებოდნენ საგნებს დანაშაულის ადგილზე დათვალიერების დაწყებამდე, უკეთუ დათვალიერებისას აღმოჩნდება თითის ანაბეჭდები, რომლებიც შეიძლება დარჩენილი იყოს დამნაშავისაგან.

გვამის დაქტილოსკოპირებისას თანაბრად, მაგრამ არა სქლად, ლილვაკის დახმარებით იღებება ხელების ყველა თითის სასრული სახსრების ნებითი ზედაპირები. ამის შემდეგ, წინასწარ დაჭრილი თეთრი ქაღალდის კვადრატები, ზომით 4×4 სმ., მოთავსდება პატარა, მაგარ ზედაპირზე (შუშის, თხელი ლითონის და ა. შ. ფირფიტაზე) და წაგორდება თვითეულ თითზე ისე, რომ მიღებულ იქნას თითების მკაფიო ქარგა, ფრჩხი-

ლის ერთი კიდიდან მეორემდე. ამ კვადრატების უკანა მხარეზე დაიწერება ხელისა და თითის სახელწოდება, მაგალითად, „მარჯვ. საჩ.“.

ცოცხალი ადამიანის დაქტილოსკოპირებისას თითების სასრული სახსრები, შეღებილნი დაქტილოფირფიტაზე წაგორების გზით, რომელზეც წაცხებულია სასტამბო საღებავის თხელი ფენა, ანდა უშუალოდ ლილვაკით წასმულნი, წაგორდება წინასწარ ორ რიგ (ზომით 4×4 სმ.) უჯრედებად (თვითეულ რიგში ხუთ უჯრედად) დაყოფილ თეთრი ქაღალდის ფურცელზე. ზედა რიგის უჯრედებში (რომლის ზემოთაც კეთდება წარწერა: „მარჯვენა ხელი“) ერთიმეორეზე თანმიმდევრობით წაგორდება მარჯვენა ხელის თითები, ცერით დაწყებული ნეკამდე. ქვედა რიგის უჯრედებში ამავე წესით წაგორდება მარცხენა ხელის თითები.

ფეხის კვლები

ადამიანის ფეხის კვალი ხშირად შეიძლება აღმოჩენილ იქნას დანაშაულის ჩადენის ადგილზე, და წარმოადგენს სერიოზულ დამამტკიცებელ საბუთს დამნაშავის გამომჟღავნებისათვის. ფეხის კვლების აღმოჩენის მიზნით, საჭიროა გულდასმით დათვალიერდეს არა მარტო იატაკის ან მიწის ზედაპირი უშუალოდ შემთხვევის ადგილზე, არამედ აგრეთვე ყველა საგანი და ირგვლივი ადგილმდებარეობა იმ გზაზე, რომლითაც უნდა მოსულიყო და წასულიყო დამნაშავე.

ფეხის კვალი ორი სახისაა: ჩაზნექილი და ზედაპირული. უკანასკნელისგან პრაქტიკულად უფრო ხშირად შესაძლებელი ხდება მხოლოდ შეღებილი (მაგალითად, სისხლით) კვალის დადგენა.

აღმოჩენილი, ნათლად გამოსახული ფეხის კვალი, მისი დათვალიერების და გაზომის შემდეგ, უწინარეს ყოვლისა ფოტოაპარატით უნდა გადავიღოთ.

გარდა ამისა, ჩაზნექილი კვალი დამაგრდება ტვიფრების დამზადების გზით. ასეთი ტვიფრების დასამზადებელ მასალად ყველაზე უკეთესია თაბაშირი. კვალიდან თაბაშირის ტვიფრის მისაღებად, ჭურჭელში ჩაისხმება ერთნახევარი ჭიქა (300 გრ.) წყალი, რის შემდეგ მასში ჩაიყრება თაბაშირი, რომელსაც განუწყვეტლივ ურევენ.

მიღებული თაბაშირის თხელი მასით (არაჟანის სისქისა) თანაზომიერად ივსება ჩაზნექილი კვალი. თაბაშირის მასაში, რომელიც კვალში თავამდე არაა ჩასხმული, უნდა მოთავსდეს წვრილი ჩხირები, წნელები ან მავთულის ნაჭრები სიგრძისა და სიგანის მიმართულებით, დამზადებული ტვიფრისათვის მეტი სიმკვრივის მისაცემად, რის შემდეგ კვალი მთლიანად ივსება თაბაშირით.

მას შემდეგ, რაც თაბაშირი შედედდება (დაახლოებით 15 წამის შემდეგ), ტვიფრი კვალიდან ამოიღება და გაირეცხება წყალში ბალახის ჯაგრისით; ზედმეტი კორძები დანით ფრთხილად შემოეჭრება.

თოვლში დარჩენილი კვალის ტვიფრის დამზადება სწარმოებს ამავე წესით, მხოლოდ თაბაშირი უნდა გაიხსნას ყინულზე საკმაოდ გაცივებულ წყალში, ხოლო კვალზე ოდნავ უნდა მოვაფრქვიოთ წმინდად დანაყილი მარილი.

რბილ, ფხვიერ ნიადაგზე, მაგალითად მტვერში, დატოვებული თანმიმდევარი კვალის (გზა) აღმოჩენისას, გამომძიებელმა უნდა დაადგინოს ფეხის კვალის დამტოვებელი ადამიანის სიარულის თავისებურებანი, რაც მიღწეულ იქნება მთელ რიგ გაზომვათა ჩატარების გზით:

1) ნაბიჯის სიგრძისა, ე. ი. მანძილისა მარცხენა ფეხის ქუსლის ცენტრიდან მარჯვენა ფეხის ქუსლის ცენტრამდე. აღნიშნულ წერტილებს შორის სწორხაზოვანი მანძილი წარმოადგენს მარჯვენა ნაბიჯს. ასეთივე წესით სწარმოებს მარცხენა ნაბიჯის გაზომვა და სიგრძის დადგენა.

2) ნაბიჯის სიგანისა, ე. ი. მანძილისა მარჯვენა და მარცხენა ფეხის კვალის განლაგებათა შორის. ნაბიჯის სიგანე ეწოდება უმოკლეს მანძილს სწორ ხაზს შორის, რომელიც გაივლის ერთი ფეხის ქუსლის ან ტერფის ანაბეჭდის შუა ადგილიდან, და მეორე ფეხის უახლოესი კვალის ქუსლის ან ტერფის ცენტრს შორის.

3) საფეხურის გაშლის ან ნაბიჯის კუთხისა. ერთი ფეხის ორ კვალს შორის გაიყვანება ხაზი ისევე, როგორც ნაბიჯის სიგანის გაზომვისას. ერთ-ერთ სწორი ხაზით შეერთებული კვალის გასწვრივ მისი შუაგული ადგილიდან გაიყვანება მეორე ხაზი მის

პირველი ხაზით გადაკვეთამდე. ამ ორი ხაზით შექმნილი კუთხე წარმოადგენს საფეხურის გაშლის კუთხეს, ამასთან ეს კუთხე იზომება გრადუსებით საკუთხარის მეშვეობით, ცალკ-ცალკე მარჯვენა და მარცხენა ფეხისათვის. კუთხე, შექმნილი ორი კვალის შემაერთებლი ხაზის გარეთა მხრიდან, აღინიშნება მიმატების ნიშნით, ხოლო შიგნითა მხარედან — გამოკლების ნიშნით.

დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი სიარულის ნიშნების (კვლების განლაგების) დაპირისპირებისას ეპვმიტანილი პირის სიარულის ნიშნებთან, შეიძლება მსჯელობა მხოლოდ მსგავსების ან განსხვავების შესახებ, მაგრამ არ შეიძლება კატეგორიული დასკვნების გამოტანა, რომ კვალი დატოვებულია ეპვმიტანილის მიერ.

ცხოველთა ფეხებისა და მიმოსვლის საშუალებათა კვლები

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ ცხოველთა ფეხებისა და მიმოსვლის საშუალებათა კვლების აღმოჩენისა, დამაგრებისა და შენახვისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ზემოთ მოყვანილი წესებით.

გატეხის კვალები

გატეხის იარაღისაგან ხის საგნებზე დარჩენილი კვალის ასლის მისაღებად საჭიროა გამოყენებულ იქნას პლასტელინი. ამისათვის პლასტელინის ნაჭერი წინასწარ უნდა დავარბილოთ ხელით (გახდეს უფრო რბილი), შემდეგ ფიცრის დახმარებით (თანაბარი წნევისათვის) მივაკრათ კვალზე. კვალიდან პლასტელინის ფრთხილად, წესიერად მოხსნისას მასზე მივიღებთ კვალის უკუღმა გამოსახულებას (ყალიბს). პლასტელინის ტვიფრს უნდა წავუსვათ ვაზელინის ზეთი, ირგვლივ შემოვავლოთ სათანადო სიმაღლის მუყაოს ნაჭერი და ავავსოთ თაბაშირით. ტვიფრი, მიღებული თაბაშირის შედედების შემდეგ, წარმოადგენს კვალის ზუსტ ასლს.

სისხლის ლაქები

სისხლის სხვადასხვა ლაქები, შხეფების, წვეთების, ნაჟონის, გასვრილი ადგილების სახით, გულდასმით უნდა იქნას აღწერილი, საჭირო შემთხვევებში მათი განლაგების ზუსტად განსაზღვრით.

სისხლის შხეფების, ნაჟონის, გასვრილი ადგილებისა და წვეთების დამაგრების საუკეთესო საშულებაა ფოტოგადაღება.

სისხლის ჯგუფის დადგენის საჭიროების შემთხვევებში გამომძიებელმა უნდა აწარმოოს სისხლის ნიმუშების ამოღება და აგრეთვე იმ მასალის (შპალერის, იატაკის ზედაპირისა და სხვ.) ამოღება, რომელზეც განლაგებული იყო გამოსაკვლევი სისხლის ნიმუშები.

მასალებისა და საგნების შენახვა გამოკვლევისათვის

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობის მქონე ცალკეული საგნები, კვლები და ლაქები უნდა დამუშავდეს დანაშაულის ადგილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზით შეუძლებელია მათი ამოღება და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულების ლაბორატორიაში მიტანა.

იმისათვის, რომ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით ამოღებული ობიექტები შენახულ იქნას უცვლელი სახით და აცილებულ იქნას გადატანის ან გაგზავნის დროს მათი გაფუჭების შესაძლებლობა, საჭიროა ისინი სწორად შეიფუთოს.

საგნები თითების ანაბეჭდებით უნდა შეიფუთოს ისე, რომ შესაფუთავი მასალისა და კვალის მქონე საგნის ზედაპირს შორის ყოველთვის იყოს ცარიელი სივრცე, რითაც აცილებულ იქნება კვალის შეხება შესაფუთ მასალასთან.

სუნიანი ან სითხით გაჟღენთილი წვრილი საგნები საჭიროა მოთავსდეს სუფთა სინჯარებში და მჭიდროდ დაიხუროს წინასწარ გასანთლულ ქაღალდში გახვეული საცობებით.

საცობებს ზევიდან საჭიროა გადაესხას მდნარი სანთელი (პარაფინი) ან დაწებებულ იქნას პლასტელინით.

თხიერი და ფხვიერი ნივთიერებანი ასევე საჭიროა მოთავსდეს სინჯარებში და შეიფუთოს იმავე ზემოაღნიშნული წესით.

სხვა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები (მაგალითად, ტყვიები და ა. შ.) გაიხვევა ბამბაში, შემდეგ ქაღალდის პატარა ფურცელში, ზედ გაუკეთდება სათანადო წარწერა, რის შემდეგ ხვეული მოთავსდება ლითონის ყუთში.

ტანსაცმელი და თეთრეული მათი გაშრობის შემდეგ დაიკეცება ისე, რომ ლაქები აუცილებლად შიგნითა მხარეს მოექცეს, ამასთანავე გამოსაკვლევ ლაქებზე დაეკერება ქაღალდის სუფთა ფურცლები სათანადო წარწერებით.

დიდ საგნებს, შეძლებისდაგვარად, საჭიროა მოვაცილოთ კვალიანი ან ლაქიანი პატარა ნაწილები, მაგალითად, ცხვრის ქურქის მაგიერ უნდა წავიღოთ გასისხლიანებული ბეწვეულის მოკვეთილი ნაჭერი.

დოკუმენტები, ქაღალდის ფული და სხვ. გაშლილად მოთავსდება მუყაოს ან მკვრივი ქადალდის ორ ნაჭერს შუა და, შემდეგ, თუ ჩაეტევა, ჩაიდება კონვერტში ან ჩაკერდება სპეციალურ შეკვრაში.

არავითარი წარწერა თვით გამოსაკვლევ დოკუმენტებზე არ დაიშვება.

ფოტოგადაღება

ფოტოგრაფიული გადაღება დანაშაულის საერთო სურათის, კვლების, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობის მქონე ცალკეული საგნებისა და მათი ნაწილების ზუსტი გამოსახულების მისაღებად, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნას დამაგრების სხვა საშუალებებზე ადრე. ეს აიხნსება იმით, რომ ფოტოგრაფირება არ იწვევს ობიექტების რაიმე ცვლილებას, მაშინ როცა დამაგრების სხვა მეთოდები ამის გარანტირებას არ იძლევა.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გულდასმით დათვალიერება და ამოღება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ დანაშაულის მთელი ადგილის ფოტოგადაღების შემდეგ.

დანაშაულის ადგილის ფოტოგადაღება

დანაშაულის ადგილი მთლიანად პირველ რიგში უნდა იქნას ფოტოგრაფირებული. დასამზადებელი სურათის წინა პლანზე უნდა მოთავსდეს ობიექტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი

ნაწილი, მაგალითად, ადგილი, სადაც იმყოფება გვამი, გატეხილი საცავი, ან ადგილი, სადაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დამნაშავის ყოფნის ან მოქმედების კვლები.

ფოტოგადაღების ეს სახე, უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით, განხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

1) ფოტოაპარატი უნდა მოთავსდეს 1 მ. და 50 სმ. სიმაღლეზე (სიმაღლე გამოიანგარიშება ობიექტივის ცენტრიდან იმ ზედაპირამდე, რომელზეც მოთავსებულია ფოტოაპარატი);

2) ფოტოაპარატის გადასახსნელმა ფიცარმა უნდა დაიკავოს პარალელური მდგომარეობა იმ ზედაპირის მიმართ, რომელზეც ის დგას;

3) ობიექტივი აუცილებლად დიაფრაგმირდება უმცირეს დიაფრაგმამდე, რაც იძლევა გადასაღები სივრცის მკვეთრ გამოსახულებას; ძალზე დიდი სივრცის ფოტოგადაღებისას დიაფრაგმირება დაყვანილ უნდა იქნას 36 ნიშნამდე;

4) გადასაღები ობიექტების სხვადასხვაგვარი ფეროვნობისას გადაღება უნდა სწარმოებდეს ყვითელი შუქფილტრით ორტოქრომატულ ფირფიტებზე;

5) დახურულ სადგომში მოთავსებულ ფოტოგადაღების ობიექტის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ განათებას წარმოადგენს ზემო გვერდითი (45 გრადუსი კუთხით) განათება; გადაღება შუქის წინააღმდეგ (ე. ი. თუ სინათლის წყარო ობიექტივის წინ იმყოფება), ჩვეულებრივად ხმარებულ ფირფიტებზე მიზანს არ აღწევს;

6) სასურველია ფოტოგადაღება ორი ისეთი წერტილიდან, რომლებიც მოგვცემს დანაშაულის ადგილის გამოსახულებას ორი მოპირდაპირე მიმართულებით (მაგალითად, გადაღება ოთახის მოპირდაპირე კედლებიდან და ა. შ.).

თუ სადგომის შიგნით ფოტოგადაღებისას, სადგომის მცირედი სივრცის გამო, არ შეიძლება ფოტოაპარატი სათანადოდ მოთავსდეს ფოტრსურათზე გადასაღები ობიექტის მთლიანი გამოსახულების მისაღებად, მაშინ ფოტოაპარატი მოთავსდება გარეთ და გადაღება იწარმოებს ღია კარიდან, ფანჯრიდან და ა. შ. თუ შესაძლებელია, საჭიროა ჩატარდეს შემთხვევის ადგილის მეტრული (მასშტაბიანი) ფოტოგადაღება.

გვამის ფოტოგადაღება

სხვადასხვაგვარი მდგომარეობისა და პოზის მიხედვით, რომლებშიც შეიძლება იმყოფებოდეს გვამი, ბუნებრივია, რომ გადაღებისას ფოტოაპარატიც სხვადასხვანაირად დაიდგმება. იატაკზე ან მიწაზე მწოლიარე გვამის გადაღებისას ფოტოაპარატი მოთავსდება მისგან ისეთ მანძილზე, რომ გვამის გამოხატულება მთლიანად მოთავსდეს ფოტოფირფიტაზე. ფოტოაპარატი თანაზომიერად უნდა იყოს დაშორებული გვამის თავიდან და ფეხებიდან და იმყოფებოდეს არაუახლოეს ვიდრე 1 მეტრისა გვამის ცენტრიდან. გვამის მდგომარეობა მისი სიგრძით ზუსტად პარალელური უნდა იყოს მჭრქალი მინის გრძელი მხარისადმი. ფოტოაპარატის ობიექტივი თავსდება 1 მ. 50 სმ. სიმაღლეზე, ხოლო ფოტოაპარატის გადასახსნელ ფიცარს ეძლევა ოდნავ დახრილი მდგომარეობა. გვამი, როგორც წესი, გადაღებულ უნდა იქნას ორი მოპირდაპირე მხრიდან. თუმცა-ღა, პერსპექტივის დამახინჯების თავიდან ასაცილებლად, არ უნდა სწარმოებდეს გვამის ფოტოგადაღება ფეხების ან თავის მხრიდან.

გვამის სხვაგვარი მდგომარეობისას ფოტოაპარატი დაიდგმება ისე, რომ მთელი გვამი სჩანდეს მჭრქალ მინაზე.

უცნობ პირთა გვამების ზემოაღწერილი წესით საერთო ფოტოგადაღების გარდა, ამოცნობისათვის სწარმოებს ეგრეთწოდებულ სიგნალიტური (ამოსაცნობი) ფოტოგადაღება. ამისათვის სასამართლო-საექიმო ექსპერტი გვამს წინასწარ მისცემს ცოცხალი ადამიანის სახეს, რის შემდეგაც სწარმოებს ფოტოგადაღება ორი წელზევითი ფოტოსურათის სახით, მათ შორის— ერთი მარჯვენა პროფილიდან და მეორე — წინა მხარიდან (ფას-ში). ამ ფოტოგადაღების წინ საჭიროა: გვამის თავს მიეცეს ნორმალური მდგომარეობა (არ დაიშვება თავის უკან გადაგდება ან წინ დახრა); მოეხსნას თავმორთულობა (თუ ასეთი აქვს); კისერი განთავისუფლდეს შარფისაგან, მოსახვევისაგან და ა. შ., რომელსაც შეუძლია დაფაროს ყურები და ნიკაპი; შუქის წყარო მოთავსდეს მარჯვენა მხარეს ფოტოაპარატიდან 40—50 გრადუსი კუთხით გადაღების ობიექტის მდებარეობის

სიბრტყის მიმართ (რათა სურათი არ იყოს მეტისმეტად კონტრასტული). ფოტოაპარატი უნდა მოთავსდეს გადაღების ობიექტიდან 1 მ. და 8 სმ. დაშორებით (რაც იძლევა ნატურალური სიდიდის $^1/_7$-ს), ამასთან ობიექტივი უნდა იმყოფებოდეს ვადამღების თვალის სიმაღლეზე. დიაფრაგმირება სწარმოებს 6, 3 ან 9 ნიშნამდე. გვამზე დაზიანებათა კვალის ფოტოგადაღება მოხდება მთლიანად გვამის საერთო ხედის ფოტოგადაღების შემდეგ და, ყოველ შემთხვევაში, სიგნალიტურ გადაღებამდე, რომლის დროსაც პირველადი ნიშნები იცვლება გვამის სიცოცხლისდროინდელი სახის აღდგენის გამო.

კვლების, ლაქების, საგნების ფოტოგადაღება

ცალკეული საგნები, როგორიცაა დაზიანების ან დაშლის კვლები, და სხვა კვლები (ადამიანის ხელებისა და ფეხების, ფეხსაცმლის, მიმოსვლის საშუალებებისა და სხვ.) გადაღებულ უნდა იქნას მცირე ზომით, 9×12 სმ. ფირფიტით დასაშვები ფორმატით. წვრილი კვლები (საჭრეთელის, დანის, ხელის თითებისა და ა. შ.) გადაღებულ უნდა იქნას მათი ნატურალური სიდიდით.

რადგან დამნაშავის მიერ დატოვებული კვლების ფოტოგადაღება სწარმოებს არა მხოლოდ დანაშაულის გარემოში მათი საერთო ხედისა და მდგომარეობის გადმოსაცემად, არამედ, უმთავრესად, შემდგომი შედარებითი გამოკვლევისათვის, ფოტოსურათებს უნდა ჰქონდეს: 1) მთლიანად გადაღებული კვალის გამოხატულების სიზუსტე და 2) კვალზე არსებული დეტალების მკაფიო და რაც შეიძლება სრული ასახულობა. თვით სურათზე ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რამდენჯერ არის გადიდებული ან შემცირებული გადაღებული კვალი, ისე რომ ყოველ საჭირო დროს შესაძლებელი იყოს მისი ნატურალური სიდიდის დადგენა.

ამისათვის საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: 1) ფოტოგადაღების წინ კვალთან ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს მკაფიოდ დახაზული მასშტაბიანი სახაზავი, ამასთან უკანასკნელმა არ უნდა დაფაროს გადასაღები კვლების მნიშვნელოვანი კონტურები; 2) ფოტოაპარატი დაიდგას ისე, რომ სიბრტყე, რომელზეც

მოთავსებულია კვალი, და აპარატის მქრქალი მინის სიბრტყე ზუსტად პარალელური იყოს; 3) შუქის წყარო მოთავსდეს იმ ანგარიშით, რომ განათება ეცემოდეს კვალის სიბრტყეზე 10-დან 45 გრადუსამდე კუთხით. ამასთან სინათლის სხივების დაცემის უმცირესი კუთხე უფრო მკაფიოდ გამოხატავს ოდნავ ჩაზნექილი კვლების კონტურებს. შეღებილი კვლებისა და ხორკლიან ზედაპირებზე განლაგებული კვლების, აგრეთვ ღრმად ჩაზნექილი კვლების გადაღებისას, შუქის წყარო უნდა მოთავსდეს განათების დიდი კუთხით. ბუნებრივი შუქის წყაროს არსებობისას (მზე) გადასაღები კვალი შეიძლება გადაღებულ იქნას სინათლის შესაბამისი კუთხით სარკის ან რომელიმე თეთრი ამრეკლავი ზედაპირის (ქაღალდის თეთრი ფურცელი, ზეწარი და ა. შ) მეშვეობით.

თეთრ, ღია რუხ და ღია-ცისფერ ზედაპირზე მოთავსებული სისხლის კვლები და ლაქები გადაიღება ჩვეულებრივ ფოტოფირფიტებზე უშუქფილტროდ; იგივე კვლები და ლაქები ყვითელ და მწვანე ზედაპირზე გადაიღება ორტოქრომატულ ფირფიტებზე ყვითელი შუქფილტრით.

წითელ და ყავისფერ ზედაპირებზე დარჩენილი სისხლის კვლებისა და ლაქების გადასაღებად საჭიროა პანქრომატული ფირფიტები და წითელი ფილტრი, ხოლო ლურჯი, შავი და მუქ-რუხი ზედაპირებისათვის — ჩვეულებრივი ფირფიტები და ლურჯი შუქფილტრი.

წითელი, ყავისფერი, ლურჯი და შავი ზედაპირებიდან კვლების ფოტოგადაღება ფრიად რთულია და ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ის უნდა სწარმოებდეს ლაბორატორიულ პირობებში.

შემთხვევის ადგილის გეგმარის შედგენა

თუმცა ფოტოსურათი შემთხვევის ადგილზე საერთო წარმოდგენას გვაძლევს, მაგრამ ჩვეულებრივი ფოტოგადაღებისას შესაძლებლობა არა გვაქვს ვიმსჯელოთ სურათზე გამოხატული ყველა საგნის ზომისა და მათ შორის მანძილის შესახებ. იმის გამო, რომ საგნებისა და კვალების სიდიდეს და მათ შორის

შანძილებს ფრიად არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღების გარდა საჭიროა სქემატური გეგმარის დახაზვა.

ღია ადგილმდებარეობის გეგმარი

ღია ადგილმდებარეობის გეგმარი შედგენილ უნდა იქნას თვალზომით გადაღების წესების მიხედვით. ეს გადაღება მდგომარეობს ყველა ხაზის (გზების, ღობეების, კედლების და ა. შ.), ამ ხაზებით შედგენილი ყველა კუთხისა (სადგომის კუთხე, ორი გზის შეხვედრის კუთხე და ა. შ.) და ადგილმდებარეობაზე არსებული ყველა საგნის გაზომვასა და შემდგომ ქაღალდზე აღნიშვნაში.

გადაღებისათვის პლანშეტზე დამაგრებულ ქაღალდის ფურცელზე ზევიდან ქვევით გაიყვანება სწორი ხაზი. ამ ხაზის მიმართულება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებას ღია ადგილმდებარეობაზე.

პლანშეტის ორიენტირებით, ე. ი. ჩრდილო-სამხრეთის ხაზის მიმართულების კომპასის ისრის ჩვენებასთან შეთავსებით ისე, რომ ჩრდილოეთი გეგმარის ზემო ნაწილში იყოს, ქაღალდის ყველაზე უფრო მოსახერხებელ ადგილზე აღნიშნავენ წერტილს, რომელიც უნდა ნიშნავდეს ღია ადგილმდებარეობის იმ წერტილს, სადაც მოცემულ მომენტში დადგმულია პლანშეტი. შემდეგ, აღნიშნულ წერტილს დაადებენ სამიზნებელი სახაზავის ერთ ბოლოს და პლანშეტს ასწევენ თვალის დონემდე ისე, რომ შეიძლებოდეს სახაზავის მიმართულებაზე დაკვირვება; სახაზავის მეორე ბოლოს გადაანაცვლებენ მანამდე, სანამ მისი მიმართულება არ დაემთხვევა გეგმარზე აღსანიშნავი ხაზის (გზის, ბილიკის, კედლის და ა. შ.) მიმართულებას, რის შემდეგაც სახაზავზე გაატარებენ ხაზს. ნაბიჯებით გადაზომავენ გეგმარზე გადასატანი ხაზის სიგრძეს, მის უახლოეს მოსახვევამდე, მას არჩეული მასშტაბით გადაიტანენ გეგმარზე გაყვანილ ხაზზე და თვალზომით აღნიშნავენ ადგილობრივ საგნებს და მანძილს ამ საგნებამდე, ხოლო შემდეგ განაგრძობენ გადაღებას ამავე წესით.

მანძილის გაზომვისას სამი ნაბიჯი იანგარიშება ორ მეტრად.

მასშტაბი (1/200, 1/300, 1/500) აიღება გეგმარზე გადასა-

ტანი სივრცის მიხედვით. გადასაღები ადგილმდებარეობის ცალკეული ნაწილები (გზები, მდინარეები, ბოსტნები და სხვ.) გეგმარზე გამოისახება ჩვეულებრივი ტოპოგრაფიული ნიშნებით.

სადგომის, ნაგებობის გეგმარი

ნაგებობის ან სადგომის გეგმარი შედგენილ უნდა იქნას ხვეულით (რულეტით) ან საკეცი მეტრით ზუსტი აზომვის საფუძველზე. ნაგებობას ჯერ გარშემო შემოუვლიან გარეთა მხრიდან და გეგმარზე თანმიმდევრობით არჩეული მასშტაბით გადაიტანენ მის კედლებს, კედლებში არსებულ შეღრმავებებსა და შვერილებს, მინაშენებს და ა. შ. როცა ნაგებობის საერთო გეგმარი დახაზული იქნება, შეუდგებიან მასზე შინასადგომების და მათში მოთავსებული საგნების გადატანას, ამასთან გადაღების გამოსავალ წერტილად ყოველთვის აიღება ნაგებობის მთავარი შესავალი, კარი.

ცალკეული საგნები გეგმარზე აღინიშნება მათი სახელწოდების დასაწყისი ასოებით, ამასთან, რამდენიმე ერთგვარი საგნის არსებობისას დაემატება ციფრი მაგალითად, მეოთხე სკამი — „სკ. 4“ მეორე საწოლი — „საწ. 2“ და ა. შ.). მასშტაბი აიღება სადგომის ზომების შესაბამისად — 1/20, 1/30, 1/50.

გეგმარზე გადასატანი ყველა საგანი ზუსტად მასშტაბით უნდა იყოს გამოხატული.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესუალური გაფორმება

შემთხვევის ადგილის დათვალიერება გაფორმებულ უნდა იქნას ოქმით.[1]

დათვალიერების ოქმში თანმიმდევრობით, მკაფიოდ და ზუსტად უნდა იყოს ასახული, სად, როდის, ვის მიერ, ვისი თანდასწრებით, რასთან დაკავშირებით, როგორ პირობებში (განათება, ნალექები და ა. შ.) და რა წესით სწარმოებდა დათვა-

---

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 192 მუხლზე. თუმცა საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსში შესაბამისი მუხლი გაუქმებულია 1931 წ. 1 მარტს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ სავალდებულოა ზემოდ მოყვანილი წესის დაცვა.

ლიერება, რა იქნა აღმოჩენილი როგორც სტატიკური, ისე დინამიკური დათვალიერებით, რა შენიშვნები იყო გაკეთებული დათვალიერებაზე დამსწრეთა მიერ, რა საგნები იქნა ამოღებული და რა მოუვიდა ამ საგნებს.

თუ დათვალიერების დროს შესრულდა ცალკეული საგამომძიებლო ექსპერიმენტები, ე. ი. მოხდა შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული და შესამოწმებელი მომენტების ან ცალკეულ მოქმედებათა, მაგალითად, სმენადობის, ხილვადობის, შემთხვევის ადგილზე შეღწევის შესაძლებლობის და ა. შ. ხელოვნური ხელახლა წარმოქნა, ესეც ასახულ უნდა იქნას დათვალიერების ოქმში.

დათვალიერების ოქმს მისი წაკითხვის შემდეგ ხელი უნდა მოაწეროს დათვალიერების ჩატარების ყველა მონაწილემ და დამსწრე პირმა.

დათვალიერების ოქმი პროცესუალურად სწორად უნდა იყოს გაფორმებული.[1]

გამომძიებელი უნდა ესწრაფვოდეს, რომ ოქმი დაწერილი იყოს უბრალოდ, მოკლედ და ამავე დროს ნათლად. ამა თუ იმ საგნის ან კვალის ურთიერთ განლაგების აღწერისას საჭიროა ორიენტირად გამოყენებულ იქნას ქვეყნიერების მხარეები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაჭარბება; მაგალითად, არ არის არავითარი საჭიროება და მავნებელიცაა მაგიდაზე „გეოგრაფიის გაშლა", ე. ი. მაგიდაზე აღმოჩენილი ჭიქების, დანებისა და ჩანგლების ურთიერთ განლაგების აღწერა ქვეყნიერების მხარეებზე მითითებით.

ფოტოგადაღების ჩატარების ყველა შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა ამის შესახებ აღნიშნოს დათვალიერების ოქმში მითითებით, თუ სახელდობრ რა, საიდან (რომელი წერტილიდან) იყო გადაღებული. ამ შემთხვევაში შემდგომ დამზადებული და

---

[1] დედანში მითითებაა სისხ. სამ. საპრ. კოდ. 78 და 192 მუხ. მოთხოვნათა დაცვაზე. თუმცა, შესაბამისი მუხლები საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან ამოღებულია 1931 წ. 1 მარტს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ სავალდებულოა ზემოთ მოყვანილი წესის დაცვა.

გამომძიებელის ხელისმოწერით დამოწმებული ფოტოსურათები-წარმოადგენენ დათვალიერების ოქმის პროცესუალურად გაფორმებულ დამატებას.

ოქმში, აგრეთვე, ასახული უნდა იყოს შემთხვევის ადგილის სქემატური გეგმარის შედგენის ფაქტიც. ეს გეგმარი წარმოადგენს დათვალიერების ოქმის დამატებას, ავსებს უკანასკნელს და ამარტივებს მას. ოქმში აღნიშნული უნდა იყოს დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების ზუსტი დრო (საათობით). ოქმზე დართული შემთხვევის ადგილის დათვალიერების გეგმარი, სქემები და სხვა ნახაზები აუცილებლად ხელმოწერილი უნდა იყოს გამომძიებლის მიერ და, როგორც წესი, იმავე პირების მიერ, რომლებიც ხელს აწერენ დათვალიერების ოქმს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მოყვანილი ძირითადი წესები ამომწურავი არ არის. მაგრამ შემთხვევის ადგილზე გამგზავრებისას და დათვალიერების ჩატარებისას ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულება ხელს შეუწყობს გამოძიების ხარისხის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

ბ. გვამის დათვალიერება

ზოგადი დებულებანი

შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება წარმოადგენს შემთხვევის ადგილის საერთო დათვალიერების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში სასამართლო-საექიმო ექსპერტის მონაწილეობის მიუხედავად, ყოველი გამომძიებელი კარგად უნდა იცნობდეს გვამის დათვალიერების წესებს და საჭიროების შემთხვევებში შეეძლოს ასეთი დათვალიერების საკუთარი ძალებით დამოუკიდებლად ჩატარება.

გვამის დათვალიერება მიზნად ისახავს, შემთხვევის ადგილის მთელი გარემოს დაწვრილებით აღწერასთან ერთად, აიწეროს გვამის და იმ დაზიანებათა, აგრეთვე გვამური ცვლილებების მდგომარეობა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვიტანოთ წინასწარი დასკვნა ამ შემთხვევაში სიკვდილის, თვითმკვლელობის თუ უბედური შემთხვევის შესახებ, აგრეთვე სიკვდილის დადგომის დროისა და გარემოებათა შესახებ.

გვამის თავის დროზე დათვალიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან გვამური ცვლილებანი ჩნდებიან და ჰქრებიან გარკვეულ პერიოდებში სიკვდილის დადგომის მომენტიდან, და ცალკეული დაზიანებები შეიძლება შემდეგ აღმოუჩენელი დარჩეს გვამის ლპობის პროცესებთან დაკავშირებით.

გვამის მდგომარეობა

უწინარეს ყოვლისა გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს და აღნიშნოს გვამის ზუსტი მდგომარეობა, აგრეთვე გარდაცვალებულის სქესი და დაახლოებითი წლოვანება.

გვამის მდგომარეობა ღია ადგილმდებარეობაზე უნდა განისაზღვროს ქვეყნიერების მხარეების მიხედვით, ხოლო სადგომებში — უძრავი საგნების (კედელი, კუთხე, კარი, ღუმელი და ა. შ.) მიმართ, თავისა და ფეხების განლაგების მიმართულებისა და აგრეთვე უახლოეს საგნებამდე მანძილის აღნიშვნით. გვამის მდგომარეობა როგორც წესი, ყოველთვის უნდა განისაზღვროს კორდინატების მიხედვით.

გვამის საწოლი

დათვალიერების ოქმში ასახულ გვამის აღმოჩენის საერთო ადგილის აღწერის გარდა, აუცილებელია სპეციალურად და ვრცლად აიწეროს განსაზღვრული ადგილი, რომელზეც აღმოჩდა გვამი (გვამის საწოლი). იმ ადგილის მონაცემების დაპირისპირებამ, სადაც გვამი იყო აღმოჩენილი, გვამის საწოლის მონაცემებთან, ხშირად შეიძლება ხელი შეუწყოს მომხდარი შემთხვევის ნათელყოფას. ასე, მაგალითად, მხოლოდ ქვედა საცვალით შემოსილი, იატაკზე სახით დაბლა, თავის ოთახში, ხელში მოკუმშულ პიჯაკზე მწოლიარე გვამის აღმოჩენა მოწმობს, რომ დაზარალებულს მკვლელობის მომენტში ხელში ეჭირა პიჯაკი და ამ პიჯაკით თავს იფარავდა თავდამსხმელისაგან.

ქალაქგარეთ, პარკში, მოკლული ქალის გვამის აღმოჩენა, რომელსაც გაძარცვის ნიშნები არა აქვს და რომელიც წესიერად გაშლილ პალტოზე წევს, იქვე ახლოს კი დარჩენილია

მისივე გახდილი წინდები და ფეხსაცმელი, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაზარალებული პარკში მოვიდა თავის მახლობელ ადამიანთან ერთად, რომელმაც ის მოჰკლა.

გვამის საწოლის დათვალიერებისას გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს ნეგატური კვლებიც, რის შესახებაც ზევით ითქვა.

გვამის პოზა

არანაკლები მნიშვნელობა აქვს გვამის პოზას (მდგომარეობას). მთელრიგ შემთხვევებში გვამის პოზის მიხედვით შეიძლება სიკვდილის სახისა და დანაშაულის ჩადენის მოტივების განსაზღვრა. მაგალითად, საკმარისია მივუთითოთ გაუპატიურების შემდეგ მოკლულის გვამის დამახასიათებელ პოზაზე. ზამთარში ღია ადგილმდებარეობაზე ფეხებგაჭიმული და ხელებგაშლილი გვამის აღმოჩენა, უეჭველია, გამორიცხავს მოყინვისაგან სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, რადგან მოყინვისაგან სიკვდილის დადგომისას მომაკვდავისათვის დამახასიათებელია მოხრილი და შეკუმშული პოზა. ამავე პოზაში რჩება გვამიც.

გვამის პოზის აღწერისას საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორ წევს გვამი (ზურგზე, გვერდზე, სახელდობრ რომელ გვერდზე და ა. შ.), როგორ არის განლაგებული სხეულის ნაწილები.

ტანსაცმელი გვამზე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვამზე ტანსაცმლის დაწვრილებით დათვალიერება და აღწერა. საჭიროა არა მარტო გვამზე აღმოჩენილი მთელი ტანსაცმლის აღწერა, არამედ აუცილებელია აღინიშნოს მისი მთლიანობაც, ქსოვილის დეფექტები, განსაკუთრებით ისეთი დეფექტები, რომლებიც შეესაბამება ჭრილობებს ან სხეულის დაზიანებებს, ტანსაცმელზე აღმოჩენილი რაიმე უცხო საგნები (ტალახი, მტვერი და სხვა), ტანსაცმლის ჯიბების შიგთავსი და აგრეთვე სისხლით ყველა გასვრილის, ნაჟონის, წვეთებისა და შხეფების ზუსტი განლაგება.

ყოველივე ამის დაწვრილებით აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს მომხდარი შემთხვევისა და, კერძოდ, ჭრილობების მიყენების მომენტში დაზარალებულის მდგომარეობის ნათელსაყოფად.

გამომძიებელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ შემდეგში უკვე შეუძლებელი იქნება გვამის პირველადი დათვალიერების ხარვეზის შევსება, რადგან გვამის მორგში გადატანისას ბევრი რამ შეიცვლება, მაგალითად, გვამის ტანსაცმელზე სისხლის ნაჟონებისა და განასვრების განლაგება, აგრეთვე შესაძლებელია ახალი გაჭუჭყიანების, დაზიანებისა და სხვ. წარმოშობა.

გვამური ცვლილებები

დათვალიერების ოქმში სავალდებულო წესით აღწერილი უნდა იყოს ყველა გვამური ცვლილება, რადგან ეს შესაძლებლობას მოგვცემს შემდეგში ცოტად თუ ბევრად ზუსტად დავადგინოთ სიკვდილის დადგომის დრო.

ამისათვის გამომძიებელი კარგად უნდა იცნობდეს ისეთ გვამურ ცვლილებებს, როგორიცაა გვამური ლაქები, გვამური გაშეშება, გვამის გაცივება და გვამური გაშრობა.

გვამური ლაქების არსებობა ან არარსებობა, მათი ფერი, მათი გადანაცვლება გვამის მდგომარეობის შეცვლისას, აგრეთვე ზოგიერთი ლაქების მდგომარეობის უცვლელობა ახალ ადგილებზე ლაქების წარმოშობისას და, ბოლოს, გვამური ლაქების უცვლელობა გვამის მდგომარეობის შეცვლისას, აგრეთვე თითის დაჭერისას გვამური ლაქების გამკრთალება ან გაუქრობლობა, რაც ვრცლად არის აღწერილი დათვალიერების ოქმში, სასამართლო-საექიმო ექსპერტს საშუალებას აძლევს მისცეს დასკვნა სიკვდილის დადგომის დროისა და გვამის მდგომარეობის ცვლილებათა შესახებ.

გვამური ლაქები ჩვეულებრივ ჩნდება სიკვდილის დადგომის შემდეგ არა უადრეს 2—4 საათისა. მათი გაჩენა შეიძლება დაგვიანდეს 9—10 საათამდე. გვამური ლაქების უფრო ნაადრევი ან ნაგვიანევი გაჩენა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გვამში არსებული თხევადი სისხლის რაოდენობაზე. მაგალითად, ასფიქსიისაგან სიკვდილისას გვამური ლაქები ჩნდება უფრო ადრე; ხოლო გვამზე სისხლის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაკარგვის ან ღრუებში (მუცლის, მკერდის) ჩაქცევის გამომწვევ ღია დაზიანებათა არსებობისას, გვამური ლაქები წარმოშობას დაიწყებს მნიშვნელოვნად უფრო გვიან.

გვამური გაშეშება განვითარებას იწყებს სიკვდილის დადგომის შემდეგ 2—4 საათის განვლისას, თანდათანობით, თავიდან ფეხებისაკენ. სრული გაშეშება, როგორც წესი, დგება 12 საათის შემდეგ და გრძელდება 2—3 დღეღამემდე, ხოლო ზოგჯერ უფრო მეტხანს.

შემდეგ იწყება გაშეშების თანდათანობით გაქრობა იმავე რიგით, ე. ი. თავიდან ფეხებისაკენ.

ზოგჯერ გვამური გაშეშება მთელ გვამს იპყრობს სიკვდილის დადგომის მომენტში ან სიკვდილის შემდეგ დაუყოვნებლივ. გვამური გაშეშების დადგომას ჩვეულებრივ წინ უსწრებს კუნთებისა და სხეულის მოდუნება, რაც სიკვდილის შემდეგ მყისვე ხდება.

გამომძიებელი მოვალეა შემთხვევის ადგილზე გვამის გარეგანი დათვალიერებისას შეამოწმოს პასიური მოძრაობის ზღვრები, ე. ი. გვამის ცალკეული ნაწილების თავისუფალი მოღუნვის შესაძლებლობა და დათვალიერების ოქმში ასახოს, თუ სახელდობრ რომელ ნაწილში და რა ხარისხით არის გამოხატული მოღუნვა.

გვამის გაცივება იწყება სიკვდილის მომენტიდან, მიმდინარეობს თანდათანობით და საგრძნობი ხდება დაახლოებით 3—5 საათის შემდეგ. სრული გაცივება, ე. ი. გვამის ტემპერატურის დაწევა გარემოს დონემდე, ოთახის ტემპერატურის ჩვეულებრივ პირობებში, მოხდება სიკვდილის დადგომიდან პირველი დღეღამის ბოლოს. სრულიად გაცივებული გვამი ხელით შეხებისას გვეჩვენება უფრო დაბალი ტემპერატურის მქონედ, შედარებით ირგვლივი გარემოს ტემპერატურასთან.

უფრო სწრაფი ან შენელებული გაცივება დამოკიდებულია ირგვლივი გარემოს ტემპერატურაზე და სინოტივეზე, აგრეთვე კვების ხარისხზე, სიკვდილის მიზეზზე, გადატანილ ავადმყოფობებზე, ასაკზე და, ბოლოს, გვამის ტანსაცმელზე ან ზედსაფენზე, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან ხელი შეუშალონ გაძლიერებულ სითბოგაცემას. გაცივება სხეულის სხვადასხვა ნაწილში არათანაბრად მიმდინარეობს; სხვებზე ადრე ცივდება კიდურები — ხელის მტევნები და ფეხის ტერფები, უკანასკნელად — მუცელი და იღლიები.

მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით სხვა გვამური მოვლენების არარსებობისას, ე. ი. როცა გვამის დათვალიერება სწარმოებს პირველ საათებში სიკვდილის დადგომის შემდეგ, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა შემოწმდეს და დათვალიერების ოქმში აღინიშნოს გაცივების ხარისხი, აგრეთვე სხეულის ის ადგილები, სადაც ჯერ კიდევ შეიგრძნობა სითბო.

სიკვდილის დადგომის დროის ზუსტად დადგენას ცალკეულ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა მხილებისათვის. სიკვდილის დადგომის დროის ასეთი დადგენა გვამის გაცივების მდგომარეობის მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ გვამის სხვადასხვა ნაწილებისა და, აგრეთვე, ირგვლივი გარემოს ტემპერატურის ზუსტად განსაზღვრით. ამიტომ გაცივების ხარისხი უნდა განისაზღვროს არა ხელის შეხებით, რასაც შეიძლება მოჰყვეს მცდარი დასკვნების მიღება, არამედ გვამის სხვადასხვა ნაწილის, აგრეთვე ირგვლივი გარემოს ტემპერატურის გაზომვით. ყოველივე ეს აუცილებლად უნდა აისახოს დათვალიერების ოქმში, სადაც, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, თუ როგორ იყო ჩაცმული ან დაფარული გვამი. თუ დათვალიერება გრძელდება რამდენიმე საათს, მაშინ ტემპერატურის გაზომვა საჭიროა ჩატარდეს ორჯერ: დათვალიერების დაწყებისას და დამთავრებისას.

გვამური გაშრობა იწყება სიკვდილის მომენტიდან, ამასთან ყველაზე ადრე ტუჩების ლორწოიანი გარსის ზედაპირულ არეში და, აგრეთვე, სხეულის დაზიანებათა და დაჟეჟილობის არეში. დათვალიერების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რა მოცულობის გვამურ გაშრობას ჰქონდა ადგილი, აგრეთვე ისიც, თუ გაშრობა სრულიად არ აღმოჩნდა.

დაბოლოს, საჭიროა გვამის დათვალიერების ოქმში აღინიშნოს აგრეთვე ლპობითი ცვლილებების არარსებობა ან არსებობა, უკანასკნელ შემთხვევაში — სახელდობრ, როგორი ცვლილებებია. კანსაფარველის ასეთ ლპობითი ცვლილებებს მიეკუთვნება: ლპობითი ლაქები, ლპობითი ცვლილებები გვამურ ლაქებში, ლპობითი ქსელები, ლპობითი ემფიზემა (ამობურცვა), ლპობითი ბუშტები.

დაზიანებანი გვამზე

გვამის დათვალიერება, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს სიკვდილის სახის დადგენას და ყველა დაზიანების აღმოჩენას. ამასთან გამომძიებლის განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს განსაზღვრულ ნაკვეთებზე, სადაც არის დაზიანებანი: მაგალითად, ჩამოხრჩობით სიკვდილისას — სტრანგულაციური ღარის ხასიათზე, ნასკვის ტიპზე და მდგომარეობაზე, თოკის დამაგრების ხერხზე; ცეცხლმსროლელი იარაღით დაჭრის შემთხვევებში — მიყენებული ჭრილობის შესავლის ადგილმდებარეობასა და დამახასიათებელ თავისებურებებზე, ტყვიის აღმოჩენაზე, ტყვიის არხის გამოსავალი ნახვრეტის ხასიათზე; დაჩეხილი ჭრილობების არსებობისას — თვითეული ჭრილობის ხასიათზე და თავისებურებაზე დანაშაულის იარაღის დადგენის მიზნით.

გვამზე არსებული ყველა დაზიანება უნდა აიწეროს განსაზღვრული წესით, თავიდან დაწყებული ფეხებისაკენ, როგორც წესი, ჯერ პირისახის მხრიდან, შემდეგ—ზურგის მხრიდან. ტანზე თვითეული დაზიანების მდგომარეობა უნდა განსაზღვრულ იქნას სამი ძირითადი ხაზის მიმართ: 1) ვერტიკალური ან შუალედი ხაზისა, რომელიც გაივლის წინიდან ცხვირსა და ჭიპზე, ხოლო უკნიდან — ხერხემალზე; 2) ჰორიზონტალური — ძუძუსთავების ხაზისა, რომელიც გაივლის ძუძუსთავებზე; 3) ჭიპწელის ხაზისა, რომელიც გაივლის ჭიპზე ძუძუსთავების ხაზის პარალელურად.

დაზიანებათა აღწერისას საჭიროა აღინიშნოს არამარტო მათი ფორმა, მაგალითად: მრგვალი, ოვალური, კვადრატული, სწორკუთხოვანი, სამკუთხოვანი, ხაზოვანი, არამედ მათი ზომაც, ორი საზომით, დაზიანების სიგრძედის (უფრო გრძელი ზომის) მიმართულების აღნიშვნით. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს დაზიანების ფერიც.

გვამის ხელების დათვალიერება

გამომძიებელმა დათვალიერებისას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს გვამის ხელებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ხელის მტევნები შეკუმშულია მუშტად. გვამის ხელე-

ბის გულდასმით დათვალიერებისას მათში შეიძლება აღმოჩენილ იქნას თმები, ტანსაცმლის ნაგლეჯები, ღილები, ფული და სხვა.

თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად წარმოიშვება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ბრძოლას და წინააღმდეგობის გაწევას დაზარალებულის მხრივ, საჭიროა გულდასმით გაისინჯოს ხელები და ფრთხილად, ხის ჩხირის დახმარებით, გამოიწმინდოს გვამის ფრჩხილების ქვედა შიგთავსი, მასში გამოკვლევის გზით სისხლის, კანის ნაფლეთის (ეპიდერმისის), თმის და სხვა კვლების აღმოჩენის მიზნით, რაც შეიძლება მოწმობდეს თავდამსხმელებზე განაკაწრების ან სხვა დაზიანებათა არსებობას.

ხელების დათვალიერების მონაცემები ასახულ უნდა იქნას ოქმში. გვამის ფრჩხილების ქვეშიდან ამოღებული შიგთავსი უნდა გულდასმით ჩავდოთ სუფთა სინჯარაში, თავი დავუცვათ და გამოკვლევისათვის გავგზავნოთ.

ბუნებრივი ნახვრეტების დათვალიერება

გვამის დათვალიერებისას გამომძიებელი ყოველთვის ყურადღებას უნდა აქცევდეს ბუნებრივ ნახვრეტებს, მათში რაიმე უცხო საგნის, მაგალითად, ჩვრების, ცხვირსახოცის, პირში მიწის და სხვ. აღმოჩენის მიზნით. ამ დათვალიერების მონაცემები, შედეგების მიუხედავად, აუცილებლად ასახული უნდა იყოს დათვალიერების ოქმში.

საგნები გვამის მახლობლად

დათვალიერების ოქმში აუცილებლად დაწვრილებით უნდა იყოს ასახული უშუალოდ გვამის სიახლოვეს აღმოჩენილი ყველა საგანი და კვალი (იარაღი, მასრა, ცხვირსახოცი, პაპიროსის ნამწვი, ფეხის კვლები, სისხლის ლაქები და სხვა), გვამიდან მათი მანძილისა და გვამის მიმართ მათი მდგომარეობის აღნიშვნით.

გაშოტრმება

გვამის დათვალიერება, ჩვეულებრივ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მხოლოდ ერთი ნაწილია. ამასთან დაკავშირებით, ყველაფერი, რაც გვამის დათვალიერებისას გამოვლინდა,

აღწერილ უნდა იქნას ადგილზე შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ერთიან ოქმში. იმ შემთხვევაში, როცა გვამის დათვალიერება იზოლირებულად სწარმოებს, დათვალიერების ოქმი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც შეეხება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს.

3. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერება

ზოგადი დებულებანი

როგორც წესი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან გაჩხრეკის დროს ყველა შემთხვევაში ისეთი ამა თუ იმ საგნის ან დოკუმენტების ამოღებისას, რომელსაც შეიძლება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობა ჰქონდეს, აგრეთვე მსგავსი საგნების ან დოკუმენტების ვისმესაგან მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა მოახდინოს მათი გულდასმით დათვალიერება. ეს დათვალიერება უნდა ჩატარდეს ყოველგვარი საგამომძიებლო დათვალიერებისათვის შემოღებული საერთო წესების დაცვით.

საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერების თავისებურებანი

ისეთი საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება, რომელთაც შეიძლება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობა ჰქონდეთ, ჩვეულებრივად უნდა ხდებოდეს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით (მადიდა შუშა, მეტრული სახაზავი და სხვ.). საჭიროა, როგორც წესი, ასეთი დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად სათანადო სპეციალისტ-ექსპერტის მოწვევა.

საგნების ან დოკუმენტების დათვალიერებისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ დამახასიათებელ ნიშნებს, აგრეთვე საქმისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თავისებურებებს, მაგალითად, წანაშალის არსებობა დოკუმენტზე, სისხლის წინწკლების არსებობა ტანსაცმელზე და სხვ. ყველა ეს თავისებურება გულდასმით უნდა აიწეროს დათვალიერების ოქმში შეძლებისდაგვარად მათი ზომის, ფერის, ფორმის, მიმართულების და სხვა აღნიშვნით.

დროებითი წესების 28 მუხლის შესაბამისად, საგნები და დოკუმენტები, რაც დართულ უნდა იქნას საქმეზე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით, წინასწარ დაწვრილებით უნდა აიწეროს დათვალიერების სპეციალურ ოქმში.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ძალის მქონე საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერების ოქმის ფორმა მოყვანილია ქვემოთ (იხ. გვ. 182), როგორც გამომძიებლის მიერ შედგენილი ყველა ოქმი, ისე საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერების ოქმი უნდა შეიცავდეს მხოლოდ დათვალიერებული საგნებისა და დოკუმენტების ძირითადი ნიშნებისა და თავისებურების დაწვრილებით და ობიექტურ აღწერას, გამომძიებლის ყოველგვარი მოსაზრებისა და დასკვნების გარეშე.

4. გაჩხრეკა და ამორკვევა

ზოგადი დებულებანი

გაჩხრეკა და ამორკვევა წარმოადგენს გამოკვლევის ტექნიკურ ხერხებს, საგამომძიებლო მოქმედებას (იძულების ხასიათის ზომას), რომლის მიზანია აღმოაჩინოს დამამტკიცებელი საბუთები, აგრეთვე ფასეულობანი ან სხვაგვარი ქონება დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ან, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულია, ქონების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად.

თვითეულმა გამომძიებელმა ყველა საჭირო შემთხვევაში, განსაკუთრებით კი სოციალისტური საკუთრების გაფლანგვის, მტაცებლობისა და განიავების საქმეთა გამოძიებისას, უნდა გამოიყენოს გამოძიების ეს ტაქტიკური ხერხი, მოიმარჯვოს იგი დროულად, გულდასმით და მოფიქრებულად.

დროებითი წესების 29 მუხლის თანახმად, გამომძიებელს შეუძლია გაჩხრეკა ჩაატაროს ყოველ სადგომში და ყველა პირთან, როდესაც მას საკმაო საფუძველი აქვს იფიქროს, რომ იქ არის საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნები. ამრიგად, გაჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს არა მხოლოდ ბრალდებულთან, არამედ მოწმეებთანაც და სხვა პირებთან.

გაჩხრეკა, გარდა გადაუდებელისა, უნდა მოხდეს დღისით. საჭირო შემთხვევაში გასაჩხრეკი ადგილი შეიძლება გარშემორტყმულ იქნას მცველებით ან ამისათვის განსაკუთრებით მოწვეული პირებით. გაჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელი უფლებამოსილია გახსნას დაკეტილი სადგომები და საცავები, მათი მფლობელის მიერ ნებაყოფლობით გაღებაზე უარის თქმის შემთხვევაში. გამომძიებელი მოვალეა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ არ გახმაურდეს გაჩხრეკით გამოვლინებული, გაჩხრეკილი პირის კერძო ცხოვრების ისეთი გარემოებანი, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ საქმესთან (დროებითი წესების 29 — 33 მუხ. მუხ.).

ცალკეული გამომძიებლები, გაჩხრეკისათვის საკმაო საფუძველის არსებობის დროსაც კი, არ ასრულებენ ამ საგამომძიებლო მოქმედებას, რის შედეგად ხელიდან უშვებენ ძვირფასი დამამტკიცებელი საბუთების მიღების შესაძლებლობას. ხშირად ეს ხდება სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის, გაფლანგვისა და განიავების, სპეკულაციის, ზომა-წონაში მოტყუების, ყალბი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების და სხვადასხვაგვარი დოკუმენტების გაკეთების, უკანონო აბორტების საქმეთა გამოძიებისას.

საგამომძიებლო შუშაობის ამ სერიოზულ ხარვეზზე არაერთხელ იყო მითითებული სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებებსა და ინსტრუქციებში.

მომზადება

გაჩხრეკის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოემზადა გამომძიებელი წინასწარ ამისათვის.

გაჩხრეკისათვის სწორი მომზადება მოითხოვს, რომ გამომძიებელმა წინასწარ, გაჩხრეკის დაწყებამდე გადასწყვიტოს შემდეგი საკითხები:

1) რა ან ვინ ეძებოს, ე. ი. რა მიზანს ისახავს გაჩხრეკა;

2) ვისთან ეძებოს, ე. ი. წინასწარ დასახოს იმ პირთა წრე, რომლებთანაც შესაძლოა გადამალული იყოს საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნები;

3) როდის ეძებოს, ე. ი. რომელ დღეს და რომელ საათებში შეუდგეს გაჩხრეკას;

4) სად ეძებოს, ე. ი. რომელ სადგომებში და რომელ საცავებში შეიძლება იყოს გადამალული ეს საგანი;

5) როგორ ეძებოს, ე. ი. დასახოს გაჩხრეკის ჩატარების გეგმა: რა წესით, რომელ სადგომებში, დააყენოს თუ არა მცველები და ა. შ.

გამომძიებლების მიერ დაშვებულ ძირითად შეცდომას წარმოადგენს გაჩხრეკისათვის საჭირო მომზადების ჩაუტარებლობა, რაც ყველაზე ხშირად გამოიხატება გაჩხრეკის მოხდენაში მხოლოდ იმ პირთან, რომლის მიმართაც წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის ეჭვი. საგამომძიებლო პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ძალიან ხშირად სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის, გაფლანგვებისა და განიავების საქმეებზე, დატაცებულ საქონელსა და დანაშაულებრივი გზით დაგროვილ ფასეულებებს ბოროტმოქმედნი გულმოდგინედ მალავენ სხვადასხვა ნათესავებთან და ნაცნობებთან. გაჩხრეკის წარმატება ასეთ შემთხვევებში საესებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად გამოარკვევს გამომძიებელი იმ პირთა და ადგილთა წრეს, სადაც შესაძლოა გადამალული იყოს გატაცებული ქონება და ფასეულობა.

ის საკითხები, თუ სად მოიძებნოს და როგორ მოიძებნოს, რასაკვირველია, დეტალურად უნდა გადაიჭრას უკვე მას შემდეგ, როცა გამომძიებელი გაჩხრეკის ადგილზე მივა და გაეცნობა სადგომებს და იმ ადგილმდებარეობას, სადაც გაჩხრეკა უნდა ჩატარდეს.

გამომძიებელმა ამგვარადვე უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა სამსახურებრივ სადგომებში გაჩხრეკის ჩატარების საჭიროების შემთხვევებში.

გაჩხრეკის ჩატარება

ყველა შემთხვევაში გაჩხრეკა უნდა ჩატარდეს უკიდურესი გულმოდგინებით, გაჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური და ტექნიკური ხერხების გამოყენებით.

უსაფუძვლო გაჩხრეკა დაუშვებელია.

საგამომძიებლო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გაჩხრეკის ჩატარება იძულებითი ხასიათის განსაკუთრებით სერიოზული ღონისძიებაა.

გაჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური გულისხმიერება, ინიციატიურობა, დაკვირვებულობა და მოსაზრებულობა.

გაჩხრეკა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს როგორც საცხოვრებელ, ისე არასაცხოვრებელ სადგომებში და აგრეთვე ეზოში. გამომძიებელმა გულგრილად არ უნდა აუაროს გვერდი ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივ ნივთებსა და მოვლენებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ საძებარი (მაგალითად, ფული, ფასეულობა, იარაღი) შეიძლება დამალული იყოს თეთრეულშიც, ეზოში — ნაგვის ხროვაშიც, ღუმელის საკვამლე მილშიც, მინამქრულ თოვლშიც, კედელზე მშვიდად დაკიდებულ გიტარაშიც, საბძელშიც, თივის ან ბზის ზვინშიც, ფეხსაცმელშიც, მიწაშიც, ფარდულში დაყრილ შეშაშიც, სურათს უკანაც, სახლის სახურავქვეშაც, ლავგარდანს უკანაც, წყლის კასრშიც, სავარძლების გარსამოსშიც, წიგნებში, საფრებში და სულ სხვადასხვა ადგილებში.

გაჩხრეკის ჩატარებისას საჭიროა ყოველთვის თვალყური ვადევნოთ იმას, თუ როგორ მოქმედებს გაჩხრეკის დამსწრე დაინტერესებულ პირებზე გამომძიებლის ადგილგადანაცვლება. მთელ რიგ შემთხვევაში ასეთ დაკვირვებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაუადვილოს გამომძიებელს საძებარი საგნების დაფარვის ადგილის დაჩქარებით პოვნის ამოცანა.

როცა საჭიროა ერთ საქმეზე გაჩხრეკის ჩატარება რამდენიმე პირთან, რომელთაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ ერთიმეორესთან, გამომძიებელმა უნდა მოაწყოს გაჩხრეკის ერთდროულად ჩატარება ყველა ამ პირთან, თუნდაც ისინი სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდნენ. თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით შეუძლებელია, მაშინ გამომძიებელი, შეუდგება რა გაჩხრეკას ერთ ადგილას, მოვალეა ყველა სხვა ადგილას, სადაც უნდა მოხდეს გაჩხრეკა, მოაწყოს ჩასაფრება. ჩასაფრებები უნდა დარჩეს გაჩხრეკის ჩატარების

მომენტამდე და მათ არ უნდა დაუშვან იმ სადგომში, სადაც მოწყობილია ჩასაფრება და უნდა ჩატარდეს გაჩხრეკა, მყოფ ან მომსვლელ პირთა მიერ ვინმესთან კავშირის დამყარების, აგრეთვე რაიმეს გადამალვის, გადაგდების ან მოსპობის შესაძლებლობა.

გაჩხრეკა, როგორც წესი, უნდა დაიწყოს ყველა იმ პირის პირადი გაჩხრეკით, რომლებიც გასაჩხრეკ პირთან ცხოვრობენ. პირადი გაჩხრეკა უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა, რომელსაც გასაჩხრეკი ეკუთვნის. გაჩხრეკის დროს ყველა ამ პირს თვალყური უნდა ვადევნოთ, რათა რომელიმე მათგანმა რაიმეს გადამალვა ან გადაგდება არ სცადოს.

გაჩხრეკის ჩატარება ღია ცისქვეშ, სადაც ყველაზე ხშირად ძებნა სწარმოებს მიწაში, გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. აქ საჭიროა გამოყენებულ იქნეს ისეთი იარაღები, როგორიცაა წამახვილებული რკინის ჯოხი — საჩხრეკი, რკინა-კეტი, ნიჩაბი, რომელთა საშუალებითაც ჩქარა შეიძლება ვიპოვნოთ გაფხვიერებული და ზემოდან შენიღბული მიწის ნაკვეთი, სადაც დამალულია ეს თუ ის საგანი ან ფასეულობა.

სამსახურებრივი (დაწესებულების) სადგომების გაჩხრეკისას გამომძიებელმა გულდასმით უნდა დაათვალიეროს არა მარტო მოცემული მუშაკის სამუშაო ადგილი, საწერი მაგიდის უჯრები, „კონტორკა", სალარო, არამედ, საჭირო შემთხვევაში, დამხმარე და სასაწყობო სადგომებიც.

დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ დაკავებულ სადგომებში, აგრეთვე სადგომებში, სადაც ცხოვრობენ დიპლომატიური წარმომადგენლები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრები და მათი ოჯახები, გაჩხრეკა და ამორკვევა შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის თხოვნით ან თანხმობით, პროკურორის სავალდებულო თანდასწრებით, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით, უკეთუ უკანასკნელი ამ ადგილას იმყოფება.

გამომძიებელმა გაჩხრეკისას უნდა ჩამოართვას ყველა იარაღი ან ნივთი, რომლებზეც დარჩენილია დანაშაულის კვალი, აგრეთვე ის საგნები და ფასეულობა, რომელთა პოვნა გაჩხრეკის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა.

ამის გარდა, გამომძიებელმა უნდა ჩამოართვას:

ა) დღიურები, ჩასაწერი წიგნაკები, იმ პირის მიმოწერა, რომელთანაც სწარმოებს გაჩხრეკა და რომელიც მონაწილეობას იღებდა გამოსაძიებელ დანაშაულში, რადგან ამას შეუძლია ხელი შეუწყოს ყველა თანამონაწილის აღმოჩენას;

ბ) დანაშაულის ჩამდენის ფოტოსურათები და ჯგუფური სურათები, სადაც ის გადაღებულია;

გ) სამოქალაქო ბრუნვიდან გამორიცხული საგნები. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვიდან გამორიცხულ საგნებს წარმოადგენენ: იარაღი, ფეთქებადი ნივთიერება, სამხედრო საჭურველი, საფრენი აპარატი, ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის ქონება, გაბათილებული ფასიანი ქაღალდები, პლატინი და პლატინის ჯგუფის ლითონი, მათი შენაერთი და შენადნობი, რადიუმი, ჰელიუმი, ნედლი ზურმუხტი და ნახევარფაბრიკატები, აგრეთვე ძლიერად მოქმედი შხამი;

დ) ნივთები და ხელსაწყოები, რომელებსაც ხმარობენ პროფესიული დამნაშავენი, მაგალითად „ფომკა“, „ბატის თათა“ და სხვა;

ე) დოკუმენტები და სხვადასხვა ჩანაწერები, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და განიავების საქმეებზე.

ვ) ქაღალდის, მელნის, ფანქრების ნიმუშები, პრესპაპიეს გამტარებელი ქალალდი, აგრეთვე თავისუფალი ხელმოწერის ნიმუშებიც, იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე გამოვლინებულია სიყალბე და მომავალში შესაძლოა მოგვიხდეს გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება.

ყველაფერი, რაც ჩამორთმეულ იქნება, გულდასმით უნდა აიწეროს გაჩხრეკის ოქმში.

საგამომძიებლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ გამომძიებლების მხრივ გაჩხრეკის დროს ჩამორთმეული დოკუმენტებისადმი, მიმოწერისა, წიგნებისა და სხვა საგნებისადმი სრულიად მოურიდებელ დამოკიდებულების შემთხვევებს, მთელ რიგ შემთხვევებში გამომძიებლები სპობდნენ, როგორც ღირებულების არმქონეს, ბრალდებულებთან გაჩხრეკისას ჩამორთმეულ მასალებსა და დოკუმენტებს (მიმოწერას, წიგნებს, მოწმობებს, ცნობებს და სხვ.). ეს ხდებოდა ბრალდებულების თანხმობის გარეშე, მათ დაუსწრებლად, საქმეზე განაჩენის გამოტანამდე. ამასთან დაკავშირებით შედგენილ აქტებში არც კი მოჰყავდათ მოტივები, რომელთა მიხედვით, მოსპობილი დოკუმენტები ცნობილი იყო ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულად. ამასთან ზოგჯერ საქმეები, რომლებზედაც ისპობოდა მასალები და დოკუმენტები, მთავრდებოდა გამამართლებელი განაჩენით.

ბრალდებულების პირადი დოკუმენტებისა და მასალებისადმი ასეთი მოურიდებელი დამოკიდებულება სრულიად დაუშვებელია. სსრ კავშირის პროკურორის 1939 წ. 21 აგვისტოს № 168 — 3 ბრძანებით, გამოძიების წარმოებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ყველა პროკურორს დავალებული ჰქონდა სასტიკი მეთვალყურეობა დაეწესებინა იმაზე, რომ ბრალდებულთათვის ჩამორთმეული მასალა და დოკუმენტები, თუ ისინი არ წარმოადგენენ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს და გამორიცხული არ არიან საერთო სარგებლობიდან, გადაგზავნილიყო სასამართლოს განაჩენის ან დადგენილების შესაბამისად; ხოლო ასეთის უქონლობის შემთხვევაში — დაბრუნებოდათ ბრალდებულებს ან სხვა პირებს მათი მითითებით.

გაჩხრეკის პროცესუალური გაფორმება

გაჩხრეკის ჩატარება პროცესუალურად უნდა გაფორმდეს გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით და გაჩხრეკის შედეგად შედგენილ გაჩხრეკის ოქმით.

დადგენილება გაჩხრეკის ჩატარების შესახებ უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . . . . „ . . “ ქ. . . . . .
. . . . . (ოლქის, რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის)
პროკურატურის სახალხო გამომძიებელი . . . . . (საკლასო ხარისხი) . . . . . (გვარი) გავეცანი საქმე № . . . .
შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილ მასალას და ვპოვე საქმის გარემოებათა მიხედვით . . . . . .
(მოკლედ აღინიშნოს, თუ სახელდობრ რა გარემოებათა მიხედვით) საკმაო საფუძველი იმის ჩასათვლელად, რომ . . . . . .
. . . . . (ადგილის ან პირთა დასახელება) ინახება . . . . . .
(აღინიშნოს, სახელდობრ რა საგნები, რომლებიც წარმოადგენდენ დანაშაულის ობიექტს ან იარაღს, ან მათზე დარჩენილია დანაშაულის კვალი, ან შეიძლება საჭირო აღმოჩნდნენ დანაშაულის გასახსნელად), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 29 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოვახდინო გაჩხრეკა მოქ . . . . . .
(სახელი, მამის სახელი, გვარი, ადგილის ან მისამართის აღნიშვნით, სადაც უნდა ჩატარდეს გაჩხრეკა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი: . . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დადგენილება გამომეცხადა:

194 წ. . . . . (ხელისმოწერა

გაჩხრეკის დამთავრების შემდეგ, დროებითი წესების 32 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, გამომძიებელმა უნდა შეადგინოს გაჩხრეკის ოქმი ორ ეგზემპლარად შემდეგი ფორმით:

გაჩხრეკის ოქმი

194 წ. . . . . „ . . “ ქ. . . . . .
. . . . . (ოლქის, რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის)
პროკურატურის სახალხო გამომძიებელი . . .
(საკლასო ხარისხი, გვარი) თანახმად ჩემი . . . . . .
194 წ. . . . . დადგენილებისა, გამოვცხადდი . . . .
. . . . (დასახელება, თუ სად გამოცხადდა გამომძიებელი) . . . . .
. . . . . (თანამდებობის პირთა აღნიშვნა, თუ ასეთები ახლდნენ გამომძიებელს) თანხლებით, მოვიწვიე თანამოწმეთა სახით მოქალაქენი .
. . . . . .
(თანამოწმეთა სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი), მოქ. მოქ
. . . . . .

(დანარჩენი მოქალაქეების — მეპატრონის, მისი შინაურების და ა. შ. სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი) თანდასწრებით, დროებითი წესების 29—35 მუხ.მუხ. დაცვით გამოვუცხადე სადგომის პატრონს . . . . . (პატრონის ან მისი შემცვლელი პირის სახელი, მამის სახელი და გვარი) ჩემი მოსვლის მიზანი და წინადადება მივეცი მიეთითებინა საძებნი ნივთების ადგილსამყოფელი და ნებაყოფლობით გადმოეცა ეს ნივთები.

სადგომის პატრონის (ან მისი შემცვლელი პირის) მიერ საძებნი საგნების გადმოცემაზე უარის თქმის გამო, ჩავატარე გულდასმითი გაჩხრეკა მთელი სადგომისა, რომელიც შესდგება . . . . . .

(გაჩხრეკილი სადგომების ჩამოთვლა და აღწერა) გაჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა . . . . . (ჩამოთვლილ უნდა იქნას, სახელდობრ რა საგნები ან დოკუმენტები და სად იქნა ნაპოვნი).

ნაპოვნი საგნები (დოკუმენტები) . . . . . (მათი ჩამოთვლა, დაბეჭდილია ფუთაში . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურორის ბეჭდით და ჩამორთმეულია სახალხო გამომძიებლის მიერ შემდგომი დათვალიერებისათვის და საქმეზე დასართავად.

(მითითება ჩატარებული გაჩხრეკის გამო შემოსული განცხადებების ან პრეტენზიების შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ასეთი განცხადებები ან პრეტენზიები არ შემოსულა).

ოქმის ასლი დაეუტოვე მოქალაქე . . . . . (სადგომის პატრონის ან მისი შემცვლელი პირის სახელი, მამის სახელი და გვარი).

სახალხო გამომძიებელი . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

მონაწილე პირები . (ხელისმოწერა)
თანამოწმენი (ხელისმოწერა)

სსრ კავშირის პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1943 წ. 17 ნოემბრის № 90/86 ინსტრუქციის („ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, ფასეულობათა და სხვა ქონების საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მიერ ჩამორთმევისა, შენახვისა და ჩაბარების წესების შესახებ") § 4 შესაბამისად, ოქმში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რა და სად იქნა ჩამორთმეული, ჩამორთმეულის რაოდენობა, მისი ამოცნობისათვის საჭირო ინდივიდუალური ნიშნები და ხარისხობრივი მდგომარეობა.

სხვადასხვა საგნების დიდი რაოდენობით ჩამორთმევის შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნას და გაჩხრეკის ან ამორკვევის ოქმს დაერთოს განსაკუთრებული აღწერილობა, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს თვით ოქმში.

გაჩხრეკის ან ქონების ამორკვევის ოქმსა და აღწერილობას, როცა ასეთი შედგენილ იქნება, ხელი უნდა მოაწეროს ჩამორთმევის ჩამტარებელმა პირმა, ამის დამსწრე ორმა თანამოწმემ მაინც და, აგრეთვე, იმ პირმა ან მისი ოჯახის წევრებმა, ვისთანაც სწარმოებდა ჩამორთმევა, ხოლო თუ ასეთები არ იყვნენ, — სახლმმართველობის ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენელმა.

ოქმისა და აღწერილობის ასლები ხელზე უნდა მიეცეს იმ პირს, ვისთანაც ჩატარდა გაჩხრეკა ან ამორკვევა, ან მისი ოჯახის წევრებს.

ასეთივე ფორმით, მხოლოდ საჭირო შესწორებებით, უნდა სდგებოდეს დადგენილება და ოქმი გამომძიებლის მიერ ამორკვევის ჩატარების შემთხვევებში.

ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამორკვევა

მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით მიმალული ბრალდებულის ადგილსამყოფელის ან დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირთა შორის კავშირის, ანდა, ბოლოს, დანაშაულის ჩადენაში ამა თუ იმ პირის მონაწილეობის დადგენის საჭიროებისას, გამომძიებელმა უნდა მოახდინოს დროებითი წესების 30 მუხლით გათვალისწინებული ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამორკვევა.

ასეთ შემთხვევებში გამომძიებელმა ფოსტა-ტელეგრაფის საათანადო განყოფილებას (ადრესატის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) უნდა აცნობოს ამ პირის მისამართით მიღებული იმ კორესპონდენციის დაკავების შესახებ, რომლის გაცნობაც მას, გამომძიებელს, საჭიროდ მიაჩნია.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ასეთი შეტყობინების გაგზავნას ერთდროულად, გამომძიებელმა გამოძიების მეთვალყურე პროკურორს უნდა სთხოვოს ნებართვა კორესპონდენციის ამორკვევის მოსახდენად.

კორესპონდენციის ამორკვევაზე პროკურორის ნებართვის მიღებისას გამომძიებელმა ფოსტა-ტელეგრაფის საათანადო განყოფილებას უნდა აცნობოს მოთხოვნილი კორესპონდენციის მისთვის მიტანის შესახებ, ან ამორკვევის მოსახდენად თავისი მისვლის დროის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამორკვევის პროცესუალური გაფორმება უნდა მდგომარეობდეს გამომძიებლის მიერ ორი საგამომძიებლო აქტის შედგენაში, სახელდობრ:

ა) დადგენილებისა კორესპონდენციის დაკავებისა და ამორკვევის შესახებ,

ბ) კორესპონდენციის დათვალიერებისა და ამორკვევის ოქმისა.

აღნიშნული დადგენილება უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება

. 194 წ. . . . „ . . ქ. . . .
. . . . . (ოლქის, რესპუბლიკის) . რაიონის (ქალაქის)
პროკურატურის სახალხო გამომძიებელი . . . . .
. . . (საკლასო ხარისხი, გვარი) საქმე № . . . .
. . . . . შესახებ (საქმის დასახელება) გარემოებათაგან
ვპოვე რა, რომ . . . . . (კორესპონდენციის ამორკვევის საჭიროების მოტივირება) . . . . .
. . . . . .

ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 30 მუხლით,

დ ა გ ა დ გ ი ნ ე:

1. წინადადება მიეცეს კავშირგაბმულობის . . . . . განყოფილების უფროსს დააკავოს . . . . (სახელის, მამის სახელის და გვარის აღნიშვნა) სახელზე . . . . . (მისამართის აღვნიშვნა) მისამართით ფოსტით და ტელეგრაფით მიღებული ყველა კორესპონდენცია, გაზეთებისა და ჟურნალების გამოკლებით და დაუყოვნებლივ შეატყობინოს სახალხო გამომძიებელს ჩასაბარებელი კორესპონდენციის დაკავების შესახებ.

2. აღნიშნული კორესპონდენციის დაკავებისთანავე ჩავატარო მისი დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში ამორკვევა.

3. ამ დადგენილების ასლი 1 მუხ. შესასრულებლად გაეგზავნოს კავშირგაბმულობის . . . . . განყოფილების უფროსს.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ებ ე ლი: (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

მოქ . . . . . (სახელი, მამის სახელი, გვარი)
სახელზე მიღებული ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამორკვევა ნებადართულია.

. რ ა ი ო ნ ი ს (ქალაქის) პ რ ო კ უ რ ო რ ი: . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

თავისი დადგენილების ასლი გამომძიებელმა კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს უნდა გაუგზავნოს საიდუმლო ფოსტით. შემდეგში, დაკავებულ ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის გასინჯვისას, აგრეთვე ამორკვევის ჩატარებისას, გამომძიებელმა თავისი ეს მოქმედებანი უნდა გააფორმოს ოქმით, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, თუ ფოსტა-ტელეგრაფის ან კავშირგაბმულობის განყოფილების სახელდობრ რომელი მუშაკის თანდასწრებით სწარმოებდა გასინჯვა ან ამორკვევა და რა იყო ამოღებული.

ამ ოქმის ასლი უნდა დავუტოვოთ კავშირგაბმულობის ან ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ხელმძღვანელს, იმისდა მიხედვით, თუ სახელდობრ სად სწარმოებდა გასინჯვა და ამორკვევა.

ბ. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და დოკუმენტები

ზოგადი დებულებანი

საქმის ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, აგრეთვე წერილობით დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების როგორც ჩამორთმევა, ისე საქმეზე დართვა ფორმდება პროცესუალურად არასწორად, და ამის შედეგად ზოგჯერ ესა თუ ის საგანი ჰკარგავს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას. ხშირად, აგრეთვე, საქმის მასალების მიხედვით შეუძლებელი ხდება ითქვას, საიდან ან რა გზით მიიღო გამომძიებელმა შემდგომში საქმეზე დართული ესა თუ ის დოკუმენტი. თუმცა, ამ საკითხების დაზუსტებას დიდი და ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს.

ამგვარი შეცდომები აღმოფხვრილ უნდა იქნას საგამომძიებლო პრაქტიკიდან. საჭიროა მტკიცედ შევითვისოთ, რომ, დროებითი წესების 27 მუხლის თანახმად, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება ყველა ის საგანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის იარაღად იყო გამოყენებული, ან რომელსაც შერჩა დანაშაულის კვალი, ან თვით იყო ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების ობიექტი, აგრეთვე ყველა სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება დანაშაულის გამოაშკარავება და დანაშაულის მონაწილე პირთა გამორკვევა.

საგნებს, რომელთაც საქმეზე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობა აქვთ, გამომძიებელი ჩვეულებრივ მიიღებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების, გაჩხრეკის ან ამორკვევის შედეგად, აგრეთვე უშუალოდ ამა თუ იმ პირისგან.

ყველა შემთხვევაში ამ საგნების ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით საქმეზე დართვა სათანადო წესით უნდა გაფორმდეს.

ამა თუ იმ პირის (ბრალდებულის, დაზარალებულის მოწმისა და სხვ.) ან რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ საგამომძიებლო ორგანოებში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობის მქონე რაიმე დოკუმენტის, შასეულობის, საგნების ან სხვა ქონების წარდგენის შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა, წარმოდგენილი ქონების დათვალიერების ოქმის შედგენასთან ერთად, დაჰკითხოს მისი მომტანი პირი და დააზუსტოს — როდის, სად, რა გარემოებებში იყო აღმოჩენილი ეს საგანი ან ქონება, ამ სახითვე იყო თუ არა მაშინ, სად, როგორ, რამდენ ხანს, რასთან დაკავშირებით ინახებოდა ის, ან ხმარებაში იყო თუ არა.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დართვის პროცესუალური გაფორმება

საქმეზე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დართვის პროცესუალური გაფორმება მდგომარეობს გამომძიებლის მიერ თვითეულ ცალკე შემთხვევაში ორ პროცესუალური დოკუმენტის შედგენაში, სახელდობრ: ამ საგნის ან დოკუმენტის დათვალიერების ოქმისა და ამ საგნის ან დოკუმენტის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის ძალის მქონედ ცნობისა და საქმეზე დართვის შესახები დადგენილებისა.

საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერების ოქმი სდგება შემდეგი ფორმით:

ოქმი

194 წ. . . . . „. . " . . ქ . . . . ოლქის (რესპუბლიკის)
. . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელი . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი)

ჩემს კამერაში ექსპერტის . . . . . (აღნიშვნა, რომელი ექსპერტისა და მისი გვარი) მონაწილეობით და . . . . . (თანამოწმეთა და დათვალიერების დამსწრე სხვა პირების სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი) თანდასწრებით, დროებითი წესების 28 მუხლის დაცვით, მოვახდინე . . . . . (აღნიშვნა, რა იყო დათვალიერებული, საიდან იყო მიღებული და რა სახით) დათვალიერება. დათვალიერებისას აღმოჩნდა . . . . . (აიწერება დათვალიერებული საგანი, ყველა მისი თავისებურება და დამახასიათებელი ნიშანი; საჭიროების შემთხვევაში აქვე აღინიშნება დათვალიერებული საგნების ან დოკუმენტების გაგზავნა გამოკვლევისათვის). დათვალიერების დამთავრების შემდეგ . . . . . (აღინიშნება, რა დაემართა დათვალიერებულ საგნებს ან დოკუმენტებს და რა წესით არის შეფუთული).

ოქმი წაკითხულია. ჩაწერილია სწორად.

სახალხო გამომძიებელი . .	(ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)	
ექსპერტი .	. . (ხელისმოწერა)
თანამოწმენი .	. . . (ხელისმოწერა)

ასეთი ჩამორთმეული დოკუმენტები და საგნები, რომლებიც საქმეზე ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენენ, გამომძიებელთან მიტანისას ამ უკანასკნელმა უნდა დაათვალიეროს არანაკლებ ვიდრე ორი თანამოწმისა და საჭირო შემთხვევაში ექსპერტის თანდასწრებით, დათვალიერების ოქმის სავალდებულო შედგენით. ამ ოქმში აღნიშნული უნდა იყოს, ვის მიერ, სად და ვისი თანდასწრებით იყო ეს საგნები დათვალიერებული, საიდან იყო ისინი მიღებული ან ჩამორთმეული, რა სახე ჰქონდა მათ დათვალიერებისას, მათი თავისებურებანი და ნიშნები და, საჭირო შემთხვევაში, — წონა, ზომა და სხვ.

საჭიროების შემთხვევაში აქვე აღინიშნება დათვალიერებული საგნების ან დოკუმენტების გამოკვლევისათვის გაგზავნა.

ფასეულობა და სხვა ქონება დათვალიერების შემდეგ ხელახლა უნდა დაიბეჭდოს, რის შესახებ აღინიშნება დათვალიერების ოქმში.

ოქმს ხელი უნდა მოაწეროს დათვალიერების მონაწილე ყველა პირმა.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების საქმეზე დართვის შესახებ გამომძიებელმა უნდა შეადგინოს სპეციალური დადგენილება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს დართული საგნების დასახელება, მათი დამახასიათებელი ნიშნები (ან მითითებული უნდა იყოს ამ საგნების დათვალიერების ოქმზე) და, აგრეთვე ის, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს მათი, როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, მნიშვნელობა.

დადგენილება საგნების ან დოკუმენტების ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ძალის მქონედ ცნობისა და მათი საქმეზე დართვის შესახებ შესდგება შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . „. . . .“ ქ. . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამოძიებელი . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), გავეცანი რა მასალას საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) და მივიღე რა მხედველობაში, რომ 194 წ. . . . . „. . . . .“ დათვალიერებულ . . . . . (აღნიშვნა დათვალიერებული საგნისა და იმისა, თუ რასთან დაკავშირებით აქვს ამ საგანს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის ძალა) აქვს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის ძალა, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 28 მეხლით,

დ ა ე ა დ გ ი ნ ე:

. . . . . (საგნის დასახელება) დაერთოს ამ საქმეს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის სახით და ინახებოდეს

(ს ა დ)

. . . . . .

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დოკუმენტების დართვის გაფორმება

მთელ რიგ შემთხვევებში საქმეს დაერთვის ესა თუ ის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს ამ საქმეზე. საქმისთვის დართულ დოკუმენტს ყოველთვის როდი აქვს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის ძალა, თუმცა ეს ოდნავაც არ ამცირებს მის დამამტკიცებლობით ძალას.

თვითეული საგამომძიებლო საქმის მასალიდან უნდა სჩანდეს, თუ საიდან იყო მიღებული საქმეზე დართული ეს თუ ის წერილობითი დოკუმენტი. ამან შეიძლება გამოხატულება ჰპოვოს გამომძიებლის მიერ შედგენილ ამორკვევის ან გაჩხრეკის ოქმში, დაკითხვის ოქმში, ამა თუ იმ დოკუმენტის გამომძიებლის მიერ წერილობით მოთხოვნაში და დოკუმენტებთან ერთად მიღებულ საპასუხო წერილში, ანდა, ბოლოს, შესაბამისი დოკუმენტების საქმისთვის დართვის შესახებ გამომძიებლის მიერ შედგენილ დადგენილებაში. ასეთი დადგენილება უნდა სდგებოდეს იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს წერილობითი მონაცემები იმის დამადასტურებლად, თუ საიდან და რა გზით იყო მიღებული გამომძიებლის მიერ საქმისთვის დართული დოკუმენტი.

შეიძლება რეკომენდებულ იქნას დადგენილების ასეთი ფორმა:

დადგენილება

194 წ „. . . . “ ქ . . . . . ოლქის (რესპუბ-
ლიკის) . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გა-
მომძიებელმა . . . . . .
(საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე რა საქმე № . . . . . .
. . . . . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა და
მივიღე რა მხედველობაში, რომ მიღებული . . . . . .
(აღინიშნება საიდან, რა, როგორი დოკუმენტებია მიღებული და აგრეთვე
რა მნიშვნელობა აქვთ მათ საქმეზე), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წე-
სების 18 და 28 მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

დაერთოს ამ საქმეს ზემოჩამოთვლილი დოკუმენტები, როგორც წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობის მქონე.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ებ ე ლ ი . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

სხვა მონაცემების უქონლობისას, ასეთი დადგენილება შესაძლებლობას მოგვცემს ადვილად გავარკვიოთ, თუ საიდან და რასთან დაკავშირებით იყო მიღებული დოკუმენტები და რა მნიშვნელობა აქვთ მათ საქმისთვის.

გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული ან საქმისთვის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით დართული ყველა საგანი და ფასეულობა განსაკუთრებულ აღრიცხვაზე უნდა იყოს, ამ საკითხზე არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, პარტიული და პირადი საბუთების შენახვა

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1943 წ. 17 ნოემბრის № $^{90}/_{86}$ ინსტრუქციით „საგამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, ფასეულობის და სხვა ქონების ჩამორთმევის, შენახვისა და ჩაბარების წესის შესახებ“, დადგენილია ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შენახვის განსაზღვრული წესი.

„§ 9. ყოველგვარი დოკუმენტი, წერილი და სხვა ქაღალდი, რომელიც საქმეზეა დართული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის სახით, უნდა ინახებოდეს კონვერტებში ჩაწყობილ ქაღალდის სუფთა ფურცლებს შუა. ამ დოკუმენტებზე, წერილებზე და სხვა აკრძალულია რაიმე აღნიშვნის, წარწერისა და ახალი ნაკეცის გაკეთება (გადაკეცვა).

კონვერტები დაიბეჭდება, საქმეში ჩაკერდება და დაინომრება საქმის ფურცლის რიგითი ნომრით.

თუ საქმეზე დასართავი წერილებისა და დოკუმენტების რაოდენობა დიდია, ისინი უნდა დაიბეჭდოს ცალკე შეკვრად და დაერთოს საქმეს.

კონვერტს ან შეკვრას გაუკეთდება წარწერა შიგ ჩაწყობილი დოკუმენტების ჩამოთვლით.

§ 10. დანაშაულის ჩადენის იარაღი, ან ისეთი საგნები, რომლებზედაც დარჩენილია დანაშაულის კვალი, უნდა დაიბეჭდოს ცალკე შეკვრად და გადაეცეს შესანახად მილიციის ადგილობრივ განყოფილებას.

§ 11. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შენახვისა და შემდგომი წარმართვისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას საჭირო გამაფრთხილებელი ზომების დაცვა იმისათვის, რომ ამ

საგნებმა შეინარჩუნონ ის ნიშნები და თვისებები, რომლებიც მათ საქმეზე დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობას ანიჭებენ.

§ 12. ისეთი საგნების შენახვისას, რომლებზეც დარჩენილია სისხლის ლაქები ან თითების ანაბეჭდი, რაც საჭიროებს გამოკვლევას, აუცილებელია ისეთი შენახვის უზრუნველყოფა, რომ სისხლის ლაქები ან თითების ანაბეჭდები არ გაჰქრეს ატმოსფერულ მოვლენათა ზეგავლენით ან სხვა რაიმე მიზეზით.

ასეთი საგნები იმგვარად უნდა იყოს შეფუთული, რომ მათზე დაჩნეული სისხლის ლაქები და სხვა კვალი არ ეხებოდეს შესაფუთავ მასალას.

§ 13. ტანსაცმელზე, თეთრეულზე, ფეხსაცმელზე და ა. შ. სისხლის მინაგვარი ან სხვა რამ საეჭვო ლაქების არსებობისას, შესაბამისი ლაქებიანი ადგილები, რომლებიც საჭიროებენ გამოკვლევას, უნდა შემოიკეროს სუფთა ქსოვილით (მარლით) ან ქაღალდით.

თვითეული ასეთი საგანი ცალკე უნდა შეიხვეს სუფთა ქაღალდში. შეხვევისას ლაქებიანი ზედაპირი შიგნით უნდა იყოს მოქცეული.

§ 14. საგნები, რომლებიც საჭიროებენ ქიმიურ ან მიკროსკოპულ გამოკვლევას, როგორიცაა: თმა, სისხლი, გამონაყოფი, გვამის ნაწილები და სხვა უნდა ჩაიწყოს სუფთა შუშის ქილებში და დაიხუროს მიხერხილი საცობით, რომელსაც ზემოდან უნდა გადაესხას სანთელი ან ლუქი.

შენიშვნა: გვამის ნაწილები და გამონაყოფი ქილებში უნდა ჩააწყოს იმ სამედიცინო დაწესებულების პერსონალმა, სადაც გვამის გაკვეთა მოხდა.

§ 15. საქმეზე დართული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მთლიანობისა და შენახვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც აწარმოებს გამოძიებას, სასამართლოში კი — სახალხო მოსამართლეს ან სასამართლოს თავმჯდომარეს.

თვითეულ საგანს (შეკვრას) უნდა ჰქონდეს წარწერა იმის აღნიშვნით, თუ რომელ საქმეს მიეკუთვნება ეს ნივთიერი და-

შამტკიცებელი საბუთი, რა ინახება შეკვრაში, აგრეთვე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ჩასაწერი წიგნის რიგითი ნომერი.

კარადა და სადგომი, რომელშიც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები ინახება, უნდა იკეტებოდეს კლიტით და იბეჭდებოდეს.

§ 16. რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 207 მუხ.[1] და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდექსების სათანადო მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, საბრალდებლო დასკვნაზე დართულ ცნობაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს, თუ სად ინახება საქმეზე ჩამორთმეული დოკუმენტები, ფასეულობა და სხვა ქონება, საქმის იმ შესაბამის ფურცლებზე მითითებით, სადაც ჩაკერებულია გამოძიების სტადიაში ჩამორთმეული ქონების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

§ 44. იმ შემთხვევაში, როცა პარტიული ან კომკავშირული დოკუმენტი ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, საგამომძიებლო ორგანოებმა უნდა დაათვალიერონ იგი, შეადგინონ დათვალიერების დაწვრილებითი ოქმი და მოაწყონ საჭირო გამოკვლევა. გამოკვლევის დამთავრების შემდეგ ასეთი დოკუმენტი უნდა დაიბეჭდოს სპეციალურ პაკეტში და აღწერილობასთან ერთად საიდუმლო წესით გაეგზავნოს შესანახად საკ. კ. პ. (ბ) ან საკ. ალკკ ადგილობრივ რაიონულ კომიტეტს, შეტყობინებით მათი შენახვის საჭიროების შესახებ განაჩენის გამოტანამდე ან სასამართლოს მიერ დასათვალიერებლად მოთხოვნამდე".

სსრ კავშირის პროკურატურისა და იუსტიციის სახკომის ამავე ინსტრუქციით გათვალისწინებულია დაპატიმრებულთათვის ჩამორთმეული იმ პარტიული და პირადი დოკუმენტების შენახვის განსაკუთრებული წესი, რომლებიც არ წარმოადგენენ საქმეზე ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს. ინსტრუქცია ამ ნაწილში წინადადებას იძლევა:

---

[1] დაახლოებით შეესაბამება დროებითი წესების 58 მუხლს.

„§ 43. დაპატიმრებულთათვის ჩამორთმეული პარტიული და კომკავშირული დოკუმენტები დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს საიდუმლო წესით საკ. კ. პ. (ბ) და საკ. ალკკ ადგილობრივ რაიკომებს.

პარტიული და კომკავშირული დოკუმენტების საქმეზე დართვა აკრძალულია.

§ 45 დაპატიმრებულთაგან ჩამორთმეული პასპორტები, სამხედრო ბილეთები, პროფკავშირული ბილეთები და სხვა პირადი დოკუმენტები, პარტიული და კომკავშირული ბილეთების გამოკლებით, უნდა დაერთოს საქმეს და ინახებოდეს ცალკე დაბეჭდილ პაკეტში, რომელიც ჩაკერდება საქმეში და დაინომრება საქმის ფურცლის რიგითი ნომრით. საქმის მოსპობის ან დაპატიმრებულის განთავისუფლების შემთხვევაში ყველა დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს მათ მფლობელს, გარდა პარტიული და კომკავშირული დოკუმენტებისა, რომელთა დაბრუნების საკითხს გადასწყვეტს შესაბამისად საკ. კ. პ. (ბ) და საკ. ალკკ რაიკომი“.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვა

ამავე ინსტრუქციის თანახმად, თვითეულ პროკურატურაში უნდა სწარმოებდეს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვის წიგნი.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ჩაწერა ამ წიგნში უნდა აწარმოოს პროკურატურის მდივანმა, აღნიშნული საგნების ჩამორთმეევის ოქმის საფუძველზე, ოქმის შედგენის დღიდან ერთი დღის ვადაში. ჩაწერის შემდეგ მდივანი ადგენს ცნობას იმის შესახებ, თუ რა ნომრით არის აღრიცხული წიგნში საქმეზე შემოსული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი. ამ ცნობას ხელს აწერს მდივანი და ჩაკერდება საქმეში.

საქმის წარმოებასთან ერთად,- პროკურატურის ორგანოში შენახული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების პროკურატურის სხვა ორგანოსათვის ან სასამართლოსათვის გადაცემისას, გადაცემული თვითეული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის შესახებ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების წიგნში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩაწერა.

განსაკუთრებულ საცავში მოთავსებული ან თავისი დიდი მოცულობის გამო დაბეჭდილ სადგომში შესანახად ჩაბარებული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ამასთან დაკავშირებით საქმესთან ერთად არ გადაეცემა, გადაირიცხება იმ ორგანოზე, რომელსაც გადაეცემა საქმე.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ბედის განსაზღვრა და გადაცემა

იმავე ინსტრუქციით დადგენილია ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გადაცემისა და ბედის განსაზღვრის განსაკუთრებული წესი:

„§ 27. საქმეზე დართული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში წარმართვისას, უნდა გადაეცეს სასამართლოს ერთდროულად საქმის წარმოებასთან ერთად. განსაკუთრებულ საცავებში მოთავსებული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები გადაირიცხება სასამართლოზე.

§ 28. დადგენილებაში საგამომძიებლო საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ, აგრეთვე განაჩენში ან სასამართლოს დადგენილებაში საქმის მოსპობის შესახებ, უნდა იყოს მითითება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების და საქმეზე ჩამორთმეული სხვა ქონების ბედზე (რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 69 და 223 მუხ. მუხ.)[1].

ამასთანავე: ა) დანაშაულის ჩადენის იარაღი უნდა კონფისკებულ იქნას; ისეთი იარაღი, რომელიც კრიმანალისტიკის თვალსაზრისით საინტერესოა, გაიგზავნება მილიციის ორგანოთა სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში; ბ) სამოქალაქო ბრუნვისათვის აკრძალული ნივთები გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას ან მოისპობა; გ) დანარჩენი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვა ქონება ხელწერილით გაიცემა მათ მფლობელზე. ამ ნივთების კუთვნილებაზე დავის აღძვრის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს წესით, დაინტერესებუ-

---

[1] შეესაბამება საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 69 მუხლს და დროებითი წესების 62 მუხლს.

ლი პირის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით. თუ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები მილიციის ორგანოთა საცავში ან სხვა სპეციალურ საცავში ინახება, მაშინ განაჩენის ან დადგენილების ასლი ამ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ბედის შესახებ, განაჩენისა და დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უნდა გადაეცეს მილიციის სათანადო ორგანოს ან აღნიშნულ სპეციალურ საცავს.

§ 29 მფლობელთათვის დასაბრუნებელი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვა ქონება მათ მიეცემათ ნატურით საგამომძიებლო საქმის მოსპობის შესახებ დადგენილების გამოტანისა და სასამართლოს განაჩენის (დადგენილების) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

ცალკეულ შემთხვევებში პროკურატურის ორგანოს ან სასამართლოს შეუძლია ეს ნივთები დაუბრუნოს მფლობელს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდეც, უკეთუ სცნობს, რომ ეს არ გახდება დაბრკოლებად საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

§ 30. აღნიშნული ნივთების მიღებაზე მიმღებმა უნდა გასცეს ხელწერილი. ნივთების უშუალოდ პროკურატურის ორგანოდან ან სასამართლოდან მიღებისას მიმღებმა ხელი უნდა მოაწეროს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღრიცხვის წიგნში პასპორტის ნომრისა და მისამართის აღნიშვნით.

მფლობელზე გასაცემი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი დადგენილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ინახება 6 თვის განმავლობაში. თუ ამ ვადის განმავლობაში აღნიშნული ნივთის გაცემის შესახებ დაინტერესებულ პირთაგან შუამდგომლობა არ იქნება შემოსული, ეს ნივთები სარეალიზაციოდ გადაეცემა საფინანსო ორგანოებს (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წ. 17 აპრილის № 404 დადგენილების მე-4 მუხ.). საფინანსო ორგანოებს გადაეცემა აგრეთვე საკონფისკაციო საგნებიც.

§ 31. მოსასპობი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები მოისპობა განსაკუთრებული კომისიის მიერ. პროკურატურის ორგანოებში ეს კომისია შეიქმნება პროკურორის ან გამომძიებლის და ორი თანამოწმის შემადგენლობით. სახალხო სასა-

მართლოებში კომისია შეიქმნება სახალხო მოსამართლის, ერთი სახალხო მსაჯულისა და სასამართლოს მდივნის შემადგენლობით, სხვა სასამართლოებში — სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს წევრისა და მდივნის შემადგენლობით. ცალკეულ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულ იქნება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების განსაკუთრებული თვისებებით, ისინი მოსასპობად გადაეცემა სხვა უწყებათა სპეციალურ ორგანოებს (მილიციას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს და ა. შ.), მომხდარი მოსპობის შესახებ შესდგება აქტი, რომელიც დაერთვის საქმეს.

§ 32. საპრკურორო-საგამომძიებლო და სასამართლო მუშაკებს ეკრძალებათ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებისა და ბრალდებულთაგან ჩამორთმეული სხვა ფასეულობისა და საგნების, მათ შორის პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ყოველგვარი რეალიზაცია, აგრეთვე მათი შეძენა, კერძოდ იმ მოვაჭრე ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც ახდენენ მათს რეალიზაციას. ამ წესის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას, როგორც სამსახურებრივ მდგომარეობის უკანონოდ გამოყენება“.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით ჩამორთმეული პროდუქტების დაბრუნება სწარმოებს ამავე ინსტრუქციის § 41 შესაბამისად (იხ. გვ. 273).

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ჩამორთმევის, პროცესუალური გაფორმების, შენახვის, აღრიცხვისა და გადაცემის ან მათი ბედის განსაზღვრის ყველა ამ წესს თვითეულ გამომძიებელი განუხრელად უნდა ასრულებდეს.

6. ამოცნობისათვის წარდგენა

მნიშვნელობა და ჩატარების წესი

საგამომძიებლო პრაქტიკაში არაიშვიათად გვხვდება, უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებულთა ან მოწმეთა მიერ, ამა თუ იმ საგნის, მაგალითად, გატაცებული და შემდეგ აღმოჩენილი ნივთების, ან აღმოჩენილი გვამის, ან დანაშაულის ჩადენაში, მა-

გალითად ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე პირთა, ამოცნობის საჭიროება. სწორად ჩატარებულ და პროცესუალურად გაფორმებულ ამ საგამომძიებლო მოქმედებას სერიოზული დამამტკიცებელი ძალა აქვს.

ამოცნობისათვის წარდგენამდე საჭიროა დეტალურად დაიკითხოს ესა თუ ის მოწმე ან დაზარალებული ამოსაცნობი საგნის ან პიროვნების ნიშნებისა და თავისებურებათა შესახებ. რომელიმე პიროვნების ან საგნის ამოცნობისათვის წარდგენის საჭიროების შემთხვევაში, ის უნდა წარდგენილ იქნას არა განცალკევებულად, არამედ სხვა პირთა ან შესაბამის საგნებს შორის.

მოწმის ან დაზარალებულის მიერ მისთვის ამოსაცნობად წარდგენილი საგნის ან პიროვნების ამოცნობისას, ოქმში დაწვრილებით უნდა იყოს გადმოცემული, თუ სახელდობრ რა ნიშნის ან თვისების მიხედვით იყო ისინი ამოცნობილი.

მთელ რიგ შემთხვევებში, მაგალითად, ხმის მიხედვით ამოცნობისას, ამოცნობისათვის წარდგენას თან უნდა ახლდეს საგამომძიებლო ექსპერიმენტი (იხ. ქვემოთ).

პროცესუალური გაფორმება

ამოცნობისათვის წარდგენა პროცესუალურად უნდა გაფორმდეს დროებითი წესების 15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი ოქმით:

ოქმი

194 წ . . . . . „ . . . “ ქ . . . ოლქის (რესპუბლიკის) რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . (საკლასო ხარისხი, გვარი) . . . . . (აღინიშნება სად) ჩემს მიერ თანამოწმეთა სახით მოწვეულ მოქალაქეთა . . . . . (სახელები, მამის სახელები, გვარები და მისამართები) თანდასწრებით, დროებითი წესების 15 მუხლის[1] მოთხოვნის შესაბამისად, ამ საქმეზე დაზარალებულს

მოწმეს

. .

[1] დედანში მითითებულია რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 78 მ., რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება დროებითი წესების 15 მუხლს.

(სახელი, მამის სახელი და გვარი) ამოსაცნობად წარვუდგინე . . . . .
. . . . . (აღინიშნოს
რა იყო წარდგენილი, ან ვინ იყო წარდგენილი და როგორ იყო მოწყობილი ამოცნობისათვის წარდგენა); ამასთან დაზარალებულმა განაცხადა
მოწმემ
. . . . . (განცხადების დაწერილებითი
გადმოცემა, ყველა იმ ნიშნისა და დამახასიათებელი თვისების აუცილებელი ჩამოთვლით, რომლებიც საფუძვლად დაედო ამოცნობას).

ოქმი წამიკითხეს. ჩაწერილია სწორად.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

იმ პირის ხელისმოწერა, ვისაც წარედგინა ამოსაცნობად
(ხელისმოწერა)

სხვა მონაწილე პირები . . (ხელისმოწერა)

თანამოწმენი . . . . (ხელისმოწერა)

7. საგამოძიებლო ექსპერიმენტი

ცნება და მნიშვნელობა

საგამომძიებლო ექსპერიმენტი წარმოადგენს გამოძიების ტაქტიკურ ხერხს, რომელიც მდგომარეობს გამომძიებლის მიერ ამა თუ იმ გარემოების, ან შემთხვევის ცალკეული ელემენტის, ან ცალკეული მომხდარი ამბის ხელოვნურად კვლავ წარმოქმნაში.

საგამომძიებლო ექსპერიმენტი მთელ რიგ შემთხვევებში წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთების შემოწმების საუკეთესო და ზოგჯერ ერთადერთ საშუალებას, მაგალითად, მოწმეთა ან ბრალდებულთა ჩვენების შემოწმების საშუალებას. საგამომძიებლო ექსპერიმენტის დახმარებით მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება მოწმეთაგან მივიღოთ უფრო სწორი და ზუსტი ჩვენება. ამასთან ერთად საგამომძიებლო ექსპერიმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ მოქმედების ამა თუ იმ შედეგებით ჩადენის ტექნიკური შესაძლებლობის შემოწმების, აგრეთვე ამოცნობისა და ექსპერტიზის ჩატარების კარგ საშუალებად. საგამომძიებლო ექსპერიმენტი მოითხოვს მის განსა-

კუთრებით გულდასმით მოწყობას. ამისათვის გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საგამომძიებლო ექსპერიმენტის მომზადებას.

მიზნები

საგამომძიებლო ექსპერიმენტი სწარმოებს სმენადობის, ხილვადობის, მოცემულ დროში ამა თუ იმ მოქმედების ჩადენის შესრულების შესაძლებლობის (მაგალითად, რაიმე გარკვეული მანძილის გავლის) შესახებ მოწმეთა ან ბრალდებულთა ჩვენების სისწორის შემოწმების მიზნით.

საგამომძიებლო ექსპერიმენტის დახმარებით ხშირად შეიძლება უფრო ნათლად აღდგენა მომხდარი შემთხვევისა, დადგენა ჩადენილ მოქმედებათა თანმიმდევრობისა, მაგალითად, ჭრილობების მიყენებისა, შემოწმება გარკვეულ პირობებში ცეცხლის გაჩაღების შესაძლებლობისა, გამოვლენა მსროლელის ადგილმდებარეობისა, შემოწმება კვალის იგივეობისა და სხვ.

საგამომძიებლო ესპერიმენტის დახმარებით შეიძლება შემოწმდეს ამა თუ იმ სადგომში შეღწევის, ან გარკვეული ჭრილიდან ამა თუ იმ საგნის გამოთრევის შესაძლებლობა, შეიძლება შემოწმდეს, აგრეთვე, თუ რა იარაღით არის დაჩნეული ეს თუ ის კვალი და ა. შ.

ისეთი შემთხვევების ამომწურავი ჩამოთვლა, როცა საგამომძიებლო ექსპერიმენტი ხდება, არ შეიძლება, რადგან გამოძიების ეს ხერხი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სულ სხვადასხვაგვარ საქმეზე.

ტაქტიკური წესები

საგამომძიებლო ექსპერიმენტის სწორი შედეგის მიღების მიზნით, საჭიროა შემდეგი ტაქტიკური წესების აუცილებლად დაცვა:

1) გამომძიებელმა წინასწარ უნდა დასახოს საგამომძიებლო ექსპერიმენტის მოწყობის საკითხებით გარკვეული მიზანი და დააწესოს დასახული ცდების ზღვარი.

2) ექსპერიმენტი, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს იმავე ადგილას, სადაც მოხდა შესამოწმებელი შემთხვევა.

3) ექსპერიმენტი, როგორც წესი, უნდა სწარმოებდეს დღე-და-ღამის იმავე დროს, იმავე საათებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა შესამოწმებელ შემთხვევას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ხილვადობის შემოწმებისათვის საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას. ამასთანავე გამომძიებელი, ცხადია, უნდა ითვალისწინებდეს წელიწადის დროზე დამოკიდებულ დღის ხანგრძლიობას, მთვარიანობას ან უმთვარობას, ნისლიანობას, ღრუბლებს და, მაშასადამე, ერთსა და იმავე საათებში წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხილვადობას.

4) საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას, ცდების მომხდარ და შესამოწმებელ შემთხვევასთან რაც შეიძლება მეტად დაახლოების მიზნით, შეძლებისდაგვარად უნდა გამოყენებულ იქნას ნამდვილად ის საგნები, რომლებიც იხმარებოდა მომხდარი შემთხვევისას.

5) საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას სასურველია შესამოწმებელი შემთხვევის დამსწრეთა ან თუნდაც მონაწილეთა დასწრება და ზოგ შემთხვევაში ცდების ჩატარებაში მათი მონაწილეობაც. ამისაგან დამოუკიდებლად, საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებას უნდა ესწრებოდნენ თანამოწმენი.

6) საჭირო შემთხვევებში საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებაში უნდა მონაწილეობდეს გამომძიებლის მიერ მოწვეული შესაბამისი სპეციალისტი-ექსპერტი.

7) საგამომძიებლო ექსპერიმენტის მოწყობისას გამომძიებელი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მეტი სიზუსტით აღადგინოს ადრე მომხდარი, შესამოწმებელი შემთხვევა.

8) საგამომძიებლო ექსპერიმენტის შედეგების შეფასებისას გამომძიებელი უნდა ითვალისწინებდეს შეცვლილ გარემოს და პირობებს, რომელთა აღდგენაც მას არ ძალუძს (სქელი და დაბალი ღრუბლიანობა — ხილვადობის შემოწმებისას, საწინააღმდეგო მიმართულების და სხვა ძალის ქარი — ღია ადგილზე სმენადობის შემოწმებისას და ა. შ.).

9) საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას შესაბამისი ცდები უნდა სწარმოებდეს რამდენჯერმე, ამასთან სახეცვლილებით, მაგალითად, სმენადობის შემოწმებისას ცდები უნდა მეორდებოდეს ხმის ძალის გადიდებით; სადგომში ხილვადო-

ბის შემოწმებისას ცდები უნდა განმეორდეს სხვადასხვა განათებით; სადგომში შენგრეული ან შეტეხილი ადგილიდან შეღწევის შესაძლებლობის შემოწმებისას — ამავე შენგრეულ ან შეტეხილ ადგილიდან საცდელ შეღწევაში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა ასაკისა და ტანადობის ადამიანების მოწვევით და ა. შ.

10) საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარება უნდა გაფორმდეს ოქმით.

პროცესუალური გაფორმება

საგამომძიებლო ექსპერიმენტის ოქმი უნდა სდგებოდეს დროებითი წესების 15 მუხლის მოთხოვნის დაცვით.

ამ ოქმში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) სად, როდის, ვის მიერ, ვისი მონაწილეობით და ვისი თანდასწრებით სწარმოებდა ეს საგამომძიებლო მოქმედება და, აგრეთვე, რა დროს (საათების მიხედვით) იყო ის დაწყებული და დამთავრებული;

ბ) რა მიზნით იყო მოწყობილი საგამომძიებლო ექსპერიმენტი;

გ) სახელდობრ რა ცდები, ვისი მონაწილეობით და როგორ იყო მოწყობილი და ჩატარებული;

დ) როგორი აღმოჩნდა თვითეული ჩატარებული ცდის შედეგი;

ე) რა განცხადებები იყო მიღებული საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარების მონაწილეებისაგან.

გამომძიებლის არავითარი დასკვნა ცდების შედეგების შესახებ არ უნდა ჩაიწეროს საგამომძიებლო ექსპერიმენტის ოქმში. მთელ რიგ შემთხვევებში საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებას, განსაკუთრებით ხილვადობის შემოწმებისას, თან უნდა ახლდეს ფოტოგადაღება, ასეთის ოქმში აღნიშვნით. ასეთ შემთხვევებში ფოტოსურათები უნდა დაერთოს საგამომძიებლო ექსპერიმენტის ოქმს.

იმ შემთხვევაში, თუ ამით შეიძლება გაადვილებულ იქნას ყოველივე იმის გაგება, რაც ოქმშია აღწერილი, ოქმს უნდა დაერთოს აგრეთვე იმ ადგილის სქემატური გეგმარი, სადაც სწარმოებდა საგამომძიებლო ექსპერიმენტი.

შეიძლება რეკომენდებულ იქნას საგამომძიებლო ექსპერიმენტის ოქმის შემდეგი ფორმა:

ოქმი

194 წ . . . . . ქ . . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი) ექსპერტის . . . . . (ექსპერტის დასახელება, გვარი და მისამართი, ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე სხვა პირთა აღნიშვნა) მონაწილეობით და . . . . . (თანამოწმეთა და სხვა დამსწრე პირთა სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი) თანდასწრებით, ... მიზნით (ექსპერიმენტის მიზნის აღნიშვნა), დროებითი წესების 15 მუხლის მოთხოვნის დაცვით, ჩავატარე . . . . . (აღნიშვნა თუ რა შემოწმება სწარმოებდა, ყველა ჩატარებული ცდის ჩამოთვლა აღნიშვნით: თვითეული მათგანი როდის, ვის მიერ და როგორ ტარდებოდა და როგორი იყო თვითეული ცდის შედეგი; აქვე უნდა აღინიშნოს საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირთა მიერ გაკეთებული განცხადებანი).

საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარება დაიწყო. . ს . . წ. . . დამთავრდა . . . . . ს . . . . წ.

ოქმი წაკითხულია. ჩაწერილია სწორად.

სახალხო გამომძიებელი. (საკლასო ხარისხი)	. (ხელისმოწერა)
ექსპერტი	(ხელისმოწერა)
სხვა მონაწილე პირები	(ხელისმოწერა)
თანამოწმენი . . .	(ხელისმოწერა)

8. ექსპერტიზა

ზოგადი დებულებანი

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის აღმოჩენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ექსპერტიზას, რომლის დასკვნა დამამტკიცებელი საბუთების ერთ-ერთი სახეა.

საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნით გამომძიებელი გამოძიების დასახმარებლად იყენებს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ხელოვნების ან ხელოსნობის გარკვეული დარგიდან.

გამოძიების სტადიაში მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგის მიღწევათა ფართოდ გამოყენებით გამომძიებელს გამოძიება გადაჰყავს მეცნიერულ ნიადაგზე, რაც ხელს უწყობს მისი ხარისხის ამაღლებას. ცხადია, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ექსპერტიზა ყოველ საქმეზე დაინიშნოს. კანონის შესაბამისად (დროებითი წესების 24 მუხ. და სისხ. სამ. საპრ. კოდ. 62 მუხ.), ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად ნამდვილად საჭიროა სპეციალური ცოდნა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ხელოსნობის დარგში.

ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნაკარნახევია საქმის ყველა გარემოებით, ანდა მაშინ, როცა ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა დროებითი წესების 24 მუხ. და სისხ. სამ. საპრ. კოდ. 63 მუხ. თანახმად.

დროებითი წესების 24 მუხ. და სისხ. სამ. საპრ. კოდ. 63 მუხ. თანახმად, ექსპერტის დაბარება სავალდებულოა სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათისა და, აგრეთვე, ბრალდებულის თუ მოწმის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსარკვევად, უკეთუ ამის გამო სასამართლოს ან გამომძიებელს ეშვი აღეძვრის.

საჭიროა ექსპერტიზის გამოყენება ყოველმხრივ დაინერგოს საგამომძიებლო პრაქტიკაში, სადაც მისი გამოყენება ჯერ კიდევ არასაკმაოდ ხდება. ეს აიხსნება ყველაზე ხშირად იმით, რომ ბევრმა გამომძიებელმა არ იცის, რა შემთხვევაში და როგორ უნდა მოაწყოს ექსპერტიზა.

წინასწარი გამოძიების სტადიაში სხვადასხვაგვარი კრიმინალისტური ექსპერტიზა ძლიერ იშვიათად ინიშნება, რაც ბევრი გამომძიებლის მიერ კრიმინალისტიკის დარგის უკანასკნელი მიღწევების უცოდინარობის შედეგია.

ხშირად საქმეზე საჭიროა დავადგინოთ ისეთი სხვადასხვაგვარი გარემოება, რაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას (განაკვეთის, განაწყვეტ ის ხასიათი, მტვერის, თოკის ნაწყვეტების

ჩვრების, დენთის, ქაღალდის, მელნის, განასროლი მასრის, ტყვიის იდენტურობა, გასროლის მანძილი და ა. შ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ექსპერტიზა არ ტარდება, რადგან გამომძიებელი ინიციატივას არ იჩენს და მისი ცოდნის დონე არასაკმაოა.

ექსპერტის არჩევა

გამომძიებელმა ექსპერტად უნდა მიიწვიოს საესებით ავტორიტეტული სპეციალისტი.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ექსპერტიზა წარმოადგენს გამოძიების მეცნიერულ საფუძველს, და მის შედეგს ხშირად შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ადამიანის ბედ-იღბალისათვის.

სერიოზული შეცდომაა გამომძიებლის უუნარობა — შეარჩიოს შესაფერისი ექსპერტი, რის შედეგად ზოგჯერ ექსპერტიზას ატარებს არა სპეციალისტი, არამედ არაკომპეტენტური შემთხვევითი პირი. ხშირად, მაგალითად, ხელნაწერის ექსპერტიზას ავალებენ ხატვის მასწავლებელს, საქონლისმცოდნეობის ექსპერტიზას — სოფლის მაღაზიის გამყიდველს, სასროლი იარაღის ექსპერტიზას — შემთხვევით მონადირეს და ა. შ.

საბუხჰალტრო ექსპერტიზის ჩატარება უნდა მიენდოს საესებით კვალიფიციურ ბუხჰალტრებს, ამასთან, კომპეტენტურთ სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგში აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების საკითხებში. ტექნიკური, ეკონომიური, საქონლისმცოდნეობის ექსპერტიზის ჩატარებაში ჩაბმულ უნდა იქნან თავისი სპეციალობის დარგში საესებით ავტორიტეტული პირები.

სასამართლო-საექიმო ექსპერტიზა, განსაკუთრებით დაკავშირებული გვამის სასამართლო-საექიმო გამოკვლევასთან, უნდა მიენდოს, როგორც წესი, მხოლოდ სასამართლოს ექიმ ექსპერტს, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა — მხოლოდ ექიმ ფსიქიატრს; წინასწარი სტაციონალური გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში კი შესამოწმებელი პირები მოთავსებულ უნდა იქნან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

დაბოლოს, ყოველგვარი კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩასატარებლად მოწვეულ უნდა იქნან ან ავტორიტეტული და შესაფერისი ცოდნის მქონე სპეციალისტები, ან ასეთი ექსპერტიზის ჩატარება უნდა მიენდოთ იუსტიციის — სამინისტროს იურიდიულ ინსტიტუტებთან არსებულ კრიმინალისტურ ლაბორატორიებს, სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტებს ან საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური მილიციის სამმართველოების სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებებს.

განმეორებითი ან განსაკუთრებით რთული კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების შემთხვევაში და იმ შემთხვევებში, როცა მოცემულ გამოკვლევას და კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებას სამეცნიერო ინტერესი აქვს, იგი უნდა მიენდოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრიმინალისტურ ლაბორატორიას.

ექსპერტიზის დანიშვნისას ექსპერტებად გამოყენებულ უნდა იქნან საქმის შედეგით დაუინტერესებელი სპეციალისტები. ამიტომ არ უნდა იქნას დაშვებული, როგორც წესი, ექსპერტებად სპეციალისტების გამოწვევა იმავე დაწესებულებიდან და წარმოებიდან, სადაც მუშაობენ პასუხისგებაში მისაცემი პირები.

ექსპერტიზის დანიშვნისას განუხრელად დაცულ უნდა იქნას ბრალდებულის შუამდგომლობის უფლება ექსპერტის გამოწვევის შესახებ მისი ამორჩევით (დროებითი წესების 24 მუხ. მესამე აბზაცი). ეს უფლება უნდა განემარტოს ბრალდებულს სპეციალური ოქმის შედგენით, რაზედაც ქვევით იქნება ნათქვამი.

ექსპერტის ფუნქციები

ექსპერტის ფუნქციებში შედის გამომძიებლის მიერ დასმულ საკითხებზე დასკვნის მიცემა და საჭირო შემთხვევაში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების წინასწარი გამოკვლევის ჩატარება.

ექსპერტის გამოყენება გამომძიებლის თანაშემწის სახით ამა თუ იმ მასალის შესაკრებად—დაუშვებელია. ამ შეცდომას ხშირად აქვს ადგილი საბუხჰალტრო ექსპერტიზის მიმართ, რასაც გამომძიებელი ხშირად მხოლოდ იმისათვის ნიშნავს ხოლმე, რომ გადააკისროს ექსპერტებს თავისი მუშაობა პირ-

ველადი დოკუმენტების ამოსარჩევად და შესასწავლად. ხშირად საბუხჰალტრო ექსპერტიზის სახით გამომძიებელი ექსპერტების მეშვეობით ფაქტიურად რევიზიას ატარებს.

ექსპერტი-ბუხჰალტერი, ისე როგორც ყველა სხვა ექსპერტი, ვალდებული არ არის და უფლებაც არა აქვს დამოუკიდებლად მოიპოვოს ახალი, გამომძიებელთან არარსებული მასალა. გამომძიებლები ზოგჯერ ექსპერტ-ბუხჰალტერს იყენებენ ბუხჰალტერ-რევიზორად, მისგან მოითხოვენ დამოუკიდებელ მუშაობას სამეურნეო ორგანიზაციებიდან დამატებით დოკუმენტების ამოსაღებად, აღრიცხვის შესამოწმებლად და აღსადგენად, სხვა ორგანიზაციებში შემხვედრი დოკუმენტების ჩანაწერების შესამოწმებლად და ა. შ.

როდესაც სდგება აქტი იმის შესახებ, რომ ექსპერტს, საქმეში არსებული მასალების არასაკმარისობის გამო, დასკვნის მიცემა არ შეუძლია[1], გამომძიებელმა მასალები უნდა შეავსოს საჭირო დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვნის ან ამორკვევის გზით. თუ ეს მასალები შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ მათი წინასწარი დამუშავების, აღრიცხვის აღდგენის ან სარევიზო მუშაობის შემდეგ, გამომძიებელმა შესაბამის სამეურნეო ორგანიზაციას უნდა მიანდოს აუცილებელი მუშაობისა და საჭირო შემთხვევაში რევიზიის ჩატარება, მუშაობის მოცულობის მიხედვით სათანადო, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადის დანიშვნით.

ამასთან დაკავშირებით მოთხოვნილ უნდა იქნას, რომ ექსპერტმა, გამომძიებლის მიერ წარდგენილი მასალის გაცნობის შემდეგ, იმ შემთხვევაში, როცა ის ამ მასალას არასაკმარისად სცნობს დასაბუთებული დასკვნის მისაცემად, დაუყოვნებლივ შეადგინოს აქტი მასში საჭირო დამატებითი მასალის დაწვრილებით აღინიშვნით.

---

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 171 მუხ. შენიშვნაზე. შესაბამისი მუხლი საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან ამოღებულია 1931 წ. მარტის 1-ს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზემოთ მოყვანილი წესით ხელმძღვანელობა სავალდებულოა.

ცალკეულ შემთხვევაში გამომძიებლები უშვებენ ხოლმე თავისი თავის ექსპერტებით პირდაპირ შეცვლას, ანდობენ ექსპერტ-ბუხჰალტერს ბრალდებულებთან და მოწმეებთან უშუალო (გამომძიებლის მონაწილეობის გარეშე) მოლაპარაკების წარმოებას. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როცა ერთმა სახალხო გამომძიებელმა ექსპერტ-ბუხჰალტერს გადასცა პირველადი მასალა ერთ ფაბრიკაში ბოროტმოქმედებათა შესახებ და წინადადება მისცა თვითონ გარკვეულიყო ამ მასალაში მოყვანილ ფაქტებში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ცალკეულ გამომძიებლებს არ ძალუძთ რევიზიისაგან ექსპერტიზის სწორად გამიჯვნა. საბუხჰალტრო ექსპერტიზას ატარებს გამომძიებლის მიერ დანიშნული ექსპერტ-ბუხჰალტერი გამომძიებელთან არსებული მასალის საფუძველზე, და საექსპერტო ხარჯები პროკურატურამ უნდა გაანაღდოს. საბუჰხალტრო რევიზიას ატარებს სამეურნეო ორგანიზაცია საუწყებო წესით, სამეურნეო ორგანიზაციის მასალების საფუძველზე და ანგარიშზე. დანაკლისებისადა გაფლანგვების საქმეებზე და ზოგჯერ მტაცებლობის საქმეებზეც, ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დანიშნული საუწყებო საბუხჰალტრო რევიზია, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ხოლო მისი მასალები ეგზავნება გამომძიებელს. ეს მასალები, შემდგარი რევიზიის აქტისა და სხვა დოკუმენტებისაგან, გამომძიებელმა საქმეს უნდა დაურთოს. საუწყებო რევიზიების აქტები საჭიროების შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს მასალას შემდგომი სასამართლო საბუხჰალტრო ექსპერტიზისათვის.

ყველა ამ წესმა გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის პროკურატურის ბრძანებებსა და ცირკულარებში. ჯერ კიდევ 1936 წ. მოცემული იყო ასეთი მითითება:

„კატეგორიულად აიკრძალოს ექსპერტისთვის მისთვის შეუფერებელი გამომძიებლის ფუნქციების დაკისრება, როგორიცაა ექსპერტისათვის დავალების მიცემა, რათა მან უშუალოდ აწარმოოს საბუთების ჩამორთმევა, დათვალიერება და მასალის უშუალოდ ამორკვევა, ბრალდებულებთან და მოწმეებთან დამოუკიდებელი მოლაპარაკება და ა. შ.

ყოველგვარი დახმარება გაეწიოს ექსპერტს მის მუშაობაში დასკვნის მისაცემად საჭირო დოკუმენტების გამოთხოვნის გზით, ექსპერტის თანდასწრებით საჭირო მასალის დათვალიერებით და მისი მითითების საფუძველზე ამორკვევით, ბრალდებულთა და მოწმეთა გამოწვევით გამომძიებლისათვის ჩვენების მისაცემად ექსპერტის მიერ მიცემულ შეკითხვებზე".

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის 1939 წ. 28 თებერვლის № 49/I—A 21 ინსტრუქციაში სავაჭრო ორგანიზაციებში მომხდარი გაფლანგვებისა და მტაცებლობის საქმეთა გამოკვლევის შესახებ მითითებულია:

„გაფლანგვა—მტაცებლობის საქმეებზე წინასწარი გამოძიების პროცესში დანიშნული საბუხჰალტრო ექსპერტიზა ტარდება მოკავშირე რესპუბლიკათა სისხ. სამ. საპრ. კოდექსებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. ექსპერტიზის ხარჯები არ უნდა დაეკისროთ კოოპერაციულ ორგანიზაციებს. კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის იმის დავალება, რომ საქმეების აღძვრის დროს ან საქმეთა გამოძიების პროცესში წარმოადგინონ ექსპერტიზის დასკვნები—კატეგორიულად აკრძალულია."

ექსპერტთა შრომის საზღაური

სსრ კავშირის იუსტაციის სახკომმა და სსრ კავშირის პროკურატურამ 1939 წ. გამოსცეს სპეციალური ინსტრუქცია „სასამართლოებისა, და საგამომძიებლო ორგანოების მიერ გამოწვეულ მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა ხარჯების ანაზღაურების შესახებ". ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

ამ ინსტრუქციის თანახმად, ექსპერტებს აქვთ თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გამოწვევის ადგილამდე და უკან სამგზავრო ხარჯების, სადგომის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯებისა და მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა პუნქტში ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით გაწვევის შემთხვევაში დღიური ქირის ანაზღაურების უფლება.

გარდა ამისა ექსპერტებს ენახებათ მათი საშუალო ხელფასი სამსახურის ადგილას.

ექსპერტებს გაწეული მუშაობისათვის მიეცემათ 3 მანეთიდან 5 მანეთამდე ერთ საათში. მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრებში, ქალაქებში ლენინგრადსა და ხარკოვში და, აგრეთვე, შორეულ I ზოლის ადგილებში ჩატარებული ექსპერტიზისათვის გასამრჯელო განისაზღვრება 5 მანეთიდან 6 მანეთამდე ერთ საათში.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა ექსპერტიზაში ჩაბმულ იქნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ექსპერტიზის გასამრჯელოს რაოდენობა შეიძლება დაწესებულ იქნას ექსპერტთან შეთანხმებით, მოხსენებულ ნორმათა გადამეტებით, მაგრამ არა უმეტეს 20 მანეთისა საათში.

ექსპერტები მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთვის გასამრჯელოს იღებენ გამოძიების, პროკურატურის ორგანოების ან სასამართლოს დადგენილებით.

გასამრჯელოს რაოდენობას აწესებს ის ორგანო, რომელმაც გამოიწვია ექსპერტი, ექსპერტის კვალიფიკაციისა, სამუშაოს სირთულისა და, აგრეთვე, ამ სამუშაოზე დახარჯული დროის გათვალისწინებით, ექსპერტის მიერ წარმოდგენილ ცნობათა საფუძველზე, ამასთან, საჭირო შემთხვევებში შეიძლება დასკვნის გამოთხოვნა შესაბამისი ორგანიზაციიდან.

მთელ მოხსენებულ თანხას გასცემს ექსპერტის გამომწვევი ორგანო იმ თანხებიდან, რაც სპეციალურად გაღებულია ხარჯთაღრიცხვით აღნიშნული საჭიროებისათვის.

ექსპერტებზე გაცემული თანხები სასამართლოს ხარჯებად ჩაითვლება და მსჯავრდადებულს გადახდება.

ექსპერტებს მათი გამომწვევი ორგანო გასამრჯელოთი უნდა აკმაყოფილებდეს დაუყოვნებლივ, მათ მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისთანავე.

იმ სამხედრო მსახურთა ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც გამოწვეულნი იყვნენ ექსპერტებად (სამგზავრო ხარჯი, დღიურები, ბინის ქირა), სწარმოებს სასამართლოს მიერ სამხედრო ნაწილების მოთხოვნის მიხედვით და იმ ნორმებით, რაც დაწესებულია „დებულებით მუშურ-გლეხური წითელი

არმიის ფულადი სახსრებით დაკმაყოფილების შესახებ", თვით სამხედრო მსახურებს კი არავითარი ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.

იმ სასამართლო-საექიმო ექსპერტებზე, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოთა შტატში არიან, ეს ინსტრუქცია არ ვრცელდება.

ექსპერტიზისთვის მომზადება

ექსპერტიზის დანიშვნამდე უნდა ჩატარდეს საჭირო მომზადება, რაც გამოიხატება გამომძიებლის მიერ ექსპერტიზისათვის ყველა საჭირო მასალის შეკრებით, რომელთა საფუძველზე შეიძლება ექსპერტს მოვთხოვოთ კატეგორიული დასკვნა დასმულ საკითხებზე. მაგალითად, ხელნაწერის ექსპერტიზის დანიშვნისას გამომძიებლები ხშირად უდგენენ ექსპერტს მხოლოდ გამოსაკვლევ საეჭვო დოკუმენტს და გამომძიებლის კარნახით იმ პირის მიერ, ვიზედაც სიყალბის ჩადენაში ეჭვია შეტანილი, დაწერილი საეჭვო დოკუმენტის ანალოგიური შინაარსის ტექსტს. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მასალა ექსპერტიზისათვის სრულიად არასაკმარისია და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა შეიძლება შემცდარი იყოს. ხელნაწერის ექსპერტიზის დანიშვნის ყველა შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა აღნიშნული მასალის გარდა წინასწარ შეკრიბოს და გადასცეს ექსპერტს აგრეთვე იმ პირის თავისუფალი ხელნაწერის ნიმუშები, რომელზედაც ეჭვია შეტანილი სიყალბის ჩადენაში. გამომძიებელმა ექსპერტიზისათვის უნდა გამონახოს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც დაწერილია ამ პირის მიერ, მაგრამ არა სიყალბის შესახებ გამოსაკვლევ საქმესთან დაკავშირებით. ხელნაწერის ნიმუში ჩამორთმეულ უნდა იქნას სპეციალურად მომზადებული ისეთი ტექსტის კარნახის გზით, რომელშიც მხოლოდ ყალბ გამოსაკვლევ დოკუმენტში არსებული ცალკე სიტყვები გვხვდება, მთელი ამ დოკუმენტების შინაარსის მოყვანა კი საჭირო არ არის.

გამოძიების პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა გამომძიებელი, გადასცემს რა საკითხებს და არსებულ მასალას

ექსპერტ - ბუხჰალტერს, შემდეგ თვალყურს აღარ ადევნებს მის მუშაობას. მუშაობისადმი უკანტროლობის სწორედ ასეთი პირობები ჰქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ ექსპერტიზა იქცეს დამოუკიდებელ პარალელურ გამოძიებად. იგულისხმება, რომ სავსებით არასწორი იქნებოდა ექსპერტის ინიციატივის შეზღუდვა, ან გამომძიებლისაგან ექსპერტიზისადმი პირდაპირი „ხელმძღვანელობის" მოთხოვნა. გამომძიებელმა ექსპერტს უნდა მისცეს ყველა არსებული მასალის დამოუკიდებლად შესწავლის სრული შესაძლებლობა, უზრუნველჰყოს მისთვის თვით ექსპერტისავე მითითებით საჭირო დამატებით მასალების გამოთხოვნა.

სსრ კავშირის პროკურატურის 1936 წ. წინადადებით, ექსპერტიზის ჩატარებისას ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ექსპერტისათვის ახსნა-განმარტების მიცემისა და მის წინაშე საკითხების დასმის შესაძლებლობა.

საქმის მასალების გაცნობა ექსპერტებისათვის

გამომძიებელმა ექსპერტს უნდა გააცნოს საქმის გარემოებანი, რომელთა ნათელყოფაც საჭიროა მისთვის დასკვნის მისაცემად.[1]

ცალკეულ შემთხვევაში, ექსპერტიზის უფრო სწორი და ზუსტი დასკვნის მისაღებად, საჭიროა ექსპერტისათვის საქმის ყველა იმ უმნიშვნელოვანესი გარემოების გაცნობა, რაც დადგენილია როგორც მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებებით, ისე საქმეზე შეკრებილი სხვა დამამტკიცებელი საბუთებით. ასეთ შემთხვევებში უფრო სრულფასოვანი დასკვნის მისაღებად, გამომძიებელმა არა თუ არ უნდა შეუზღუდოს ექსპერტებს საქმის მასალის გაცნობის საშუალება, არამედ, თვითონვე მოვალეა უზრუნველჰყოს ექსპერტისათვის იმის შესაძლებლობა, რომ იგი გაეცნოს საქმის მთელ იმ მასალას, რასაც

---

[1] დედანში ამ ადგილას მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. ხაპრ. კოდ. 171 მუხლზე. შესაბამისი მუხლი საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. ამოღებულია 1931 წ. მარტის 1-ს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღების გამო, მაგრამ ზემოთ მოყვანილი წესით ხელმძღვანელობა სავალდებულოა.

შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ექსპერტიზის დასკვნისათვის. მაგრამ ასეთ შემთხვევებში საჭიროა თვალყური ვადევნოთ, რათა ექსპერტებმა თავისი სპეციალობის მიხედვით გამოტანილი დასკვნები არ შესცვალონ ზოგადი დასკვნებით საქმის მასალის საფუძველზე.

სსრ კავშირის პროკურორის 1940 წ. 13 აპრილის № 74—3 ბრძანებაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, ერთხელ კიდევ ხაზგასმულია: „რსფსრ სისხლის სამართლის საპრ. კოდექსის 171 მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად[1], სასტიკად ედევნოს თვალყური იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ექსპერტთათვის კანონით მინიჭებული უფლება—ეცნობოდნენ საქმის იმ გარემოებებს, რომელთა ნათელყოფა მათთვის საჭიროა დასკვნის მისაცემად".

იმ მასალის მოცულობის საკითხს, რომელიც ექსპერტს გასაცნობად უნდა გადაეცეს, გამომძიებელი სწყვეტს.

საქმეში არსებული მასალების არასაკმარისობის გამო ექსპერტის მიერ დასკვნის მიცემის შეუძლებლობაზე აქტის შედგენის შემთხვევაში[2], გამომძიებელმა მასალა უნდა შეავსოს საჭირო დამატებითი საბუთების გამოთხოვნის ან ამორკვევის გზით. თუ ამ მასალის მიღება შეიძლება მხოლოდ მისი წინასწარი დამუშავების, აღრიცხვის აღდგენის ან სარევიზიო მუშაობის შემდეგ, გამომძიებელმა შესაბამის სამეურნეო ორგანიზაციას უნდა დაავალოს სათანადო მუშაობის და, საჭიროების შემთხვევაში, რევიზიის ჩატარება მოკლე, სამუშაოს მოცულობისათვის აუცილებელი ვადის დანიშვნით.

სრულიად დაუშვებელია ისეთი შემთხვევა, როცა გამომძიებლის დავალებით და ზოგჯერ საკუთარი ინიციატივით ექსპერტ-ბუხჰალტერი, გამომძიებელთან არსებული მასალის დასკვნის მისაცემად არასაკმარისობისას, თავისთავად შეუდგება ხოლმე სამეურნეო ორგანიზაციის დამატებით რევიზიას, აღადგენს აღრიცხვის ცალკეულ განაკვეთებს, ამოწმებს საბუხჰალ-

---

[1] იხ, სქოლიო 207 გვერდზე.

[2] იხ. სქოლიო 202 გვერდზე.

ტრო ჩანაწერებს და ა. შ. და დიდ დროს ხარჯავს ამ სამუშაოზე, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის. ამგვარი სამუშაო, მისი აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა შესრულდეს, მაგრამ არა ექსპერტიზის წესით, არამედ სამეურნეო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული რევიზიით.

საკითხების დასმა

ექსპერტიზის დანიშვნისას გამომძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს საკითხები (პუნქტები[1]), რომლებზედაც მოეთხოვება ექსპერტებს დასკვნა. ბევრი გამომძიებლის უცოდინრობას — სწორად ჩამოაყალიბოს ექსპერტიზის გადასაწყვეტად დასასმელი საკითხები, ხშირად შედეგად მოსდევს ექსპერტების უსარგებლო მუშაობა და მათ მიერ დასკვნის მიცემა ისეთ საკითხებზე, რომლებსაც საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ძირითადი საკითხები ზოგჯერ მოუფიქრებლად ყალიბდება, რის შედეგად ამ საკითხებზე მოცემული დასკვნა ბუნდოვანი, გაურკვეველია ხოლმე და თავის ღირებულებას ჰკარგავს როგორც დამამტკიცებელი საბუთი საქმეზე.

ზოგიერთ შემთხვევაში გამომძიებელი ექსპერტს გადასცემს ხოლმე საქმეს რაიმე საკითხების დაუსმელად ერთადერთი მითითებით — „დასკვნის მიცემისათვის". გამომძიებელის შეკითხვების გარეშე ექსპერტის შეხედულებით მიცემულ დასკვნას, როგორც წესი, არავითარი ღირებულება არა აქვს.

ზოგჯერ, ვიდრე საკითხებს ჩამოაყალიბებდეს, გამომძიებელმა მთელ რიგ საკითხებზე რჩევა უნდა ჰკითხოს სათანადო სპეციალისტს ან ამ საკითხებს გაეცნოს სპეციალური ლიტერატურით.

გამომძიებლები ხშირად ნაადრევად იწვევენ ექსპერტს, როცა გამოკვლევით ჯერ კიდევ არ არის შეკრებილი საკმაო მასალა ექსპერტიზის დასანიშნად, ანდა როცა ექსპერტიზისათვის საჭირო მასალები თუმცა მოიპოვეს, მაგრამ ჯერ თვით გამომძიებელს არ შეუსწავლია და მას არ შეუძლია სწორად ჩამოაყალიბოს ექსპერტიზით გადასაწყვეტი საკითხები. გამომ-

---

[1]) იხ. სქოლიო 207 გვერდზე.

ძიებელი ხანდახან თვით ექსპერტსაც კი ავალებს საკითხების ჩამოყალიბებას, უკანასკნელის მიერ საგამომძიებლო საქმის მთელი მასალის შესწავლის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ექსპერტისათვის ისეთი საკითხების დასმის შემთხვევები, რომლებიც სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, როგორც, მაგალითად: „საიდან აღმოაჩნდა მაღაზიის გამგეს დამალული ხვეულები", „დადგენილ იქნას სალაროს გატეხის მიზეზები", „ვინ არის დამნაშავე უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში". სავსებით ბუნებრივია, რომ მსგავსი საკითხები ექსპერტის კომპეტენციაში არ შედის, არამედ გამომძიებელმა უნდა გადასწყვიტოს საჭირო დამამტკიცებელი საბუთების შესაკრებად მიმართულ მთელ რიგ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების გზით.

სსრ კავშირის პროკურატურას არაერთხელ მოუცია მითითებანი ამ საკითხზე და მოუთხოვნია, რომ ექსპერტებისათვის გადასაწყვეტად მიცემული საკითხები ყალიბდებოდეს მოკლედ, ნათლად, საქმის გამოკვლევისათვის საჭირო ფარგლებში. ამის მისაღწევად, განსაკუთრებით რთულ საქმეზე, გამომძიებელს შეუძლია მის მიერ დასახული საკითხების საბოლოო რედაქტირება ექსპერტთან ერთად მოახდინოს.

ექსპერტებისათვის საკითხების დასმა სერიოზული მომენტია გამომძიებლის მუშაობაში და მისგან მოითხოვს საქმეზე შეკრებილი ყველა მასალის გულდასმით შესწავლასა და მოფიქრებას.

თვითეულ კონკრეტულ საქმეზე შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას მრავალი სახის საკითხი, დანაშაულის ხასიათისა და გარემოებათა და მოვლენათა სხვადასხვაგვარი შეხამების მიხედვით.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება სხვადასხვა ექსპერტთა გადასაწყვეტად წამოყენებული საკითხები.

საკითხები სასამართლო-საექიმო ექსპერტებს

სასამართლო-საექიმო ექსპერტებისათვის გადასაწყვეტად დაყენებული საკითხები დამოკიდებულია თვითეულ კონკრეტული საქმის გარემოებებზე. სიკვდილის მიზეზის დადგენისათვის ექს-

პერტიზის დანიშვნის შემთხვევაში ყველაზე უფრო ხშირად სასამართლო-საექიმო ექსპერტების გადასაწყვეტად ისმება შემდეგი საკითხები:

1) როდის (აღმოჩენის ადგილზე გვამის დათვალიერების მომენტიდან რამდენად ადრე) დადგა სიკვდილი?

2) ხომ არ იყო შეცვლილი გვამის მდგომარეობა სიკვდილის დადგომის შემდეგ?

3) ჰქონდა თუ არა ადგილი ბრძოლას დაზარალებულსა და თავდამსხმელს შორის?

4) რა იყო სიკვდილის მიზეზი?

5) შეიძლებოდა თუ არა აღმოჩენილი დაზიანებანი (მათი განლაგების ადგილისა, დარტყმის ძალისა და სხვ. მიხედვით) მიყენებული ყოფილიყო თვით დაზარალებულის მიერ.

გარდა ამ საერთო საკითხებისა, სიკვდილის განსხვავებულ სახეობათა მიხედვით, შეიძლება დასმულ იქნას დამატებითი საკითხები.

ა) გვამზე დაზიანებათა არსებობისას

1) დაზიანებათა მიყენების შემდეგ რამდენად სწრაფად დადგა სიკვდილი?

2) შეეძლო თუ არა დაზარალებულს დაზიანებათა მიღების შემდეგ ემოძრავნა ან შეესრულებინა რაიმე მოქმედება ან მოძრაობა და აგრეთვე ეყვირნა, ელაპარაკნა და რამდენ ხანს?

3) რა იარაღით შეიძლება იყოს მიყენებული დაზიანებანი?

4) დაზიანებანი მიყენებულია ერთი და იგივე თუ სხვადასხვა იარაღით?

5) რა თანმიმდევრობით არის მომხდარი დაზიანებათა მიყენება?

6) რა მდგომარეობაში იმყოფებოდა დაზარალებული დაზიანებათა მიყენების მომენტში?

7) შეიძლებოდა თუ არა აღნიშნულ დაზიანებათა არსებობისას გონს მოსვლა და რამდენი ხნით?

8) შეეძლო თუ არა დაზარალებულს თვითონ მიეყენებინა თავის თავისათვის აღწერილი დაზიანებანი?

9) რომელი დაზიანებაა სიცოცხლის დროინდელი და რომელი სიკვდილის შემდგომი წარმოშობისა?

ბ) მოშთობისა და დახრჩობის ნიშნებით სიკვდილის შემთხვევებში

1) გამოწვეულია თუ არა სიკვდილი მოშთობის შედეგად?

2) რა მექანიკური ზემოქმედების შედეგად არის გამოწვეული მოშთობა?

3) ხომ არ არის რამე დაზიანების მიყენების ნიშნები?

4) სიცოცხლეშივე თუ სიკვდილის შემდეგ ჰქონდა შემოვლებული დაზარალებულს კისერზე მარყუჟი?

5) რა საშუალებით და რა გარემოებებში იყო მოხდენილი მოშთობა?

6) სიკვდილი გამოწვეულია წყალში დახრჩობის შედეგად, თუ წყალში გადაგდებული იქნა გვამი?

7) რამდენ ხანს იმყოფებოდა გვამი წყალში?

გ) მოწამლვის შემთხვევებში

1) მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თუ არა მოწამლვას?

2) რომელი შხამით არის გამოწვეული მოწამლვა?

3) რა რაოდენობით იყო მიღებული შხამი?

4) რა გზით და რა სახით (აირი, ფხვნილი, ხსნარი) შეაღწია შხამმა ორგანიზმში?

5) ხომ არ შეიძლებოდა გვამში აღმოჩენილი შხამი იქ მოხვედრილიყო სიკვდილის შემდეგ და რა გზით?

დ) ცეცხლმსროლელ იარაღით ჭრილობების არსებობისას

1) რა მანძილიდან და რა მიმართულებით იყო გასროლილი დაზარალებულზე?

2) რა მდგომარეობაში იმყოფებოდა დაზარალებულის მიმართ მსროლელი?

3) ჭრილობის ხასიათის მიხედვით რა იარაღით იყო გასროლილი?

ე) ჩვილთმკვლელობის საქმეებზე

1) ბავშვი ცოცხალი დაიბადა თუ მკვდარი?

2) თუ ბავშვი ცოცხალი დაიბადა, სიცოცხლის უნარიანი იყო თუ არა, დღესრული იყო თუ დღენაკლი?

3) რამდენ ხანს ცოცხლობდა ბავშვი დაბადების შემდეგ?

4) რით იყო გამოწვეული სიკვდილი?

ვ) სხვადასხვა ნივთიერების გამოკვლევისას

როცა საჭიროა სასამართლო-საექიმო ექსპერტების დასკვნის მიღება სისხლის, სპერმის, თმების, შარდის, განავალის და სხვა გამოკვლევის საფუძველზე, დაისმება დაახლოებით შემდეგი საკითხები:

1) არის თუ არა მოცემულ საგანზე სისხლი (დასვრილი ადგილები, შხეფები, წვეთები და სხვა)?

2) ადამიანისაა ეს სისხლი თუ ცხოველის, და უკანასკნელ შემთხვევაში — რომელი ცხოველისა?

3) თუ მოცემულ საგანზე ადამიანის სისხლია, სისხლის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ის?

4) რომელ ჯგუფს მიეკუთვნება დაზარალებულის სისხლი და ემთხვევა თუ არა ის მოცემულ საგანზე (დანაშაულის იარაღი, ბრალდებულის ტანსაცმელი და სხვა) აღმოჩენილ სისხლს?

5) არის თუ არა მოცემულ საგანზე სპერმა?

6) რა ფერისაა გვამის ხელში აღმოჩენილი თმები?

7) რამდენი ხნის წინათ იყო გადაკრეჭილი თმა?

8) სხეულის რომელი ნაწილიდანაა თმა?

9) ამოგლეჯილია თმა თუ დაცვივნული?

10) რა დაზიანებანი განიცადა თმამ?

11) ადამიანის თმაა თუ ცხოველის ბეწვი?

12) დაზარალებულის თმის მსგავსია თუ არა მოცემული თმა?

რა თქმა უნდა, საკითხების მოყვანილი ნუსხა სრულიადაც არ ამოსწურავს ყველა იმ საკითხს, რომლებიც შეიძლება გადასაწყვეტად მიეცეს სასამართლო-საექიმო ექსპერტებს.

შეკითხვები ექსპერტებს—სასამართლო ფსიქიატრებს

დროებითი წესების 24 მუხ. და საქ. სსრ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. 63 მუხლის შესაბამისად, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა ბრალდებულის ან მოწმის ფსიქიური მდგომარეობის გამოსარკვევად სავალდებულოა, უკეთუ გამომძიებელს ამ საკითხზე ეჭვი აღეძვრის.

გამომძიებლის ასეთი ეჭვი, ცხადია, რაიმე გარემოებით უნდა იყოს განპირობებული.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გადასაწყვეტად უნდა ისმებოდეს ბრალდებულის ან მოწმის ფსიქიური მდგომარეობის გამო გამომძიებლის წინაშე აღძრული ეჭვის გადასაწყვეტად მიმართული საკითხები.

ასეთი საკითხები შეიძლება იყოს:

1) აქვს თუ არა ნორმალური ფსიქიური მდგომარეობიდან რაიმე გადახრა (ამა და ამ პირს) და სახელდობრ როგორი?

2) ხომ არ აიხსნება ნორმალური ფსიქიური მდგომარეობიდან გადახრით (ამა და ამ პირის) ხასიათის ან საქციელის ესა და ეს თვისებანი?

3) ხომ არ იმყოფებოდა ნ. დანაშაულის ჩადენის მომენტში და ხომ არ იმყოფება ამჟამად ქრონიკულად სულით დაავადების ან დროებითი სულიერი შერყევის მდგომარეობაში ან სხვა ავადმყოფურ მდგომარეობაში და სახელდობრ რომელში?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეეძლო თუ არა ნ-ს ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის და წარემართა ეს მოქმედება?

შეკითხვები ექსპერტ-კრიმინალისტებს

განსაკუთრებით მრავალფეროვანია ის საკითხები, რომლებიც შეიძლება დაისვას კრიმინალისტური ექსპერტიზის გადასაწყვეტად.

შევჩერდეთ კრიმინალისტური ექსპერტიზის ცალკეულ, ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეებზე და დავსახოთ იმ საკითხების სანიმუშო ჩამოთვლა, რომლებიც უნდა დაისვას ექსპერტიზის გადასაწყვეტად:

ა) იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპერტიზა

1. წესიერ მდგომარეობაშია თუ არა იარაღი და შეიძლება თუ არა ამ იარაღით სროლა?

2. სწარმოებდა თუ არა ამ იარაღით სროლა და რამდენი ხნის წინათ?

3. ამ იარაღით არის თუ არა ნასროლი გვამში აღმოჩენილი ტყვიები?

4. ამ დამბაჩის გასროლის შემდეგ არის თუ არა დავარდნილი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მასრა?

5. იმავე ლითონისაგან არის თუ არა დამზადებული, რაც წარედგინა ექსპერტს, გვამში აღმოჩენილი შინნაკეთი საფანტი?

6. იგივეა თუ არა გვამის ახლოს აღმოჩენილი საცობის მასალა, რაც მოქ. X-თან აღმოჩენილი ანალოგიური მასალაა?

7. წარმოადგენს თუ არა ნაბეჭდი ფურცელი, რომლიდანაც გაკეთებული იყო გვამის ახლოს აღმოჩენილი საცობი, ექსპერტისათვის წარდგენილი წიგნის ერთ-ერთ გვერდს?

8. როგორი დენთი იყო ხმარებული დაზარალებულისათვის სროლისას?

ბ) კვლების ექსპერტიზა

1. იგივეა თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი, რაც ბრალდებულის ერთ-ერთი თითის დაქტილოსკოპიური ანაბეჭდია?

2. ემთხვევა თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ჩაცმული მარჯვენა ფეხის კვალი ექსპერტისათვის წარდგენილ ფეხსაცმლის კვალს?

3. რამდენად სწრაფად მოძრაობდა ადამიანი, რომელმაც შემთხვევის ადგილის მიდამოებში დასტოვა კვლების მწკრივი (ზოლი)?

4. ხომ არ იყო ეს ადამიანი დატვირთული?

5. რა სიმაღლისა, სქესისა და აგებულების იყო ადამიანი, რომელმაც დასტოვა კვლების მწკრივი (ზოლი)?

6. რა მიმართულებით მოძრაობდა ველოსიპედი (ავტომანქანა, ურემი), რომელმაც დასტოვა კვალი შემთხვევის ადგილის მახლობლად?

7. როგორია იმ მიმოსვლის საშუალების თავისებურებანი, რომელმაც კვალი დასტოვა შემთხვევის ადგილის მახლობლად?

8. რომელი ცხოველისაა დატოვებული კვალი?

ბ) გატეხის ექსპერტიზა

1. რა იარაღით არის მოხდენილი გატეხა? ერთი იარაღით? თუ სხვადასხვა იარაღით?

2. შეეძლო თუ არა ერთ ადამიანს მოეხდინა ეს გატეხა?

3. რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ფიზიკური ძალა ამ გატეხის მოსახდენად?

4. ასეთ საქმეში რამდენად გამოცდილი პირების მიერ არის მოხდენილი გატეხა?

5. ხანგრძლივად სწარმოებდა თუ არა გატეხა?

6. დიდი ხმაური ახლდა თუ არა გატეხას?

7. იდენტიურია თუ არა ამ გატეხის იარაღის კვალი გატეხის ადგილზე დატოვილი კვალისა?

დ) დოკუმენტების ექსპერტიზა

1. ემთხვევა თუ არა და რა ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი, რომლითაც დაწერილია გამოსაკვლევი დოკუმენტი, მოქ. ნ-ს უდავო ხელნაწერს?

2. დაწერილია თუ არა დოკუმენტის ტექსტი ფისის ბეჭდის ანაბეჭდის მიხედვით, თუ ანაბეჭდი გაკეთებულია დოკუმენტის ტექსტის დაწერის შემდეგ?

3. რა ეწერა დოკუმენტის ამოშლილ (ან გადასწორებულ, ან ამოფხეკილი) ნაწილში?

4. ხომ არ არის დაწერილი დოკუმენტის უკანასკნელი სტრიქონი მნიშვნელოვნად უფრო გვიან, დოკუმენტის მთელი ტექსტის დაწერისა და ხელისმოწერის შემდეგ?

5. რა იყო დაწერილი დოკუმენტის გადახაზულ (მელანგადასხმულ) სტრიქონებში?

6. ერთი და იგივე ხელით არის თუ არა შესრულებული დოკუმენტზე არსებული ორი ხელმოწერა?

7. ბეჭდის ეს ანაბეჭდი წარმოადგენს თუ არა შესაბამისი დაწესებულების ნამდვილი ბეჭდის ანაბეჭდს?

8. რა სისტემისაა მანქანა, რომელზეც დაიბეჭდა გამოსაკვლევი დოკუმენტი?

9. დაბეჭდილია თუ არა გამოსაკვლევი დოკუმენტი ექსპერტისათვის წარდგენილ მანქანაზე?

ე) სხვა კრიმინალისტური ექსპერტიზები

1. როგორი მარყუჟია განასკვული ამ თოკზე?

2. იგივეა თუ არა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ ღილში აღმოჩენილი ძაფი, რაც პიჯაკზე აწყვეტილი ღილის ადგილზე დარჩენილი ძაფი?

3. რა პროფესიის იყო მოკლული მის ჯიბეებში ჩარჩენილი მტვერის მიხედვით (ან მისი თითების ფრჩხილებქვეშიდან გამოღებული ჭუჭყის მიხედვით)?

4. ამ იარაღით (ცულით, ნაჯახით) არის თუ არა დარჩენილი კვალი მოკრილ ტოტზე?

5. ემთხვევა თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ვაშლის მონაკბეჩი ვაშლის მონაკბეჩს მოქ. X-ის მიერ.

საკითხები ტექნიკურ ექსპერტებს

ტექნიკური ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს სულ სხვადასხვაგვარ საქმეებზე: ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის შესახებ, წარმოებაში ავარიების შესახებ, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შესახებ, ტექნიკური დისციპლინის დარღვევათა შესახებ, ავტოშემთხვევებთან დაკავშირებით. ტექნიკური ექსპერტიზის ნაირსახეობაა აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ექსპერტიზები.

ცხადია, ტექნიკური ექსპერტიზის თვითეული ამ ნაირსახეობის დანიშვნისას გამომძიებელმა უნდა დააყენოს სულ სხვადასხვაგვარი საკითხები.

მოგვყავს ზოგადი საკითხები, რომლებიც შეიძლება დაისვას ტექნიკური ექსპერტიზის გადასაწყვეტად ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის საქმეებზე:

1. ტექნიკური თვალსაზრისით, რამდენად სერიოზულ და უხეშ დარღვევას წარმოადგენს ტექნიკური უშიშროების წესების დაშვებული დარღვევა?

2. რა მიზეზებით არის გამოწვეული ტექნიკური უშიშროების წესების-დარღვევა?

3. სწორია თუ არა ინჟინერ X-ს ახსნა-განმარტება ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის მიზეზების შესახებ?

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საქმეებზე ზოგადი საკითხები შეიძლება დაახლოებით შემდეგი იყოს:

1. რამდენად სერიოზული და დასაშვებია საქმეზე დართულ რეკლამაციებში აღნიშნული მზა პროდუქციის დეფექტები?

2. რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა აღნიშნულ დეფექტებს?

3. როგორია მზა პროდუქციის წუნის გამომწვევი მიზეზები?

4. ძირითადად ქარხნის რომელ განყოფილებას და საამქროს ჰქონდა გადამწყვეტი გავლენა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაზე და რით გამოიხატა ეს გავლენა?

5. რა ღონისძიებათა გატარებაა ქარხანაში საჭირო დეტალების წუნის მინიმუმამდე შესამცირებლად და ცუდი ხარისხის მზა პროდუქციის გამომუშავებისა და გამოშვების შესაწყვეტად?

შეკითხვები ექსპერტებს საბუხჰალტრო ექსპერტიზის დროს

საგამომძიებლო პრაქტიკაში ექსპერტ-ბუხჰალტრების გადასაწყვეტად ხშირად დაისმის ხოლმე ისეთი საკითხები, რომლებიც წარმატებით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო თვით გამომძიებლის მიერ საბუთების შესწავლისა და მოკვლეული ორგანიზაციის გარკვეულ მუშაკთა მოწმეების სახით დაკითხვის გზით.

უფრო ხშირად ექსპერტ-ბუხჰალტრებს უყენებენ ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს წინასწარ რევიზიის

ჩატარებას, რაც მხოლოდ იმას მოწმობს, რომ რევიზიის ნაცვლად საბუხჰალტრო ექსპერტიზის დანიშვნა სწორი არ არის.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მეორე უკიდურესობაში გადავარდნა და იმის ფიქრი, თითქოს ექსპერტ-ბუხჰალტერს შეუძლია დასკვნის მიცემა მხოლოდ იმ მასალებზე, რაც მას გამომძიებელმა გადასცა. მთელ რიგ შემთხვევებში ექსპერტ-ბუხჰალტერს არა მხოლოდ შეუძლია, არამედ მოვალეც არის გაეცნოს პირველადს დოკუმენტებს, ამა თუ იმ ორგანიზაციაში აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას, დამოუკიდებლად იმისა, სწარმოებდა თუ არა ამ ორგანიზაციაში რევიზია.

შეიძლება მოყვანილ იქნას, როგორც სანიმუშო, ექსპერტ-ბუხჰალტრის მიერ გადასაწყვეტი შემდეგი საკითხები:

1. სწორია თუ არა რევიზიის დასკვნები დანაკლისის (ან ზედმეტობის) განსაზღვრის ნაწილში?

2. სწორად არის თუ არა ასახული საბუხჰალტრო აღრიცხვით, მოცემული ორგანიზაციის მიერ ამა და ამ მასალის მიღების ოპერაცია?

3. სწორია თუ არა რევიზიის დასკვნები ამ (აღინიშნება სახელდობრ რომელ) ორგანიზაციებს შორის ურთიერთ ანგარიშების მდგომარეობის შესახებ?

4. რომელ პერიოდში წარმოიშვა დანაკლისი ამ ორგანიზაციაში ბრალდებულის ახსნა-განმარტებისა და რევიზიის მონაცემების გათვალისწინებით?

5. რომელ დოკუმენტაციაში ჰპოვა ასახვა ფასების მომატებამ (ამა და ამ) საქონელზე მოცემულ სავაჭრო წერტში და, აგრეთვე, კონკრეტულად რით გამოიხატა ფასების მომატება?

6. სავაჭრო საწყობში რა ზედმეტობა უნდა ყოფილიყო შექმნილი საქონლის (ამა და ამ) რაოდენობის მომეტებული ფასებით გაყიდვის შედეგად.

7. საქონლის რა ზედმეტი რაოდენობა იყო ჩამოწერილი წარმოებაზე, თვითეულ ნაკეთობაზე მასალის ფაქტიური ხარჯვის შესახებ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის და წარმოების მიერ გამოშვებულ მზა ნაკეთობის საერთო რაოდენობის შესახებ მონაცემების გათვალისწინებით?

8. სწორად იყო თუ არა დაყენებული საქონლისა და ფულადი აღრიცხვა მოცემულ ორგანიზაციაში და, თუ ადგილი ჰქონდა გადახრებს, რით გამოიხატებოდა ასეთი, რით იყო გამოწვეული და რა შედეგი მოჰყვა?

9. რამდენად საფუძვლიანად და სწორად არის წარმოებული მოცემულ ორგანიზაციაში მატერიალურ ფასეულობათა (სახელდობრ რომელი) ჩამოწერა სხვადასხვაგვარი აქტებით?

10. როგორ არის დაყენებული მოცემულ ორგანიზაციაში აღრიცხვა და ანგარიშგება და სწორად ხორციელდებოდა თუ არა კონტროლი ქვემდგომი წერტების (სახელდობრ რომელი) ანგარიშგებაზე, კერძოდ აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების რა დეფექტები უწყობდა ხელს (ამა და ამ) ორგანიზაციებში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დაფარვას?

გარდა ამისა ექსპერტ-ბუხჰალტრებს შეიძლება დავუსვათ საკითხები რამდენიმე ბრალდებულს შორის მატერიალური პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ, ბრალდებულის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მისი მუშაობის პერიოდის გათვალისწინებით და ა. შ.

ბრალდებულის უფლებები

გამომძიებელი მოვალეა ექსპერტიზის დანიშვნისას უზრუნველჰყოს ბრალდებულის მიერ მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა განხორციელება.

სსრ კავშირის პროკურორმა 1939 წ. 13 მაისს ამ საკითხზე გამოსცა სპეციალური ბრძანება №90-3, რომელშიც ნათქვამია:

რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 169 და 171[1] მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდექსის სათანადო მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, საქმეზე ბრალდებულის

---

[1] რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 169 მუხ. დაახლოებით შეესაბამება დროებითი წესების 24 მუხ. მესამე აბზაცს.

რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 171 მუხ. შესაბამისი მუხლი ამოღებულია საკ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან 1931 წ. მარტის 1-ს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, ხოლო დროებით წესებში შესაბამი მუხლი არ მოიპოვება.

სახით პასუხისგებაში მიცემულ პირებს ენიჭებათ მათი მითითებით დამატებითი ექსპერტების გამოწვევის მოთხოვნის უფლება, აგრეთვე უფლება წარმოადგინონ წერილობითი სახით მათ მიერ დამატებით წამოყენებული ის საკითხები, რომელებზეც ექსპერტებმა დასკვნა უნდა მისცენ.

ბრალდებულთათვის კანონით მინიჭებული ამ უფლებების გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირის კონსტიტუციის III მუხლის მოქმედების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, რადგან ის არის ბრალდებულთა დაცვის უფლების გარანტია.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ბრალდებულთა ამ უფლებების პირდაპირი დარღვევის შემთხვევებსა და, აგრეთვე, გამომძიებელთა მიერ ბრალდებულთათვის კანონით მინიჭებული უფლებების განუმარტებლობის შემთხვევებს.

მიმაჩნია რა ასეთი მდგომარეობა სრულიად დაუშვებლად, ვბრძანებ: გამოკვლევის სტადიაში ამა თუ იმ ექსპერტიზის დანიშვნის ყველა შემთხვევაში განემარტოთ ბრალდებულებს კანონით მათთვის მინიჭებული უფლებები, რაც გაფორმებულ იქნას აქ თანდართული ფორმის სპეციალური ოქმით".

ამ ბრძანებას დართული აქვს ფორმა ოქმისა, რომელიც უნდა შეადგინოს ყოველმა საგამომძიებლო მუშაკმა საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში, იმ პირობით, თუ საქმეზე მოიპოვება ბრალდებული.

ოქმი

194 წ. . . . . „. . . . " ქალ. . . . . (რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის დასახელება)

პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . .

უფროსმა გამომძიებელმა

. . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი) გავითვალისწინე რა, რომ საქმეზე . . . . . ბრალდების გამო სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულში 194 . წ. . . . . „. . . "-ის დადგენილებით დანიშნულია . . . . . (როგორი) . . ექსპერტიზა, დროებითი წე-

სების 24 მუხ.[1] მოთხოვნის შესაბამისად გავაცანი ბრალდებულს . . . . . (გვარი) . . . . . დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს:

ა) განაცხადოს გამომძიებელის მიერ არჩეულ ექსპერტთა შემადგენლობაში მისი მითითებით დამატებითი ექსპერტების შეყვანის შესახებ;

ბ) წარმოადგინოს წერილობითი სახით ის დამატებითი საკითხები, რომლებზეც მოცემულ უნდა იქნას საექსპერტო დასკვნა.

ბრალდებულმა . . . . . (გვარი) . . . . გაეცნო რა გამომძიებლის 194 წ . . . . . დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე გამომძიებლის მიერ არჩეულ ექსპერტთა შემადგენლობას და ექსპერტიზის გადასაწყვეტად დასმულ საკითხებს, განაცხადა . . . . . (ბრალდებულის განცხადების გადმოცემა)

ოქმი წაკითხულია, ჩაწერილია სწორად.

ბრალდებული . . . . . (ხელისმოწერა)

სახალხო გამომძიებელი . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ნარისხი)

გამომძიებლის მიერ დამატებითი ექსპერტების გამოწვევის შესახებ ან ექსპერტების წინაშე დამატებით საკითხების დასმის შესახებ ბრალდებულის შუამდგომლობათა უარყოფის შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა შეადგინოს მოტივირებული დადგენილება და ის გამოუცხადოს ბრალდებულს. ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ დროებითი წესების 16 მუხლის შესაბამისად, მას უფლება აქვს ეს დადგენილება გაასაჩივროს პროკურორთან.

ექსპერტიზის ჩატარება

ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევებში გამომძიებელი, როგორც წესი, უნდა ესწრებოდეს როგორც ექსპერტიზის, ისე მის თანმხლებ გამოკვლევათა წარმოებას. ზოგიერთი საგამომძიებლო მუშაკის მიერ ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობისაგან თავის არიდება სერიოზული შეცდომაა. მაგალითად, ხშირად გამომძიებლები არ ესწრებიან სასამართლო-საექიმო გამოკვლევის (გვამის გაკვეთა, ბრალდებულის, მოწმეების საექიმო შემოწმება) ან გამოსაცდელ პირთა სასამართლო-ფსიქიატრიული

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 169 და 171 მუხ. მუხ. იხ. სქოლიო 220 ზევრდზე.

შემოწმების წარმოებას. ეს ჩვეულებრივად იწვევს ხარვეზებს გამოძიებაში, რადგან ხელიდან გაიშვება და ექსპერტიზის გადასაწყვეტად არ დაისმის მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი საკითხები, რომლებიც უნდა აღძროდა გამომძიებელს, თუ იგი დაესწრებოდა ექსპერტიზის ან მისი თანმხლები გამოკვლევისა და შემოწმების წარმოებას.

სსრ კავშირის პროკურორის 1940 წ. 13 აპრილის №74/3 ბრძანებაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შესახებ ნათქვამია, რომ გამომძიებელი, რომელმაც დანიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, უნდა ესწრებოდეს გამოსაცდელ პირთა სასამართლო-ფსიქიატრიულ შემოწმებას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ასეთი დასწრება დაკავშირებულია ტექნიკურ სიძნელეებთან (გამომძიებლის ადგილსამყოფელიდან დიდი მანძილით დაშორებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონალური გამოკვლევის წარმოება და სხვა ამგვარი).

რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა შეეხება ექსპერტიზის სხვა სახეებსაც.

ექსპერტიზის დასკვნების შემოწმება

გამომძიებელი კრიტიკულად უნდა მიუდგეს ექსპერტების დასკვნას, ისევე როგორც მის მიერ შეკრებილ ყოველგვარ დამამტკიცებელ საბუთს, გულდასმით უნდა ამოწმებდეს დასკვნის სისწორეს და მის შესაბამისობას საქმეზე შეკრებილ სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან.

ცალკეული გამომძიებელი ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდ უარჰყოფს ექსპერტიზის დასკვნებს, გამომძიებელთა უმრავლესობა კი ბრმად ენდობა ექსპერტებს, სრულიად არაკრიტიკულად უდგება მათ დასკვნებს, არ აწარმოებს იმ მასალების და მოსაზრებების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც ექსპერტებმა მისცეს დასკვნა. როგორც ერთი, ისე მეორე უკიდურესობა სრულიად დაუშვებელია.

გამომძიებელი მოვალეა გულდასმით შეისწავლოს ექსპერტების ყველა მოსაზრება, რომელთა საფუძველზე ისინი მივიდნენ ამა თუ იმ დასკვნამდე, მათი დასკვნების ლოგიკურობისა და დასაბუთე-

ბულობის თვალსაზრისით, რათა თავის დროზე გაითვალისწინოს ექსპერტების დასკვნაში შესაძლებელი შეცდომა და გამოასწოროს ის დამატებითი გამოძიებით. გამომძიებელი მოვალეა მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდეს, ექსპერტების დასკვნები შეამოწმოს საქმეზე შეკრებილ სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან მათი დაპირისპირების გზით და, წინააღმდეგობის გამოვლინების შემთხვევაში, გულდასმით შეამოწმოს ყველა შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთი. სათანადო შემთხვევებში, დროებითი წესების 26 მუხლის საფუძველზე, დაინიშნება განმეორებითი ექსპერტიზა უფრო კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევით.

პროცესუალური გაფორმება

გამოძიების სტადიაში ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება პროცესუალურად ყოველთვის სწორად უნდა იყოს გაფორმებული.

როგორც წესი, ექსპერტიზა ფორმდება ოთხი დოკუმენტით:

ა) გამომძიებლის დადგენილებით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

ბ) გამომძიებლის მიერ ექსპერტისათვის ჩამორთმეული ხელწერილით, წინასწარი შეცნობით ტყუილი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობაზე მისი გაფრთხილების შესახებ;

გ) ოქმით ბრალდებულისათვის ექსპერტიზის დანიშვნის გამოცხადებისა და მისთვის ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით მისი უფლებების განმარტების შესახებ;

დ) ექსპერტის დასკვნით.

გარდა ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ექსპერტიზა სწარმოებს გამომძიებელთან და არა რომელიმე სამეცნიერო ინსტიტუტში და ექსპერტიზის ჩატარებას ესწრება ბრალდებული, უნდა სდგებოდეს კიდევ მეხუთე დოკუმენტი — ექსპერტიზის ჩატარების ოქმი.

დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნაზე შედგენილ და ხელმოწერილ უნდა იქნას გამომძიებლის მიერ. ამ დადგენილების ასლი უნდა ჩაბარდეს ექსპერტს. ხელწერილი ექსპერტის გაფრთხილებისა წინასწარი შეცნობით ტყუილი დასკვნის მი-

ცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ შესდგება გამომძიებლის მიერ და მას ხელს მოაწერენ გამომძიებელი და ექსპერტი.

ოქმი ბრალდებულისათვის ექსპერტიზის დანიშვნის გამოცხადებისა და მისთვის მისი უფლებების განმარტების შესახებ შესდგება გამომძიებლის მიერ (ექსპერტიზის დანიშვნის მომენტისათვის ბრალდებულის არსებობისას) და მას ხელს მოაწერენ გამომძიებელი და ბრალდებული.

ექსპერტიზის დასკვნა შედგენილ და ხელმოწერილ უნდა იქნას მხოლოდ ექსპერტის მიერ.

ექსპერტიზის ჩატარების ოქმი შესდგება გამომძიებლის მიერ და მას ხელს მოაწერენ გამომძიებელი და ექსპერტები, აგრეთვე ბრალდებული, უკეთუ უკანასკნელი ესწრებოდა ექსპერტიზის ჩატარებას.

ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამომძიებლის მიერ შედგენილ დადგენილებაში, გარდა მისი შედგენის დროისა და ადგილისა, აგრეთვე მისი შემდგენი პირის აღნიშვნისა, მოცემული უნდა იყოს:

ა) გამომძიებლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის მოტივირება;

ბ) ექსპერტებისათვის გასაცნობად და შესასწავლად წარდგენილი მასალების ზუსტი ჩამოთვლა;

გ) ექსპერტებად გამოყენებულ პირთა დასახელება;

დ) ექსპერტის გადასაწყვეტად გამომძიებლის მიერ ჩამოყალიბებული საკითხები და, აგრეთვე, ბრალდებულის მიერ დამატებით დასმული საკითხები;

ე) ექსპერტიზის ჩატარების ცალკე ოქმის შედგენის შემთხვევაში, ამ ოქმში ასახული უნდა იყოს ბრალდებულის შუამდგომლობანი, აღძრული ექსპერტიზის მიმდინარეობისას, დამატებითი საკითხები და ექსპერტის კვლევითი მუშაობა.

შეიძლება რეკომენდებულ იქნას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების შემდეგი ფორმა:

დადგენილება

194 . . . წ. . . . . ქ. . . . . .

ოლქის, (რესპუბლიკის) . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის

სახალხო გამომძიებელმა (საკლასო ხარისხი)

. . . . . (გვარი), განვიხილე რა საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა და მივიღე რა მხედველობაში . . . . . (ექსპერტიზის დანიშვნის დასაბუთება), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 24, 25 მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. დაინიშნოს ამ საქმეზე . . . . . ექსპერტიზა.

2. ექსპერტებად მოწვეულ იქნან . . . . . (მოწვეული ექსპერტის თანამდებობა, სამსახურის ადგილის დასახელებით, წოდება ან სამეცნიერო ხარისხი, სახელი, მამის სახელი, გვარი და ბინის მისამართი).

3) ექსპერტებს გასაცნობად გადაეცათ . . . . . (ექსპერტთათვის გადაცემული საგამომძიებლო და სხვა მასალის ან საგნების ჩამოთვლა).

4. დასმულ იქნას ექსპერტების გადასაწყვეტად ქვემოთჩამოთვლილი საკითხები: . . . . . (ექსპერტების გადასაწყვეტად დასმული საკითხების ჩამოთვლა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

გამომძიებლის მიერ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის გაფორმების წესის შესახებ მითითებები მოცემული იყო სსრ კავშირის პროკურორის 1940 წ. 13 აპრილის № 74—3 ბრძანებაში: „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა სტაციონალური ან ამბულატორიული ექსპერტიზისათვის გაგზავნისას; არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიმართვით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სახელზე, არამედ აუცილებლად გამოტანილ იქნას დაწვრილებითი მოტივირებული დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ამ დადგენილებაში იმ საკითხების ჩამოთვლით, რომლებიც დაისმის გამომძიებლის მიერ ექსპერტების წინაშე“.

ასეთივე მოთხოვნა უნდა იქნას წარდგენილი სხვა ყოველგვარი ექსპერტიზის დანიშვნისას.

ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნა უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას იმაზე, თუ ვისი ან რა მოთხოვნის მიხედვით არის მოცემული დასკვნა;

ბ) დასკვნის მისაცემად ექსპერტების მუშაობის დროს;

გ) იმ მასალებისა და მონაცემების, მათ რიცხვში გამოკვლევათა შედეგების, ჩამოთვლას, რომლებზეც დამყარებულია დასკვნა;

დ) დასკვნის დასაბუთებას;

ე) დასკვნას გამომძიებლის მიერ დასმულ თვითეულ საკითხზე ცალკ-ცალკე.

ხშირად საჭირო ხდება ექსპერტიზის შევსება, დაზუსტება, განმარტება ან შემოწმება ექსპერტებისაგან დამატებითი ახსნა-განმარტების მიღებით. ასეთ შემთხვევებში გამომძიებელმა ეს უნდა გააფორმოს მოწმის დაკითხვის ოქმის ანალოგიური, ექსპერტის დაკითხვის ოქმით. უნდა აღინიშნოს როგორც უარყოფითი მოვლენა ის, რომ ექსპერტთა ასეთ დაკითხვებს ჩვენს პრაქტიკაში განსაკუთრებით იშვიათად იყენებენ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქმის გამოკვლევა ხშირად მხოლოდ იმიტომ ჭიანურდება, რომ ექსპერტები განსაკუთრებით ნელა ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობას. გამომძიებელი მოვალეა თვალყური ადევნოს ექსპერტიზის მიმდინარეობას და მიიღოს ზომები, რომ ექსპერტიზა ტარდებოდეს თავისდროულად და სწრაფად.

9. შემოწმება

ზოგადი დებულებანი

წინასწარი გამოძიების სტადიაში ხშირად გეხვდება, ჩვეულებრივად სასამართლო საექიმო-ექსპერტის მეშვეობით, როგორც დაზარალებულების, ისე ბრალდებულების და, ცალკეულ შემთხვევაში, აგრეთვე მოწმეების შემოწმების საჭიროება.

ხშირად შემოწმება წარმოადგენს წინასწარ მოქმედებას, რომლის შედეგების მიხედვით შემდეგ ვღებულობთ ექსპერტის დასკვნას.

მაგრამ თავისთავადაც, პროცესუალურად სათანადოდ გაფორმებულ შემოწმების ოქმს დამამტკიცებელი ძალა და მთელ რიგ შემთხვევებში საქმეზე უაღრესად სერიოზული მნიშვნელობაც აქვს, მიუხედავად შემდგომში ექსპერტიზის ჩატარებისა.

შემოწმება იძულებითი ღონისძიებაა, რამდენადაც, როგორც ბრალდებული, აგრეთვე მოწმე და დაზარალებული საქიროების შემთხვევაში შეიძლება შემოწმებულ იქნან მათი სურვილის მიუხედავად (მაგალითად, საექიმო შემოწმებით).

შემოწმების სახეები

ყველაზე ხშირად შემოწმება სწარმოებს:

ა) სხეულზე დაზიანების ან ძალადობის სხვა კვალის აღმოჩენისათვის (დაზარალებულის სხეულზე);

ბ) წლოვანების განსაზღვრისათვის;

გ) სახეზე, ხელებზე სისხლის შხეფების, განაკაწრების ან სხვა დაზიანებათა აღმოჩენისათვის (ბრალდებულისათვის);

დ) სქესობრივი სიმწიფის განსაზღვრისათვის;

ე) ვენერიული სენის შეყრის დადგენისათვის;

ვ) გაუპატიურების ან გახრწნის დადგენისათვის;

ზ) ორსულობის ან მომხდარი მშობიარობის დადგენისათვის;

თ) ფსიქიური მდგომარეობის დადგენისათვის და სხვა.

დროებითი წესების 35 მუხლის შესაბამისად, გამომძიებელი არ ესწრება სხვა სქესის პირის შემოწმებას, თუ შემოწმებას თან ახლავს შესამოწმებელი პირის გატიტვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირი გამომძიებლის დასწრების წინააღმდეგი არ იქნება.

პროცესუალური გაფორმება

შემოწმება პროცესუალურად უნდა გაფორმდეს გამომძიებლის მიერ დროებითი წესების 15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი ოქმით.

საექიმო შემოწმება კი, როგორც წესი, უნდა გაფორმდეს შემდეგი ორი დოკუმენტით:

ა) გამომძიებლის წერილობითი წინადადებით სამკურნალო დაწესებულებისა ან ექიმის სახელზე;

ბ) ოქმით, რომელიც დროებითი წესების 15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილ უნდა იქნას ექიმის მიერ; გამომძიებელი ხელს აწერს ამ ოქმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ესწრებოდა შემოწმებას.

წერილობითი წინადადებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რასთან დაკავშირებით არის დავალებული საექიმო შემოწმების ჩატარება და რა უნდა იქნას დადგენილი მის შედეგად.

IV. ბრალდებული წინასწარ გამოძიებაზე. დასკვნები წინასწარი გამოძიების მასალების მიხედვით

1. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა

მნიშვნელობა

სპეციალური დადგენილებით გაფორმებულ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას ძალიან დიდი პროცესუალური მნიშვნელობა აქვს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამომძიებლის მიერ გამოკვლევის შედეგად დადგენილია დანაშაულის ფაქტი და შეკრებილია გარკვეული პირის ამ დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი საკმაო დამამტკიცებელი საბუთები.

რა პროცესუალური მნიშვნელობა აქვს დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ?

ჯერ ერთი, ეს დადგენილება წარმოადგენს საქმეზე უკვე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებასა და შეფასებაზე დამყარებულ გამომძიებლის პირველადს დასკვნას.

მეორე, ის უმრავლეს შემთხვევაში გარკვეული ზომით წინასწარ განსაზღვრავს პროცესის მთელ შემდგომ მიმდინარეობას როგორც საქმის განხილვის მოცულობის ნაწილში, ისე დანაშაულის კვალიფიკაციის ნაწილში.

მესამე, ეს დადგენილება უზრუნველჰყოფს ბრალდებულისათვის დაცვის შესაძლებლობას, წარმოადგენს გარანტიას მისი უფლებისას — იცოდეს რაში ედება მას ბრალი.

ყოველივე ეს გამომძიებელს ავალდებულებს განსაკუთრებული სერიოზულობით მიუდგეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების შედგენას.

გამოკვლევის სწორად, კეთილსინდისიერად წარმოებისას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ჯერ კიდევ სრუ-

ლიადაც არ ნიშნავს არსებითად გამოკვლევის ფაქტიურად დამთავრებას, როგორც ეს ზოგიერთ გამომძიებელს წარმოუდგენია.

დროებითი წესების 36 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა უნდა სწარმოებდეს, როგორც კი გამომძიებელი მოაგროვებს საკმაო მონაცემებს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წარ. სადგენად.

პროცესუალური გაფორმება

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ფორმდება სპეციალური დადგენილებით.

ძირითადი მოთხოვნა, რომელიც უნდა წარედგინოს დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, — ეს არის დროებითი წესების 36 მუხლის მტკიცედ დაცვა.

ამ დადგენილებაში კანონის შესაბამისად უნდა იყოს აღნიშნული:

1) ვის მიერ არის შედგენილი დადგენილება;

2) მისი შედგენის დრო და ადგილი;

3) ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი;

4) დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და სხვა გარემოებანი, როგორც ისინი გამოძიებითაა დადგენილი;

5) პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

ხშირად დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადმოცემულია საერთო ფრაზებით, ბუნდოვნად, გამოძიებით დადგენილი კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების, მათი ჩადენის დროისა და ადგილის აღუნიშნავად, იმის აუწერავად, თუ კონკრეტულად რაში ედება ბრალი ბრალდებულს. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასეთი გადმოცემით გამომძიებელი უხეშად არღვევს სტალინური კონსტიტუციით გარანტირებულ ბრალდებულის დაცვის უფლებას: ბრალდების ბუნდოვნად, არაკონკრეტულად ფორმულირებისას ბრალდებული მოკლებულია შესაძლებლობას სადავოდ გახადოს და უარჰყოს ეს ბრალდება.

დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა წარედგინოს კიდევ სხვა სერიოზული მოთხოვნები.

ყოველივე ის, რაც გადმოცემულია ამ დადგენილებაში, სავსებით და მთლიანად დამყარებული უნდა იყოს საქმეზე უკვე შეკრებილ დამამტკიცებელ საბუთებზე. დადგენილებაში არ უნდა იყოს გამომძიებლის ლიტონი, უსაფუძვლო მოსაზრებები და დასკვნები. საფუძველი პასუხისგებაში მიცემისათვის, ე. ი. დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სასამართლის კოდექსის განსაზღვრული მუხლით, პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს ბრალდების ფორმულირებიდან.

დადგენილებაში საჭირო შემთხვევის დროს მოყვანილი უნდა იყოს ბრალდებულის სპეციალური დახასიათება და მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის პოლიტიკური შეფასება, როგორც ეს დადგენილია საქმის მასალებით. მხოლოდ ამ მოთხოვნის შესრულებისას ბრალდებულს სრული შესაძლებლობა მიეცემა თავი დაიცვას და მისთვის მიცემული დახასიათებისა და ბრალად შერაცხული დანაშაულის პოლიტიკური შეფასების წინააღმდეგ სათანადო აზრი წარმოადგინოს. ბრალდებულის აზრი გამომძიებელს საშუალებას მისცემს შეამოწმოს მის მიერ შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების კეთილხარისხოვნება და გამოტანილი დასკვნების სისწორე.

ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ეს ნაკარნახევია გამოკვლევის ინტერესებით, დადგენილებაში ბრალდების წარდგენის შესახებ შესაძლებელია მოყვანილი იყოს დამამტკიცებელი საბუთებიც, რომელთა საფუძველზეც წარედგინება ბრალდება, თუმცა ეს არ არის სავალდებულო ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის ყველა შემთხვევისათვის.

დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . .
(რესპუბლიკის) . .
სახალხო გამომძიებელი . . .
რისხი, გვარი), გავეცანი საქმე № .

. . . . . ქ. . . . . ოლქის
რაიონის (ქალაქის) პროკურატურის
. . . . . (საკლასო ხა-
შესახებ (საქმის დასახელება)

მასალებს და, მივიღე რა მხედველობაში, რომ საქმეზე შეკრებილია საკმაო მონაცემები მოქ. . . . . თვის (ბრალდებულის გვარი) ბრალდების წარსადგენად, მასში რომ . . . . . .
(ჩადენილი დანაშაულის გამოძიებით დადგენილი კონკრეტული ფაქტების, გარემოებების, ადგილის, დროისა და მოტივების გადმოცემა), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 36 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოქ. . . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) მივცე პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, წარვუდგინო მას ბრალდება სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გამოეცხადოს ბრალდებულს.

ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს რაიონის (ქალაქის) პროკურორს ცნობისათვის.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დადგენილება გამომეცხადა 194 წ. . .
ბრალდებულის ხელისმოწერა . . . . . .

გამოვუცხადე: ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

როგორც ნიმუში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ სწორად შედგენილი დადგენილებისა, შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი დადგენილება:

დადგენილება

1944 წ. ივნისის 10-ს, ქ. მოსკოვი. ქ. მოსკოვის ლენინის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელი, 2 კლასის იურისტი კრაშენინიკოვი, გავეცანი საქმეზე № 3/227 მოქ. ი. კ. ერშოვის ბრალდებაზე სისხ. სამ. კოდ. 116 მუხ.[1] შეკრებილ მასალას, ვპოვე, რომ საქმეზე შეკრებილია საკმაო მონაცემები მოქ. ერშოვისათვის ბრალდების წარსადგენად მასში, რომ იგი, მუშაობდა რა ქალაქის ვაჭრობის მომარაგების განყოფილების აგენტის თანამდებობაზე:

ა) 1944 წლის აპრილში მისთვის სამსახურებრივი მდგომარეობით მინდობილი საქვეანგარიშო თანხებიდან მიითვისა 5182 მან. და დანაშაულის დაფარვის მიზნით თავის საავანსო ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მის მიერ 9 აპრილს ქალაქის ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების განყოფილების მეკუჭნავე ტროფიმოვისაგან ბუხჰალტერიაზე გადასაცემად მიღებული, ტროფიმოვის მიერ განაღდებული კვებვაჭრობის ანგარიში 5.182 მანეთზე.

---

[1] შეესაბამება საქ. სსრ სისხ. სამ. კოდექსის 122 მუხლს.

ბ) 1944 წ. მაისის თვის განმავლობაში სისტემატურად ნაწილ-ნაწილ ითვისებდა მისთვის მინდობილ საქვეანგარიშო თანხებს და ხარჯავდა მათ რესტორნებში ქეიფებზე, ამ გზით გაფლანგა სულ 5.000 მანეთი.

გ) მაისის თვეში მის მიერ ჩადენილი ბაფლანგვის დაფარვის მიზნით მოაწყო თავისი პორთფელიდან ფულის გატაცების სიმულაცია, რისთვისაც გასკრა თავისი პორთფელი, ისესხა თავისი ნაცნობებისაგან 200 მან. და შეინახა ის თავისი სამეშაო მაგიდის უჯრაში, 30 მაისს კი განაცხადა, თითქოს მას 28 მაისს ტრამვაის ვაგონში გაუკრეს პორთფელი და მოსტაცეს 4800 მანეთი.

აღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 128 და 129 მუხ. მუხ.[1]

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოქ. ივანე კუზმას-ძე ერშოვი მივცე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, წარვუდგინო მას ბრალდება სსკ 116 მუხ. 2 ნაწ.[2]. გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გამოეცხადოს ბრალდებულს.

ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს ქ. მოსკოვის ლენინის რაიონის პროკურორს ცნობისათვის.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი:
2 კლასის იურისტი კ რ ა შ ე ნ ი ნ ი კ ო ვ ი.
დადგენილება გამომეცხადა 1944 წ. 10 ივნისს
ხელისმოწერა: ე რ შ ო ვ ი.
გამოვუცხადე: სახალხო გამომძიებელი
2 კლასის იურისტი კ რ ა შ ე ნ ი ნ ი კ ო ვ ი

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და აგრეთვე ამ საგამომძიებლო მოქმედების პროცესუალურად სწორად გაფორმების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამომძიებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ამ საგამომძიებლო მოქმედებას და, უწინარეს ყოვლისა, იმ საკითხის გადაწყვეტას, საკმარისია თუ არა მის განკარგულებაში არსებული მასალა ბრალდების წარდგენისათვის.

---

[1] შეესაბამება საქ. სსრ. დროებითი წესების 36 მუხლს.

[2] შეესაბამება საქ. სსრ სისხ. სამ. კოდექსის 122 მუხ. 2 ნაწილს.

ცალკეული კატეგორიის მუშაკთა პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი

თვითეულმა გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს სსრ კავშირის პროკურატურის მითითებანი, რომლებითაც დადგენილია ცალკეული კატეგორიის თანამდებობის პირთა ბრალდებულების სახით პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი.

1. სსრ კავშირის პროკურატურის მითითებათა შესაბამისად, საბჭოთა მეურნეობების და მტს დირექტორები შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათ საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებზე მხოლოდ სამხარეო (საოლქო) ან რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი თანხმობით, ამასთანავე ამ უკანასკნელთ დაკისრებული აქვთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორების პასუხისგებაში მიცემის საკითხის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის[1] შესაბამის სამმართველოსთან, ხოლო მტს დირექტორების მიმართ—შესაბამის რესპუბლიკის მიწსახკომებთან, სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო სამმართველოებთან[2] წინასწარი შეთანხმება.

საბჭოთა მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ტრესტების და მტს დირექტორების მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის არჩევას, აგრეთვე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სამხარეო (საოლქო) პროკურორის ან რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი სანქციით.

ამ კატეგორიის საქმეების სასამართლოში გაგზავნის წინ საბრალმდებლო დასკვნას უნდა ამტკიცებდნენ აღნიშნული პროკურორები, ამასთანავე ეს საქმეები განსახილველად უნდა წარიმართოს სამხარეო (საოლქო) სასამართლოში ან რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

---

[1] ამჟამად სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო.

[2] ამჟამად მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სოფლის მეურნეობის სამხარეო (საოლქო) სამმართველოები.

2. „ზაგოტზერნოს“ და „ზაგოტლენის“ დამამზადებელი პუნქტების გამგეები, დამამზადებელი პუნქტების პურის კონტროლიორები (მეხარისხეები), დამამზადებელი პუნქტების მარცვლეულის მიმღებნი და ბუხჰალტრები, სსრ კავშირის პროკურატურის მითითების თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნან მხოლოდ სამხარეო (საოლქო) პროკურორის სანქციით, ხოლო საოლქო (სამხარეო) დაყოფის არ მქონე რესპუბლიკებში—მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორის სანქციით.

3. როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში მომუშავე სამეურნეო მუშაკები ან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, თუნდაც მათ არ ჰქონდეთ სპეციალური ტექნიკური განათლება, მათ საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, სსრ კავშირის პროკურატურის მითითების თანახმად, შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ საოლქო (სამხარეო) პროკურორების ან რესპუბლიკებში, — სადაც არ არის საოლქო (სამხარეო) დაყოფა,—რესპუბლიკის პროკურორის ნებართვით, ამასთანავე ამ პროკურორებს დაკისრებული აქვთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის შესაბამის სამეურნეო ორგანიზაციებთან წინასწარი შეთანხმება, გარდა ხელფასის გაცემის დაკავების საქმეებისა.

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მიმართ მოყვანილი მითითებანი დადასტურებულია სსრ კავშირის პროკურატურის 1937 წ. 3 მაისის № 28/I ცირკულარით პროკურატურის მუშაობის შესახებ „დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობაზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წ. 29 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით. ამ ცირკულარში ნათქვამია: „უსასტიკესად დაცულ იქნას სსრ კავშირის პროკურატურის მითითებანი ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხისადმი დაკვირვებული და წინახედული დამოკიდებულების შესახებ. არ იქნას დაშვებული არავითარი გადახვევა სსრ კავშირის პროკურატურის მიერ ამ საკითხზე ადრე მიცემულ მითითებებიდან“.

4. ექიმები და სკოლის დირექტორები, სსრ კავშირის პროკურორის 1939 წ. 11 აგვისტოს № 157—3 ბრძანების თანახ-

მად, შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათ საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ დანაშაულში ბრალდებებზე მხოლოდ მხარის, ოლქის, ავტონომიურ რესპუბლიკის პროკურორის სანქციით, ხოლო საოლქო დაყოფის არმქონე რესპუბლიკებში — მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის სანქციით. ამ ბრძანებაში ნათქვამია:

„დაწესდეს ექიმებისა და სკოლის დირექტორების მათ საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ დანაშაულში ბრალდებაზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგი წესი:

ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ მხარის, ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის სანქციით, ისეთ რესპუბლიკებში კი, სადაც ოლქობრივი დაყოფა არ არის,—მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის სანქციით.

ბ) აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ, როგორც წესი, პროკურატურის გამომძიებლები.

ვ) გამოძიების დამთავრებისას, სასამართლოში საქმის გაგზავნასთან ერთდროულად, საბრალმდებლო დასკვნის ასლი გაეგზავნება იმ სამხარეო, საოლქო პროკურორს, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც მისცა სანქცია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე“.

5. პროკურორები და გამომძიებლები, სსრ კავშირის პროკურორის 1939 წ. 17 თებერვლის № 40—6 ბრძანების თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნან მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორის ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის სანქციით. ბრძანებაში ნათქვამია:

„ჩემი 1937 წ. 20 იანვრის № 57 და 1938 წ. 14 აგვისტოს № 1003 ბრძანების შესაცვლელად, ვბრძანებ:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების პროკურორებისა და მათი მოადგილეების, მოკავშირე და ავტონომიური პროკურატურების უდიდეს საქმეთა გამომძიებლების, სამხარეო და საოლქო პროკურატურების უფროსი გამომძიებლების, ოკრუგების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორების, შინსახკომის ორგანოებში

გამოძიებაზე მეთვალყურე პროკურორების, რკინიგზებისა და აუზების პროკურორების და ბანაკების პროკურორების თანამდებობიდან გადაყენებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის სავალდებულოა სსრ კავშირის პროკურორის სანქცია.

ბ) პროკურატურის სისტემის ყველა დანარჩენ ოპერატიულ მუშაკთა თანამდებობიდან გადაყენებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის სავალდებულოა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის და შესაბამისად—რკინიგზის ტრანსპორტის მთავარი პროკურორის და წყლის ტრანსპორტის მთავარი პროკურორის სანქცია".

6. მოსამართლენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნან სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახები კანონის 18 მუხლით დადგენილი წესით, სახელდობრ:

„მოსამართლეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრა, ამასთან დაკავშირებით თანამდებობიდან მათი გადაყენება ხდება:

სახალხო მოსამართლეების, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო სასამართლოთა, ავტონომიური ოლქების სასამართლოთა წევრების მიმართ —მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის დადგენილებით და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სანქციით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და სსრ კავშირის სპეციალურ სასამართლოთა წევრების მიმართ—სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დადგენილებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სანქციით".

სსრ კავშირის პროკურატურის მოყვანილ მითითებათა შესაბამისად, ზემოაღნიშნული ერთ-ერთი კატეგორიის მუშაკისათვის ბრალდების წარსადგენად საკმაო მონაცემების არსებობისას გამოძიებელი მოვალეა რაიონის პროკურორის მეშვეობით წარუდგინოს მთელი საქმე საოლქო (სამხარეო) პროკურორს, ხოლო საოლქო (სამხარეო) დაყოფის არმქონე რესპუბლიკებში—რესპუბლიკის პროკურორს, ამასთან საქმეს დაერთვის რაი-

აღებული აზრით მიდგომა, უნდა ისწრაფვოდეს ბრალდებულის ახსნა-განმარტების ობიექტური და გულდასმითი შემოწმებისაკენ და გაურკვეველი მომენტების სრული გამოკვლევისაკენ.

გამოკვლევის მოცემული სტადიისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება აცილებულ იქნას სასამართლო შეცდომები, საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის და, იმავე დროს, საქმის გაჭიანურება და ბრალდებულის ყველა შუამდგომლობის ბრმად შესრულება.

ბრალდებულის დაკითხვის მნიშვნელობა

ბრალდებულის დაკითხვას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრალდებულის ჩვენება წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს საქმეზე.

ბრალდებულის დაკითხვის შედეგად გამომძიებელი ამოწმებს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ მის მიერ გამოტანილ დადგენილებაში გაკეთებული დასკვნების დასაბუთებულობას.

დაბოლოს, ბრალდებულის დაკითხვის მიმდინარეობისას ხორციელდება მისი უფლება დაცვაზე. უზრუნველჰყოფს რა ბრალდებულის ამ უფლებას, დროებითი წესების 41 მუხლი აწესებს გარკვეულ ვადას (არაუგვიანეს 24 საათისა) ბრალდებულის გამოცხადების ან მოყვანის დროიდან, ან მისი დაკავების შესახებ ცნობის მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც გამომძიებელი მოვალეა დაჰკითხოს ბრალდებული. უკეთუ ამ ვადის განმავლობაში გამომძიებელმა ვერ შესძლო ბრალდებულის დაკითხვა, იგი მოვალეა შეადგინოს ოქმი ასეთი დაყოვნების მიზეზის შესახებ.

დაკითხვისათვის მომზადება

ყოველივე ის, რაც „მოწმეთა დაკითხვის“ თავში ითქვა ჩვენების შეფასებისა და მოწმეთა დაკითხვისათვის მომზადების საკითხზე, მნიშვნელოვანწილად ეხება ბრალდებულის დაკითხვასაც.

ბრალდებულის დაკითხვისათვის მომზადებისას გამომძიებელმა ერთხელ კიდევ უნდა შეისწავლოს საქმის ყველა მასალა, დასახოს ყველა საკითხი, რომლებზეც უნდა იქნას დაკითხული

ბრალდებული, ამოიწეროს ყველა დამამტკიცებელი საბუთი, რომლებითაც დადგენილია ბრალდების ძირითადი პუნქტები და რასთანაც დაკავშირებით საჭირო იქნება ბრალდებულისგან სპეციალურ ახსნა განმარტებათა მიღება.

სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ამხ. შეინინმა თავის მიმართვაში გამომძიებლებისადმი ასე დაახასიათა ბრალდებულის დაკითხვისათვის გამომძიებლის მომზადების განსაკუთრებული მნიშვნელობა:

„ერთი საათის შემდეგ შენ უნდა ჩაატარო დაკითხვა. შენ უნდა მოემზადო მისთვის, ჩინებულად უნდა იყო შეიარაღებული. გახსოვდეს, რომ ბრალდებულის დაკითხვისას, შენ მას შეებმი ორთა ბრძოლაში თვალდათვალ, პირისპირ. ამ ორთა ბრძოლაში ის ძლიერია, რადგან მან ხშირად იცის ჭეშმარიტება და. საკუთარი ტყავის გადარჩენის მოსურნე, დაინტერესებულია, რომ დამალოს იგი შენგან, შენ კი მხოლოდ ბუნდოვნად ხარ მიხვედრილი ამის შესახებ და უნდა მოიპოვო ეს ჭეშმარიტება. მაგრამ შენ მასზე ძლიერი ხარ, იმიტომ რომ შენ მართალი ხარ. ამისათვის გულდასმით მოიფიქრე, თუ როგორ წაიყვან შენ მას უმთავრესისაკენ, როგორ შენიღბავ შენს უცოდინარობას, შენს სისუსტეს. ამისათვის შენ უნდა მოსინჯო, მიხვდე, გამოიცნო შენი მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი, სხვაგვარად შენ დამარცხებულ იქნები, შენ კი უფლება არა გაქვს დამარცხებული აღმოჩნდე, შენ ხომ გამომძიებელი ხარ“ (საგამომძიებლო პრაქტიკა. სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების მეთოდური სახელმძღვანელო, ნაკვეთი 1.).

ბრალდებულის გამოწვევა და მოყვანა

თავისუფლად მყოფი ბრალდებულის გამოწვევა ჩვეულებრივ სწარმოებს ტელეფონოგრამით ან უწყებით. პატიმროპაში მყოფ ბრალდებულთა გამოწვევა სწარმოებს პატიმრობის ადგილის უფროსის მეშვეობით, ანდა ბრალდებული დაიკითხება პატიმრობის ადგილას.

აღებული აზრით მიდგომა, უნდა ისწრაფვოდეს ბრალდებულის ახსნა-განმარტების ობიექტური და გულდასმითი შემოწმებისაკენ და გაურკვეველი მომენტების სრული გამოკვლევისაკენ.

გამოკვლევის მოცემული სტადიისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება აცილებულ იქნას სასამართლო შეცდომები, საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის და, იმავე დროს, საქმის გაჭიანურება და ბრალდებულის ყველა შუამდგომლობის ბრმად შესრულება.

ბრალდებულის დაკითხვის მნიშვნელობა

ბრალდებულის დაკითხვას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრალდებულის ჩვენება წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს საქმეზე.

ბრალდებულის დაკითხვის შედეგად გამომძიებელი ამოწმებს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ მის მიერ გამოტანილ დადგენილებაში გაკეთებული დასკვნების დასაბუთებულობას.

დაბოლოს, ბრალდებულის დაკითხვის მიმდინარეობისას ხორციელდება მისი უფლება დაცვაზე. უზრუნველყოფს რა ბრალდებულის ამ უფლებას, დროებითი წესების 41 მუხლი აწესებს გარკვეულ ვადას (არაუგვიანეს 24 საათისა) ბრალდებულის გამოცხადების ან მოყვანის დროიდან, ან მისი დაკავების შესახებ ცნობის მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც გამომძიებელი მოვალეა დაჰკითხოს ბრალდებული. უკეთუ ამ ვადის განმავლობაში გამომძიებელმა ვერ შესძლო ბრალდებულის დაკითხვა, იგი მოვალეა შეადგინოს ოქმი ასეთი დაყოვნების მიზეზის შესახებ.

დაკითხვისათვის მომზადება

ყოველივე ის, რაც „მოწმეთა დაკითხვის“ თავში ითქვა ჩვენების შეფასებისა და მოწმეთა დაკითხვისათვის მომზადების საკითხზე, მნიშვნელოვანწილად ეხება ბრალდებულის დაკითხვასაც.

ბრალდებულის დაკითხვისათვის მომზადებისას გამომძიებელმა ერთხელ კიდევ უნდა შეისწავლოს საქმის ყველა მასალა, დასახოს ყველა საკითხი, რომლებზეც უნდა იქნას დაკითხული

ბრალდებული, ამოიწეროს ყველა დამამტკიცებელი საბუთი, რომლებითაც დადგენილია ბრალდების ძირითადი პუნქტები და რასთანაც დაკავშირებით საჭირო იქნება ბრალდებულისგან სპეციალურ ახსნა განმარტებათა მიღება.

სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ამხ. შეინინმა თავის მიმართვაში გამომძიებლებისადმი ასე დაახასიათა ბრალდებულის დაკითხვისათვის გამომძიებლის მომზადების განსაკუთრებული მნიშვნელობა:

„ერთი საათის შემდეგ შენ უნდა ჩაატარო დაკითხვა. შენ უნდა მოემზადო მისთვის, ჩინებულად უნდა იყო შეიარაღებული. გახსოვდეს, რომ ბრალდებულის დაკითხვისას, შენ მას შეებმი ორთა ბრძოლაში თვალდათვალ, პირისპირ. ამ ორთა ბრძოლაში ის ძლიერია, რადგან მან ხშირად იცის ჭეშმარიტება და, საკუთარი ტყავის გადარჩენის მოსურნე, დაინტერესებულია, რომ დამალოს იგი შენგან, შენ კი მხოლოდ ბუნდოვნად ხარ მიხვედრილი ამის შესახებ და უნდა მოიპოვო ეს ჭეშმარიტება. მაგრამ შენ მასზე ძლიერი ხარ, იმიტომ რომ შენ მართალი ხარ. ამისათვის გულდასმით მოიფიქრე, თუ როგორ წაიყვან შენ მას უმთავრესისაკენ, როგორ შენიღბავ შენს უცოდინარობას, შენს სისუსტეს. ამისათვის შენ უნდა მოსინჯო, მიხვდე, გამოიცნო შენი მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი, სხვაგვარად შენ დამარცხებულ იქნები, შენ კი უფლება არა გაქვს დამარცხებული აღმოჩნდე, შენ ხომ გამომძიებელი ხარ“ (საგამომძიებლო პრაქტიკა. სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების მეთოდური სახელმძღვანელო, ნაკვეთი 1.).

ბრალდებულის გამოწვევა და მოყვანა

თავისუფლად მყოფი ბრალდებულის გამოწვევა ჩვეულებრივ სწარმოებს ტელეფონოგრამით ან უწყებით. პატიმროებში მყოფ ბრალდებულთა გამოწვევა სწარმოებს პატიმრობის ადგილის უფროსის მეშვეობით, ანდა ბრალდებული დაიკითხება პატიმრობის ადგილას.

ეს წესი სპეციალურად დადგენილია კანონით[1].

როგორც წესი, საპატიმროში მოთავსებული ბრალდებულის დაკითხვა უნდა სწარმოებდეს მისი პატიმრობის ადგილას.

პატივსადები მიზეზის უქონლად გამოუცხადებლობის შემთხვევაში ბრალდებული შეიძლება იძულებით იქნას მოყვანილი.

ბრალდებულის იძულებით მოყვანის უფლება გამომძიებელს მინიჭებული აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ბრალდებული ემალება გამოძიებას, ან არა აქვს გარკვეული საცხოვრებელი ადგილი, ან მუდმივი მოსაქმეობის ადგილი და, აგრეთვე, თუ არსებობს საშიშროება, რომ ის თავს აარიდებს გამომძიებელთან გამოცხადებას.

მოყვანა მდგომარეობს ბრალდებულის ან მოწმის სახით დაბარებული პირის იძულებით (ბადრაგით) მოყვანაში გამომძიებლის კამერაში, თუ იგი პატივსადები მიზეზის უქონლად არ გამოცხადდა გამომძიებლის გამოწვევით. გამომძიებლის ეს უფლება დადგენილია დროებითი წესების 39 მუხლით.

ბრალდებულის ან მოწმის იძულებითი წესით მოყვანის შესახებ თავისი გადაწყვეტილება გამომძიებელმა უნდა გააფორმოს სპეციალური დადგენილებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რა მოსაზრებებიდან გამომდინარე და როგორ კანონიერი საფუძვლებით მივიდა გამომძიებელი გამოწვეული პირის იძულებითი წესით მოყვანის საჭიროების დასკვნამდე. გამომძიებლის დადგენილებას იძულებითი წესით მოყვანის შესახებ უნდა ასრულებდნენ მილიციის ორგანოები.

დადგენილება იძულებით მოყვანის შესახებ საჭიროა შედგენილ იქნას ასეთი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . „. . . .“ ქ. . . . ოლქის, (რეს-
პუბლიკის) . (რაიონის) ქალაქის პროკურატურის სახალხო
გამომძიებელმა . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე
მასალა საქმეზე № (საქმის დასახელება) და მივიღე მხედ-
ველობაში, რომ მოქ. . . (სახელი, მამის სახელი და გვარი),

[1] დედანში მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 130 მუხლზე. მართალია, შესაბამისი მუხლი საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან ამოღებულია 1931 წ. მარტის 1-ს დროებითი წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზემოთ მოყვანილი წესის დაცვა სავალდებულოა.

იყო რა გამოწვეული ამ საქმეზე დასაკითხავად . სახით „. . . .“ საათისათვის 194 წ. . . „. “, მიუხედავად უწყების თავის დროზე მიღებისა არ გამოცხადდა, როგორც ეს დადგენილია, პატივსადები მიზეზის უქონლად, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 39 მუხლით,

დავადგინე:

მოქ. . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) იძულებითი წესით იქნას მოყვანილი.

ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს მილიციის განყოფილების უფროსს შესასრულებლად.

სახალხო გამომძიებელი. . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

„ვამტკიცებ“

პროკურორი. . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

ბრალდებულის დაკითხვის წესი

დროებითი წესების 21—23, 41 მუხლების შესაბამისად, გამომძიებელი ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის დაკითხვის შემდეგი ძირითადი საპროცესო წესი:

1) ავადმყოფობის გამო ბრალდებულის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამომძიებელს შეუძლია დაჰკითხოს ბრალდებული მის სამყოფელ ადგილას.

2) ბრალდებულის დაკითხვის წინ გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს მისი ვინაობა და აგრეთვე აუხსნას მას წარდგენილი ბრალდების არსი.

გამომძიებელმა უნდა გამოარკვიოს, სად ცხოვრობდა და რას აკეთებდა ბრალდებული სამამულო ომის პერიოდში. განსაკუთრებით გულდასმით უნდა იქნას ეს გარემოებანი შემოწმებული იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული თუნდაც რამდენიმე ხანს ცხოვრობდა ფაშისტ დამპყრობთა მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე.

3) გამომძიებელს უფლება არა აქვს ცდილობდეს ბრალდებულის ჩვენების ან აღიარების მიღებას ძალადობის, მუქარის და სხვა ამის მსგავსს ღონისძიებათა ხმარების გზით.

უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ბრალდებულს უფლება აქვს უარი სთქვას ჩვენების მიცემაზე. მართალია, პრაქტიკაში ბრალდებულის მიერ თავისი ამ უფლების გამოყენებას ძლიერ იშვიათად ვხვდებით და ისიც უმრავლეს შემთხვევაში დაკითხვის არასწორი ტაქტიკის შედეგად.

4) ბრალდებულები დაკითხულ უნდა იქნან ცალკ-ცალკე.

5) ბრალდებულის დაკითხვა უნდა დაიწყოს წინადადების მიცემით—მოჰყვეს ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია საქმეზე, რის შემდეგაც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მას უნდა მიეცეს შეკითხვები. ბრალდებულისათვის მიცემული შეკითხვები და მისი პასუხები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სიტყვა-სიტყვით იყოს ასახული დაკითხვის ოქმში.

ბრალდებულის ჩვენება ოქმში გადმოცემული უნდა იყოს პირველი პირით და შეძლებისდაგვარად — სიტყვა-სიტყვით.

6) დაკითხვის დამთავრებისას ოქმი უნდა წაეკითხოს ბრალდებულს, მისთვის ოქმის დამატებისა და მასში საჭირო შესწორებათა შეტანის მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფით.

7) ბრალდებულის თხოვნისას მას უნდა მიეცეს ჩვენების საკუთარი ხელით დაწერის უფლება, რაც აღინიშნება ოქმში.

8) მუნჯის, ყრუს ან გამომძიებლისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე პირის დაკითხვის დროს მოწვეული უნდა იყოს შესაბამისი თარჯიმანი, რომლის მონაწილეობაც აღინიშნება ოქმში.

9) ოქმი ხელმოწერილი უნდა იყოს ბრალდებულისა და გამომძიებლის მიერ, ხოლო დაკითხვაში თარჯიმანის მონაწილეობისას—ამ უკანასკნელის მიერაც.

ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა

ყოველივე ის, რაც „მოწმეთა დაკითხვის“ თავის შესაბამის განაკვეთში ითქვა, შეეხება ბრალდებულის დაკითხვასაც.

ბრალდებულის დაკითხვის წარმატების ძირითადი პირობაა მასთან გამომძიებლის მხრივ ნორმალური ურთიერთობის დამყარება. დაკითხვა უნდა სწარმოებდეს მშვიდად, თავაზიანად. ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების საქმეზე დადგენილ გარემოებებთან აშკარად შეუსაბამობის დროსაც კი, გამომძიე-

ბელი ყოველთვის უნდა იყოს აღუშფოთებელი, მშვიდი, ზომიერი, მაგრამ იმავე დროს დაჟინებული და მთელ რიგ შემთხვევებში—მომთხოვნი. არასოდეს არ შეიძლება ბრალდებულის მოტყუება მისთვის ამა თუ იმ დაპირების მიცემით, რომელიც შემდეგში აღარ სრულდება. გამომძიებლის სიტყვა უნდა იყოს მტკიცე და დამაჯერებელი. გამომძიებელი უნდა იყოს ურყევი და მედგარი. სრულიად დაუშვებელია გამომძიებლის მხრივ, ბრალდებულის აღიარების მიღების მიზნით მუქარა, ძალადობა და სხვა ამგვარი ღონისძიებანი, მაგალითად, ტყუილად შეტყობინება ბრალდებულისათვის—ვითომდა არსებობდეს მეორე ბრალდებულის აღიარება.

გამომძიებელმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს თავისი უპირატესობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებულმა გამოკვლევის სწორად წარმოების პირობებში არასოდეს არ იცის, თუ რამდენად დადგენილია გამოძიებით მისი მონაწილეობა მოცემული დანაშაულის ჩადენაში.

მხოლოდ ადამიანთა ფსიქოლოგიის ცოდნით, მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს, შეკრებილი და კარგად შემოწმებული დამამტკიცებელი საბუთები, მხოლოდ ბრალდებულის გულდასმით შესწავლით და, ბოლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაკითხვის შესაბამისი ტაქტიკის გამოყენებით,—ბრალდებულის დაკითხვა დადებით შედეგებს მოგვცემს და გამომძიებელი გამარჯვებული აღმოჩნდება.

ეპვმიტანილთა დაკითხვა

საჭიროა შევჩერდეთ საკითხზე, თუ რა წესით უნდა იქნას დაკითხული ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში ეპვმიტანილი პირი, რომელიც, მისთვის ბრალდების წარსადგენად მონაცემების არასაკმარისობის გამო, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ჯერ არ არის მიცემული. წინათ ამ პირებს ყველაზე ხშირად დაჰკითხავდნენ ხოლმე როგორც ეპვმიტანილთ, ისე, რომ არ აფრთხილებდნენ ტყუილი ჩვენების მიცემისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ასეთი პრაქტიკა ამ პირებს, ზოგჯერ ხანგრძლივი დროით, აყენებს ეპვმიტანილთა გაურკვეველ მდგომარეობაში, რომელ-

თაც, ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რაიმე უფლება არა აქვთ.

ითვალისწინებდა რა ასეთი მდგომარეობის დაუშვებლობას, სსრ კავშირის პროკურორმა 1937 წ. 5 ივნისის № 41/26 ცირკულარით მიუთითა:

„მთელ რიგ საქმეებზე შემჩნეულია, რომ გამომძიებლები და აგრეთვე გამოკვლევის სხვა მუშაკები აწარმოებენ სხვადასხვა პირთა დაკითხვას ეპვმიტანილთა სახით. ჩვეულებრივად, ეპვმიტანილთა სახით დაჰკითხავენ ხოლმე იმ პირთ, რომლებზეც პროკურორის ან გამომძიებლის მიერ მიღებული მასალა შეიცავს მითითებას, მაგრამ რომელთა ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გამომძიებელს შესაძლებლად არ მიაჩნია იმის გამო, რომ არსებული მასალა არასრული და არასაკმაოდ შემოწმებულია. ამით მთელი რიგი მოქალაქენი, რომელნიც ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი არ არიან და რომელთაც ბრალდება არა აქვთ წარდგენილი, ეპვმიტანილთა სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ექცევიან და ამ მდგომარეობაში იმყოფებიან ზოგჯერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მოკლებულნი არიან იმ უფლებებს, რაც კანონით მინიჭებული აქვთ ბრალდებულებს.

ვსთვლი რა ამგვარ მოვლენას ჩვენს საგამომძიებლო პრაქტიკაში დაუშვებლად, ვბრძანებ:

დანაშაულის ჩადენაში ეპვმიტანილ მოქალაქეთა დაკითხვისას, დაშვებული არ იქნას მათი დასახელება „ეპვმიტანილებად“ და საერთოდ საგამომძიებლო პრაქტიკიდან აღიკვეთოს გამოძიებაზე ამა თუ იმ პირის გამოყვანა „ეპვმიტანილის“ მდგომარეობაში. უკეთუ ამა თუ იმ პირის მიმართ მოიპოვება მის მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი მონაცემები, ეს პირი მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დაიკითხოს ბრალდებულის სახით“.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გამომძიებელს შეუძლია აწარმოოს დაკითხვები მხოლოდ მოწმეთა სახით, ან ბრალდებულთა სახით (გარდა იმ ექსპერტების დაკითხვისა, რომელთაც უკავიათ განსაკუთრებული მდგომარეობა).

ვიდრე ესა თუ ის მოქალაქე მიცემული არ არის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, ვიდრე მას წარდგენილი არა აქვს ბრალდება, ის შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ მოწმის სახით. ბრალდებულის სახით შეიძლება დაკითხულ იქნან მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირები, ე. ი. ის პირები, რომელთაც, დროებითი წესების 36—37 მუხლების წესით, წაყენებული აქვთ ბრალდება.

ამ ნაწილიდან გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმ პირთა დაკითხვის შემთხვევები, რომელთა მიმართაც დროებითი წესების 44 მუხლის შესაბამისად აღმკვეთი ღონისძიება შერჩეული იყო ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მათ მიცემამდე. ამ გამონაკლის შემთხვევებში, გარკვეული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირნი, სსრ კავშირის პროკურატურის მითითებათა შესაბამისად, უნდა დაიკითხნონ ბრალდებულთა სახით მათთვის ბრალდების წაყენებამდე. ამ პირებს გამოეცხადებათ დადგენილება აღმკვეთი ღონისძიების არჩევის შესახებ; დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს, რასთან დაკავშირებითაა არჩეული აღმკვეთი ღონისძიება.

ბრალდების წაყენებამდე აღმკვეთი ზომის ასეთი შეფარდება დაიშვება მხოლოდ არაუმეტეს 15 დღედაღამისა[1].

ჩვენების შემოწმება

ბრალდებულის ჩვენებისადმი კრიტიკულად მოპყრობით მაშინაც, როცა ის აღიარებს დანაშაულის ჩადენას, და მაშინაც, როცა ის თავს დამნაშავედ არ სცნობს და თავს იცავს, გამომძიებელმა შეუმოწმებელი არ უნდა დასტოვოს ბრალდებულის მიერ აღნიშნული არც ერთი ფაქტი. სხვაგვარად, იგი შეიძლება ადვილად მოექცეს ბრალდებულის გავლენის ქვეშ და კამოძიება წარიმართოს მცდარი გზით. იგივე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გამომძიებელი ბრმა ნდობით ჰოეპყრობა დაზარალებულის ჩვენებას და მას სათანადოდ გულდასმით არ შეამოწმებს.

---

[1] დედანში რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 145 მუხ. შესაბამისად ნაჩვენებია 14 დღედაღამე.

3. ალმკვეთი ღონისძიების არჩევა

ძირითადი დებულებანი

საპროკურორო - საგამომძიებლო მუშაკებს დაკისრებული აქვთ უდიდესი პასუხისმგებლობა ყოველი სახის ალმკვეთი ღონისძიების სწორად არჩევისათვის, იმდენად რამდენადაც ყოველი ალმკვეთი ღონისძიება ამა თუ იმ ზომით ზღუდავს მოქალაქეთა უფლებას. განსაკუთრებით შეეხება ეს ისეთ ალმკვეთ ღონისძიებას, როგორიცაა დაპატიმრება.

ბრალდებულის სახით რომელიმე პირის პასუხისგებაში მიცემისას, დროებითი წესების 44 მუხლის შესაბამისად, გამომძიებელი მოვალე არ არის, არამედ მხოლოდ უფლება აქვს შეარჩიოს ესა თუ ის ალმკვეთი ღონისძიება. მას შეუძლია არ მიმართოს ამ ღონისძიებას, დაკმაყოფილდეს ბრალდებულისაგან ხელწერილის ჩამორთმევით გამოძიებისა და გასამართლებისათვის გამოცხადების შესახებ, ვალდებულებით — აცნობოს ხოლმე თავისი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. თუ გამომძიებელს საჭიროდ მიაჩნია ბრალდებულის მიმართ ამა თუ იმ ალმკვეთი ღონისძიების არჩევა, იგი მოვალეა ეს გააკეთოს სპეციალური დადგენილებით, რაშიაც აღინიშნება საფუძველი, რომლის მიხედვითაც არჩეულია ეს ალმკვეთი ღონისძიება. ეს მოთხოვნა შეეხება ყველა ალმკვეთ ღონისძიებას, მათ შორის გაუსვლელობის ხელწერილსაც.

გამომძიებლებმა გარკვეულად უნდა შეითვისონ, რომ ალმკვეთი ღონისძიება, თანახმად დროებითი წესების 44 მუხლისა, შეიძლება შეფარდებულ იქნას მხოლოდ ბრალდებულთა მიმართ, ე. ი. ბრალდების წაყენების შემდეგ. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე ალმკვეთი ღონისძიება დანაშაულის ჩადენაში ეეჭვმიტანილ პირთა მიმართ შეიძლება შეფარდებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ვადით არაუმეტეს 15 დღეღამისა.[1] არავის არა აქვს უფლება გააგრძელოს კანონით დაწესებული ეს ვადა. თუ თხუთმეტდღიანი ვადის განმავლობაში ბრალდება წაყენებული არ იქნება ამ მოქალაქის მიმართ არჩეული ალმკვეთი ღონისძიება გაუქმებულ უნდა იქნას, სწორედ გაუქმებული და არა შეცვლილი.

---

[1] იხ. სქოლიო 247 გვ.

გამომძიებლებს ზოგჯერ მიდრეკილება აქვთ დაკმაყოფილდნენ იმით, რასაც ჩასწერენ, სარწმუნოდ იღებენ ყოველივე იმას, რასაც მათ ეუბნება ბრალდებული ან დაზარალებული, ხოლო ზოგჯერ მოწმეც ან ექსპერტიც. ასეთ გამოძიებას არ შეიძლება ეწოდოს გამოძიება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ჩვენებათა ანალიზი, ფაქტების შემოწმება, მათი ერთიმეორესთან შედარება, ახალი ანალიზი და ა. შ. — აი, ჭეშმარიტების დადგენისა და დამნაშავის მხილების საშუალებანი.

ხელწერილის ჩამოართმევა

დროებითი წესების 44 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, გამომძიებელმა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ ყველა პირს უნდა ჩამოართვას ხელწერილი გამოძიებისა და გასამართლებისათვის გამოცხადების შესახებ და ვალდებულება— აცნობოს ხოლმე თავისი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა.

ეს ხელწერილი არ წარმოადგენს აღმკვეთ ღონისძიებას. იგი ბრალდებულს უნდა ჩამოერთვას მისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ, დამოუკიდებლად მის მიმართ აღმკვეთი ზომის არჩევისა.

ხელწერილი ჩამოერთმევა შემდეგი ფორმით:

ხელწერილი გამოძიებისა და გასამართლებისათვის გამოცხადების შესახებ

194 წ. . . . . მე . . . . . (ხელწერილის გამცემი პირის სახელი, მამის სახელი და გვარი), მცხოვრები . . . . . (მისამართი), ვაძლევ ამ ხელწერილს . . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელს . . . . (გვარი) მასზე, რომ ვალდებული ვარ გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის დამთავრებამდე საქმეზე ჩემი ბრალდების გამო . . . . . (აღნიშვნა, რაში აკვს წარდგენილი ბრალდება და სისხ. სამ. კოდ. რომელი მუხლით) ვცხადდებოდე გამომძიებლისა და სასამართლოს პირველი მოთხოვნისთანავე და ჩემ მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში წინასწარ შევატყობინო ამის შესახებ გამომძიებელს და სასამართლოს. ჩემს მიერ ამ ხელწერილის დარღვევის შედეგების შესახებ მე განმემარტა.

(ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ყოველი სახის აღმკვეთი ღონისძიების არჩევის გაფორმებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სრულიად დაუშვებელია პრაქტიკაში ხშირად გავრცელებული, რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 146 მუხ. იმ მოთხოვნის დარღვევა, რომ გამომძიებელი ვალდებულია შეადგინოს მოტივირებული დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს ის დანაშაული, რაშიაც ბრალი ედება მოცემულ პირს, აგრეთვე ამა თუ იმ აღმკვეთი ღონისძიების არჩევის საფუძველი[1].

დადგენილება აღმკვეთი ღონისძიების არჩევის შესახებ ბრალდებულს ხელწერილქვეშ გამოეცხადება.

ამა თუ იმ აღმკვეთი ღონისძიების არჩევის საჭიროების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას გამომძიებელი უნდა ითვალისწინებდეს: ბრალდებულისათვის შერაცხულ ბრალდების მნიშვნელობას და სერიოზულობას, მის წინააღმდეგ არსებულ მხილებათა სიმძიმეს, ბრალდებულის მხრივ გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის არიდების ან ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის შესაძლებელ მოსალოდნელობას, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისი მოსაქმეობის სახეს და სხვა გარემოებებს.

დადგენილება

აღმკვეთი ღონისძიების არჩევის შესახებ

194 წ. . . „. . . . “ ქ. . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი) . . . . (გვარი) განვიხილე მასალა საქმე № . . შესახებ

---

[1] თუმცა საქართველოს სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსში რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 146 მუხლის შესაბამისი მუხლი არ მოიპოვება, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სახის აღმკვეთი ღონისძიების არჩევისას მოტივირებული დადგენილების გამოტანა გამომძიებელთათვის სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული, და დროებითი წესების 45 მუხლის მოთხოვნა წინასწარი პატიმრობის გარდა სხვა სახის აღმკვეთი ღონისძიების მიღებისას ოქმზე რეზოლუციის სახით აღნიშვნის შესახებ მოძველებულად, ხმარებიდან გამოსულად და ფაქტიურად ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

(საქმის დასახელება) და, მივიღე რა მხედველობაში, რომ .
. . . . . .
(აღმკვეთი ღონისძიების არჩევის მოტივირება) დროებითი წესების 45 და
. . . . . (აღინიშნება მოცემული აღმკვეთი ღონისძიების შესაბამისი მუხლი) მუხ. მუხ. საფუძველზე

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1) გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის არიდების საშუალებათა აღმკვეთ ღონისძიებად მოქ . . . . . .
(სახელი, მამის სახელი და გვარი) მიმართ არჩეულ იქნას . . . . .
. . . . . (აღმკვეთი ღონისძიების დასახელება).

2) ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს . .
რაიონის პროკურორს.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დადგენილება გამომეცხადა 194 წ. . . . . .
(ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ს ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა)

დადგენილების გამოტანის გარდა, ამა თუ იმ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისას გამომძიებელი მოვალეა შეადგინოს სხვა საჭირო საგამომძიებლო დოკუმენტები.

გაუსვლელობის ხელწერილი

აღმკვეთ ღონისძიებად გაუსვლელობის ხელწერილის არჩევისას გამომძიებელმა ბრალდებულს უნდა ჩამოართვას შემდეგი ფორმის ხელწერილი:

გაუსვლელობის ხელწერილი

194 წ. . . . . მე . . . . . (ხელწერილის გამცემის სახელი, მამის სახელი და გვარი), მცხოვრები . . . .
(დაწვრილებითი მისამართი), ვაძლევ ამ ხელწერილს . . . . ოლქის
(რესპუბლიკის) . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელს . . . . . (გვარი) მასში, რომ ვალდებული ვარ გამომძიებლისა და სასამართლოს უნებართვოდ არ გავიდე აღნიშნული საცხოვრებელი ადგილიდან. იმის შესახებ, რომ ჩემს მიერ ამ ხელწერილის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიების არჩევა, მე გამომეცხადა.

(ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

პირადი თავდებობა

აღმკვეთ ღონისძიებად პირადი თავდებობის არჩევა უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედგენილი ოქმით თავდებების გამოცხადებისა და მათ მიერ ბრალდებულის თავდებქვეშ აყვანის სურვილის გამოთქმის შესახებ, აგრეთვე გამომძიებლის მიერ თვითეული თავდებისაგან ჩამორთმეული ხელწერილით

ეს დოკუმენტები უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

ოქმი

194 წ. . . . . „ . . . " მე, ... ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), შევადგინე ეს ოქმი შემდეგზე: დღეის რიცხვს გამომძიებლის კამერაში გამოცხადდენ მოქალაქენი . . . . . (სახელები, მამის სახელები, გვარები და მისამართები) და განაცხადეს თავიანთი სურვილი აიყვანონ ბრალდებული ამ საქმეზე . . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) თავისი პირადი თავდებობის ქვეშ.

ოქმი წაკითხულია. ჩაწერილია სწორად.

(ხელისმოწერა)

სახალხო გამომძიებელი . . . . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ამ შემთხვევაში, როდესაც თავდებთაგან შემოტანილ იქნება წერილობითი განცხადება შუამდგომლობით, მაგალითად, მათი პირადი თავდებობის ქვეშ ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ზემოთ მოყვანილი ოქმის შედგენა ზედმეტია.

თვითეული თავდებისაგან ჩამოსართმევი ხელწერილი სდგება შემდეგი ფორმით:

თავდებობის ხელწერილი

194 წ. . . . . „ . . " მე, ... (სახელი, მამის სახელი და გვარი), მცხოვრები . . . . . (დაწერილებითი მისამართი), მომუშავე . . . . . (დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოოს დასახელება) . . . . . თანამდებობაზე, ვარდგენ რა ჩემი პიროვნების დასადასტურებლად . . . . . (წარმოდგენილი დოკუმენტების დასახელება, მათ შორის პასპორტის აუცილებლად აღნიშვნით, ვის მიერ, როდის, რა ნომრით არის გაცემული, სად არის გა-

წერილი) ვაძლევ ამ ხელწერილს . . . . . ოლქის (რესპუბ-
ლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო
გამომძიებელს . . . (გვარი) მასში, რომ თავდები ვარ ბრალ-
დებულის სისხ. სამ. კოდ. . . . მუხ. მუხ. . (გვარი) გამოცხადებისათ-
ვის და ვალდებულებას ვიღებ მოვიყვანო იგი გამოძიებისა და სასამართ-
ლოში პირველი მოთხოვნისთანავე.

ბრალდებული მოქ. . . . . (გვარი) იცხოვრებს . . . . .
(დაწვრილებითი მისამართი) მოქ. . . . . (ბრალდებულის გვარი)
მიერ თავისი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში მოვალე
ვარ დაუყოვნებლივ შევატყობინო ეს გამოძიების ორგანოს და სასამართლოს.

ჩემის პასუხისგებლობის შესახებ ბრალდებულ მოქ. . . . . .
მიერ გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის არიდების შემთხვევაში მე
გამომეცხადა.

(თავდების ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . (ხელისმოწერა).

(საკლასო ხარისხი)

ქონებრივი თავდებობა[1]

აღმკვეთ ღონისძიებად ქონებრივი თავდებობის არჩევა უნდა
ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედგენილ ქონების აღწერის
ოქმით, აგრეთვე გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული ხელწერი-
ლით აღწერილი ქონების შესანახად მიღების შესახებ. ეს დო-
კუმენტები უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

ო ქ მ ი

194 წ. . . . . „ . . . . " ქ. . . . . ოლქის
(რესპუბლიკის) . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის
სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), შევად-
გინე ეს ოქმი შემდეგზე: მოქ. . . . . საგან (სახელი,
მამის სახელის და გვარი) მცხოვრები . . . . . (მისამარ-
თი) განცხადების მიღებასთან დაკავშირებით მისი სურვილის შესახებ აი-
ყვანოს ბრალდებული ამ საქმეზე მოქ . . . . . .
(სახელი, მამის სახელი და გვარი) ქონებრივი თავდებობის ქვეშ, გამოვ-
ცხადდი . . . ში (დასახელებული პუნქტის აღნიშვნა) და თანამოწ-
მეთა სახით მოწვეულ მოქალაქეთა .

---

[1] ქონებრივი თავდებობა, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (დროებითი წესებით) გათვალისწინებული არ არის.

(თანამოწმეების გვარები და მისამართები) თანდასწრებით მოვახდინე მოქ. . . . . (გვარი) კუთვნილი ქონების აღწერა, რომელიც ბრალდებულის გამომძიებელთან ან სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაეცემა სახელმწიფოს შემოსავალში. ქონების აღწერილობა თან ერთვის.

ოქმი წაკითხულია. ჩაწერილია სწორად.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

(ქონებრივი თავდებობის მიმცემი პირის ხელისმოწერა)

თანამოწმენი (ხელისმოწერა)

გარდა ამისა გამომძიებელმა თავდებს უნდა ჩამოართვას ხელწერილი შემდეგი ფორმით:

ხელწერილი

194 წ. . . . . „ მე . . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი), მცხოვრები . . . . . (დაწერილებით მისამართი), ვაძლევ ამ ხელწერილს . . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელს . . . . . (გვარი) მასში, რომ შესანახად ვიღებ აღწერილ ჩემივე ქონებას და მით თავდები ვარ ბრალდებულის სისხ. სამ. კოდ. . მუხ. მოქ. . . . . (გვარი) გამომძიებელთან და სასამართლოში პირველი მოთხოვნისთანავე გამოცხადებისა. ბრალდებულის გაქცევის, ან გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის არიდების შემთხვევაში მე ვალდებული ვარ აღწერილი და ჩემ მიერ შესანახად მიღებული ქონება ჩავაბარო სახელმწიფოს შემოსავალში.

(ქონებრივი თავდებობის მიმცემი პირის ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ქონების აღწერა ყოველთვის უნდა სწარმოებდეს თანამოწმეთა თანდასწრებით, რომელთაც ხელი უნდა მოაწერონ გამომძიებლის მიერ შედგენილ აღწერილობას.

გ ი რ ა ო[1]

აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს არჩევა უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედგენილ ოქმით გირაოს მიმცემის გამოცხადებისა და მის მიერ განსაზღვრულ ფასეულობის შეტანის შესახებ. ეს ოქმი უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

---

[1] გირაო, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (დროებითი წესებით) გათვალისწინებული არ არის.

ოქმი

194 წ. . . . . „ . . “ ქ. . . . . ოლქის (რეს-
პუბლიკის) . . . რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელ-
მა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი) შეეადგინე ეს
ოქმი შემდეგზე: გამომძიებლის კაბინეტში გამოცხადდა მოქ. . . .
(გირაოს მიმცემის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი) და განა-
ცხადა თავისი სურვილი შეიტანოს გირაო ამ საქმეზე ბრალდებულის
მოქ. . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი)
გამომძიებელთან და სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად,
შეიტანა ქვემოთ ჩამოთვლილი ფასეულობა . . . . . (შეტანილ
ფასეულობის დაწვრილებით ჩამოთვლა, ან შეტანილი ფულადი თანხის
აღნიშვნა). იმის შესახებ, რომ ბრალდებულის გაქცევის ან გამომძიებისა
და გასამართლებისაგან თავის არიდების შემთხვევაში შეტანილი გირაო
გადადის სახელმწიფო შემოსავალში, მოქ. . . . . (გვარი)
გამოეცხადა.

ოქმი წაკითხულია, ჩაწერილია სწორად.

(გირაოს გამცემის ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

დაპატიმრება

აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების ან საშინაო პატიმ-
რობის[1] არჩევა უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედ-
გენილი და პროკურორის მიერ დამტკიცებული მხოლოდ ერთი
დადგენილებით.

დროებითი წესების 49 მუხლის შესაბამისად, აღმკვეთ ღო-
ნისძიებად დაპატიმრების არჩევის შესახებ დადგენილების გა-
ფორმებას წარედგინება განსაკუთრებული მოთხოვნები. ამ
დადგენილებაში კონკრეტულად უნდა იყოს აღნიშნული ბრალ-
დების არსი, დანაშაულის კვალიფიკაცია, აღმკვეთ ღონისძიე-
ბად დაპატიმრების არჩევის მოტივები და ცნობები ბრალდე-
ბულის პიროვნების შესახებ (ასაკი, სოციალური მდგომარეობა,
წინანდელი ნასამართლობა და წარმოშობა — საიდანაა წარმო-
შობით).

---

[1] საშინაო პატიმრობა, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, საქართველოს
სსრ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (დროე-
ბითი წესებით) გათვალისწინებული არ არის.

სსრ კავშირის პროკურატურის 1933 წ. № 24 ცირკულარში ნათქვამია:

1. „აკრძალულია გამოძიების ქვეშ მყოფი პატიმრების საპატიმროში მოთავსება უმოტივო დადგენილებებით. დაპატიმრების შესახებ თვითეულ დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს საჭირო ცნობები ბრალდებულის პიროვნების შესახებ (ასაკი, კლასობრივი კუთვნილება, წინანდელი ნასამართლობა), ბრალდების არსის და იმ მოტივების მოკლე, მაგრამ კონკრეტული გადმოცემა, რომელთა მიხედვით, საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, ხდება აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება.

პროკურორებს ეკრძალებათ დაპატიმრების შესახებ სანქციის გაცემა ამ პირობათა; დაუცველად შედგენილ დადგენილებებზე,

2. პატიმრობის კანონიერი ვადის გასვლისას, მისი გაგრძელებისათვის გამოთხოვნილი უნდა იყოს ნებართვა მეთვალყურე ორგანოსაგან 1930 წ. № 120 ცირკულარის წესისამებრ[1], ამასთანავე ეს ნებართვა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საპატიმრო ადგილს (დადგენილების ასლის, რეზოლუციის ან სპეციალური შეტყობინების სახით).

3. საქმის გამოკვლევის ერთი ორგანოდან მეორისთვის, ან პროკურატურაში და სასამართლოში გადაცემისას დაუყოვნებლივ სწარმოებდეს პატიმრების გადარიცხვა.

პატიმრობაში მოთავსება აღნიშნული პირობების დარღვევით, განხილულ იქნება როგორც უკანონოდ პატიმრობაში მოთავსება ყველა აქედან გამომდინარე შედეგით იმ თანამდებობის პირთათვის, რომლებზეც პატიმრები ირიცხებიან“.

აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევის შესახებ გამოტანილი გამომძიებლის ყოველი დადგენილება, სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარ დამტკიცებული უნდა იყოს პროკურორის მიერ, უკეთუ იგი ჰპოვებს ამისათვის საკმაო საფუძველს.

საჭიროა მტკიცედ შევითვისოთ, რომ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საქმეზე ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც სასამართ-

---

[1] ამჟამად ეს საკითხი წესრიგდება ზემოთ მოყვანილ 1937 წ. 2 აპრილის № 18/26 ცირკულარით. ავტორის შენიშვნა.

ლოს შეუძლია გადაწყვიტოს თავისუფლების აღვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, და ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული მონაცემების არსებობის გამო საფიქრებელია, რომ ბრალდებული თავისუფლად ყოფნისას ხელს შეუშლის ჭეშმარიტების გამოაშკარავებას ან დაემალება გამოძიებას და გასამართლებას.

ამასთან ერთად, გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებულ მხილებათა სიმძიმე, მისი მოსაქმეობის ხასიათი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ოჯახური მდგომარეობა.

კანონის შესაბამისად (დროებითი წესების 49 მუხ.), ცალკეული კატეგორიის საქმეებზე აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დადგენილია, რომ ბრალდებულს კავშირი აქვს დამნაშავეთა წრესთან, ან არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ხელობა, ან თავს არიდებს გამოძიებასა და გასამართლებას.

ამავე დროს საქმეებზე[1].

1) კონტრრევოლუციურ დანაშაულთა შესახებ, ჩასადენად მომზადებული ან ჩადენილი კონტრრევოლუციური დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ საქმეთა გამოკლებით (სისხ. სამ. კოდ. 58—1ა—58[11], 58[13], 58[14]);

2) წესიერების მასობრივი დარღვევის შესახებ ხელმძღვანელობისა და ორგანიზატორების მიმართ (სისხ. სამ. კოდ. 58[16] მუხ. (ნაწ. „ა" პუნქტი);

3) ბანდიტიზმის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 58[17] მუხ.);

4) ომიანობის პირობებში ან მასობრივი მღელვარების დროს ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოსაგდებად მიმართული პროპაგანდის ან აგიტაციის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 58[21] მუხ. 2 ნაწ.);

---

[1] ჩამოთვლა მოყვანილია წიგნის დედნის მიხედვით და არა დროებითი წესების 49 მუხ. მიხედვით, რადგან წიგნის დედანში ჩამოთვლა უფრო სრულია; მაგრამ ეს ჩამოთვლა შევსებულია დროებითი წესების 49 მუხლში ჩამოთვლილ სისხ. სამ. კოდექსის ისეთი მუხლებით, რაც დედანში მოყვანილი არ არის (სისხ. სამ. კოდ. 61 მუხ. 3 ნაწ., 180 მუხ. 2, 3 და 4 ნაწილი) სისხ. სამართლის კოდექსის მუხლები მოყვანილია საქართველოს სსრ სისხ. სამართ. კოდექსის თანახმად.

5) ყალბი ლიცენზიის ფულისა, სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სელობის სახით გაკეთებისა და გასაღების შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 58[22] მუხ.);

6) კვალიფიციური კონტრაბანდის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 58[14] მუხ.);

7) ჯგუფის მიერ ურთიერთ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ხელისუფლების ორგანოებისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევით ბეგარის, დავალების ან სამუშაოს ჩატარების დროს ბეგრის მოხდაზე და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დავალების თუ სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 61 მუხ. 3 ნაწ.);

8) ხელისუფლებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ისეთი გადამეტების შესახებ, რასაც თან სდევდა ძალადობა ან იარაღის ხმარება, ან დაზარალებულის განსაკუთრებით დატანჯვა და მისი პირადი ღირსების შეურაცხყოფა (სისხ. სამ. კოდ. 115 მუხ. 2 ნაწ.);

9) ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა, ხელისუფლების გადაჭეტების ან უმოქმედობისა და სამსახურებრივი მოვალეობის უგულველყოფილების შესახებ, უკეთუ ამას შედეგად მოჰყვა მმართველობის იმ ცენტრალური აპარატის მოშლა და რღვევა, რომელსაც თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, ან წარმოების, მომარაგების, განაწილების, ვაჭრობის, კრედიტის, ან ტრანსპორტის ასეთივე სამეურნეო აპარატის მოქმედების მოშლა და რღვევა (სისხ. სამ. კოდ. 118 მუხ. 1 ნაწ.);

10) განსაკუთრებული უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ და აგრეთვე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფასეულობის მითვისების ან გაფლანგვის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 122 მუხ. 2 ნაწ.);

11) თანამდებობრივი პირის მიერ დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის აღების შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 123 მუხ. 2 ნაწ.);

12) ბრძოლის პირობებში ჩადენილ ან წითელი არმიისა და ფლოტის მომარაგებასთან დაკავშირებულ სამეურნეო დანაშაულის შესახებ, რასაც შეეძლო ემოქმედნა არმიისა და ფლოტის ბრძოლის უნარზე (სისხ. სამ. კოდ. 138 მუხ.);

13) დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 144 მუხ.);

14) ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურების შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 170 მუხ. 2 ნაწ.);

15) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკავებიდან ნასესხები ქურდობისა და აგრეთვე მასხვილფეხა საქონლის ქურდობის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 177 მუხ. „გ" და „ზ" პუნქტები);

16) დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გაძარცვის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 180 მუხ. 2, 3 და 4 ნაწ.);

17) ყაჩაღობის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 181 მუხ.);

18) ცეცხლის წაკიდებათა შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 194 მუხ. 2 და 3 ნაწ.);

19) ჯაშუშობისა და მოროდიერობის შესახებ (სამხედრო დანაშაულთა შესახებ დებულების 24, 27, 28 მუხ. მუხ.)—აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება შეფარდებულ იქნას მარტოოდენ იმ მოტივით, რომ ჩადენილი დანაშაული საზოგადოებრივად საშიშია.

აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევისას გამომძიებელი მოვალეა თავისი დადგენილების ასლი გაუგზავნოს საპატიმრო ადგილს და გამომძიების მეთვალყურე პროკურორს.

იმავე დროს გამომძიებელმა ზემდგომი პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება დაწესებული ფორმით (იხ. 59 გვ.).

ბრალდებულის ორ თვეზე მეტხანს პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა მიიღოს ვადის გაგრძელება ზემდგომი პროკურორისაგან, რისთვისაც ამის შესახებ თავის დროზე უნდა აღძრას შუამდგომლობა ამ წიგნის II განყოფილების მე-3 თავში მოყვანილი წესისამებრ.

აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა

გამოკვლევის დამთავრებისას გამომძიებელი ყოველთვის ვალდებულია იმსჯელოს ბრალდებულის მიმართ ადრე არჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობის საკითხის შესახებ. ხშირად საკითხი ბრალდებულის მი-

მართ ადრე არჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან თუნდაც გაუქმების შესახებ, შეიძლება წამოიჭრას ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას, უკეთუ მოხსნილია ის საფუძვლები, რომელთა მიხედვით არჩეული იყო მოცემული აღმკვეთი ღონისძიება.

- დადგენილება აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით.

დადგენილება

194 წ. . . . . „ . . . . " ქ. . . . . ოლქის (რესპუბლიკის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამოძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი), გვარი), განვიხილე საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) და, მივიღე რა მხედველობაში, რომ ამ საქმეზე ბრალდებულის სისხ. სამ. კოდ. . . . . მუხ. მოქ. . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად არჩეული იყო . . . . . (ადრე არჩეული აღმკვეთი ღონისძიების დასახელება), რაც ამჟამად . . . . . (ადრე არჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოტივირება), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 46 მუხლით,

- დავადგინე:

მოქ. . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) მიმართ მიღებული აღმკვეთი ღონისძიება შეიცვალოს . . . . . (ახლად არჩეული აღმკვეთი ღონისძიების დასახელება), რის შესახებაც გამოეცხადოს მას.

სახალხო გამომძიებელი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დადგენილება გამომეცხადა 194 წ. .
(ბრალდებულის ხელისმოწერა)

იმ აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებისა ან შეცვლისას, რაც ადრე პროკურორის წინადადებით იყო არჩეული, გამომძიებელი მოვალეა წინასწარ მიიღოს პროკურორის სანქცია.

4. თანამდებობიდან გადაყენება

ზოგადი დებულებანი

თანამდებობიდან გადაყენება, როგორც იძულებითი ხასიათის ღონისძიება, შეიძლება შეფარდებულ იქნას გამომძიებლის

შიერ მხოლოდ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ თანამდებობის პირის მიმართ.

დროებითი წესების 42 მუხლის თანახმად, გამომძიებელი მოვალეა თანამდებობის პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას გადასწყვიტოს საკითხი—გადაყენებულ იქნას თუ არა ბრალდებული თანამდებობიდან გამოძიების დროის განმავლობაში, და თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს იმ დაწესებულებას, სადაც ბრალდებული მსახურობს.

თანამდებობიდან გადაყენებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა გამომძიებელს მოეპოვება საკმაო მონაცემები ამ ღონისძიების შესაფარდებლად.

პროცესუალური გაფორმება

თანამდებობიდან გადაყენება უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედგენილი შემდეგი ფორმის დადგენილებით:

დადგენილება

194 წ. . „. . . . ქ. . . .
ოლქის (რესპუბლიკის) . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე რა საქმე № . . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა, რის მიხედვით მოქ. . . . (ბრალდებულის თანამდებობა და გვარი) მიცემულია პასუხისგებაში ბრალდებულის სახით სისხ. სამ. კოდ. მუხ. და, მივიღე რა მხედველობაში, რომ . . . . (თანამდებობიდან გადაყენების საჭიროების მოტივირება), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 42 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოქ. . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) გადაყენებულ იქნას მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან . . . . . (თანამდებობის აღნიშვნა) გამოძიების დროს განმავლობაში.

ამ დადგენილების ასლი გაეგზავნოს (მოცემული ორგანიზაციის, დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის დასახელება).

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

5. სამოქალაქო სარჩელის ცნობა

ზოგადი დებულებანი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 14, 15 და 16 მუხლების შესაბამისად, იმ დაზარალებულს, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედობისაგან ვნება და ზარალი მოუვიდა, უფლება აქვს წარუდგინოს ბრალდებულს და იმ პირებს, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელი არიან ბრალდებულის მოქმედებისათვის, სამოქალაქო სარჩელი; ეს სარჩელი განხილულ უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

სამოქალაქო სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნას როგორც სისხლის სამართლის საქმის დაწყებისა და წინასწარი გამოძიების დროს, ისე შემდეგაც, მაგრამ სამსჯავრო გამოძიების დაწყებამდე—კი.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრული სამოქალაქო სარჩელი თავისუფლდება ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

დროებითი წესების 12 მუხლის ამ მოთხოვნების შესაბამისად, დაზარალებულისათვის ვნებისა და ზარალის მიყენების შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა პირადად განუმარტოს დაზარალებულს, რომ მას უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმეზე აღძრას სამოქალაქო სარჩელი, და შეადგინოს ამის შესახებ ოქმი, ან წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ დაზარალებულს.

ყველა შემთხვევაში, როცა დროებითი წესების 13 მუხლის წესისამებრ გამომძიებელი მიიღებს დაზარალებულის შუამდგომლობას მი'ი სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის შესახებ, გამომძიებელი მოვალეა განიხილოს ეს შუამდგომლობა და

შეადგინოს მოტივირებული დადგენილება დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის შესახებ, ან მისთვის აბაზე უარის თქმის შესახებ[1].

პროცესუალური გაფორმება

დაზარალებულისათვის სამოქალაქო სარჩელის წარდგენაზე მისი უფლების განმარტების შემდეგ, გამომძიებელმა უნდა გააფორმოს შემდეგი ფორმით შედგენილი ოქმით:

ოქმი

194 წ. . . . . ქ. . . ოლქის (რეს-
პუბლიკის) რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომ-
ძიებელმა (საკლასო ხარისხი, გვარი), ვეფოვი რა საქმე
№ . . . . . შესახებ (საქმის დასახელება)
მასალიდან, რომ მოქ. . . . (დაზარალებულის სახელი, მამის
სახელი და გვარი) ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ მოქ.
. . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) და-
ნაშაულებრივი მოქმედების შედეგად მიყენებული აქვს ვნება და ზარალი,
დროებითი წესების 12 მუხლის შესაბამისად განვუმარტე დაზარალებულ
მოქ. . . . . (გვარი), რომ მას უფლება აქვს სისხლის სამართ-
ლის საქმეზე აღძრას სამოქალაქო სარჩელი, განვუმარტე აგრეთვე სარჩე-
ლის გაფორმების წესი.

ოქმი წაკითხულია. ჩაწერილია სწორად.

დაზარალებულის ხელისმოწერა .

სასალხო გამომძიებელი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

---

[1] დედანში ამ ადგილას მითითებულია რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 120 მუხლზე. თუმცა საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობით (დროებითი წესებით) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობისა ან ამაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებული დადგენილების შედგენა პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამ წესის დაცვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამომძიებელთათვის სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული; ხოლო დროებითი წესების 13 მუხლის მოთხოვნა დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობისა, ან ამაზე უარის თქმის შემთხვევაში გამომძიებლის მიერ განცხადებაზე ან დაკითხვის ოქმზე რეზოლუციის სახით წარწერის შესახებ, მოძველებულად და ფაქტიურად ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

გამომძიებლის მიერ სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის შესახებ დაზარალებულის შუამდგომლობის განხილვის შედეგი გაფორმებულ უნდა იქნას შემდეგი ფორმით შედგენილი დადგენილებით:

დადგენილება

194 წ. . „ . „ ქ. . . ოლქის (რესპუბლიკის) . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე საქმე № შესახებ (საქმის დასახელება) შემოსული მოქ. . . . . (დაზარალებულის სახელი, მამის სახელი და გვარი, ან ორგანიზაციის დასახელება) შუამდგომლობა ამ საქმეზე მისი სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის შესახებ, და, მივიღე რა ხელფელობაში . . . . (გადმოიცემა შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის მოტივირება). ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 13 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

. . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი, ან ორგანიზაციის დასახელება) ვიცნო ამ საქმეზე სამოქალაქო მოსარჩლედ.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ დადგენილების დაბოლოება გადმოცემულ იქნება შემდეგნაირად:

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

. . . . (სახელი, მამის სახელი, გვარი, ან ორგანიზაციის დასახელება) შუამდგომლობაზე მის ამ საქმეზე სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის შესახებ უარი ეთქვას.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

6. ძონებაზე ყადაღის დადება

ზოგადი დებულებანი

გამომძიებელი ქონებას ყადაღას დაადებს იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ამ ღონისძიების მიუღებლობას შეუძლია მოუსპოს დაზარალებულს მისთვის მიყენებული ვნებისა და ზარალის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა;

ბ) დაზარალებულს მიყენებული აქვს ვნება ან ზარალი და არის საფუძველი იმისა, რომ წარმოდგენილ იქნება სამოქალაქო სარჩელი;

3) ხსენებული პირი მიცემულია პასუხისგებაში ბრალდებაზე ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ისჯება ქონების კონფისკაციით. ამ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადებამ უნდა უზრუნველჰყოს ქონების კონფისკაციის შესახებ მოსალოდნელი განაჩენის აღსრულება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 14 და 15 მუხ. მუხ. და დროებითი წესების 12 და 14 მუხ. მუხ. შესაბამისად, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ ბრალდებულთა ქონებას. ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წ. 16 თებერვლის დადგენილებით სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-მტაცებლობათა საქმეების მიმართ. ამ საქმეებზე ყადაღა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ქონებას გამომძიებლის მიერ უნდა დაედოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას, ე. ი. ვისმეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.

სსრ კავშირის პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის მიერ 1939 წ. 28 თებერვალს გამოცემულ № 49/I—A 21 ინსტრუქციაში სამომხმარებლო კოოპერაციასა და სახვაჭრობის სისტემაში ჩადენილი გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეთა გამოძიებისა და განხილვის შესახებ, ნათქვამია:

„გამოკვლევის ორგანოები გაფლანგვისა ან მტაცებლობის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად ვალდებულნი არიან სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის წესით, სსრ კავშირის ცაკის 1927 წ. 10 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1927 წ. № 51, მუხ. 507), წინასწარი ყადაღა დაადონ დამნაშავეთა მთელ ქონებას გამოუკლებლივ, მათი ოჯახის წევრთა ქონებას და ყველა იმ სხვა პირის ქონებას, ვის მიმართაც დადგენილი იქნება, რომ სარგებლობდა გაფლანგული და გატაცებული სახსრებით.

გამოკვლევის ორგანოები ვალდებულნი არიან გადამწყვეტი ზომები მიიღონ კოოპერაციული საკუთრების მიმალული მტაცებლებისა და მათი ქონების, მათი ოჯახის წევრებისა და სხვა იმ პირთა ქონების ადგილსამყოფელის მოსანახავად, რომლებიც სარგებლობდნენ გაფლანგული ან გატაცებული სახსრებით, რათა ამ ქონებაზე წინასწარი ყადაღის დადებით უზრუნველყოფილ იქნას კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გამოკვლევის ორგანოები მოვალენი არიან ყოველ საქმეზე არაუგვიანეს 3 დღისა შეატყობინონ დაინტერესებულ კოოპერაციულ ორგანიზაციებს მათი სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობისა ან ამაზე უარის თქმის შესახებ, საქმის სასამართლოში გადაცემისა, ან ამ საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ და სხვა.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე ქონებაზე ყადაღა შეიძლება დადებულ იქნას აგრეთვე სამრეწველო და სასურსათო ბარათებით ბოროტმოქმედებათა, მომხმარებლების ზომა-წონაში მოტყუების, სასურსათო და სამრეწველო საქონლის განიავების, აგრეთვე სპეკულაციის საქმეებზე.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, ან ქონების კონფისკაციის შესახებ მოსალოდნელი განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად ყადაღა უნდა დაედოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ან მოცემული დანაშაულის ჩადენაში სხვა ეპვმიტანილ პირთა ქონებას.

ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გამომძიებლის მიერ ზომების თავის დროზე მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, დანაშაულობასთან ბრძოლის, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის სწორი ორგანიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის პროკურორისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის სპეციალური განკარგულებით დაწესებულია, რომ საქმეები სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და განიავების შესახებ, გამომძიებლის მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართ-

ლოს მიერ განსახილველად არ მიიღება და დაბრუნებულ იქ-ნება წინასწარი გამოძიების სტადიაში ყველა ზომის მისაღებად ბრალდებულთა დანაშაულებრივი ქმედობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

გამოკვლევის წარმოებისას სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და განიავების და სხვა ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებითაც დაზარალებულს მიყენებული აქვს მატერიალური ზიანი, თვითეული გამომძიებლის პირდაპირი მოვალეობაა ყველა შესაძლებელი ზომა მიიღოს, რათა მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ამ მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ამ მიზნით გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები ბრალდებულთა კუთვნილი მთელი ქონების აღმოსაჩენად, სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა შეადგენდეს ეს ქონება. მთელ რიგ შემთხვევებში ამისათვის გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს გულდასმითი გაჩხრეკები როგორც ბრალდებულებთან, ისე სხვა პირებთანაც, რომლებთანაც შესაძლებელია გადამალული იყოს ან შესანახად იმყოფებოდეს ბრალდებულთა კუთვნილი ქონება.

ბრალდებულის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებისას, გამომძიებელმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებისა და სსრ კავშირის პროკურატურის და იუსტიციის სახკომის მითითებათა შესაბამისად, სამრეწველო საქონლის დანაკლისის შეფასება უნდა აწარმოოს მოცემული სამრეწველო საქონლისათვის დაწესებული კომერციული ფასების ხუთმაგი რაოდენობით, ხოლო ისეთ საქონელზე, რომელზეც კომერციული ფასები არ არის,—ამ სამრეწველო საქონლის ნორმირებული ფასების 12,5-მაგი რაოდენობით. სასურსათო საქონლის გატაცებით ან დანაკლისით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოანგარიშება უნდა სწარმოებდეს ამ საქონლის საბაზრო ფასებით. ამისათვის გამომძიებელმა ვაჭრობის განყოფილებიდან ან საბაზრო კომიტეტიდან უნდა მიიღოს ოფიციალური ცნობა ამა თუ იმ სასურსათო საქონლის საბაზრო ფასების შესახებ და დაურთოს ეს ცნობა საქმეს. ყადაღადადებული ქონების საერთო ღირებულებამ უნდა უზრუნველჰყოს ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება ზემოთ მოყვანილ მითითებათა შესაბამისად გამოანგარიშებით.

ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა ქონებაზე ყადაღის დადების სახით, უნდა გაფორმდეს გამომძიებლის შესაბამისი დადგენილებით, რაც შედგენილ იქნება შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . . . . „ . . " ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა (საკლასო ხარისხი) . . . (გვარი), განვიხილე საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა და გავითვალისწინე რა, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ მოქ. . . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად . . . (ორგანიზაციის ან დაზარალებული პირის დასახელება) მიყენებული აქვს მატერიალური ზიანი, განცხადებული (მოსალოდნელი) სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 13 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

დაედოს ყადაღა მოქ. . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) ქონებას სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა შეადგენდეს ეს ქონება . . მან. საერთო ჯამით.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევებში დადგენილება უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . „ . . " ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . (საკლასო ხარისხი) . . . . (გვარი), განვიხილე რა საქმე № . . . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა და გავითვალისწინე რა, რომ მოქ. . . . . (ბრალდებულის გვარი) მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხ. სამ. კოდ. . . . მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია, ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის შიზნით, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 14 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

დაედოს ყადაღა მოქ. . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) ქონებას სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა შეადგენდეს ეს ქონება.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ქონების ჩამორთმევა, შენახვა და ჩაბარება

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1943 წ. 17 ნოემბრის №90/86 ინსტრუქციის („საგამომძიებლო ორგანოთა და სასამართლოთა მიერ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, ფასეულობისა და სხვა ქონების ჩამორთმევის, შენახვისა და ჩაბარების წესის შესახებ") მოთხოვნათა შესაბამისად, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებსა და კერძო ბრუნვიდან ამოღებულ საგნებს გარდა, გამომძიებელმა მიღებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ან ქონების კონფისკაციის შესახებ განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადებისას უნდა ჩამოართვას: ფასეულობანი და ფასიანი ქაღალდები, შემნახველი სალაროს წიგნაკები, ფულადი თანხები და განსაკუთრებით ძვირფასი ქონება.

ყველა დანარჩენი აღწერილი ქონება, როგორც წესი, უნდა ჩაბარდეს შესანახად ქონების მფლობელის ოჯახის წევრებს, ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ან სახლმმართველობას. ამასთანავე გამომძიებელმა უნდა უზრუნველჰყოს აღწერილი და შესანახად ჩაბარებული ქონების დაცულობა, განსაკუთრებულ საცავებში (კარადები, კამოდები, სკივრები და სხვა) მისი მოთავსებით და ამ საცავების დაბეჭდვით.

ადგილზე შესანახად დატოვების შეუძლებლობისას, აღწერილი ქონება ჩამორთმეულ უნდა იქნას და შესანახად ჩაბარდეს სავაჭრო ორგანიზაციების გამოყოფილ ბაზებს.

ქონების აღწერა ყველა შემთხვევაში უნდა სწარმოებდეს ბრალდებულთა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამომძიებლის სპეციალური დადგენილების საფუძველზე.

გაჩხრეკების, ამორკვევისა და ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადებისას ჩამორთმეული და, აგრეთვე, უშუალოდ გა-

მომძიებლის კამერაში წარდგენილი საბუთები, ფასეულობანი, სხვადასხვა საგნები დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაბეჭდილი გამომძიებლის მიერ. ბეჭედი დადებული უნდა იყოს იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს დაბეჭდილი საგნების სხვა საგნებით შეცვლა ბეჭედის დაუზიანებლად. დაბეჭდვის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნას შედგენილ ოქმში.

ფასეულობათა ჩამორთმევა, შენახვა და გადაცემა

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის ზემოთმოყვანილი ინსტრუქციის საფუძველზე ძვირფასი ლითონების (ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები ყოველგვარი სახისა), ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის, იმ ნაკეთობათა და საგნების, რომლებშიაც არის ძვირფასი ლითონები, ქვები და მარგალიტი, და აგრეთვე რევოლუციამდელი რუსული ლითონის ფულის ჩამორთმევისას ოქმში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული ფასეულობათა დასახელება, მათი ინდივიდუალური თავისებურებანი, განმასხვავებელი ნიშნები და, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, ზომა, წონა ან მოცულობა.

პროკურატურის ორგანოში ფასეულობის მიტანიდან არაუგვიანეს ერთი დღეღამის ვადისა, გამომძიებელი მოვალეა ჩამორთმევის ოქმზე ხელისმომწერ თანამოწმეთა და ექსპერტის თანადასწრებით გახსნას დაბეჭდილი შეკვრა და მოახდინოს დაწვრილებითი დათვალიერება, ამის შესახებ ოქმის შედგენით.

ამ ოქმში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს ფასეულობათა დასახელება, განმასხვავებელი ნიშნები, ზომა, წონა, მოცულობა, ღირებულება.

ლითონის (ოქრო, ვერცხლი და სხვა) განსაზღვრა სწარმოებს მათზე არსებული სინჯით, ან სპეციალისტის დასკვნით. ასევე მხოლოდ სპეციალისტების დასკვნით სწარმოებს ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის განსაზღვრა. სხვა შემთხვევებში ოქმებში უნდა აღინიშნოს მხოლოდ ლითონისა და ქვების ფერი.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ ფასეულობანი დაბეჭდილი შეკვრებით (ამანათებით) უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო

ბანკის ადგილობრივ განყოფილებას სსრ კავშირის ფინსახკომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1938 წ. 2 ოქტომბრის № 165/553 ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

ჩამორთმეული უცხოეთის ვალუტა ბანკნოტებად და მონეტებად და, აგრეთვე, უცხოეთის ვალუტით გამოხატული „ჩეკები“ და სხვა ფულადი დოკუმენტები (აქციები, უცხოეთის დაწესებულებათა ობლიგაციები), ფულადი ნიშნები საბჭოთა ვალუტით და სსრ კავშირის სახელმწიფო სესხების ობლიგაციები — სათანადო დათვალიერების შემდეგ, ერთი დღეღამის ვადაში, უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას (სსრ კავშირის ფინსახკომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის იმავე ინსტრუქციის თანახმად).

ჩამორთმეულ ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების მფლობელისათვის დაბრუნების საჭიროების შემთხვევაში, დაბრუნება მოხდება გამომძიებლის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას პროკურორის მიერ, ან სასამართლოს დადგენილებით, გარდა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ჯგუფის ლითონებისა ზოდებად ან ნედლი სახით, რევოლუციამდელი რუსული ლითონის ფულისა და უცხოეთის ვალუტისა, რომელთა ღირებულებას სახელმწიფო ბანკი უბრუნებს სსრ კავშირის ფინსახკომის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1938 წ. 2 ოქტომბრის № 165/553 ინსტრუქციის საფუძველზე.

სურსათისა და სამრეწველო საქონლის ჩამორთმევა, შენახვა და ჩაბარება

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის იუსტიციის სახკომის იმავე ინსტრუქციის შესაბამისად, საქმეზე სურსათისა და სამრეწველო საქონლის ჩამორთმევისას, გაჩხრეკის, ამორკვევის ან აღწერის ოქმში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული:

ა) სასურსათო საქონლის დასახელება, წონა და რაოდენობა, რა მდგომარეობაში და ტარაში იმყოფება და, შეძლებისდაგვარად, მისი ხარისხი;

ბ) ჩამორთმეული სამრეწველო საქონლის ან ტანსაცმლის დასახელება, რაოდენობა, ზომა (სიგრძე, სიგანე), თვისება, ხარისხი და მდგომარეობა.

საპიროების შემთხვევაში, სურსათისა და სამრეწველო საქონლის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად, მათი ჩამორთმევის ადგილზე მოწვეულ უნდა იქნან სათანადო მცოდნე პირები.

ჩამორთმეული სურსათი და სამრეწველო საქონელი, მათ შორის ხმარებაში ნამყოფი, მათი ჩამორთმევისთანავე დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს შესანახად სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირისა და რსფსრ „ცენტროსოიუზის“ მიერ 1944 წ. 19 მაისს გამოცემული № 0155/0075 ინსტრუქციის შესაბამისად („ადგილობრივ ვაჭრობათა და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო საწარმოებში გამოკვლევისა და სასამართლო ორგანოებიდან მიღებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიღების, შენახვის და რეალიზაციის წესის შესახებ“), სათანადო სავაჭრო განყოფილებათა მიერ ყოველ ქალაქსა და რაიონში გამოყოფილ სავაჭრო საწარმოს.

სურსათი და სამრეწველო საქონელი სავაჭრო საწარმოსათვის ჩაბარებისას აუცილებლად უნდა ასწონოს და დასთვალოს მისმა წარმომადგენელმა.

სავაჭრო საწარმოსაგან გამომძიებელმა უნდა მიიღოს მტკიცე ანგარიშგების სათანადო ქვითარი საქმეზე დასართავად.

სავაჭრო საწარმოსათვის შესანახად ჩაბარებული სურსათისა და სამრეწველო საქონლის რეალიზაცია სწარმოებს სსრ კავშირის ვაჭრობის სახკომატისა და „ცენტროსოიუზის“ ინსტრუქციის შესაბამისად.

სამრეწველო საქონლის რეალიზაციას, უკეთუ ეს საქონელი მფლობელისათვის დასაბრუნებელი არ არის, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ან საქმის მოსპობის შემთხვევაში, პროკურორის წერილობითი წინადადებით, ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

იმ შემთხვევებში, როცა ჩამორთმეული სურსათი და სამრეწველო საქონელი უნდა დაუბრუნდეს მათ მფლობელს, დაბრუ-

ნება მოხდება გამომძიებლის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას პროკურორის მიერ, ან სასამართლოს დადგენილებით.

სავაჭრო საწარმო ვალდებულია შესანახად ჩაბარებული სურსათი და სამრეწველო საქონელი დაუბრუნოს ნატურით. უკვე რეალიზებულ სურსათის ნაცვლად შესაძლოა გაცემულ იქნას მისი შემცვლელი.

ჩამორთმეული ქონების აღრიცხვა

ყადაღის დადებისას ჩამორთმეული ფასეულობანი ან სხვა ქონება ჩაწერილ უნდა იქნას ყოველ პროკურატურაში არსებულ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების და ბრალდებულთათვის ჩამორთმეულ სხვა ფასეულობათა და საგნების აღრიცხვის წიგნში.

აღრიცხვის წესი გადმოცემულია III განყოფილების მე-5 თავში (გვ. 189—190).

7. წინასწარი გამოძიების დამთავრება

მნიშვნელობა და წესი

გამოკვლევის დამთავრებისას გამომძიებელი მოვალეა, დროებითი წესების 57 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოუცხადოს ბრალდებულებს გამოკვლევის დამთავრების შესახებ, გააცნოს მათ საქმის ყველა მასალა და განუმარტოს მათი უფლება გამოკვლევის შევსების შესახებ შუამდგომლობის აღძვრაზე. კანონის ეს მოთხოვნა უზრუნველჰყოფს ბრალდებულთათვის მათს უფლებას დაცვაზე, უფლებას გაეცნონ გამომძიებლის მიერ შეკრებილ ყველა დამამტკიცებელ საბუთს, წამოაყენონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი და შუამდგომლობანი დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების გაჭოთხოვნის შესახებ.

ამ საგამომძიებლო მოქმედების განუხრელად და გულდასმით შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით გამომძიებლისთვისაც, რადგან იგი ამ გზით ერთგვარად ახდენს მის მიერ საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების კეთილხარისხოვნობის, გამოკვლევის სისრულისა და ყოველმხრივობის უკა-

ნასკნელ შემოწმებას. ამიტომ გამომძიებელი თვითონვე უნდა იყოს დაინტერესებული ბრალდებულთათვის საქმეზე შეკრებილი ყველა დამამტკიცებელი საბუთის რაც. შეიძლება სრული და დეტალური გაცნობით. მხოლოდ ამის შეუსმენლობით შეიძლება აიხსნას ცალკეულ გამომძიებელთა მიერ დროებითი წესების 57 მუხლის წმინდა ფორმალური შესრულება, რაც ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება.

ამ საპროცესო მოქმედების განსაკუთრებული მნიშვნელობა ხაზგასმული იყო სასამართლო და პროკურატურის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებებში და სსრ კავშირის პროკურატურის 1934 წ. 13 აგვისტოს ცირკულარულ წერილში. ამ წერილში ნათქვამია:

„გამოკვლევის პრაქტიკა თითქმის სრულიად არ იცნობს კანონით მოთხოვნილ (ნამდვილ და არა ფორმალურ) დამთავრებული გამოძიების მასალის წარდგენას ბრალდებულისათვის (რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 206 მუხ., ფსსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 200 მუხ., ბსსრ და სომხეთის სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 207 მუხ., აზერ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 204 მუხ., თურქმ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 186 მუხ., უზბ. სსრ და ტაჯ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 60 მუხ. და საქ. სსრ დროებითი წესების 57 მუხ.), მაშინ როცა ეს საპროცესო წესი, უზრუნველჰყოფს რა გამოკვლევის მაქსიმალურ სისრულეს და ობიექტურობას, იმავე დროს იცავს ბრალდებულის უფლებებს და ხშირად დაიხსნის ხოლმე სასამართლოს საქმის დამატებითი გამოძიებისათვის წარმართვისა, ან თუნდაც საქმის სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მოსპობის საჭიროებისაგან.

ამის გამო წინადადებას გაძლევთ, უზრუნველჰყოთ მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპროცესო კოდექსების ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა ზუსტი და განუხრელი დაცვა დამთავრებული გამოძიების მასალის წარდგენისა და სათანადო შემთხვევაში მისი შემდგომი შევსების შესახებ“.

მასალის გაცნობისას ბრალდებული ვადით შეზღუდული არ არის და შეუძლია მას ეცნობოდეს იმდენხანს, რამდენსაც საჭიროდ ჩასთვლის.

თუმცა, გამოძიების გახანგრძლივების მიზნით ბრალდებულის მხრივ ამ უფლების აშკარად ბოროტად გამოყენებისას, გამომძიებელს შეუძლია ამის შესახებ შეადგინოს განსაკუთრებული ოქმი და, საქმის მოცულობისა და ბრალდებულის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, დააწესოს საქმის გაცნობისათვის სავსებით საკმარისი ვადა.

გამომძიებელი მოვალეა წერა-კითხვის უცოდინარ ბრალდებულს თვითონ გააცნოს საქმე, წაუკითხოს და განუმარტოს ყველა საგამომძიებლო აქტის მნიშვნელობა.

პროცესუალური გაფორმება

ეს საგამომძიებლო მოქმედება უნდა ფორმდებოდეს შემდეგი ფორმის ოქმით:

ო ქ მ ი

194 წ. . . . „ . " ქ. . . რესპუბლიკის (ოლქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), ვსცანი რა წინასწარი გამოძიება საქმე № . . . . შესახებ (საქმის დასახელება) დამთავრებულად, დროებითი წესების 57 მუხლის შესაბამისად, განვუცხადე ამის შესახებ ბრალდებულს . . . . (ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი) და განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის ყველა მასალას და აღძრას შუამდგომლობა გამოკვლევის შევსების შესახებ.

ბრალდებული . . . . (გვარი), გაეცნო რა საქმის ყველა მასალას, შემდგარს . . . . ტომისაგან . . . . . ფურცელზე . საათიდან . . . . საათამდე პერიოდში, განაცხადა . . . . . (ჩაიწერება ბრალდებულის განცხადება ან შუამდგომლობა)

ოქმი წაკითხულია, ჩაწერილია სწორად.

ბრალდებულის ხელისმოწერა

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ბრალდებულის შუამდგომლობათა განხილვა

მას შემდეგ, როცა ბრალდებული გაეცნობა გამოძიების მასალას, იგი ხელს მოაწერს გამოძიების დამთავრების შესახებ მისთვის გამოცხადების ოქმს. ამასთან ბრალდებულს შეუძლია აღძრას შუამდგომლობა ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების

ჩატარების შესახებ. ეს შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნას გამომძიებლის მიერ, და შეიძლება დაკმაყოფილებულ ან უარყოფილ იქნას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ განცხადებულ შუამდგომლობაზე გამომძიებელი უარს ეტყვის, ამის გამო გამოტანილი უნდა იქნას მოტივირებული დადგენილება, რომელიც უნდა გამოეცხადოს ბრალდებულს ხელწერილქვეშ.

ასეთი დადგენილება უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება:

194 წ. . . . . ." ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) ბრალდებულ . . . . . საგან (სახელი, მამის სახელი და გვარი) შემოსული შუამდგომლობა, განცხადებული მის მიერ დროებითი წესების 57 მუხლის წესისამებრ საქმის ყველა მასალის გაცნობის შემდეგ და, მივიღე რა მხედველობაში, რომ . . . . . (ბრალდებულის მიერ განცხადებულ თვითეულ შუამდგომლობაზე დაწვრილებითი მოტივირება, თუ რატომ სთვლის გამომძიებელი საჭიროდ უარი უთხრას მათ დაკმაყოფილებაზე), დროებითი წესების 11 მუხ. მეორე აბზაცის საფუძველზე[1].

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ბრალდებულ . . . . . (გვარი) მის მიერ აღძრულ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

დადგენილება გამომეცხადა 194 წ. . . .

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ს ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა .

---

[1] დედანში ამ ადგილას მითითებაა რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 114 მუხლზე. თუმცა საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობით (დროებით წესებით) ბრალდებულის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ გამომკვლევის მიერ მოტივირებული დადგენილების შედგენა პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამ წესის დაცვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამომკვლევთათვის სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული; ხოლო დროებითი წესების 11 მუხ. მეორე აბზაცის მოთხოვნა ბრალდებულის შუამდგომლობაზე უარის თქმის, განცხადებაზე ან დაკითხვის ოქმზე უარის საფუძვლის დასახელების რეზოლუციის სახით აღნიშვნის შესახებ—მოძველებულად და ფაქტიურად ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ბრალდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა შეასრულოს სათანადო საჭირო საგამომძიებლო მოქმედებანი, რის შემდეგაც ბრალდებულს უნდა გააცნოს დამატებით შეკრებილი მასალა, ზემოთმოყვანილ ფორმასთან შეფარდებული ოქმის შედგენით.

ყოველმა გამომძიებელმა მტკიცედ უნდა შეითვისოს, რომ მის მიერ დროებითი წესების 57 მუხლის დარღვევის ყველა შემთხვევაში სასამართლო საქმეს აუცილებლად დააბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის.

8. საბრალმდებლო დასკვნა

დოკუმენტის მნიშვნელობა

საბრალმდებლო დასკვნის შედგენა ფრიად საპასუხისმგებლო მომენტია გამომძიებლის მუშაობაში.

საბრალმდებლო დასკვნის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ხაზგასმულია სსრ კავშირის პროკურატურის 1934 წ. 13 აგვისტოს ცირკულარულ წერილში, რომელშიაც მოცემულია მთელი რიგი სახელმძღვანელო მითითებანი საბრალმდებლო დასკვნის შედგენის შესახებ:

„საბრალმდებლო დასკვნით მთავრდება მთელი გამოკვლევა, ჯამდება მისი შედეგები. ამ დოკუმენტის დიდი მნიშვნელობა ჩვენს პროცესში განსაკუთრებულ მტკიცებას არ მოითხოვს.

თვითეული გამომძიებელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საბრალმდებლო დასკვნა წარმოადგენს არა მხოლოდ გამოკვლევის შედეგების ამსახველ უმნიშვნელოვანეს საგამომძიებლო აქტს, არამედ სასამართლოში გამოსაქვეყნებელ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტსაც“.

საგამომძიებლო პრაქტიკის ძირითადი დეფექტები

გამომძიებლების მიერ შედგენილი საბრალმდებლო დასკვნების ერთ-ერთი ნაკლია მათი არაკონკრეტულობა, საქმეზე დადგენილი ფაქტების გადმოცემის ბუნდოვანება, საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების ანალიზის უაღრესი არასაკმარისობა, ხოლო ზოგჯერ—სრულიად არარსებობა.

საქმის გარემოებათა გადმოცემა ხდება დაუდევრად და გაურკვევლად, აგრეთვე არა ყოველთვის გამოკვლევის მასალის შესაბამისად. ხშირად საბრალმდებლო დასკვნების ავტორები სრულიად გვერდს უვლიან ბრალდებულთა მიერ თავის გასამართლებლად წამოყენებულ ახსნა-განმარტებებს, საბრალმდებლო მოსაზრებების დამაჯერებლობისა და ბრალდების მთლიანი აგების სისწორის თვალსაზრისით ანალიზს არ უკეთებენ სერიოზული მნიშვნელობის მქონე, საქმის სათანადო მასალას.

ასეთი ხარვეზი არა მხოლოდ ამცირებს საბრალმდებლო დასკვნის ღირებულებას, არამედ ხშირად სრულიად მიუღებლად ხდის მას.

მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით დიდ საქმეებზე, საბრალმდებლო დასკვნა საქმიანი, შეკუმშული, მაგრამ დანაშაულის გარემოებათა ძირითადი მომენტების ამომწურავი გადმოცემის ნაცვლად, შეიცავს სხვადასხვა სახის ზოგად მსჯელობას, რომელსაც ზოგჯერ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩადენილ დანაშაულთან.

საბრალმდებლო დასკვნის შინაარსი

საბრალმდებლო დასკვნა აგებული უნდა იყოს მოფიქრებულად და დამაჯერებლად.

საბრალმდებლო დასკვნა ყოველ საქმეზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1) იგი უნდა შესდგებოდეს აღწერილობითი და რეზოლუტური ნაწილებისაგან;

2) აღწერილობით ნაწილში მოკლედ, მაგრამ კონკრეტულად, თანმიმდევრობით და ნათლად გადმოცემული უნდა იყოს საქმის არსი და საქმეში არსებული დამამტკიცებელი საბუთების ანალიზით დადასტურებული წარდგენილ ბრალდებათა მთელი ერთობლიობა, საქმის შესაბამის ფურცლებზე მითითებით.

საბრალმდებლო დასკვნის ეს ნაწილი უნდა წარმოადგენდეს საქმის გარემოებათა დალაგებულ გადმოცემას, როგორც ისინი დადგენილია გამოკვლევით, ბრალდებული როგორც მამხილებელი, აგრეთვე გამამართლებელი დამამტკიცებელი საბუთების

მოყვანით. საბრალმდებლო დასკვნის გადმოცემა ამ ნაწილში უნდა იყოს ისეთი, რომ რეზოლუტური ნაწილი ბრალდების ფორმულირებით, წარმოადგენდეს აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარე, მტკიცედ დასაბუთებულ ლოგიკურ დასკვნას;

3) არ უნდა იქნას დაშვებული ზოგადი მსჯელობა ან ფაქტებით დაუდასტურებელი დასკვნები და მოსაზრებები, ან გამომძიებლის ისეთი პირადი დასკვნები და მოსაზრებები, რომელთაც საქმის არსთან დამოკიდებულება არა აქვთ. დანაშაულის პოლიტიკური შეფასება საბრალმდებლო დასკვნაში გადმოცემული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა ეს ნამდვილად აუცილებელია, ამასთან იგი მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული საქმის არსთან და ხასიათთან;

4) საქმეში არსებული მასალა უნდა იყოს ობიექტურად გადმოცემული და ისე დაჯგუფებული, რომ გადმოცემის სისტემა უზრუნველჰყოფდეს დანაშაულის ნამდვილი გარემოს, მისი ჩადენის მოტივებისა და გარემოებათა დადგენას;

5) აღწერილობითი ნაწილის დასასრულს მოყვანილი უნდა იყოს ბრალდებულების ახსნა-განმარტება და მათი ძირითადი აზრები მათთვის წარდგენილი ბრალდების წინააღმდეგ, აგრეთვე ბრალდებულთა ამ აზრების უარმყოფელი გარემოებანი საქმისა (დამამტკიცებელ საბუთებზე და საქმის შესაბამის ფურცლებზე მითითებით);

6) საბრალმდებლო დასკვნის რეზოლუტური ნაწილის დაბაწყისს მოყვანილი უნდა იყოს დაწვრილებითი ცნობები ბრალდებულის პიროვნების შესახებ;

7) რეზოლუტურ ნაწილში ამომწურავი სისრულით და ობიექტიულად სწორად უნდა იყოს ფორმულირებული ბრალდების პუნქტები და მოყვანილი ამ დანაშაულთა კვალიფიკაცია, რომელთა ჩადენისთვისაც ბრალდებულები მიცემულ უნდა იქნან სამართალში; უკეთუ საქმეზე არის რამდენიმე ბრალდებული, ბრალდების ფორმულირება, როგორც წესი, მოცემული უნდა იყოს ცალ-ცალკე თვითეული ბრალდებულის მიმართ; ბოლოს, უკეთუ ბრალდებულს წარდგენილი აქვს ბრალდების რამდენიმე მუხლი, თვითეული მათგანის მიმართ მოყვანილი უნდა იყოს კვალიფიკაცია;

8) საბრალმდებლო დასკვნის დასასრულს აღნიშნული უნდა იყოს, რომელ სასამართლოს ექვემდებარება მოცემული საქმე, სად და როდის იყო შედგენილი საბრალმდებლო დასკვნა; ამის შემდეგ უნდა მოსდევდეს საბრალმდებლო დასკვნის შემდგენელი გამომძიებლის ხელისმოწერა, მისი საკლასო ხარისხის აღნიშვნით;

9) საბრალმდებლო დასკვნას უნდა დაერთოს სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია, მათი მისამართებისა და საქმის იმ ფურცლების აღნიშვნით, სადაც მათი ჩვენებაა მოცემული.

ვიდრე ამ სიას შეადგენდეს, გამომძიებელმა გულდასმით უნდა განსაჯოს საკითხი სასამართლოში ამა თუ იმ პირის დაბარების საჭიროების შესახებ, ყოველ შემთხვევაში უზრუნველჰყოს ყველა უმნიშვნელოვანესი მოწმისა და, აგრეთვე, დაზარალებულებისა და ექსპერტების დაბარება. ეს სია ხელმოწერილი უნდა იყოს გამომძიებლის მიერ;

10) საბრალმდებლო დასკვნას უნდა დაერთოს, დროებითი წესების 58 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ცნობა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის დრო;

ბ) ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები;

გ) განაჩენის აღსრულებისა და ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიებანი;

დ) სამოქალაქო სარჩელი, უკეთუ ასეთი განცხადებულია[1].

სსრ კავშირის პროკურორის 1943 წ. 21 აპრილის № 20 მითითებათა შესაბამისად, თვითეული საგამომძიებლო საქმის საბრალმდებლო დასკვნაზე დართული ცნობა, გარდა აღნიშ-

---

[1] ჩამოთვლა აქ მოყვანილია დედნის მიხედვით, რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექ. 207 მუხ. შესაბამისად. დროებითი წესების 58 მუხლით საბრალმდებლო დასკვნაზე დართულ ცნობაში გათვალისწინებულია მხოლოდ ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროის აღნიშვნა, რაც არასრულად უნდა ჩაითვალოს. საბრალმდებლო დასკვნაზე დართული ცნობის აქ მოყვანილი სისრულით შედგენა სავალდებულოა გამომკვლევთათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზეც და დროებითი წესების მოთხოვნა ამ ნაწილში მოძველებული და ფაქტიურად ძალადაკარგულია.

ნულისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს საქმის მოძრაობის შესახებ (თვითეული პუნქტისათვის თარიღის აღნიშვნით):

1) დანაშაული ჩადენილია .
2) სისხლის სამართლის საქმე აღძრულია . . .
3) საქმე მიღებულია გამომძიებლის წარმოებაში .
4) სანქცია გამოთხოვილია .
5) სანქცია მიღებულია
6) ბრალდება წარედგინა . . .
7) აღმკვეთი ღონისძიება არჩეულია .
8) წინასწარი გამოძიება დამთავრდა . .

სსრ კავშირის პროკურატურამ წინადადება მისცა ამ მითითების დამრღვევნი მიცემულ იქნან სადისციპლინო პასუხისგებაში.

ამგვარ ცნობას გამომძიებელი უნდა ადგენდეს მის მიერ საბრალმდებლო დასკვნით დამთავრებულ ყოველ საქმეზე. ცნობა ხელმოწერილი უნდა იყოს გამომძიებლის მიერ.

საქმის პროკურორისათვის გადაცემა და ზემდგომი პროკურატურისათვის შეტყობინება

დაამთავრებს რა საქმეზე გამოკვლევას და გამოუცხადებს ბრალდებულებს გამოძიების დამთავრების შესახებ, გამომძიებელი მოვალეა დაუყოვნებლივ შეუდგეს საბრალმდებლო დასკვნის შედგენას. სრულიად დაუშვებელია დიდი ინტერვალები ბრალდებულებისათვის გამოძიების დამთავრების შესახებ გამოცხადების მომენტსა და საბრალმდებლო დასკვნის შედგენის მომენტს შორის, რასაც საგამომძიებლო პრაქტიკაში ვხვდებით.

მოაწერს რა ხელს საქმეზე საბრალმდებლო დასკვნას, გამომძიებელი მოვალეა დაუყოვნებლივ გადასცეს საქმე მეთვალყურე პროკურორს საბრალმდებლო დასკვნის დასამტკიცებლად და საქმის სასამართლოში ან ზემდგომ პროკურატურაში შემდგომ წარსამართავად.

ამასთან ერთდროულად მან უნდა შეავსოს დაწესებული ფორმით ცნობა გამოძიების დამთავრების შესახებ და მაშინვე გაუგზავნოს იგი ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს.

ასეთი ცნობა უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

. . . . . რესპუბლიკის (ოლქის, მხარის) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს . . . . .

ცნობა

გამოძიების დამთავრების შესახებ

საქმეზე № . . . . რაიონის სახ. გამომძიებლის (პროკურორის) . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი) . . .

1. საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი არიან:

№ № რიგებ.	ბრალდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი	ს. ს. ტ. ბუხ.	დაკავებული თანამდებობა	სოციალური მდგომარეობა	დაბადების წელი	პარტიულობა	არჩეული აღმკვეთი ღონისძიება
1							
2							
3							
4							
5							

2. საქმის მოკლე შინაარსი

3. გამოძიების დამთავრების თარიღი და საქმის სასამართლოში წარმართვის თარიღი . . . . . .

4. საქმე შეჩერებულია ან გადაცემულია ქვემდებარეობისამებრ (ხაზი გაესვას).

5. როგორი წესით არის დამთავრებული საქმე—გაგზავნილია სასამართლოში, მოსპობილია (ხაზი გაესვას). უკეთუ საქმე მოსპობილია, აღინიშნოს—სისხ. სამ. საპრ. კოდ. (ან დრ. წეს.) რომელი მუხლის და პუნქტის საფუძველზე.

6. საქმეზე ჩატარებულია: გაჩხრეკა, დოკუმენტების, ფასეულებათა და სხვ. ამორკვევა, თანამდებობიდან გადაყენება (ხაზი გაესვას).

7. რა პროფილაქტიკური მეშაობა ჩატარდა საქმესთან დაკავშირებით . . . . . .

. . . . . .რაიონის პროკურატურის

სახალხო გამომძიებელი. . . . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი).

. . . . " 194 წ.

(ცნობის შევსების თარიღი).

სსრ კავშირის პროკურატურის 1944 წ. 28 სექტემბრის № 3/66 მითითებათა შესაბამისად, მტაცებლობისა და განიავების ყოველ საქმეზე, აგრეთვე სხვა დანაშაულთა შესახებ, რომელთა შედეგად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიყენებული იყო ზიანი,—გამოკვლევის დამთავრებისას გამომძიებელი მოვალეა ზემდგომი პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებაში გამოკვლევის დამთავრების ცნობასთან ერთდროულად გაგზავნოს განსაკუთრებული ცნობა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ.

ასეთი ცნობა უნდა სდგებოდეს შემდეგი ფორმით:

. . . . . რესპუბლიკის (ოლქის, მხარის) პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს.

ცნობა

ზიანის ანაზღაურების შესახებ

საქმეზე № . . . . .რაიონის სახალხო გამომძიებლის (პროკურორის). მოქ. . . . . .ბრალდებაზე სისხ. სამ. კოდ. . . მუხ.

1. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის რაოდენობა.

გატაცებული საქონლისა და ფასეულობის დასახელება	თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წ. 22/I-ის დადგენილებით შემოღებული წესისამებრ გამოანგარიშებული ზიანის საერთო ჯამი.
1.	. მან.
2.	
3.	
4.	
5.	

2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თარიღი „ . . “ . . 194 წ.
3. ბრალდებულთა ქონებაზე ყადაღა დადებულია „ . . . . “ . . 194 წ.
სულ ჯამით . . მან., გამოანგარიშებული თავდაცვის საბელმწიფო კომიტეტის 1943 წ. 22 იანვრის დადგენილებით შემოღებული წესისამებრ
4. ჩამოერთვა ბრალდებულებს:

სასურსათო და სამრეწველო საქონლის, ნივთებისა და სხვა ფასეულობათა დასახელება.	რაოდენობა (ზომა, წონა)
1.	
2.	
3.	
4.	
5.	

5. ბრალდებულის ქონებაზე ყადაღა დადებული არ არის (აღინიშნოს მიზეზები) . . . . . .
რაიონის სახალხო გამომძიებელი . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)
. . “ . . . . . 194 წ.
(ცნობის შევსების თარიღი).

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა თვალყური ადევნოს იმას, რომ საპატიმრო ადგილს თავის დროზე შეატყობინონ პატიმრის იმ ორგანოზე გადარიცხვა, რომელსაც რაიონის პროკურატურამ საქმე გაუგზავნა.

განსაკუთრებული წესი 1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებულ საქმეებზე.

შესაბამისად სსრ კავშირის პროკურატურის 1944 წ. 6 ივლისს № 1/152 ინსტრუქციისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26/XII-ის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე გამოკვლევის წარმოების წესის შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევით და ბრალდებულის დაკითხვის შედეგად დადგენილ იქნება, რომ მან ნამდვი-

ლად თვითნებურად მიატოვა საწარმოში მუშაობა და, ამრიგად, ჩაიდინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული დანაშაული, გამომძიებელმა უნდა შეადგინოს დადგენილება ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმის სამხედრო ტრიბუნალში წარმართვის შესახებ.

ასეთი დადგენილება შედგენილ უნდა იქნას შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . . . . „ . . . " ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე საქმე (სახელი, მამის სახელი და გვარი) ბრალდებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 29 დეკემბრის ბრძანებულებით და, მივიღე რა მხედველობაში, რომ ჩატარებული გამოკვლევით (ინიციალები და გვარი) მხილებულია მასში, რომ „ . . . " . . . . 194 წ. იგი, იყო რა (აღნიშვნა, რა თანამდებობაზე მუშაობდა და რომელ საწარმოში), ამ წარმოებიდან ჩაიდინა დეზერტირობა და მიიმალა, მაგრამ შემდეგ „ . . " . . 194 წ. დაკავებულ იქნა (აღნიშვნა, სად იყო დაკავებული).

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოქ. (სახელი, მამის სახელი და გვარი, დაბადების წელი, საიდანაა წარმოშობით, პარტიულობა, ნასამართლობა) ბრალდებაზე საქმე წარვმართო სამხედრო ტრიბუნალში (ტრიბუნალის დასახელება) მის სამართალში მისაცემად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26/XII-ის ბრძანებულების თანახმად.

გამოძიებისა და გასამართლებისათვის თავის არიდების საშუალებათა აღმკვეთ ღონისძიებად (ინიციალები და გვარი) მიმართ არჩეულია საპატიმროში მოთავსება (საპატიმრო ადგილის დასახელება).

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

ვამტკიცებ: . . . . . რაიონის პროკურორი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

საბრალმდებლო დასკვნის შედგენა, ისევე როგორც დროებითი წესების 57 მუხ. შესრულება ამ კატეგორიის საქმეებზე საჭირო არ არის.

9. წინასწარი გამოძიების შეჩერება

წინასწარი გამოძიების შეჩერების საფუძვლები

დროებითი წესების 52 მუხლის თანახმად, წინასწარი გამოკვლევა შეიძლება შეჩერებულ იქნას მხოლოდ ორ შემთხვევაში:

ა) უკეთუ არ არის ცნობა პასუხისგებაში მიცემულის სამყოფელი ადგილის შესახებ, და

ბ) უკეთუ პასუხისგებაში მიცემული ფსიქიურად ავად არის ან შეპყრობილია სხვა რამ მძიმე ავადმყოფობით, რაც დადასტურებულ უნდა იქნას სახელმწიფო სამსახურში მყოფი ექიმის მიერ.

გამოკვლევის შეჩერებას ყველა შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ბრალდების წარდგენისათვის საკმაო მონაცემების არსებობისას.

თუ პასუხისგებაში მიცემულის ადგილსამყოფელი უცნობია, გამოძიების შეჩერება შეიძლება მხოლოდ წინასწარი გამოძიებისათვის დაწესებულის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის განმავლობაში თვით გამომძიებელი მოვალეა მიიღოს ყველა ზომა პასუხისგებაში მიცემულის დაძებნისათვის. პასუხისგებაში მიცემულის ფსიქიური აშლილობისა და სხვა მძიმე ავადმყოფური მდგომარეობის შემთხვევაში გამოკვლევა შეჩერდება მხოლოდ მის განკურნებამდე.

შეცდომები საგამომძიებლო პრაქტიკაში

საგამომძიებლო პრაქტიკაში წინასწარი გამოძიების შეჩერების დროს ყველაზე უფრო ხშირად სჩადიან ხოლმე შემდეგ შეცდომებს:

1. საქმის შეჩერება გამომძიებლის მიერ გამოკვლევის ვადის გასვლამდე, თვით გამომძიებლის მიერ პასუხისგებაში მიცემულის დასაძებნად ყველა ზომის მიუღებლად.

2. საქმის შეჩერება იმ დროს, როცა ჯერ კიდევ შეკრებილი არ არის საკმაო მასალა ბრალდების წარსადგენად. კანონის ასეთ დარღვევას ხშირად მოსდევს მოცემულ დანაშაულ-

თან სრულიად დაუკავშირებელ იმ მოქალაქეთა ყოვლად ტყუილ-უბრალო შევიწროება, რომელთა მიმართაც გამომძიებელი ამისათვის საკმაო საფუძვლის უქონლად აჩერებს საქმეს და აცხადებს დაძებნას.

3. საქმეთა შეჩერება კანონით გაუთვალისწინებელ საბაბებთან დაკავშირებით, მაგალითად, ხანგრძლივი ექსპერტიზის დანიშვნასთან, რევიზიის წარმოებასთან, პასუხისგებაში მიცემულის ხანგრძლივ ეტაპირებასთან, მნიშვნელოვანი მოწმეების დროებით სხვაგან გამგზავრებასთან და ა. შ. დაკავშირებით.

ასეთ შემთხვევებში საქმის შეჩერება უკანონოა და ჩვეულებრივ მიზნად ისახავს გამოკვლევის ფაქტიური ვადების ხელოვნურად შემცირებას, ამა თუ იმ საჭირო საგამომძიებლო მოქმედების შესრულების დაჩქარებისათვის და წამოჭრილ დაბრკოლებათა აცილებისათვის ზრუნვისაგან თავის არიდებას.

სსრ კავშირის პროკურატურის 1937 წ. 5 ივნისის № 41/26 ცირკულარით კატეგორიულად აკრძალულია საქმეთა შეჩერება ყველა შემთხვევაში, გარდა კანონით გათვალისწინებულისა. ამ ცირკულარში ნათქვამია:

„გამოკვლევის შეჩერება დაშვებულ იქნას მხოლოდ რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 202 მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდ. შესაბამის მუხლებში[1] პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგრამ არასგზით იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე დანიშნულია შესაბამისი სამეურნეო ორგანიზაციის ხაზით ჩასატარებელი ახალი რევიზია.

პროკურატურაში წარმოდგენილი სარევიზიო მასალის უსრულობის შემთხვევაში — მოთხოვნილ იქნას განმეორებითი რევიზიის ჩატარება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. უკეთუ რევიზიის უსრულობა გამოაშკარავდება მხოლოდ გამოძიების პროცესში და პროკურატურა საჭიროდ სცნობს განმეორებითი რევიზიის ჩატარების მოთხოვნას, გამოძიება არ შეჩერდეს და, როგორც წესი, დამთავრდეს კანონით დაწესებულ ვადებში, იმ კონკრეტულ ბოროტმოქმედებათა ფარგლებში, რომელთა საბაბით იყო აღძრული საქმე. უკეთუ დამატებით ჩატარებული რევიზიით დადგენილ იქნება დანაშაულის ახალი ფაქტები, აღიძრას დამოუკიდებელი საქმე“.

---

[1] შეესაბამება დროებითი წესების 52 მუხლს.

4. სერიოზული შეცდომაა ის, რომ ზოგიერთი გამომძიებელი, შეაჩერებს რა საქმეს, დაუყოვნებლივ არ აძლევს შესაბამის სამძებრო ორგანოს დავალებას პასუხისგებაში მიცემულის (რომლის ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის) დაძებნის შესახებ, ან არ აღნიშნავს სამძებრო დავალებაში ყველა საჭირო ცნობას და აღმკვეთ ზომას, რომელიც უნდა შეეფარდოს დასაძებნ ბრალდებულს.

5. მთელ რიგ შემთხვევებში წარმოებით აჩერებდნენ საქმეებს შემდგომში წითელ არმიაში ან სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვეულ პირთა მიერ ჩადენილ უმნიშვნელო დანაშაულთა შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წ. 19 ივლისის № 14/მ 10/უ განმარტების შესაბამისად, ამგვარი საქმეები უნდა მოისპოს რსფსრ სისხ. სამ. კოდექსის 8 მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. კოდ. და სისხ. სამ. საპრ. კოდ. შესაბამისი მუხლების[1] საფუძველზე.

შეჩერებულ საქმეთა აღრიცხვა

გამომძიებლის მიერ შეჩერებული საქმე უნდა ჩამოეწეროს გამომძიებელს წარმოებიდან და ინახებოდეს პროკურატურის კანცელარიაში.

მაგრამ საქმის შეჩერება გამომძიებელს არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს შეჩერებულ საქმეებზე შემდგომი მუშაობისაგან იმ დრომდე, ვიდრე ეს საქმეები არ იქნება განახლებული და დამთავრებული საბრალმდებლო დასკვნის შედგენით ან მოსპობით.

საქმეთა შეჩერების დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესების აუცილებლობა სპეციალურად ხაზგასმული იყო სსრ კავშირის პროკურორის 1939 წ. 7 თებერვლის ბრძანებაში № 28/3.

„ჩემი 1938 წ. 1 ივნისის ბრძანების შესაბამისად მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში (კალინინის ოლქი, სარატოვის ოლქი, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ და სხვ.) ჩატარებული, გამომძიებლების წარმოებაში არსებული ყველა საქმის

[1] შეესაბამება საქ. სსრ. სისხ. სამარ. კოდექსის 14 მუხლი.

მათ შორის ყველა შეჩერებული საგამომძიებლო საქმის, შემოწმებით გამოვლინებულია სრულიად დაუშვებელი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სისხლის სამართლის საქმეთა შეჩერებისადმი, მიუხედავად რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 202 და 203 მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდ. შესაბამის მუხლების[1] მოთხოვნისა, აგრეთვე გამომძიებლის მხრივ მათ მიერ შეჩერებულ საქმეებზე საჭირო მეთვალყურეობის უქონლობა.

ვსთვლი რა ასეთ მდგომარეობას მოუთმენლად, ვბრძანებ:

1. ყველა რესპუბლიკის, მხარის და ოლქის პროკურორებმა ერთი თვის ვადაში შეამოწმონ გამომძიებლების მიერ შეჩერებული ყველა საქმე და, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, მომავალში უზრუნველჰყონ რეალური კონტროლი სისხლის სამართლის საქმეთა შეჩერების მიმართ; ამასთანავე ზუსტად დაიცვან რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 202 და 203 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპრ. კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნები.

2. ყველა პროკურორმა შემოიღოს სპეციალური წიგნი შეჩერებულ საქმეთა აღსარიცხავად, სადაც შეტანილ უნდა იქნას რაიონულ პროკურატურებში სახალხო გამომძიებლების მიერ შეჩერებული საქმეები, ხოლო საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ პროკურატურებში—უფროსი გამომძიებლებისა და უდიდეს საქმეთა გამომძიებლების მიერ შეჩერებული საქმეები. საქმეთა განახლებისას წიგნებში უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნები.

3. დაევალოს ყველა გამომძიებელს უზრუნველჰყონ სათანადო მეთვალყურეობა შეჩერებული საქმეების მიმართ და მიიღონ საჭირო ზომები მათი დროულად განახლებისათვის და პასუხისგებაში მყოფ მიმალულ პირთა სწრაფად დაძებნისათვის.

4. დაევალოს გამოძიებაზე ხელმძღვანელობის განმახორციელებელ ყველა პროკურორს უზრუნველჰყონ ჯეროვანი კონტროლი საქმეთა შეჩერების სისწორისადმი და მათზე გამომძიებლების მხრივ მეთვალყურეობის სისტემატიურობისადმი.

5. შეჩერებული საქმეები ინახებოდეს სათანადო პროკურატურის მდივანთან.

---

[1] შეესაბამება დროებითი წესების 52 და 53 მუხლები.

წინასწარი გამოძიების შეჩერება უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შემდეგი ფორმით შედგენილი დადგენილებით:

დადგენილება

194 წ. . . . „. . “ ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე რა მასალა, შეკრებილი საქმე № . . . . შესახებ (საქმის დასახელება),

ვ ა ო ვ ე:

. . . . . .

(გადმოცემული უნდა იქნას გარკვეული პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ფაქტები).

მივიღე რა მხედველობაში . . . . . (შეჩერების მოტივირება) ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 52 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

საქმე . . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) მიმართ წარმოებით შეჩერდეს.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

უკეთუ დადგენილება შედგენილია იმასთან დაკავშირებით, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი მიიმალა, მაშინ მასში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს:

გამოცხადდეს მოქ. . . (სახელი, მამის სახელი, გვარი) მიმართ . . . . . დაძებნა (აღინიშნება როგორი)

აღმკვეთ ღონისძიებად მოქ. . . მიმართ, მის მოძებნისას შერჩეულ იქნას . . . . . .

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

გამომძიებლის მიერ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევის შემთხვევაში დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნას პროკურორის მიერ.

დადგენილებაში წინასწარი გამოძიების შეჩერების შესახებ აუცილებლად გადმოცემული უნდა იყოს საქმის არსი და გამოკვლევის შეჩერების გამომწვევი გარემოებანი.

წინასწარი გამოძიების შეჩერების შესახებ დადგენილების შედგენამდე, გამომძიებელმა უნდა შეადგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ბრალდებულის ადგილსამყოფელის უცნობობასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების შეჩერების ყველა შემთხვევაში გამომძიებელი მოვალეა გამოაცხადოს მისი დაძებნა.

დაძებნა შეიძლება გამოცხადებული იქნას ადგილობრივი, ე. ი. ისეთი, რომელიც იწარმოებს მხოლოდ გარკვეულ პუნქტებში, სადაც, არსებული მონაცემებით, იმალება ან შეიძლება იმალებოდეს დამნაშავე, ან სრულიად საკავშირო, რომელიც იწარმოებს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

მოთხოვნას ბრალდებულის დაძებნის შესახებ გამომძიებელი უნდა ადგენდეს დაწესებული ფორმით და ის უნდა გაიგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში.

დასაძებნი ბრალდებულის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების არჩევისას, გამომძიებელი მოვალეა ამის შესახებ შეადგინოს განსაკუთრებული დადგენილება, რომელიც, ისე როგორც თვით სამძებრო მოთხოვნა, დამტკიცებულ უნდა იქნას მეთვალყურე პროკურორის მიერ.

სამძებრო მოთხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს:

1) დასაძებნი პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და დაბადების წელი;

2) მისი დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

3) დასაძებნი პირის ნიშნები;

4) მისი პროფესია;

5) დასაძებნი პირის შესაძლებელი ყოფნის სავარაუდო ადგილები და ასეთი ვარაუდის საფუძველი;

6) როგორ მოექცნენ ბრალდებულს მისი აღმოჩენისას (როგორი აღმკვეთი ღონისძიება შეირჩეს, სად გაიგზავნოს, ვისზე ირიცხებოდეს, როგორი ხელწერილი — ვალდებულება ჩამოერთვას და ა. შ.).

სამძებრო მოთხოვნაზე, შეძლებისდაგვარად, დართული უნდა იყოს დასაძებნი პირის ფოტოგრაფიული სურათი.

წინასწარი გამოძიების შეჩერებისა და დაძებნის გამოცხადების მიუხედავად, გამომძიებელი მოვალეა თვითონ მიიღოს პერიოდულად ზომები მიმალული ბრალდებულის აღმოსაჩენად, აგრეთვე ამოწმებდეს სამძებრო მოთხოვნის შესრულებას.

პასუხისგებაში მიცემული იმ დასაძებნი პირის აღმოჩენის შესახებ შეტყობინების მიღებისას, აგრეთვე ადრე შეჩერებული წინასწარი გამოძიების მოსპობის შემთხვევაში, რომელზეც გამოცხადებული იყო დაძებნა, გამომძიებელი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ორგანოს, რომელსაც ადრე გაეგზავნა საძებრო მოთხოვნა დაძებნის შეწყვეტის შესახებ.

დადგენილებაზე საქმის შეჩერებისა და პასუხისგებაში მიცემული პირის დაძებნის შესახებ, დართული უნდა იყოს დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

წინასწარი გამოძიების განახლება

პასუხისგებაში მიცემული პირის დაძებნის ან განკურნების შემთხვევაში გამომძიებელმა, დროებითი წესების 56 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გამოიტანოს დადგენილება საქმეზე წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ.

ეს დადგენილება შესდგება შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . . . „ . “ ქ. . . . . .
რესპუბლიკის (ოლქის) . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის
სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი),
განვიხილე საქმე № . . . . . შესახებ (საქმის დასახელება) და, მივიღე
რა მხედველობაში, რომ . . . . . (აღნიშნოს ახალი, რაც ცნობილი გახდა საგამომძიებლო მუშაკისათვის და მოყვანილ იქნას საქმის განახლების საჭიროების მოტივირება), ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 56 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

საქმე № . . . . . ბრალდებაზე (საქმის დასახელება) განახლებულ იქნას, მივიღო იგი ჩემს წარმოებაში და შევუდგე შემდგომ გამოძიებას.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ებ ე ლ ი (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

შეჩერების განსაკუთრებული წესი 1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებულ საქმეებზე

საგამომძიებლო წარმოების შეჩერების რამდენადმე განსხვავებული წესია შემოღებული საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 26 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ.

ამ კატეგორიის საქმეებზე, ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში, გამომძიებელი მოვალეა სამი დღის განმავლობაში მოწმეთა დაკითხვის გზით, აგრეთვე საბუთებით ან სხვა საშუალებით, დაადგინოს ბრალდებულის დაბადების ადგილი, ან ის რაიონი, საიდანაც იგი საწარმოში მოვიდა, ან ადგილი, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს, იმის ნათელსაყოფად, თუ სახელდობრ სად მიიმალა, ან სად შეეძლო მას მიმალვა და სად უნდა სწარმოებდეს მისი დაძებნა.

შეკრებს რა ამ მონაცემებს, გამომძიებელმა უნდა შეადგინოს დადგენილება დაძების წარმოებისა, მიმალული დეზერტირის დაპატიმრებისა და საქმის შეჩერების შესახებ.

ასეთი გაერთიანებული დადგენილება უნდა შესდგეს შემდეგი ფორმით:

დადგენილება

194 წ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . . . . . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა, განვიხილე საქმეზე № . . . . . შეკრებილი მასალა მოქ . . . . . (სახელი, მამის სახელი და გვარი) დეზერტირობის შესახებ (საწარმოს ნომერი ან დასახელება) — დან, გავითვალისწინე რა, რომ ბრალდებულმა (გვარი) იდეზერტირა საწარმოდან და დაემალა გამოძიებას, ვიხელმძღვანელე რა დროებითი წესების 52 მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გამოცხადდეს მოქ. (სახელი, მამის სახელი, გვარი და დაბადების წელი) დაძებნა, მასზე სამძებრო დავალების მილიციის რაიგანყოფილებაში (მილიციის იმ რაიგანყოფილებათა ჩამოთვლა, სადაც იგზავნება სამძებრო დავალებები) გაგზავნით.

2. მოქ. (ინიციალები და გვარი) მიმართ მისი დაძებნის შემთხვევაში აღმკვეთ ღონისძიებად არჩეულ იქნას დაპატიმრება.

3. საქმე მოქ. (სახელი, მამის სახელი და გვარი) მიმართ წარმოებით შეჩერდეს.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი . . . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

სანქციონირებულია:

რ ა ი ო ნ ი ს პ რ ო კ უ რ ო რ ი . (ხელისმოწერა)
(საკლასო ხარისხი)

ამ დადგენილების საფუძველზე გამომძიებელმა უნდა შეადგინოს სამძებრო დავალებათა საჭირო რაოდენობა, რომლებიც, რაიონის პროკურორის მიერ ხელისმოწერის შემდეგ, სასწრაფოდ უნდა გაეგზავნოს მილიციის სათანადო რაიგანყოფილებათა უფროსებს.

სამძებრო დავალება შედგენილ უნდა იქნას შემდეგი ფორმით:

სსრ კავშირის პროკურატურა. შევსების შემდეგ სრულიად საიდუმლოა

. . . . ოლქის (რესპუბლიკის)

. რაიონის . . . . . რესპუბლიკის (ოლქის)

. პროკურორი . . .რაიონის (ქალაქის)

. . . . " 194 წ. მილიციის განყოფილების უფროსს

№ .

სამძებრო დავალება

. . . . . რაიონის სახალხო გამომძიებლის 194 წ. . . .

. " დადგენილების საფუძველზე, გთხოვთ აწარმოოთ დაძებნა. ცნობები დასაძებნ პირზე:

ა) სახელი, მამის სახელი და გვარი .

ბ) დაბადების წელი და თვე . . . .

გ) უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი . . .

დ) საწარმოს დასახელება და ადგილსამყოფელი

ე) რა თანამდებობაზე მუშაობდა , . .

ვ) როდის იდეზერტირა . . . . . .

ზ) დანაშაულის კვალიფიკაცია — 1941 წ. 26/XII-ის ბრძანებულება . . .

თ) მონაცემები დასაძებნი პირის შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ

. . . . . .

ი) მის შესახებ არსებული სხვა ცნობები . . . , . .

(სახელი, მამის სახელი და გვარი) დაკავებისას დაპატიმრებულ იქნას და ამ სამძებრო დავალებით გაეგზავნოს რაიონის პროკურორს დაკავების ადგილის მიხედვით.

(ინიციალები და გვარი) დაპატიმრება ჩემს მიერ სანქციონირებულია

შესრულების შესახებ მაცნობეთ.

. . ოლქის (რესპუბლიკის) . რაიონის (ქალაქის)

პ რ ო კ უ რ ო რ ი . (ხელისმოწერა)

(საკლასო ხარისხი)

ბეჭდის ადგილი.

10. საგამომძიებლო საქმის მოსპობა

მოსპობის საფუძვლები

სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4 და 4[1] მუხ. მუხ., სისხ. სამ. კოდ. 14 მუხ. და დროებითი წესების 54 და 55 მუხ. მუხ. შესაბამისად, საგამომძიებლო საქმე უნდა მოისპოს შემდეგ შემთხვევებში:

1) ბრალდებულის გარდაცვალებისას;

2) ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგებისას კერძო ბრალდების საქმეზე;

3) დაზარალებულის საჩივრის უქონლობისას კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე;

4) ხანდაზმულობის გასვლისას;

5) ბრალდებულის მოქმედებებში დანაშაულის ნიშნების უქონლობისას; აქვე მიეკუთვნება სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხ. გათვალისწინებული ჩადენილი მოქმედების უმნიშვნელობა და მავნე შედეგების უქონლობა;

6) ამნისტიის აქტისას, უკეთუ უკანასკნელი გამორიცხავს ჩანადენის დასჯადობას;

7) როცა კონკრეტულმა მოქმედებებმა გამოძიების ან სასამართლოში განხილვის მომენტისათვის დაკარგეს საზოგადოებრივად საშიში ხასიათი სისხლის სამართლის კანონის შეცვლის შედეგად, ან სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო;

8) ბრალდებულის სამართალში მისაცემად მხილებების არასაკმარისობისას.

სისხლის სამართლის საქმე შეიძლება მოისპოს აგრეთვე დამნაშავის აღმოუჩენლობის, ე. ი. ბოროტმოქმედის პიროვნების დაუდგენლობის შემთხვევაშიც, თუმცა, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის, მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ეს საფუძველი პირდაპირ აღნიშნული არ არის[1].

მაგრამ რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 205 მუხ. რედაქცია სადაც ლაპარაკია „დანაშაულის ჩადენის მოუძებნელობის გამო“ მოსპობილ საქმეთა განახლების შესახებ, იძლევა მითი-

---

[1] ასეთი საფუძველი პირდაპირ აღნიშნული არ არის არც საქართველოს სსრ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში (დროებითი წესები).

თებას დამნაშავეთა აღმოუჩენლობის გამო საქმის მოსპობის შესაძლებლობაზე, რადგან ამ შემთხვევაში სიტყვა „მოუძებნელობა“ იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის დაუდგენლობა[1].

კონტროლი საქმეთა მოსპობაზე

იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოს სსრ-ში, რომელთა კანონებით (დროებითი წესების 54 და 55 მუხ. მუხ.) სისხლის სამართლის - საქმეთა დამოუკიდებლად მოსპობის უფლება მინიჭებული აქვთ გამომძიებლებს, ამ უკანასკნელთ ამით დაკისრებული აქვთ დიდი პასუხისმგებლობა. გამომძიებელთათვის ამ უფლების მინიჭება არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს პროკურორს საქმეთა მოსპობის სისწორის კონტროლისაგან და გამომძიებლის მიერ უსაფუძვლოდ მოსპობილი საქმის აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან.

საესებით ნათელია ის ზიანი, რაც შეიძლება მიყენებულ იქნას საქმის უსაფუძვლოდ მოსპობის შედეგად, იმის გამო, რომ გამომძიებელმა ვერ შესძლო, როგორც საჭირო იყო, გარკვეულიყო მის მიერ შეკრებილ მასალაში, გაეხსნა დანაშაული ან აღმოეჩინა მისი ჩამდენი პირები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს შეეხება უფრო სერიოზულ დანაშაულებს.

ამიტომაც იმ რესპუბლიკებშიაც კი, სადაც საქმეთა მოსპობის უფლება მინიჭებული აქვთ გამომძიებლებს, პროკურორი მოვალეა გასინჯოს ყოველი საქმე, შეამოწმოს, რამდენად ყოველმხრივად და სრულად არის ჩატარებული მათი გამოკვლევა და, აგრეთვე, შეამოწმოს გამომძიებლის მიერ გაკეთებული საბოლოო დასკვნის დასაბუთებულება.

---

[1] რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 205 მუხ. შესაბამისი მუხლი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპრ. კოდექსიდან ამოღებულია 1931 წ. მარტის 1-ს დროებითი წესების სამოქმედოდ შეძლებასთან დაკავშირებით. დროებით წესებში კი რსფსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 205 მუხლის შესაბამისი შინაარსობრივად მსგავსი მუხლი არ მოიპოვება, ხოლო საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსპობილ და შეჩერებულ საქმეთა განახლება წესრიგდება დროებითი წესების 56 მუხლით.

საქმის მოსპობა შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების არასაკმარისობის გამო

დროებითი წესების 55 მუხლი ითვალისწინებს გამოკვლევის სტადიაში საქმის მოსპობის საფუძვლად ბრალდებულის საბართალში მიცემისათვის მხილებების არასაკმარისობას.

უკანასკნელ დროს საგამომძიებლო პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა სწორედ ეს საფუძველი საქმის მოსპობისათვის, ამასთან მთელ რიგ შემთხვევებში მისი შეფარდება ხდება არასწორად.

საქმის მოსპობას დროებითი წესების 55 მუხლით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ისპობა სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხ. საფუძვლით) შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ შემდეგი პირობებით: ა) დანაშაულის შემადგენლობის არსებობა და დამტკიცებულება, ბ) ბრალდებულის არსებობა და გ) ბრალდებულის სამართალში მისაცემად მხილებების არასაკმარისობა. ამ სამ ელემენტთაგან ერთ-ერთის არარსებობისას საქმე არ შეიძლება მოსპობილ იქნას მამხილებელი მასალის არასაკმარისობის გამო (დროებითი წესების 55 მუხ).

დანაშაულის შემადგენლობის დაუმტკიცებლობისას საქმე უნდა მოისპოს დროებითი წესების 54 მუხ. და სისხ. სამ. სსპრ. კოდ. 4 მუხ. 5 პუნქტის საფუძველზე — დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო.

სწორედ ასევე, დროებითი წესების 55 მუხ. საფუძველზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ისპობა სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხ.) არ შეიძლება მოისპოს საქმე, უკეთუ საქმეზე არავინ არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. თუ საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისი არ არის ვისმეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად და იმავე დროს სხვა დამამტკიცებელი საბუთების მიღება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევებში საქმე უნდა მოისპოს დამნაშავეთა აღმოუჩენლობის გამო.

ბოლოს, პირველი ორი პირობის არსებობისას (დანაშაულისა და ბრალდებულის არსებობა) საქმე შეიძლება მოსპობილ იქნეს დროებითი წესების 55 მუხ. საფუძველზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ისპობა სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1]

მუხ. საფუძველით) მხოლოდ არა მარტო ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის მხილებათა არასაკმარისობის, არამედ სხვა დამამტკიცებელი საბუთების შეკრების შეუძლებლობის (თუმცა ამისათვის ამოწურულია ყველა შესაძლებლობა) აუცილებელი პირობით. ამასთან დაკავშირებით, მივა რა საქმის მოსპობის საჭიროების დასკვნამდე ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელ საბუთების არასაკმარისობის გამო, გამომძიებელმა, ვიდრე ის გამოიტანდეს დადგენილებას საქმის მოსპობის შესახებ, კიდევ ერთხელ უნდა მოახდინოს საქმის მთელი მასალის ანალიზი, გულდასმით განსაჯოს საკითხი, არის თუ არა ამოწურული ყველა შესაძლებლობა ახალი დამამტკიცებელი საბუთების მისაღებად.

საქმის მოსპობა სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხ. და სისხ. სამართ. კოდ. 14 მუხლით[1]

საჭიროა შევჩერდეთ კიდევ საქმის მოსპობის შემთხვევაზე ჩადენილი ქმედობის აშკარა მცირე მნიშვნელობისა და მავნე შედეგების უქონლობის გამო, აგრეთვე, როცა კონკრეტულმა მოქმედებამ მისი გამოკვლევის მომენტისათვის დაჰკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი სისხლის სამართლის კანონის შეცვლის შედეგად ან სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის ფაქტის გამო (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხ. და სისხ. სამ.კოდ. 14 მუხ.).

---

[1] დედანში მითითებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 8 მუხლზე, რომელსაც ნაწილობრივ შეესაბამება საქ. სსრ სისხლის სამ. კოდ. 14 მუხლი. განსხვავება ამ ორ მუხლს შორის მდგომარეობს იმაში, რომ რსფსრ სსკ 8 მუხლი, ერთი მხრივ, სასამართლოს ორგანოს ანიჭებს უფლებას განაჩენის გამოტანის დროს, ამ მუხლში აღნიშნული პირობის არსებობის შემთხვევაში, არ შეუფარდოს ბრალდებულს სასჯელი, მეორე მხრივ, საგამომძიებლო ორგანოს ეძლევა ამავე საფუძვლით საქმის მოსპობის უფლება (წინასწარი გამოძიების სტადიაზე).

საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. 14 მუხ. ითვალისწინებს მარტოოდენ სასამართლოს უფლებას ბრალდებულისათვის სასჯელის არ შეფარდების შესახებ

საქ. სსრ პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში, სრულიად მართებულად, საქ. სისხ. სამ. კოდ. 14 მუხლს ეძლევა ისეთი განმარტება, რომ ამ მუხლით სასამართლო ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებით სარგებლობს პროკურატურაც საგამომძიებლო საქმეთა მოსპობისას.

საქმის მოსპობა ამ საფუძვლით ხშირად ფორმდება ისე, რომ რეაბილიტაციის გარეშე რჩება პასუხისგებაში ნამყოფი პირი. ამის გამო პრაქტიკაში ჩვენ ვხვდებით საჩივრების დიდ რაოდენობას იმ გამომძიებელებსა და პროკურორებზე, რომელთაც მოსპეს საქმე ჩადენილი ქმედობის მცირე მნიშვნელობის გამო. მომჩივანნი სავსებით საფუძვლიანად მოითხოვენ საქმის მოსპობას არა ამ მოტივით, არამედ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4 მუხ. და 5 პუნ. საფუძველზე, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო, და ამით თავიანთ რეაბილიტაციას.

ცალკეული გამომძიებლები მცირე მნიშვნელობისა და ბრალდებულის სამართალში მიცემის მიზანშეუწონილობის გამო საქმის მოსპობის შესახებ დადგენილების შედგენისას აღნიშნავენ დადგენილებაში, როგორც დადასტურებულს, პასუხისგებაში მიცემულისათვის მიწერილ ბოროტმოქმედებას. ასეთი წესი შესაძლებლობას უსპობს ბრალდებულს სადავოდ გახადოს მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება და მიაღწიოს სრულ რეაბილიტაციას, იმდენად რამდენადაც საქმე არ გადადის სასამართლოში.

ასეთი არასწორი პრაქტიკის აღკვეთის მიზნით, სსრ კავშირის პროკურატურამ 1937 წ. 5 ივნისის № 41/26 ცირკულარით მიუთითა:

„ზოგიერთ შემთხვევებში საგამომძიებლო საქმეები ისპობა მცირე მნიშვნელოვანებისა და ბრალდებულის სამართალში მიცემის მიზანშეუწონლობის მოტივებით, ამასთანავე ზოგჯერ დადგენილებებში საქმის მოსპობის შესახებ იწერება ბრალდებულთა ბოროტმოქმედების სხვადასხვა ფაქტები, ხოლო შემდეგ დასაბუთებულია საქმის სასამართლოში განხილვის მიზანშეუწონლობა და საქმე ისპობა.

ასეთი დადგენილებები ფაქტიურად ურაცხავენ პასუხისგებაში მიცემულ (ან პასუხისგებაში მისაცემ) პირებს სხვადასხვა დანაშაულს, მაგრამ უსპობენ მათ ყოველგვარ შესაძლებობას სადავოდ გახადონ ეს ბრალდებები სასამართლოს წინაშე.

ვსთვლი რა მსგავს მოვლენებს ჩვენს საგამომძიებლო პრაქტიკაში დაუშვებლად, ვბრძანებ:

დადგენილებებში საქმის მოსპობის შესახებ არ დაიშვება მითითება რაიმე გამაწბილებელი ხასიათის გარემოებებზე პასუხისგებაში მიცემულ ან პასუხისგებაში მისაცემ პირთა მიმართ (სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტები და ა. შ.)

საქმის მოსპობისას ამა თუ იმ ფაქტის, რაც შეადგენდა გამოსაძიებელ საქმის საგანს, მცირე მნიშვნელოვანების გამო (რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 6 მუხ. შენიშვნა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. კოდ. და სისხ. სამ. საპრ. კოდ. შესაბამისი მუხლები)[1], დადგენილებაში არ აღინიშნოს ამა თუ იმ ფაქტის დადასტურება, წინასწარ არ სწყდებოდეს, რომ ამ ფაქტებს ნამდვილად ჰქონდათ ადგილი და ნამდვილად ჩადენილი იყო მოცემულ პირთა მიერ, არამედ საკმარისია მითითება იმაზე, რომ თვით ფაქტები, რომელთა მიხედვით სწარმოებს გამოძიება, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც დანაშაული მათი მცირე მნიშვნელოვანების გამო, და ამიტომ საქმე უნდა მოისპოს".

გამომძიებლები მოვალენი არიან განუხრელად შეასრულონ სსრ კავშირის პროკურატურის ეს მითითება.

პროცესუალური გაფორმება

საგამომძიებლო საქმის მოსპობა უნდა ფორმდებოდეს გამომძიებლის მიერ შედგენილი შემდეგი ფორმის დადგენილებით:

დადგენილება

194 წ. . „ . . . " ქ. . . . . რესპუბლიკის (ოლქის) . რაიონის (ქალაქის) პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა . . . . . (საკლასო ხარისხი, გვარი), განვიხილე რა საქმე № . შესახებ (საქმის დასახელება) შეკრებილი მასალა, ვპოვე . . . . . (საქმის არსისა და უმნიშვნელოვანეს გარემოებათა გადმოცემა, დამამტკიცებელი ხაბუთების მოყვანით და საქმის ფურცლებზე მითითებით, საქმის მოსპობის მოტივირება).

აღნიშნულიდან გამომდინარე და დროებითი წესების 54 მუხ. (ან 55 მუხლის) საფუძველზე,

---

[1] შეესაბამება საქართველოს სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 4[1] მუხლს.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

. (საქმის დასახელება)

სისხლის სამართლის საქმე .
წარმოებით მოისპოს.

(ხელისმოწერა)

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი .

(საკლასო ხარისხი)

იმ შემთხვევაში, როცა მოსპობილ საქმეზე ამა თუ იმ პირის მიმართ ადრე არჩეული იყო ესა თუ ის აღმკვეთი ღონისძიება, დადგენილებაში საქმის მოსპობის შესახებ აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული მის გაუქმების შესახებ.

უკეთუ აღმკვეთ ღონისძიებად არჩეული იყო დაპატიმრება, გამოიტანება განსაკუთრებული დადგენილება ამ აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებისა და პასუხისგებაში მიცემულის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ დადგენილების ასლი გაიგზავნება ბრალდებულის პატიმრობის ადგილას. გამომძიებელი მოვალეა თვალყური ადევნოს ამ დადგენილების აღსრულებას, და მხოლოდ ამის შემდეგ მოსპობილი საქმე შეიძლება ჩაბარდეს არქივს.

ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების არასაკმარისობის გამო საქმის მოსპობისას, გამომძიებელი მოვალეა წინასწარ გულდასმით შეამოწმოს, გააკეთა თუ არა მან ყველაფერი ყველა დამამტკიცებელი საბუთის მისაღებად.

დადგენილებაში საგამომძიებლო საქმის მოსპობის შესახებ, აგრეთვე მოყვანილი უნდა იყოს გამომძიებლის გადაწყვეტილება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, ყადაღადადებული ქონების ან ფასეულობის ბედის შესახებ.

წიგნის ქართული გამოცემის რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნით ხელმძღვანელობისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ — გამოცემის შემდეგ ძალადაკარგულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილება სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ, აგრეთვე საქ. სსრ სისხლის სამ. კოდ. 58—17ა მუხ. (იარაღის გატაცება), 122 მ. (თანამდებობრივი გაფლანგვა და მითვისება), 177 მუხ. ყველა პუნქტი (ქურდობა), 180 მუხ. (გაძარცვა), 181 მუხლი (ყაჩაღობა) და 183 მუხლის II ნაწილი (თაღლითობა, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ზარალი).

ჩამოთვლილი ძალადაკარგული კანონებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობანი 1947 წლის 4 ივნისის შემდეგ კვალიფიცირდება 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისი მუხლებით.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებით სახელმწიფო წარმოებებისა და დაწესებულებების, საკოლმეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასურსათო და სამრეწველო საქონლის მტაცებლობისა და დანაკლისის დროს, დამნაშავე პირებს (მათი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის გარდა) უნდა გადახდეს მიყენებული ზარალი — გატაცებული და დანაკლისი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასის მიხედვით.

ამრიგად, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წ. 22 იანვრის დადგენილების ის ნაწილი, რომლითაც განსაზღვრული იყო წესი მტაცებლობით მიყენებული ზარალის გამოანგარიშებისა, — ძალადაკარგულია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
შესავალი . .	3

I. წინასწარი გამოძიების ზოგადი საკითხები

1. გამომძიებლის მდგომარეობა გამოკვლევის ორგანოთა სისტემაში	6
2. საგამომძიებლო ქვემდებარეობა	13
3. საქმის გაერთიანება და გამოყოფა	20
4. ცალკეული მოთხოვნები	23
5. გამომძიებლის მუშაობის ორგანიზაციის მეთოდები . .	27
6. გამომძიებლის კვალიფიკაციის ამაღლება . .	38
7. დანაშაულის წინასწარ აცილება .	44
8. საგამომძიებლო საქმის გაფორმება	46
9. გამომძიებლის მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება	49

II. საგამომძიებლო საქმის წარმოშობა და წინასწარი გამოძიების წარმოების ძირითადი პირობები

1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი წარმოებაში მიღება	61
2. წინასწარი გამოძიების ძირითადი პრინციპები	80
3. წინასწარი გამოძიების ვადები	89
4. გამოკვლევის გეგმა	99

III. დამამტკიცებელი საბუთების შეკრება

1. მოწმეთა დაკითხვა	105
2. დაპირისპირება . . .	122
3. დათვალიერება . . .	126
4. გაჩხრეკა და ამორკვევა	170
	303

5. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და დოკუმენტები 181
6. ამოცნობისათვის წარდგენა 192
7. საგამომძიებლო ექსპერიმენტი 194
8. ექსპერტიზა 198
9. შემოწმება 227

IV. ბრალდებულები წინასწარ გამოძიებაზე. დასკვნები წინასწარი გამოძიების მასალების მიხედვით.

1. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა . . 229
2. ბრალდების წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა 238
3. აღმკვეთი ღონისძიების არჩევა 249
4. თანამდებობიდან გადაყენება 260
5. სამოქალაქო სარჩელის ცნობა 262
6. ქონებაზე ყადაღის დადება 264
7. წინასწარი გამოძიების დამთავრება 273
8. საბრალმდებლო დასკვნა . . 277
9. წინასწარი გამოძიების შეჩერება 286
10. საგამომძიებლო საქმის მოსპობა 295
12. წიგნის ქართული გამოცემის რედაქტორისაგან . 302

რედაქტორი ბ. ფურცხვანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV—1948. უე 01910. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 19. შეკვეთის № 77. ტირაჟი 5000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობების საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა. ორჯონიკიძის ქ. № 50.